



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
 ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი
 ინსტიტუტი

ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA BATUMI NIKO
 BERDZENISHVILI SCIENTIFIC-RESEARCH INSTITUTE

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ
 БАТУМСКИЙ НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКИЙ ИНСТИТУТ
 ИМ. НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ

GÜRCİSTAN BİLİMLER AKADEMİSİ NİKO BERDZENİŞVİLİ
 BATUM DEVLET BİLİM VE ARAŞTIRMA ENSTİTÜSÜ

683
 2005 4

შრომები

IV

TRANSACTIONS

IV

Т Р У Д Ы

IV

BELLE TENİ

IV

ბათუმი
 2005

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტი

ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA BATUMI NIKO
BERDZENISHVILI SCIENTIFIC-RESEARCH INSTITUTE

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ
БАТУМСКИЙ НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКИЙ ИНСТИТУТ
ИМ. НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ

GÜRCİSTAN BİLİMLER AKADEMİSİ NİKO BERDZENİŞVİLİ
BATUM DEVLET BİLİM VE ARAŞTIRMA ENSTİTÜSÜ

ურთიკები

IV

TRANSACTIONS

IV

Т Р У Д Ы

IV

BELLE TENİ

IV



გამომცემლობა
„ბათუმის უნივერსიტეტი“
2005

სარედაქციო კოლეგია: რედაქტორი – საქართველოს მეცნი.აკად.
წ/კ., პროფ. ვ. შამილაძე, რედაქტორის მოადგილე-პროფ. გ. ჩაგანავა, პროფ.
ა. კახიძე, პროფ. შ. მამულაძე, პროფ. ბ. დიასამიძე, პროფ. ნ. მგელაძე, პროფ.
ო. თურმანიძე, პროფ. თ. შიოშვილი, პროფ. შ. ზოიძე, პროფ. მ. ქამადაძე, პროფ.
მ. სიორიძე, პროფ. ნ. კახიძე, დოც. ნ. ინაიშვილი, დოც. ჟ. მიქაშავიძე, პროფ.
მ. პელკმანსი (ჰოლანდია), პროფ. ი. ბიბილეიშვილი.

შრომების კრებული ეძღვნება ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის ლაზეთის ისტორიისა და ეთნოლოგიის, ენათმეცნიერებისა და ფოლკლორის პრობლემებს.

Editorial board: Editor-associate member of the academy of Georgia prof. V. Shamiladze, depute editor – prof. G. Chaganava, prof. A. Kakhidze, prof. Sh. Mamuladze, prof. B. Diasamidze, prof. N. Mgeladze, prof. O. Turmanidze, prof. T. Shioshvili, prof. Sh. Zoidze, prof. M. Kamadadze, prof. M. Sioridze, prof. N. Kakhidze, associate prof. N. Inaishvili, associate prof. J. Mikashavidze, prof. M. Pelkmans (Netherlands), prof. I. Bibileishvili.

This volume of Institute transactions is completely devoted to history, ethnology, and dialectology of Lazeti (Lazistan) historically old georgian region of the South – Western Georgia.

Редакционная коллегия: Редактор - член-корреспондент АН Грузии, проф. В. Шамиладзе, заместитель редактора – проф. Г. Чаганова, проф. А. Кахидзе, проф. Ш. Мамуладзе, проф. Б. Диасамидзе, проф. Н. Мгеладзе, проф. О. Турманидзе, проф. Т. Шиошвили, проф. Ш. Зойдзе, проф. М. Камададзе, проф. М. Сиоридзе, проф. Н. Кахидзе, доц. Н. Шиошвили, доц. Ж. Микашавидзе, проф. М. Пелкманс (Голландия), проф. Ю. Бибилеишвили.

Этот том трудов института полностью посвящен истории, этнологии, фольклору и диалектологии Лазети (Лазистан), одному из исторических регионов Юго-Западной Грузии.

Yazı işleri komisyonu: Yazı işleri müdürü - Gürcistan Bilimler Akademisi Prof.Dr. V Şamiladze, Müdür yardımcısı – Prof.Dr: G. Chaganava, Prof.Dr: A. Kahidze, Prof.Dr. Ş. Mamuladze, Prof.Dr. B. Diasamidze, Prof.Dr. N. Mgeladze, Prof.Dr. O. Turmanidze, Prof.Dr. T. Şioşvili, Prof.Dr. Ş. Zoidze, Prof.Dr. M. Kamadadze, Prof.Dr. M. Sioridze, Prof.Dr. N. Kahidze, Doç. N. İnaışvili, Doç. J. Mikaşavadze, Prof.Dr. M. Pelkmansi (Hollanda), Prof.Dr. İ. Bibileişvili.

Bu Belleten mecmuası, Tarihi Güney-Batı Gürcistan'ın bir eyaleti olan Lazistan'ın Tarih ve Etnoloji, Dilbilim ve Folklor problemlerine ithaf edilir.

ISBN 99940-25-14-7

გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“

შ ე ს ა ვ ა ლ ი

2008 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს დაარსების 50 წლისთავი უსრულდება. ამ ხნის მანძილზე ინსტიტუტმა ასეულობით დარგობრივი კრებული და მონოგრაფია გამოსცა, რომლებიც ეძღვნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, არქეოლოგიის, ეკონომიკის, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის პრობლემებს. ამით ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მეცნიერების განვითარებაში. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში ინსტიტუტმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნული იდეოლოგიის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულ ფასეულობათა დამკვიდრების საქმეში გენერატორის როლი ღირსეულად შეასრულა.

უკანასკნელ პერიოდში ინსტიტუტის მეცნიერული კვლევადიების სფერო გაფართოვდა. დამუშავდა მრავალი საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემა ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, ისტორიის, ფსიქოლოგიის ხაზით. ამავე დროს ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ისეთი უძველესი ისტორიული რეგიონების შესწავლაში, როგორც არის ჭოროხის ხეობა და ღაზეთი. წინამდებარე შრომების მეოთხე ტომი მოლიანად ეძღვნება ღაზეთის ისტორიულ, ფოლკლორულ, დიალექტოლოგიურ, ტოპონიმიკურ, მითოლოგიურ პრობლემატიკას. მასში შესული სტატიები ორიგინალურია და პირველად ქვეყნდება. კრებულში განხილულია ღაზური მეტყველების საკითხები, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უძველესი ქართული სახელმწიფოს წარმონაქმნის ისტორიის პრობლემები, ღაზი სტატიების წვლილი ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების განვითარებაში, ახსნილია ტერმინთა და სახელწოდებათა ღაზური წარმომავლობა. სტატიების ნაწილი ეძღვნება ღაზური პრობლემატიკის შემსწავლელ მეცნიერთა ღვაწლს და სხვა საკითხებს. სტატიებს დართული აქვს საკმაოდ ინფორმაციული რეზიუმეები რუსულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე. ეს საშუალებას მისცემს საზღვარგარეთ ღაზური პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველს უკეთ გაეცნოს ღაზეთის ისტორიასა და ყოფას.

ინსტიტუტი შემდგომშიც გააგრძელებს ღაზური პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომების გამოცემას.

პროფესორი ვახტანგ შამილაძე

Introduction

In 2008 Batumi Niko Berdzenishvili scientific _ research Institute will celebrate the 50-th anniversary of its foundation. During this period Institute published thousands of scientific articles, works and books devoted to the archaeology, history, ethnology, folklore, dialectology, economics, sociology and psychology of the South-Western Georgia.

Lately the scientific research interests of our Institute enlarged and we had made very important step in the direction of close study of historically old georgian regions – the gorge of river Chorokhi and Lazeti (Lazistan).

The forth Volume of Institute transactions is completely devoted to Lazeti (lazistan) its history, ethnology, folklore, dialectology and we think this volume will be useful, interesting and helpful for the reader.

Professor Vakhtang Shamiladze

Вступление

В 2008 году Батумский научно-исследовательской институт им. Нико Бердзенишвили отмечает 50 летие со дня основания. В течение этого периода Институт опубликовал тысячи научных статей, работ, монографий, посвященных археологии, истории, этнологии, фольклору, диалектологии, экономике, социологии и психологии Юго-Западной Грузии.

В последнее время научно-исследовательские интересы нашего института расширились и мы сделали важный шаг в направлении тщательного изучения исторически древних грузинских регионов - ущелья реки Чорохи и Лазети (Лазистан).

Четвертый том трудов института полностью посвящен Лазети (Лазистан) его истории, этнологии, фольклору, диалектологии и мы думаем, что этот том будет полезным и интересным для читателей.

Профессор Вахтанг Шамиладзе

GİRİŞ

2008 yılında, Gürcistan Bilimler Akademisi Batum Niko Berdzenişvili Bilim ve Araştırma Enstitüsü kuruluşunun 50. yıldönümünü tamamlıyor, bu zaman içerisinde Enstitü, Güney-Batı Gürcistan tarihi, etnografi, folklor, diyalektoloji, arkeoloji, ekonomi, sosyoloji ve psikoloji sorunları ile ilgili değişik dallardaki yüzlerce mecmua ve monograflar yayımladı. Dolaysıyla, Gürcistan bilimin gelişmesindeki enstitünün payı büyüktür. Enstitü, Gürcistan'ın bağımsızlık için savaş sırasında, güney-batı Gürcistan'da milli ideoloji, Gürcistan'ın bağımsızlığı ve demokrasi değerlerinin kurmasındaki jeneratör rolünü, kendine yakışan bir şekilde yerine getirmiştir.

Son zamanlarda Enstitü'nün ilmi araştırma çerçevesi genişledi. etnografi, arkeoloji, folklor, dialektoloji, tarih ve psikoloji alanındaki birçok uluslararası sorunu çözüldü. Enstitü aynı zamanda, Çoruk havzası ve Lazistan gibi eski tarihi bölgelerin araştırmasında önemli adım attı. Elinizdeki bu dördüncü cilt, tamamen Lazistan'ın tarihi, folklor, diyalektoloji, toponim, ve mitoloji sorunlardan oluşmaktadır. Bu ciltteki makaleler, orjinaldir ve ilk defa yayımlanmaktadır. Mecmuada, Lazca konuşma ile ilgili meseleleri ele alınmıştır, doğu karadenizdeki eski Gürcü devletinin kuruluş tarihi ile ilgili sorunlar, Gürcü halk mimarisinin gelişmesindeki Laz ustaların payı, terim ve adların Laz kaynaklı olduklarını açıklanmıştır. Makalelerin bir kısmı Lazca sorunları araştıran bilim adamların emeklerine ve diğer meselelere ayrılmıştır. Makalelere, Rusça, Türkçe ve İngilizçe olarak çok geniş bilgilerden oluşan rezümeleri (özetleri) eklenmiştir. Bu, yurtdışındaki Laz sorunları ile ilgilenen okuyuculara Lazistan'ın tarihi ve vaziyetlerini daha iyi tanıma imkanı sağlayacaktır.

Enstitü, gelecekte de Laz sorunları ile ilgili belletenlerin (çalışmaların) yayımlanmasına devam edecektir.

Prof. Dr. Vahtang Şamiladze

**ისტორია
და
ეთნოგრაფია**

ლაზური მეტყველება

როგორც ცნობილია, ლაზური მეტყველება, მეგრულთან ერთად, ზანური ენის შემადგენელი ნაწილია. ზანური ენა ქართულთან და სვანურ ენებთან ერთად ქმნის ქართველური ენების ჯგუფს (ჩიქობავა არნ., 1979:7), ყველა ამ ენის მატარებელი ადამიანები ამა თუ იმ რეგიონის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში შეიძლება იყვნენ ლაზები ან მეგრელები, გურულები ან აჭარლები, მესხები ან ქართლები, კახელები ან იმერლები და ა.შ., მაგრამ რუსებთან თუ სომხებთან, თურქებთან თუ გერმანელებთან ურთიერთობაში ყველა ქართველური წარმომავლობის ადამიანი, ბუნებრივია, საკუთარ თავს მხოლოდ ქართველს უწოდებს.

სახელწოდება ლაზეთი-ს (ლაზი) წარმოშობის საფუძველია სიტყვა ზანი. სვანები მეგრელებს დღესაც ამ სახელწოდებით მოიხსენიებენ (ჭუმბურიძე ზ., 1982:186). ზოგი მეცნიერი (ნ.მარი) ვარაუდობდა, რომ ამ სიტყვაზე (ზანი) პრეფიქსი ლა-ს დამატებით (ლა-ზანი) მივიღეთ სახელწოდება ლაზი (ჯანაშია ს., 1959:26).

ქართველური წარმოშობის ხალხი და მათ შორის, ლაზები ანატოლიისა და სამხრეთ კავკასიის უძველეს, მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენს (Гамкрелидзе Т.В., Иванов Вяч. Вс., 1984: 877-892), თუმცა, ზოგიერთი ავტორის მიხედვით, თანამედროვე საბერძნეთის ტერიტორიაზე ბერძენ ტომთა შემოსვლამდე მცხოვრები პელასგები აგრეთვე უკავშირდება ქართველურ სამყაროს (გორდეზიანი რ., 1985:127-133). ყურადღებას იქცევს პელასგების და ლაზების სახელწოდებათა ფონეტიკური მსგავსება.

ნიკო მარის მიხედვით ლაზურისა და მეგრულისათვის დამახასიათებელი გრამატიკული თავისებურებები-შიშინა ბგერების სიმრავლე, მრავლობითი რიცხვის ფორმები და სხვა ნიშნები ასახულია ტოპონიმიაში სინოპიდან ანაპამდე, პანტიკაპეიმდე და მდინარე დონამდე (Март Н., 1935:27-28; 207), რაც ზანურენოვანი მოსახლეობის გავრცელებულობის მანიშნებელი უნდა იყოს.

ლაზები მემკვიდრეებია ლეგენდარული არგონავტების ლაშქრობის დროინდელი კოლხეთის (აია) სამეფოსი (ურუშაძე ა., 1970:28), რომელსაც შავი ზღვის სანაპიროს აღმოსავლეთი ნაწილი ეკავა და, რომელიც შემდგომში ლაზეთის (ლაზიკა) სამეფოთი შეიცვალა. ლაზების წინაპრები, სხვა ქართველურ ტომებთან ერთად, იყვნენ ბრინჯაოს ბრწყინვალე კულტურის ჩამომყალიბებლები და რკინის მეტალურგიის ფუძემდებელნი, ლაზები შეადგენდნენ ძველი კაპადოკიისა და პონტოს სამეფოს მოსახლეობის ძირითად ნაწილს და მათი ეს სახელმწიფო უდიდეს მეტოქეობას უწევდა მაშინდელ უძლიერეს რომის იმპერიას (გოზალიშვილი გ., 1965: 5-102, 280-330), ხოლო მოგვიანებით ლაზური მოსახლეობა იყო პოლიტიკური ვითარების განმსაზღვრელი ტრაპიზონის იმპერიაში, რომელიც 1204 წელს დაარსდა თამარ მეფის მიერ და რომელმაც 1461 წლამდე იარსება (ვანილიძე მ., თანდილავა ა., 1964:5-37).

ამჟამად ეთნოგრაფიული ლაზეთის დასავლეთი საზღვარი ქ.რიზესა და ათინას შორის მდებარე სოფელი ქემერი და ქემერის მთაა, რომელიც, ქემერ-ბურუნად“ („ქემერის კონცხად“) იწოდება. აღმოსავლეთით ლაზეთს აჭარა-შავშეთის მთები ესაზღვრება. სამხრეთით ლაზური მოსახლეობა ჭანეთის ანუ ლაზეთის მთებამდე აღწევს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მურღულისაკენ ჩხალის ხეობაში იჭრება. მთელი ეს ტერიტორია სოფელ სარფიდან დასავლეთით ქემერის კონცხამდე ვიწრო ზოლად არის გადაჭიმული და შავ ზღვას ეკვრის.

თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეულია ლაზებით დასახლებული თითქმის მთელი ტერიტორია, სადაც ლაზური მეტყველება და ზეპირსიტყვიერება ჯერ-ჯერობით კიდევ დაცულია. გამონაკლისია სასაზღვრო სოფელ სარფის ნახევარი, რომელიც საქართველოს ფარგლებშია და სადაც ბუნებრივი კანონზომიერებით ვითარდება ლაზური ზეპირსიტყვიერება და ეთნოგრაფიული კულტურა.

თანამედროვე ლაზები თავიანთი მშობლიური მეტყველებით და ეთნოგრაფიული თვითმყოფადობის შეგნებით წარმოადგენენ ოდესღაც ვრცელი ტერიტორიისა და მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ქართველური კულტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. „ლაზური მეტყველება, -ეს უძველესი და სამართლიანი მოწამე ლაზთა ისტორიისა, -და ლაზური ფოლკლორი, - ეს ფასდაუდებელი ხალხური საუნჯე საერთო ქართული ფოლკლორული შემოქმედებისათვის დამახასიათებელი პერსონაჟებით, არქიტექტონიკითა და სტილისტიკური დეტალებით, -ლაზებმა საუკუნეთა მანძილზე განათარგნეს როგორც თავიანთი ტომობრივი თვითმყოფადობის სიმბოლო და დღესაც ცოცხლობს“ (არნ.ჩიქობავა).

ლაზურად ასიათასობით ლაზი დღესაც საუბრობს თურქეთში. ლაზურმა შესანიშნავი გამძლეობა გამოიჩინა და შეინარჩუნა თავისი პოზიციები, გრამატიკული წყობა და ლექსიკური ფონდი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ.გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბ., 1965.
2. რ.გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985.
3. მ.ვანილიში, ა.თანდილავა, ლაზეთი, თბ., 1964.
4. ა.ურუშაძე, აპოლონ როდოსელი, არგონავტიკა, შესავალი, თბ., 1970.
5. არნ.ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.
6. ზ.ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1982.
7. ს.ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959.
8. Гамкрелидзе Т.В., Вяч.Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., 1984.
9. Mapp H., Избранные работы, т. У., М-Л., 1935.

Iuri Bibileishvili

Lazian speech

Summary

Historically Lazians lived on the eastern part of Black sea beginning with Synope, including Anapa, Panticapeum as far as the river Don. This population created the culture of ancient Colchis state with highly developed industry of the bronze, the metallurgy of the iron and at the same time excellent gold industry that reflected in the same myth of Argonauts. Later on the same territory developed Lazika state.

It is also very important that majority of the population of ancient Pontus state and so called Trapezus empire was Lazian origin. Lazian-megrelian language [Zanian language] belongs to the Kartvelian languages which include also Georgian and Svanian languages.

All together Kartvelians belong to the oldest aboriginal, local population of Anatoly and the Caucasus.

In the relations between themselves Kartvelians call themselves as Lazians or Imeretians, Adjarians or Kakhetians, Meskhians or Svanians, but in the relations with the representatives of the other nations all they are Kartvelians.

Therefore, according to the accepted cultural-historical tradition "Kartveli" for Russian is "Грузин" (gruzin), for Englishman is "Georgian" and for Turk is " " (giurdj).

Юрий Библишвили

Лазская речь

Резюме

Исторически Лазы (и мегрелы) жили на восточном побережье Черного моря, начиная от Синопа, включая Анапу, Пантикапею и до реки Дон. Это население создало культуру древнего Колхидского государства с развитой индустрией бронзы, металлургией железа и в это же время прекрасной индустрией золота, что нашло свое отражение в мифе об аргонавтах. Позже на этой же территории возникло государство Лазика. Также очень важно, что большинство населения древнего Понтийского царства и так называемой Трапезундской империи было лазского происхождения.

Лазско-мегрельский (Занский) язык принадлежит к Картвельским языкам, которые также включают Грузинский и Сванские языки.

Все вместе «картвелы» относятся к древнейшему аборигенному, местному населению Анатолии и Кавказа.

Во взаимоотношениях друг с другом Картвелы называют себя Лазами или Имеретинцами, Аджарцами или Кахетинцами, Месхами или Сванами, но во взаимоотношениях с представителями других наций они все Картвелы.

Поэтому, по принятой культурно-исторической традиции «Картвели» для русских «Грузины», для англичан «Georgian» (джеорджиан), а для турок (гиурджи).

İuri Bibileiřvili

Lazga konuřması

Özeti

Argonavt'ların mitinde de belirtildiđi gibi, bu insanlar eski Kolhi Devletin kültürünü oluřturmuřlar. Aynı zamanda geliřmiř bakır üretilimiyle, demir iřletmeciliđiyle ve eřsiz altın endüstrisiyle kendilerini dahada meřur etmiřlerdi.

Daha sonra bu topraklarda "Laziki" adıyla bir devlet kuruldu. Eski Ponto Devletinin ve Trabzon İmparatorluđu olarak isimlendirilen Devlette yařayan nüfusun çođunun kökeni Laz olması da çok önemlidir.

Lazca ve Megrelice (Zanca) dilleri, gürcü dil ailesine girdiđi gibi, Gürcüce ve svanca da Gürcü dil ailesine girmektedir.

Bu dillerde konuřan insanların hepsi Anadolu ve Kafkasıya'nın en eski Azorivenul'un yerli insanlarıdır ve üstelik Gürcüdüller. Gürcüler, kendi aralarında birbirlerine Laz, İmereli, Acarali, Kaheli, Meshi ve Svani diye hitab ederler, yalnız bařka milletlerde iliřki olunca onlar hep "Kartvelidiler" (Gürcüdürlere) ve öyle hitab edilirler.

Dolayısıyla geliřen tarihi ve kültürel geleneklere göre "Kartvelilere" (Gürcülere) Rüsler "Gruzin", İngilizler ve diđer batı ülkeler "Georgian" Türkler ise "Gürcü" demiřler.

ლაზი ოსტატების ფილილი ქართული მეღიოთონეობის ისტორიაში

ლაზებმა სხვა ქართველ ტომებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მათი ფილილი საქართველოს ისტორიაში მოკლედ ასე შეიძლება დავახასიათო. ლაზები მეღიოთონეობის საქმის ოსტატები, ლაზები საუკეთესო ხითხუროები და ქეითხუროები. ხისა და ქვის განთქმული მეჩუქურთმენი, ეკლესია მონასტრების მშენებელნი, გამორჩეული ნავმშენებლები, მამაცი ნაოსნები და მეზღვაურები, კარგი მხვნელ-მთესველები, საქართველოში სიმინდის შემომტანი და გამავრცელებლები, თამბაქოს მოვლა-მოყვანის სპეციალისტები და ა. შ.

ლაზებმა ისტორიაში მაინც უბადლო ოსტატობითა და შედეგურ ხელოსნურ ნაკითობათა დამზადებით გაითქვეს სახელი. ეს დასტურდება როგორც წერილობითი წყაროებით, ისე ეთნოგრაფიული მონაცემებით.

მეცნიერთა გამოკვლევებით, რომლებიც ძირითადად ძველ ბერძნულ წყაროებს ეყრდნობა, დადგენილია, რომ ლაზები (ჭანები) ადრინდელ ხალიბ-ხალდ-კაინიტთა მოდგმის ტომია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რკინისა და ფოლადის მეტალურგიის წარმოებას (1. თ. მიქელაძე, 1974, 125, 130; თ. ყაუხჩიშვილი, 1980; ა. ურუშაძე, 1964, 227-228). ნ. მარმა პირველმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ჭანთა//კაინიტთა (ლაზთა) სატომო სახელს უკავშირდება ტერმინი „რკინა“ // „კინა“. მეცნიერი ამის ნაკვალევს ხედავდა ბიბლიაში მოხსენიებულ „თუბალ-კაინში“, სადაც ნათქვამია, „თობალი ესე იყო კვერით ხურო მჭედელი რვალისა და რკინისა“ (2. Mapp H. 1911, 142). ს. ჯანაშიასაც სატომო სახელი „ჭანი“ მიაჩნდა „კაინის“ ფონეტიკურ სახესხვაობად (3. ს. ჯანაშია, 1937, 232). ივ. ჯავახიშვილის აზრით ხალიბები ისევე როგორც მოსინიკები, ტიბარნები, ასევე დრილები და სხვები, ლაზურად ლაპარაკობდნენ (4. ივ. ჯავახიშვილი, 1958, 415).

ამ მონაცემების საფუძველზე თანამედროვე მკვლევარებიც ასკვნიან, რომ რკინის დღევანდელი სახელწოდება თამამად შეიძლება დავუკავშიროთ ხალიბ-ხალდ-კაინიტების აღმნიშვნელ სახელწოდებას. ისიც დადგენილია, რომ რკინა-ფოლადის გამომოგონებელი ხალიბთა ტომები განსახლებულნი იყვნენ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე მდინარე ჭოროხსა და მდინარე პალისს შორის ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ამავე წელთაღრიცხვის დასასრულამდე (1. თ. მიქელაძე, 1974, 124).

ხალიბების პრიორიტეტული როლი მეღიოთონეობის დარგში ცხადად დასტურდება არა მარტო ანტიკური და რომაული პერიოდების წერილობითი წყაროებით, არამედ დასავლეთ ევროპელ სპეციალისტ-მკვლევართა (რ. ფორბსი, პ. რიჩარდსონი, ა. პერსონი, ჯ. ვანრაიტი, ლ. ეიჩისონი და სხვები) გამოკვლევებითაც. ისინი ერთხმად აღიარებენ ხალიბების უდიდეს დამსახურებას რკინისა და ფოლადის გამოგონებაში, რაც მსოფლიო საკაცობრიო მნიშვნელობის უდიდესი კულტურულ-ისტორიული მოვლენა

იყო. მან დასაბამი მისცა მეტალურგიისა და მჭედლობის განვითარებას აღმოსავლეთსა და დასავლეთში (5. კვირველია, 1976, გვ. 45).

ჩენი მეცნიერი, მეტალურგიის ისტორიის მკვლევარი პროზნი წერდა: „კავკასია ძველად წარმოადგენდა უზარმაზარ მეტალურგიულ სახელოსნოს“, საიდანაც ლითონების დამუშავების საქმე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში (აზია, აფრიკა, ევროპა) ვრცელდებოდა (6. Грозный Б. 1940 გვ. 18) ამ სახელოსნოში ხალიბ-ხალდ-კაინიტ-ლაზთა (ჭანთა) როლი ერთობ განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო.

ხალიბ-მეტალურგთა წვლილი, რაც ძველ წერილობით წყაროებში აისახა, შემდგომ დადასტურებას პოულობს არქეოლოგიურ აღმოჩენებში, რომლებიც ხალიბთა განსახლების არეალს ემთხვევა. მხედველობაშია ჭოროხის ხეობის ქვემო ნაწილის ტერიტორიაზე, კერძოდ ჭარნალში, აღმოჩენილი რკინის სადნობი სახელოსნოები („ჭარნალი I“, „ჭარნალი-III“), რომლებიც წინა ანტიკურ ხანას განეკუთვნება. მათ შორის ყველაზე ადრეული ძვ. წ. II ათასწლეულით თარიღდება, მოგვიანო კი ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით. ჭარნალის რკინის სადნობი სახელოსნოები კოლხურ-ხალიბური რკინის მეტალურგიის უძველეს და უძლიერეს საწარმოო კერებადაა მიჩნეული (7. დ. ხახუტაიშვილი, 1964, 52; Д. Хахутаишвили, 1987, 56-57 Грдзелишвили И. 1964, 52). ამავე რიგისაა ჩოლოქ-ოჩხამურის, სუფსა-გუბაზეულის (გურია) და ხომ-ოჩხამურის (სამეგრელო) საწარმოო კერები, რომლებიც ტექნიკური აღჭურვილობით ერთმანეთის იდენტურია (8. Д. Хахутаишвили 1977, 127)

ხალიბთა პრიორიტეტი მელითონეობის ისტორიაში იქედანაც ჩანს, რომ ხალიბური რკინის აღმნიშვნელი ტერმინი ბერძნულშიც დამკვიდრდა ხალვბდიკოს სახელწოდებით და იგივე ხალიბურს ნიშნავს (4. ივ. ჯავახიშვილი, 1958, 28). ამავე რიგისაა ბერძნული დამკვიდრებული მეორე ტერმინი Χαλσι, რაც ფოლადს აღნიშნავს და ხალდ ეთნიკურ ტერმინს შეესატყვისება (9. თ. მიქელაძე, 1967, 106). რკინის აღმნიშვნელი ძველი ფორმა კინა-კუნას სახელწოდებით ხეთურ ენაშიც ჩანს დამკვიდრებული (10. Меликишвили. 1968, 125; თ. მიქელაძე, 1974, 140, 144).

ხალიბ-ხალდ-კაინიტ-ჭანების (ლაზების) წვლილი მელითონეობისა და მჭედლობის საქმეში სხვა მხრივაც თვალსაჩინოა და ეს ტერმინოლოგიური მონაცემებითაც კარგად დასტურდება.

პირველ რიგში საინტერესოა ეთნოგრაფიულად ფიქსირებული ტერმინები ტობართინი, ჭანარი (11. ნ. რეხვიაშვილი, 1964, 25). თ. მიქელაძის აზრით, „ტობართინში“ დაცული უნდა იყოს ტიბარენტა, ხოლო ჭანარში ჭანთა (ლაზთა) ეთნიკური სახელწოდება (1. თ. მიქელაძე, 1974, 145).

კარგი ხარისხის რკინის აღმნიშვნელი სხვა ტერმინებიც მოგვეპოვება, რომლებიც ასევე ხალდურ-ჭანური- (ლაზური) ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელს უკავშირდება. ეს ტერმინებია: „მჭნარი რკინა“, „ჭანარი რკინა“, „ხალდი რკინა“, „შანარი“, რომლებიც ეთნოგრაფ ნ. რეხვიაშვილს მთიულეთში ჩაუწერია. მთხრობელთა დახასიათებით ამ სახის რკინა „კეთილი თვისებებით და მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. ნ. რეხვიაშვილმა „ჭანარის“ სინონიმური ტერმინი ჩრდილო კავკასიის ხალხებშიც დაადასტურა (11. ნ. რეხვიაშვილი, 1974, 199-200).

41) ჭანერის სახელწოდებით იცნობს სამეგრელოს მოსახლეობა სპილენძის დიდ ქვაბებს. სოფელ მუხურის (ჩხოროწყუს რაიონი) მჭედელთა ჯგუფის გადმოცემით ასეთი ქვაბები ლაზეთში მზადდებოდა და აქედან შემოქონდათ სამეგრელოში ადგილობრივ მოსახლეობას და დამამზადებლებს (12. ნ. კახიძე, 1977). „ჭანერი“ ჭან (ლაზ) მესპილენძე-მექვაბე ოსტატთა სახელს უკავშირდება. „ჭანერი“, როგორც სპილენძის დიდი ქვაბის აღმნიშვნელი ტერმინი, მხარს უჭერს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ხალდები (ჭანები//ლაზები) არა მარტო რკინა-ფოლადის წარმოებით იყვნენ დაოსტატებული, არამედ მესპილენძეობაშიც, სპილენძის გამოგონებელი მეზობლად მცხოვრები მოსინიკების მსგავსად. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სპილენძის ბერძნულ სახელს Χαλκος პონტოსპირელი ხალდების სახელს უკავშირებენ (1. თ. მიქელაძე, 1974, 116)

ეთნოგრაფიული მონაცემები ლაზი ოსტატების საიდუმლოებას მიაწერს „ჯავარდანს//ჯავარდინს“ ანუ ჯავარდენს, რომელიც უმაღლესი ხარისხის უჟანგავი ფოლადის აღმნიშვნელია. ჯავარდენისაგან მზადდებოდა უმაღლესი ხარისხის ხმლები. ამის შესახებ ნ. რეხვიაშვილს 1960 ცნობა ჩაუწერია სოფელ აწყურში (ახალციხის რაიონი) 80 წლის ვასილ გვარამაძისაგან, რომელსაც ამის შესახებ გავონილი ჰქონია ვარძიაში (ასპინძის რაიონი) მცხოვრები სიმონ ბერისაგან (ფალავანდიშვილისაგან). სიმონბერს გვარამაძისათვის ისიც უამბნია, რომ „ჯავარდინი“ საქართველოს პირველი ლითონი იყო, რომლისგანაც საომარ იარაღს ამზადებდნენ. ამავე ცნობით, ჯავარდენის დამმუშავებლები ლაზები იყვნენ (11. ნ. რეხვიაშვილი, 1964, 202). ეს ერთ-ერთი პირველი ცნობაა რომელიც ჯავარდენის, როგორც საუკეთესო ხარისხის ლითონის (ფოლადის) „დამმუშავებლად“ ლაზებს მიიჩნევს, რაც სხვა მხრივაც საყურადღებო ფაქტია. ასეთი ფოლადისაგან მზადდებოდა როგორც ითქვა, სახელგანთქმული ქართული ხმალი, რომელიც იყო მჭრელი. მეტად დრეკადი და ხმარების დროს არ ტყდებოდა (შდრ: „ჯავარდენი-ფოლადის მისხალი, ფერად-ფერადად ტალღა, ან ზოლ-ზოლად ეღვა-რება“ (13. დ. ჩუბინაშვილი, 1961, 747)).

ლაზი მჭედელი ოსტატების სახელს უკავშირდება ისეთი სამჭედლო ხელოსნური ნაკეთობანი, როგორიცაა: ლაზური ცული და ლაზური დანები, რომლებიც გავრცელებული იყო მთელ ლაზეთში, ჭოროხის მხარეში, აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში.

„ლაზურ ცულს“ ქართული ცულების ნომერკლატურაში განსაკუთრებული ადგილი უდა მივაკუთვნოთ. იგი ძირითადად ხის ოსტატის იარაღია და ხითხურობაში გამოიყენება. ასეთი ცულები თავდაპირველად მხოლოდ ლაზი მჭედლების მიერ მზადდებოდა და დასახელებულ კუთხეებში ვრცელდებოდა. ცული გამოირჩეოდა წრთობის ხარისხით, გამჭრელობით და გამძლეობით. მასზე ამოკვეთილი იყო დამამზადებლის სახელი. ასე ცულებს მიბაძვით სხვა კუთხის მჭედლებიც ამზადებდნენ.

ჩვენი აზრით, ეთნოგრაფიულად დამოწმებული ლაზური ცული იგივე „ტრაპიზონული ცული“ უნდა იყოს, რომელსაც XVII საუკუნის ცნობილი თურქი მოგზაური ისტორიკოსი ევლია ჩელები იხსენიებს თავისი ათტომიანი თხზულების მეორე ტომში ტრაპიზონის აღწერისას. იგი წერდა: „აქ ერთი სახის ცულებს აკეთებენ, რომლებსაც ტრაპიზო-

ნის ცულებს უწოდებენ და სხვა ქვეყანაში მისი მსგავსი არ არის“ (14. ევლია ჩელები, 1971, 90). ტრაპიზონში ხელოსნობის სხვადასხვა დარგი იყო განვითარებული და მათ შორის მჭედლობა. მის ძირძველ მოსახლეობასაც ძირითადად ლაზები შეადგენდნენ. ტრაპიზონელი მჭედლები XVII საუკუნეში და შემდგომაც ერთ-ერთი საუკეთესონი იყვნენ მაშინდელი ოსმალეთის იმპერიაში. ს. ჯიქიას ცნობითაც აღნიშნული ცული ლაზეთშიც ამავე სახელწოდებით (Laz baltasi) იწოდებოდა (15. ჯიქია, 1944, 231).

ლაზური ცული თავისი კონსტრუქციული აღნაგობით (ფართო, სქელი და მაღალი პირი, პირის მთელ სიგრძეზე გამყოლი ყუა) მკვეთრად განსხვავდება საქართველოს სხვა კუთხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებული ცულებისაგან და ამდენად იგი განუმეორებელია.

ლაზ მჭედელთა მონაპოვარია ე. წ. ლაზური დანები. ამ სახელწოდებითაა ეს დანები შემონახული საქართველოს სხვა კუთხის, კერძოდ სამცხის, მოსახლეობის ლექსიკაში და აქ ფიზიკურადაც არის გავრცელებული. ასე მაგალითად, სოფელ აწყურში ჩაწერილი მასალებით „ლაზური დანები“ ლაზების მიერ მზადდებოდა ჯავარდენისაგან და იქ, ისე როგორც ახალციხეში, გასაყიდად ლაზეთიდან შემოჰქონდათ. ნ. რეხვიაშვილის აზრით „ჯავარდანი წარმოდგება „ჯავარ-დანისაგან“. ასეთი ჯვრის სახის დანებს, ხმლებს და მახვილებს აკეთებდნენ „ჯავარდანის“ ფოლადისაგან. მკვლევარს ეს ფაქტი ანტიკური ხანის გამოძახილად მიაჩნდა, რომელიც ხალიბებს (ხალდებს) ანუ მერმინდელ კაინიტებს (ჭანებს) საუკეთესო ხარისხის რკინა-ფოლადის პირველ გამოშვებულად და მისგან ასევე საუკეთესო ნაკეთობის პირველ დამამზადებლად აღიარებს.

ამგვარად, ხით და ქვითხურობებით, მეჩუქურთმეობით, ნავთმშენებლობა-ნაოსნობით და სხვა საქმიანობით საყოველთაოდ სახელგანთქმული ლაზები არიან ასევე სახელმძოვნივეჭილი მემკვიდრეები ხალიბ-ხალდ-ჭან-კაინიტებისა, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ქართული მეტალურგიის (რკინის და ფოლადის წარმოების) ჩასახვა-განვითარებაში. მათი ეს წვლილი აღიარებულია მსოფლიო მეტალურგიის პრობლემებზე მომუშავე დასავლეთ-ევროპულ მეკვლევართა მიერ. თავის მხრივ, მეღვინეობის განვითარებამ ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული სახელმწიფოებრიობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების საქმეში, რომლის აკვანიც ჭოროხის აუზის იმ არეალში დაირწო, სადაც ჩაისახა და განვითარდა მეტალურგიული წარმოება და სამჭედლო ხელოსნობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-დასავლეთ შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974; თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, IV, თბ., 1980.
2. Мapp Н. Я. Яфетические элементы в языках Армении. ИАН, 1911.

3. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი.- ენიმკის მოამბე, №1937.

4. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1959.

5. გ. კვიციანი, უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბ., 1976.

6. Грозный Б. Протоиндейские письма и расшифровка. ВДИ, №2, 1940.

7. დ. ხახუთაიშვილი, კოლხური რკინის მეტალურგიის სათავეებთან.- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, 1964; მისივე: Производство железа в Древней Колхиде. Тб. 1987. Грдзелишвили И.А Железоплавильное дело в Древней Грузии. Тб. 1964.

8. Хакхаташвили Д. А. К хронологии Колхидско-халибского центра древнежелезной металлургии - Вопросы древней истории, Тб., 1997.

9. თ. მიქელაძე, საიხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ისტორიის ზოგიერთი საკითხი - მაცნე №1, 1967.

10. Меликишвили Г.А. О некоторых наименованиях металлов в древне-восточных Кавказских языках. В/И, №4, 1968, თ. მიქელაძე, ძიებანი... გვ. 140, 144.

11. ნ. რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია, თბ., 1964.

12. ნ. კახიძე, ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები (სამეგრელო). 1987 (ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში).

13. დ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

14. ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი. თურქულად თარგმნა და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნარკვ. I, თბ., 6 1971.

15. ს. ჯიქია, „ლაზურ“ სიტყვის წარმოშობისათვის. -საქ. მეცნ. აკად. მოამბე, V, №2, 1944.

Nodar Kakchidze

The contribution of Lazian skilled craftsmen to the history of processing of metal of Georgia

Summary

In the article Lazian skilled craftsmen are characterized as descendants and continuers of the enterprising of Kchalibes//Kainites – inventors of the metallurgist industry, who lived in the large territory between the rivers Chorokchi and Galisi in the second half of the II millennium B.C.

In the article are adduced corresponding historical and ethnographic data that like to the their ancestors Lazian (Tchanian) skilled craftsmen had made large contribution in the processing of metal and blacksmith's craft of Georgia.

Нодар Кахидзе

**Вклад лазских мастеров в историю
металлообработки Грузии**

Резюме

В статье мастера-лазы охарактеризованы, как потомки и продолжатели дела халибов//каинитов – изобретателей металлургического производства, которые жили на обширной территории между реками Чорохи и Галиси во второй половине II тысячелетия до нашей эры.

В статье приведены соответствующие историко-этнографические данные о том, что подобно своим предкам лазские (чанские) мастера внесли большой вклад в развитие металлообработки и кузнечного ремесла Грузии.

Nodar Kahidze

Eski Gurcü demirciliğnde Laz ustaların önemi:

Özeti

Bu çalışmada Lazların eski yabancı kaynaklarda belirtilmiş olan ve m.ö. 2. yüzyılın ikinci yarısında Çoruh nehrinin ve Halis nehrinin arasındaki bölgede yaşamakta olan "*Halib/ Hald/ Kayntia* kabilelerden geldiği belirlenmiştir .

Mazisi demircilikte (demir ve çelik üreticiler) meşur olan Lazlar ve hatta bazen de *Çan* olarak isimlendirilen bu toplum gürcü demirciliğinin çelik üretiminin gelişiminde büyük önem taşırlar. Bu konunun aydınlanması için bu çalışmada gereken tarihi belgeler Etnoğrafik kaynaklarla ve terimlerle ispat edilmeye çalışılmıştır.

ლაზური „ოფუტე“

„დიდი სახლეული“, რომლის მიახლოებითი შესატყვისი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იმდროინდელი მსოფლიო ეთნოლოგიური ტერმინოლოგიური კალკის შესაბამისად აღინიშნებოდა „საოჯახო თემად“, ხოლო მისი გვიანდელი ფორმა – „დიდ ოჯახად“, ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალური ორგანიზაციის ტიპებს შორის ერთ-ერთი საყურადღებოა. ჩვენ სოციალური ორგანიზაციის ამდგვარ ტიპს ვუწოდებთ „დიდ სახლეულს“ ენობრივი, ეთნოგრაფიული და ისტორიული წყაროების გათვალისწინების საფუძველზე, რადგან ტერმინი „სახლეული“ და ამ ტერმინში ასახული სოციალური მოვლენა – სოციალური გაერთიანება ძველი ქართული საზოგადოებისათვის უცხო სრულებითაც არ იყო. შესაბამისად, ტაოლოგიურად ანალოგიური, ერთჯერქვეშეთში და კარ-მიდამოს ფარგლებში საერთო მეურნეობით, ნათესაობით, ქორწინებითა და ადოფციით ურთიერთშერწყმული საზოგადოებრივი დაჯგუფება შესაბამისი დეფინიციით არც ევროპული სამეცნიერო ლიტერატურისა და ტერმინოლოგიური აპარატურისათვისაც არის უცნობი. ამ ტერმინთანავე უნდა გამოიყოს household, რომლის რუსულ შესატყვისად домохозяйство გვესახება, ხოლო ქართულ ანალოგად – სახლთმეურნეობა, სახლეული, თუ სახლი.

საქართველოში, ისე, როგორც კავკასიასა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, მათ შორის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის საზოგადოებრივ ყოფამ დღემდე შემოგვინახა ინდივიდთა დაჯგუფების ის ძველი ფორმები შესაბამისი ტერმინოლოგიით, დასახლების ტრადიციული სახეებით ფუძე-ნაფუძრების, კარმიდამოსა და უბნების სახით, რომლებიც საშუალებას იძლევა განსახლების თავისებურებები ისტორიული კანონზომიერებების საფუძველზე ერთიან სოციალურ სივრცესა და სიბრტეში განვიხილოთ. ამ თვალსაზრისით უთუოდ უნდა გამოიყოს ლაზური ტერმინი **ოფუტე**, რომელიც, ერთი მხრივ, დაკავშირებული იყო დიდი სახლეულის საოჯახო ტრადიციებთან, ხოლო, მეორე მხრივ, დიდი სახლეულის სემენტაციით წარმოქმნილ უბანთან და უბანში მცხოვრებ ლოკალურ ჯგუფთან. ამ შემთხვევაში **ოფუტე** შეიძლება დავახასიათოთ როგორც შუალედური, ან გარდამავალი ტერიტორიულ-სოციალური ერთეული სახლეულსა და სოფელში შემავალ ლოკალურ გაერთიანებაში წარმოდგენილ საერთო გენეალოგიაზე აღმოცენებულ ნათესაური ჯგუფის სამოსახლოს შორის. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ლაზებით დასახლებულ სოფელ სარფში არაბული წარმომავლობის ტერმინ „მეღლე“-ს გვერდით, უბნის მნიშვნელობით პირველად გამოვლინდა ლაზური ტერმინი **ოფუტე**. სოფელი სარფი ამდგვარი დაყოფის მიხედვით 11 ოფუტეთი იყო წარმოდგენილი¹. არნ. ჩიქობავას განმარტებით, **ო-ფუტე** ესაა ადგილი სახლის გარშემო, ეზო, რაიონი². ვლ. მგელაძეს „ოფუტე“-ს ეზოს, ეზო-კარის.

¹ ვლ. მგელაძე. ლაზური დასახლების მორფოლოგიის ძირითადი საკითხები. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბ., 1964, გვ. 92.

² არნ. ჩიქობავა. სახელთა ფუძის უძველესი აგებულება, თბ., 1942, გვ. 194.

კარ-მიდამოს მნიშვნელობა ტერმინის უფრო ვიწრო გააზრებად მიაჩნია და მას ძირითადად მაინც უბნის აღმნიშვნელად თვლიდა³, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს „ოფუტე“-ს ძირითადი მნიშვნელობა უბანია, წარმომავლობითი სემანტიკა უთუოდ კერასთან, საცხოვრებელთან, სახლელულის სამყოფ კარ-მიდამოსთან, ეზო-კართან მიმართებაშია განსახილველი, მითუმეტეს, რომ ამას იმავე სტატიაში თავად ვლ. მგელაძეც არ უარყოფს. იგი მიუთითებდა: ლაზური „ოფუტე“-ს თავდაპირველი მნიშვნელობა ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას, კერას, სახლობას, მოსახლეობას, ოჯახობას, ძველქართული სახლის, გვარის საცხოვრისს უკავშირდებოდა. ტერმინი უნდა შეიცავდეს საოჯახო თემისა და მისი გვიანდელი ფორმის – დიდი ოჯახის შინაარსსაც. იგი მრავალრიცხოვანი ოჯახის სამოსახლო, ჭერქვეშეთი უნდა ყოფილიყო. ავტორის თქმით, მისი დაშლის შემდეგ დიდი ოჯახის სარბიელი სოფლის უბნად ქცეულა⁴, რაც ლაზურმა ტერმინოლოგიურადაც ასახა, ანუ დიდი სახლელულის სარბიელის, ეზო-კარმიდამოს აღმნიშვნელი სახელწოდება ერთი ძირიდან სემანტიკურებული ოჯახების სამოსახლო ადგილზე – უბანზე გაავრცელა. საბოლოოდ, ვლ. მგელაძე ასკვნის, რომ ლაზური სოფლის უბანი ადრე მონოგენური, საოჯახო თემის სარბიელი ყოფილა, ხოლო გვიან – დიდი და მრავალრიცხოვანი ოჯახის სამოსახლო. ეს ოჯახიც ერთ ჭერქვეშ იმყოფებოდა. მისი წევრების ძირითადი სამყოფიც ერთი კერა, ამდენად ერთი ოფუტე, ანუ საფუტე იყო. დიდი ოჯახის პარცელაციის შემდეგ განაყოფები ურთიერთმეზობლად სახლდებოდნენ და „ოფუტე“-ც ტერმინოლოგიურად ახალი შინაარსის მატარებელი გახდა და სოფლის უბნის აღმნიშვნელ ცნებად გადაიქცა⁵.

მართლაც, სახლელულის გაყოფის საფუძველზე წარმოქმნილი ლოკალურ-ნათესაური ჯგუფის სამოსახლო უბნის გაჩენის წანამძღვრებს თვალსაჩინოდ გვისურათებს ლაზური ტერმინი **ოფუტე**. ტერმინოლოგიურად **ოფუტე** ქართული „საფუტე“-ს თანაბარია⁶. უკვე დადგენილია ლაზურ-ქართულ პრეფიქსულ შესატყვისობათა ძირითადი მახასიათებლები. ლაზური თავსართი -ო ქართული „სა“-ს თანაბარია. გენეზისით იგი უდავოდ იყო დაკავშირებული უბანში განსახლებულ განაყართა თავდაპირველი დიდი სახლობის გამაერთიანებელ სიმბოლოსთან – კერასთან. სოფელ სარფში ამ ტიპის ოფუტეები, ანუ უბნებია: **მეძიშიშეების ოფუტე**, **თანდილაების ოფუტე**, **ჯივანიშების ოფუტე** და სხვა. მაგალითად, სოფელ სარფის უბან „დუზიშ ოფუტე“-ში სახლებულა 21 კომლი, „ჯეგვირიში ოფუტე“-ში – 10, „კაბამეძეში ოფუტე“-ში – 8, ხოლო „ბინაში ოფუტე“-ში – 3⁷. როგორც ვხედავთ, ამ უბანთა ნაწილს საფუძველად უდევს საგვარეულოთა სახელწოდებანი – გვარსახელები დაახლოებით წარმოების იმავე პრინციპით, როგორც ეს სამეგრელოსა და საქართველოს სხვა კუთხეებში გვქონდა, თუმცა დადასტურებულია სარფის უბანთა ისეთი სახელწოდებებიც, რომლებიც არა მარტო ამა თუ იმ გვარის, არამედ „თოხუმი“-სა, თუ „ძირი“-ს მამის სახელიდანაა

³ ვლ. მგელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

⁴ იქვე, გვ. 92.

⁵ იქვე, გვ. 92.

⁶ არნ. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 11.

⁷ ვლ. მგელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

ნაწარმოები მრავლობითი რიცხვის სუფიქსის „ფე“-ს დართვით. ასეთე-
ბია, **თანდილა-ვა-ეფე-შ ოფუტე, ქესოლ-ეფე-შ ოფუტე, ჯევაირი-შ-ეფე-შ**
ოფუტე და სხვა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, „ეფე-შ“-ით ნაწარმოები
უნები გაღმა სარფშიცაა ცნობილი. ლაზეთში ცნობილია: **კოხაში-ეფე-შ**
ოფუტე, მაისკიე-შ-ეფე-შ ოფუტე. სხვათაშორის, ამ უბანთა სახელებიც
გვარსახელურია. როგორც **კოხაში**, ისე **მაისკიეში** ლაზური გვარებია⁸. -
ეფე (-ფე), როგორც მრავლობითობის მაწარმოებელი ლაზური სუფიქსი,
რომელიც ქართული „ებ“-ის ფონეტიკური და ფუნქციური შესატყვისია,
ნ. მარის დაკვირვებით თურქული „ოლი“-ს თანაბარ ფორმანტს
წარმოადგენს. არაა გამორიცხული და გასაზიარებელია ვარაუდი, რომ
-ფე (-ხე) სუფიქსი **-ფე** ფორმიდან მომდინარეობდეს¹⁰ და დაკავშირე-
ბული იყოს, ერთის მხრივ, სვანურ **-ხე (-ხ)** მრავლობითობის სუფიქს-
თან¹¹, ხოლო, მეორეს მხრივ, მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ ჩერ-
ქეზულ **-ხე** ბოლოსართთან¹², რასაც სხვა რიგი მონაცემიც უნდა უჭერ-
დეს მხარს¹³. რაც შეეხება „შ“-ს, მაგალითად, თანდილა-ვა-ეფე-შ ოფუ-
ტე, აქ იგი ნათესაობითი ბრუნვის მაწარმოებელია (თანდილა-ვა-ებ-ის
უბანი), ისე, როგორც ამას ადგილი აქვს ლაზური გვარსახელების
მაწარმოებელ **-იშ** ფორმაში, მაგალითად, ვანილ-იშ-ი, ანუ ვანილისანი
(ვანილისი), მემიშიში – მემიშისანი, მემიშის შთამომავლობა და სხვა.
აღნიშნული ლაზური ფორმანტი სემანტიკურად და ფუნქციურად, ზოგ-
ჯერ კი ფონეტიკურადაც, სხვა ქართველური ჯგუფების გვარსახელთა
სუფიქსების ანალოგიური მაწარმოებელი ჩანს. მისი პირდაპირი შესატყ-
ვისია სვანური **-იშ** სუფიქსი, რომელიც, ასევე, გვარსახელებში წარ-
მოდგენილ შედარებით მცირე გენეალოგიურ ჯგუფთა აღმნიშვნელ
სახელთა მაწარმოებელი სუფიქსია და ნათესაობითი ბრუნვის გამო-
ხატველია. მაგალითად, ასეთია, ბალსხემო სვანეთში **ნასყიდაიშა** (გულ-
ბანი, სოფელი ნაკიფარი), **გევილუშა, ზაიშა, ბატუშა, ფუთაშა, ხვამშა,**
ბეჭაიშა (ხარძიანი, კალა), **ქურეშა, ლომიშა** (ნიჟარაძე, უშგული, სოფე-
ლი ჩვიბიანი) და სხვა¹⁴. დასახელებული კუთხით უთუოდ დიდ ყურად-
ღებას იმსახურებს სოფელ სარფში დადასტურებული ტოპონიმი **ტიბაში**
(ტიბაშის წყალი)¹⁵ და ბათუმის მიდამოებში გავრცელებული ადგილის
სახელები: **კიბეში, ბაკიში, მოთქარიში** (ორთაბათუმი, ყოროლისწყლის
ხეობა, ხელვაჩაურის რაიონი) და სხვა¹⁶. ჩვენ ვიცით, რომ ქართველურ
ტომებს შორის განვითარების ადრეულ ეტაპზე, როგორც ენობრივი, ისე

⁸ იქვე, გვ. 97.

⁹ Н.Я. Марр, Из поездки в Турешкой Лазистан. - ИИАН, №7, СПб., 1910, с.627.

¹⁰ ვლ. მგელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 97-99.

¹¹ ვ. თოფურია. შრომები, ტ. I, თბ., 1967, გვ.4-5, 15-16.

¹² ივ. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ., 1937, გვ. 26.

¹³ ნ. მგელაძე, მ. ფაღავა. ფხე/ხე – ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები.-ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. II, ბათ., 1998, გვ. 5.

¹⁴ ნ. მგელაძე, ც. მიქელაძე. მასალები საცხოვრებელ კომპლექსსა და სოციალურ ურთიერ-
ობათა საკითხებზე ბალსხემო სვანეთში.-კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრა-
ფიული ძიებანი საქართველოში, I, ბათ., 1996, გვ. 193-198.

¹⁵ იხ.: ვლ. მგელაძე. სოფელ სარფის საველე-ეთნოგრაფიული დღიური, ბათ., 1961-
აქტორის პირადი არქივი.

¹⁶ ცნობები მოგვაწოდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის
გამგებ, დოცენტმა მამია ფაღავამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

კულტუროლოგიური თვალსაზრისით ნაკლები განსხვავება იყო. ისინი მეტყველებდნენ საერთო პროქართველურ ფუძე ენაზე და ამ ენის დიალექტებზე. -იშ ელემენტი სვანურისა და ზანურის ნათესაობითი ნიშანია, მაგრამ იგი უშუალოდ სვანურის, ან თუნდაც ზანურის კუთვნილება როდია. უძველესი ენობრივი ფენის ნათესაობითობის ეს ნიშანი, რომელიც, საერთო ქართულია და, როგორც ჩანს, პროქართველურისათვის იყო დამახასიათებელი, ლაზურმა შემოინახა გვარსახელებში, პატრონიმიული ორგანიზაციის მცირე გენეალოგიური ჯგუფების მემკვიდრეობით სახელებსა და ტოპონიმებში, ხოლო სვანურმა მხოლოდ გვარში შემავალ ნათესაური ჯგუფების აღმნიშვნელ სახელწოდებებში. ის ფაქტი, რომ სვანურსა და ზანურში შემონახული -იშ ელემენტი დღეს დასტურდება იმ ტერიტორიებზე გავრცელებულ ტოპონიმებშიც, სადაც სვანები არ ცხოვრობს, იმაზე კი არ მიუთითებს, რომ აქ ოდესღაც სვანები სახლობდნენ, არამედ იმაზე, რომ სუფიქსიალური წარმოების ეს უძველესი ფორმა საერთოქართული იყო და ახასიათებდა, როგორც საკუთრივ ქართის, ისე, სვანურ და ზანურ ტომობრივ განშტოებებს, თუმცა არც ისაა გამორიცხული იგი ბათუმის მიდამოებში მხოლოდ ზანურის, კერძოდ ლაზურის გავლენით იყოს გაჩენილი, ან მათი იქ ადრეული ცხოვრების კვალზე მიუთითებდეს, რადგან ვიცით, რომ ქართველურის ზანური განშტოების ცალკეული თემი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უძველესი დროიდან უაღრესად დიდ როლს თამაშობდა.

ნიშანდობლივია, რომ **ოფუტე** „ბუნი“-ს - პატრონიმიული ორგანიზაციის გენეალოგიური სეგმენტის, ანუ ერთ-ერთი საგვარეულოს მცირე ნათესაური ჯგუფის ზოგად სახელწოდებას უდევს საფუძვლად გურიასში, სურების ხეობის სოფელ დიდვანში. გენეალოგიური ჯგუფის აღმნიშვნელ ტერმინ „ოფუტე“-ს გურიასში გაჩენა საინტერესო მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ ლაზური ოფუტეს ტიპის საუბნო, სოციალურ-ტერიტორიული გაერთიანება მნიშვნელობით გენეალოგიური ჯგუფის თანაბარი არაა. ამ შემთხვევაში, სემანტიკით ახლოს მდგომი სოციალური მოვლენების აღსანიშნავად, მსგავსი ტერმინები იქნა გამოყენებული. სოფელ დიდვანში **ოფუტეშილები** რამიშივითა საგვარეულოს მცირე გენეალოგიური ჯგუფი, ანუ „ბუნი“-ა და მიუთითებს მის წევრთა წარმომავლობაზე საერთო კერიდან, საერთო საფუტედან, მაშინ, როცა ლაზებში **ოფუტე** ლოკალურ-ნათესაური ჯგუფით დასახლებული უბანია და ამ უბნის წევრთა საერთო კერიდან განსახლების ფაქტს გვიდასტურებს. ლაზური ტერმინის გურიაში დამოწმების ფაქტი აღნიშნული სოციალური მოვლენის სიმკვლეზე უნდა მეტყველებდეს. აქ იგი ზანიზმის ჩვეულებრივი გამოვლინებაა. ასევე, შესაძლოა ეს ფაქტი სოფელ დიდვანში, რამიშივითა საგვარეულოში გარკვეული გზით მოხვედრილი აღნიშნული გენეალოგიური ჯგუფის მამათავარი წინაპრის ლაზურ ჩამომავლობაზე მიგვანიშნებდეს. ეთნოლოგიამ იცის არაერთი ფაქტი, როცა მფარველობის მთხოვნელი პირი გვარს და, ზოგჯერ, მცირე ნათესაური გაერთიანების სახელწოდებასაც იცვლიდა ხოლმე და თემში მისი ინკორპორაცია დამხვდურის გვარის მიღებით სრულდებოდა.

დიდი სახლობის სეგმენტაციის საფუძველზე გამოყოფილი მცირე საოჯახო უჯრედების გაერთიანებით უბნების წარმოქმნის ანალოგიური

გზა საქართველოს გარდა კავკასიის სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონებსაც ახასიათებდა.¹⁷ ოსმალთა მმართველობის პერიოდში ლაზებში, ისე, როგორც მეზობელ აჭარაში, გავრცელებას იწყებს უბნისა და, ზოგჯერ, სოფლის აღმნიშვნელი ტერმინი **მეჰელე (მეელე)**. ვლისოვსკი ლაზური დასახლების სტრუქტურაში „მეელე“-ს სოფლის უბნად განიხილავდა, ისე, როგორც ნ. მარი, რომელიც იმერხევსა და აჭარაში გავრცელებულ ამ ტერმინს ქართული უბნის შესატყვისად მიიჩნევდა.¹⁸ უბანთან კავშირუერთობაში ქართულში ტერმინი „კუთხე“-ც იქცევეს ყურადღებას. იგი დადასტურდა გურიაში, კერძოდ სურების ხეობაში სოფლის ერთ-ერთი უბნის აღმნიშვნელად „სოფლის კუთხის“ სახელწოდებით. სამეგრელოში მისი შესატყვისია **კუნთხო**. საქართველოს სხვა მხარეებში, მაგალითად მოხევეებში, ლოკალური ჯგუფით დასახლებული უბანი „ქუჩა“-დ¹⁹, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რეგიონში „კარად“ იწოდება. **კარი** ტიპოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას ლაზურ ოფუტესთან და გარკვეულწილად იგი მიანიშნებს საცხოვრებლის კარის, როგორც საცხოვრებელში ბინადარი სოციალური გაერთიანების წევრებთან მისასვლელზე, კარიბჭის მნიშვნელობაზე. საცხოვრებელი, კერა, კარი, საკარმიდამო, ან საუბნო სამარხები, უნდა განვიხილოთ ერთიან სოციო-რელიგიურ სემანტიკურ სიბრტყეზე²⁰. ამ შემთხვევაში კარს, როგორც, ერთის მხრივ, საცხოვრებელში შესასვლელს და, შესაბამისად, კერასთან მისასვლელს, ხოლო კერის მეშვეობით სახლობის გარდაცვლილ წინაპრებთან მაკავშირებელს, მეორეს მხრივ კი ეზო-კარმიდამოში, უბანში და ტერიტორიულ-გეოგრაფიული არეალების სახით (სოფელი, თემი, ხევი ...) წარმოდგენილ დანარჩენ სტრუქტურულ-იერარქიულად თანამიმდევრულ სემანტიკურ ველში გასასვლელს, მთელ ამ ტაქსონომიაში უაღრესად მნიშე-

¹⁷ ალ. რობაქიძე. დასახლების ფორმა ბალყარეთში, I. ტოპოგრაფია. - მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის №XI, თბ., 1960, გვ. 98; А. И. Робакидзе. Особенности патронимической организации у народов горного Кавказа (в связи с вопросом о соотношении патронимии, рода и семьи).- СЭ, 5, М., 1968, с. 95; А. К. Магометов. Культура и быт осетинского народа (историко-этнографическое исследование), Орджоникидзе, 1968, с. 228.

¹⁸ Н. Я. Марр. Из поездки в Турецкий Лазистан, 1, путешествие, №8, VI, СПб., 1910, с. 609; его же., Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию.- Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, СПб., 1911; В. Я. Лисовский. Чорохский край.-Военно-статистический очерк. Тифл., 1887, с. 78-79; ასევე, მეჰელეს შესახებ იხ.: ი. ადამია. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება „აჭარა“, თბ., 1956, გვ. 18; გ. ჩიტაია. ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში. - ენიშკის მოამბე, IV, თბ., 1939, გვ. 183; ალ. რობაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში. - ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I, ბათ., 1960, გვ., 15-16; ვლ. მგელაძე. დასახლების მორფოლოგიის საკითხები აჭარაში. - ბსკიშ, I, 1960. თურქულში **mahal** აღნიშნავს ადგილს, ხოლო **mahalle** უბანს, რაიონს - იხ.: Турецко-русский словарь (составил Д. А. Магазаник), М., 1945, с. 388.

¹⁹ ვალ. ითონიშვილი. ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 61.

²⁰ ნ. მგელაძე. მიცვალებულის კულტი და სამგლოვიარო რიტუალი აჭარაში.-ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, IV, ბათ., 2002, გვ. 250-252.

ნელოვანი ადგილი ეჭირა. საქართველოში ეს სიტყვა ადგილის სახე-
ლებში, კერძოდ გეოგრაფიულ სახელწოდებებშია წარმოდგენილი. მაგა-
ლითად, აჭარაში ტერმინი **კარი** ტოპონიმებში შემდეგი სახით დასტურ-
დება: **ჯამიკარი** (ადგილის სახელწოდება სოფელ აგარაში), **საკარი**
(ერთ-ერთი უბანი სოფელ მეხალაშვილებში), **იაილაკარი** (სოფელ
ჩიქუნეთის დასახლებული უბანი – მაჭახლის ხეობა).²¹ თვლიან, რომ
აჭარაში ტერმინი **კარი** ოთხი ფორმით გვხვდება: **ჭახადისკარი**, **წისკე-
ლის კარი**, **იაილაკარი** და **ჯამიკარი**. ოთხივე ფორმაში გამოთქმა –
კარი – სოფლის უბანს აღნიშნავს²². მთიულეთში ტერმინი **კარი** შემორ-
ჩენილია ლოკალიზებული პატრონიმიული გაერთიანების ცალკეული
განშტოების კომპაქტური სამოსახლო ადგილების აღმნიშვნელადაც. მა-
გალითად: **დათვიანთკარი**, **ბექტანთკარი**, **ძმიანთკარი** და სხვა²³. კარის
სოციალური შინაარსის გარკვევას რ. ხარაძემ არაერთი ნაშრომი მიუძ-
ღვნა და მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების რთული გზა დაადგინა.
ავტორის დაკვირვებით სოფლის კარების მიხედვით დასახლება ოჯახის
სეგმენტაციასთან იყო დაკავშირებული. ყველა განაყოფი, როგორც
წესი, დიდი ოჯახის კარ-მიდამოს ტერიტორიაზე თავსდებოდა და
საცხოვრებელსაც იქ აგებდა. ასე იქმნებოდა დასახლებული ადგილები
„კარის“, ანუ „უბნის“ სახელწოდებით. კარის ფარგლებში მცხოვრები
ოჯახები წარმოადგენდა არა მარტო ტერიტორიული, არამედ ნათესაუ-
რი კავშირებით შეკრულ დასახლებას.²⁴ სწორედ სემანტიკური სიახლო-
ვის გამო მიაჩნდა ვლ. მგელაძეს ქართ-ული **კარი** ლაზური „ოფუტე“-ს
შესატყვისად. იგი მიუთითებდა, რომ უბნის აღმნიშვნელი ტერმინი **კარი**
ისეთივე ძველია, როგორც ლაზური **ოფუტე**. ეს ორი ტერმინი მას
სინონიმებად ესახებოდა²⁵.

კოლხური, კერძოდ, ლაზური **ოფუტე** და მეგრული **კუნთხო**, ისე,
როგორც ქართული **უბანი** არ შეიძლებოდა ყოფილიყო მონოგენური,
უფრო ზუსტად, ნათესაური. სამეცნიერო ლიტერატურაში მათ ხშირად
პატრონიმიული უბნის მნიშვნელობას ანიჭებენ, რაც, ბუნებრივია, კო-
რექტივს საჭიროებს. მონოგენურობის ცნება უფრო ნათესაურ ჯგუფს
ეხება, ვიდრე ლოკალურ-ტერიტორიულ გაერთიანებას. ეგზოგამიურ სა-
ზოგადოებაში უბანი მუდამ იყო ერთდროულად ნათესაობით, ტერიტო-
რიითა და ქორწინებით შეკავშირებულ ინდივიდთა სამოსახლო, ანუ პო-
ლიგენური, რადგან მასში ცხოვრობდნენ, როგორც ნათესავეები, საერთო
გენეალოგიის წარმომადგენლები, ისე, არანათესავეებიც, ეგზოგამიური
საზოგადოების პირობებში სხვა გვარის წარმომადგენლები – რძლები,
ცოლები და სხვა. სწორედ ამის გამო ოფუტეს ტიპის სოციალურ-ტე-
რიტორიულ გაერთიანებას ჩვენ ლოკალური ჯგუფის სამოსახლოდ
მივიჩნევთ. ამასთან, თუ უბანი ტერიტორიული გაერთიანების სოცია-
ლურ-გეოგრაფიული დანაყოფი იყო, ლოკალური ჯგუფი ტერიტორიით,

²¹ ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობა, თბ., 1974, გვ. 51.

²² ვლ. მგელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 92.

²³ რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე. მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 6.

²⁴ Р. А. Харадзе. Проблемы неразделенной семьи по грузинским этногра-
фическим данным.- Краткие сообщения Института этнографии, XXXVI, М.,
1962, с. 28; ee же., Грузинская семейная община, II, Тб., 1961, с. 60-61.

²⁵ ვლ. მგელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 93.

ნათესაობითა და ქორწინებით დაკავშირებულ ინდივიდთა ერთობას წარმოადგენდა.

ამრიგად, **ოფუტე** ლაზური დასახლების სტრუქტურაში საყურადღებო სოციალურ-ტერიტორიული გაერთიანება იყო. განსახლების საწყის ეტაპზე ოფუტეს მკვიდრნი ერთ ჭერქვეშ, დიდი სახლობის კერის ირგვლივ იყვნენ გაერთიანებულნი, ხოლო შემდეგ სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად მათი ინტერესების თანხვედრილობას საერთო უბანში კომპაქტური მოსახლეობაც განაპირობებდა.

Nugzar Mgeladze

Lazian “Opute”

Summary

In the article is discussed some peculiarities of the Lazian settlement structure, in particular such part of the settlement as it is the “Opute”. The term “Opute” corresponds to the Georgian “Sapute” (flue), which on the one hand was associated with the traditions of the great family home, with the estate sufficient for the great family. On the other hand it was associated with the section of the great family home originated in the process of the segmentation and with the local-related group of people who lived in this nook (section). Thus, according to the semantics “Opute” would be comprehended as the symbol of the union of the multiplied people from members of the initial basis home – hearth and home. There are in Sarpi such types of “Oputes”, or the sections, nooks, “Tandilava-epesh` opute”, “Djevarish`epesh` opute” and the other.

Нугзар Мгеладзе

Лазское «Опуте»

Резюме

В статье рассмотрены некоторые особенности структуры лазского поселения, в частности, такая ячейка поселения, какой является «Опуте». Термин «Опуте» соответствует грузинскому «Сапуте» (дымоход), который, с одной стороны, связан с домохозяйством, а с другой стороны – участком, углом локально-родственной группы, возникшей в результате сегментации расширенного домохозяйство. Таким образом, семантически

«Опуге», мы должны осмыслить как объединяющий символ расселение размножившихся представителей членов первоначального дома – основы очага.

В селе Сарпи такого типа «Опуге» или ее участки, уголки имеют названия - «Тандилава-е-ше-ш опуге», «Дшеваирш-е-ше-ш опуге» и т.д.

Nugzar Mgeladze

LAZCADAKI “ OPUTE”

Özeti

Çalışmada Lazların bazı yerleşim birimleri hakkındaki özelliklerinden bahsedilir. Genellikle bu tür yerleşimlerle alakalı olarak “*opute*” sözcüğü kullanılır. Lazca’daki “*opute*”nin Gürcücedeki karşılığı “*sapute*”dı. (Ocak). Tabii ki bu da **Ataerkil Aile** geleneklerine bağlı ve Ataerkil Aile yapısının devam ettiği yerlerde kullanılan bir terimdir. Yalnız diğer taraftan ise ata erkil ailenin bölünmesiyle alakalı “lakon-akraba” guruplarada değinir. Böylece semantik olarak “*opute*” yi beldede yaşayan bölmelerin eski temel evini birleştiren ve sembolü olan **yuva**’yla (kera) birlikte düşünmeliyiz.

Sarp köyünde bu tip Oputeler mevcuttur. Tandilava Epe-ş Opute. Cevairiş Efeş – Opute. ve s. r.

მუხამედ ვანილიში ლაზეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მკვლევარი (1909-1997)

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი მუხამედ ვანილიში (1909-1997) მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდა ლაზეთის ისტორიის, ლაზების ყოფა-ცხოვრებისა და წეს-ჩვეულებების შესწავლის დარგში.

მუხამედ აბდულის ძე ვანილიში დაიბადა სოფელ სარფში გლეხის ოჯახში. 1917 წელს შევიდა სარფის თურქული სკოლის დაწყებით სკოლაში, შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ.ხოფის (თურქეთი) საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1927 წელს. მან 1932 წელს დაამთავრა ბათუმის სუპტროპიკული ინსტიტუტის მუშფაკი, ხოლო 1938 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

1937-1938 წლებში მუშაობდა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ, დიდი სამამულო ომის წლებში აჭარის ასსრ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად და სამხედრო საშეფო კომისიის თავმჯდომარედ, აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილედ. შემდეგ წლებში მუშაობდა აჭარის მინისტრთა საბჭოში რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულად (ორჯერ), ბათუმის რევოლუციის მუზეუმის დირექტორად (ორჯერ), აჭარის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარედ, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგედ, აჭარის კულტურის სამინისტროს სალექციო ბიუროს დირექტორად (ორჯერ).

1926-1937 წლებში იყო კომკავშირის წევრი, 1939 წლიდან კომპარტიის წევრი. 60-ზე მეტი წლის განმავლობაში მუხამედ ვანილიში ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საგანმანათლებლო მუშაობას. არჩეული იყო მრავალი ორგანოს წევრად, ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. მას ფეხით აქვს შემოვლილი აჭარის სოფლები. ის იცნობდა ბევრ თვალსაჩინო მოღვაწეს და ახლო ურთიერთობა, მეგობრობა ჰქონდა ლავრენტი ბერიასთან.

მ. ვანილიში იყო მაღალკვალიფიციური ლექტორი, მკვლევარი, განათლების, კულტურის, რელიგიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში. აქვს მრავალი წერილი და ნარკვევი. მის რეკომენდაციებს ანგარიშს უწევდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები. ყველაფერს აკეთებდა უხმაუროდ, დინჯად, დიდი სიყვარულითა და ერთგულებით. კარგად ფლობდა ქართულს, არაბულს, თურქულს და რუსულ ენებს, ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას.

მნიშვნელოვანია მისი წვლილი ლაზეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის დარგში. ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ლაზებში-აჭარაში, აფხაზეთში, თურქეთში.

ლავრენტი ბერიას რჩევით მუხამედ ვანილიშმა, ლაზ მოსახლეობაში გასავრცელებლად, 1929 წელს დაარსა სპეციალური ლაზური გაზეთი „მჭითა მურუცხი“ („წითელი ვარსკვლავი“ (ლათინური ალფაბეტით). სულ გამოვიდა სამი ნომერი, რომელიც იყო საქ. კპ(ბ) აფხაზე-

თის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ცაკის ორგანო. ვაზეთში გამოქვეყნებულია ზოგადპოლიტიკური წერილები შემდეგ თემებზე: ოქტომბრის რევოლუციის 12 წლისთავი, ქვეყნის (საბჭოეთის) ამბები, ლენინი და ოქტომბრის რევოლუცია, ლაზების ყოფა-ცხოვრება, ლექსი-„წითელი ვარსკვლავი („მჭითა მურუცხი“) სარფის, ოჩამჩირის, გუდაუთის ლაზების საქმიანობა, ცხოვრება, ლაზური თეატრი“ (სარფში), არის სხვადასხვა საინფორმაციო მასალა.

ვაზეთსა და სხვა საინფორმაციო მასალებს მ. ვანილიში თურქეთში ავრცელებდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა თურქეთის ხელისუფლებისათვის, რისთვისაც მას დაუსწრებლად მიესაჯა ოცი წლით პატიმრობა. ამის გამო მან გვარი შეიცვალა ვანიძით. 1937 წელს ძველი გვარი აღიდგინა.

როგორც მ.ვანილიში თავის მოგონებებში აღნიშნავს ლავრენტი ბერიას რჩევით ქ.სოსხუმში შეიქმნა საზღვარგარეთ მცხოვრებ ლაზებთან მუშაობის შტაბი, სადაც შედიოდნენ მუხამედ ვანილიში, რიზა ბიბინოლი, ხელიმი ხაზირიში, ნაზიმ კურტოლი, ისკენდერ ციტაში, აგრეთვე აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი. მათი ძირითადი ფუნქცია იყო ლაზებში ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვივება, საზღვარგარეთ მცხოვრებ ლაზების ეროვნული, კულტურული და საგანმანათლებლო მოძრაობისათვის ხელის შეწყობა. თურქეთის ტერიტორიაზე ამ მიმართებით მუშაობა კიდევ უფრო გააქტიურდა ლავრენტი ბერიას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად არჩევის შემდეგ.

საგულისხმოა ისიც, რომ მუშაობდა რა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოში პასუხსაგებ თანამდებობაზე, მუხამედ ვანილიში დიდი სამამულო ომის პერიოდში აქტიურად ეხმარებოდა ლაზებს.

1944 წლის ნოემბერში აჭარის საზღვრისპირა სოფლებიდან შუა აზიისა და ყაზახეთის რესპუბლიკებში გაასახლეს თურქები, ჰემშილები, ქურთები. სამწუხაროდ ამ კონტინგენტში ფალსიფიცირებული დოკუმენტების შედგენით მოახვედრეს მუსლიმანი ქართველები: ლაზები, აჭარლები.

1945 წლის მარტში მუხამედ ვანილიში სპეციალურად ჩავიდა მოსკოვში-სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისართან ლავრენტი ბერიასთან და მისი განკარგულებით ორმოცი კომლი ლაზი, შუა აზიიდან დაუყოვნებლივ დააბრუნეს გონიოსა და სარფში.

აი რას წერს ამ ფაქტის შესახებ ისტორიკოსი ნ.რუბინი:

1945 წლის 25 მარტს აჭარის ცნობილი მწერალი მუხამედ ვანილიში, აჭარის მთავრობის წევრი, ბერიას სახელზე გაგზავნილ წერილში წერს: „ვთხოვთ სახალხო კომისარიატს დააბრუნოს სპეცგადასახლების ადგილებიდან ლაზები, რომლებიც თურქებთან, მესხებთან, ქურთებთან და ჰემშილებთან ერთად გადაასახლეს.“

ბერიამ ერთ-ერთ თავის მოადგილეს ვ.ვ.ჩერნიშოვს დაავალა, მოეძებნა ყველა გადასახლებული ლაზი და დაებრუნებინა მშობლიურ სახლებში. ამასთან ერთად მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უსამართლოდ გადასახლებულებისათვის აენაზღაურებინათ მატერიალური ზარალი და

დაებრუნებინათ დეპორტაციის დროს მიტოვებული ქონება. სამშობლოში სულ 68 კაცი დაბრუნდა.

ძნელია, დადებითად არ შეაფასო ასეთი მიდგომის მნიშვნელობა.

ხელისუფლება დიდ შეფასებას აძლევდა მუხამედ ვანილიშის მუშაობას. ლავრენტი ბერიას წინადადებით აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1936 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით მუხამედ აბდულის ძე ვანილიში დაინიშნა აჭარის განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ. გაზეთში გამოქვეყნდა მისი ბიოგრაფია ფოტოსურათით. გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ 1937 წლის 27 მარტის ნომერის მესამე გვერდზე რუბრიკით „ბედნიერად, სამშურად ცხოვრობენ საბჭოთა მიწაწყალზე მშრომელი ლაზები“ გამოქვეყნებულია სტატიები, ფოტოსურათები, ინფორმაციები ლაზების ცხოვრებაზე, ხოლო პირველ გვერდზე მუხამედ ვანილიშის ფოტოსურათი წარწერით „აჭარის განათლების სახალხო კომისრის მოადგილე, ლაზი მწერალი მუხამედ ვანილიში“. აქვეა მისი სტატია ლაზების ყოფა-ცხოვრებაზე.

თავის პიესებში, ნარკვევებში, წერილებში და მოთხრობებში ის საფუძვლიანად აგვიწერს თუ როგორ განვითარდა ლაზების განათლება, კულტურა.

ახალგაზრდობაში ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობას, აქვეყნებდა წერილებს, ნარკვევებს, დაწერილი აქვს პიესები „კულ სიზმრებს ხედავენ“, „მურადის ლოთობა“, მოთხრობა „ზექიე“, რომელიც დაბეჭდილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუხამედ ვანილიშის წვლილი ლაზეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლაში.

აჭარის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის (1936-1951 წლებში) ოსმან ხალვაშის ინიციატივით, ხელშეწყობითა და თანადგომით მუხამედ ვანილიშმა და ალი თანდილაყამ მრავალწლიანი სამეცნიერო შემოქმედებითი მუშაობის შედეგად მოამზადეს საკმაოდ დიდი მოცულობის მონოგრაფია „ლაზეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი“. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია დედანის ორი ვარიანტი მანქანაზე გადაბეჭდილი 400-450 გვერდი. ისინი შესრულებულია 1950 და 1956 წლებში, მუზეუმში კი შესულა 1958 წელს. ამ ნაშრომის რედაქტორია პროფ. სერგი მაკალათია, რეცენზენტები: დავით ხახუტაიშვილი და რ.ხარაძე. ისინი დიდ შეფასებას აძლევენ ნაშრომს და ცალკეული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით მიზანშეწონილად თვლიან მის გამოცემას.

დედანის ტექსტში განხილულია შემდეგი საკითხები: 1. ძველი ლაზიკა, 2. ლაზეთის სამეფოს დაშლა, 3. ლაზეთი ბიზანტიის (საბერძნეთის) მფლობელობაში, 4. ლაზეთი ოსმალეთის მფლობელობაში, 5. ეთნოგრაფია (ეკონომიკური მდგომარეობა, მიწათმოქმედება, მებაღეობა, ლაზური საჭმელები, მეთევზეობა, ხელოსნობა), 6. საზოგადოებრივი ყოფა და მისი დამახასიათებელი რეალობა (საოჯახო წყობილება, ძველი „ქილისები“ ლაზური სახლი, ჩაცმულობა), 7. ხალხური ჩვეულებანი (მშობიარობა, აკვნის ქორწილი, ბავშვის აღზრდა, გართობა-თამაშობანი, ქალის დანიშვნა, ქორწილი, ქალის მდგომარეობა, ტირილი და განწყობა), 8. ცრუმორწმუნეობა (ახალი წლის შეხვედრა, ნადირის დაკოჭვა, ჭიჭიკვერი, კაბის გამოკოჭვა, 9. ხალხური სიტყვიერება (შაირები, სატ-

რფიאלო ლექსები, ნარევი ლექსები, ისტორიული გადმოცემები, ხალხური თქმულებები, გამოცანები, 10. საბჭოთა სარფი, 11. ბიბლიოგრაფია, რუკებისა და სურათების სია.

მუხამედ ვანილიშისა და ალი თანდილაგას წიგნი-ლაზეთი გამოვიდა 1964 წელს. შედგება ორი განყოფილებისაგან: ისტორიული მიმოხილვა და ეთნოგრაფია. რედაქტორი პროფესორი სერგი მაკალათია წინასიტყვაობაში წერს: „აღნიშნული ნარკვევი პირველ ცდას წარმოადგენს და ქართული საისტორიო მწერლობაში წინადადგმული ნაბიჯია. ამავე დროს მისასაღმებელია ის მოვლენაც რომ ნარკვევის ავტორები ლაზეთი არიან, ორივე ავტორი სარფელია“.

თავის დროზე ავტორები თვლიდნენ, რომ ეს გამოცემა სრულყოფილი არ არის და მასში ვერ შევიდა მნიშვნელოვანი მომენტები და პრობლემები. ამასთან ქართველმა მკითხველმა და ჩვენებურებმა თურქეთში დიდი კმაყოფილებით მიიღეს აღნიშნული წიგნი.

წიგნის დიდ მნიშვნელობაზე და სარგებლიანობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ იგი დაიბეჭდა აგრეთვე თურქეთში 1992 წელს. მის გამოსვლას გამოეხმაურა თურქეთის სხვადასხვა ქალაქში გამომავალი თხოუმეტზე მეტი გაზეთი და ჟურნალი.

მიზანშეწონილია მუხამედ ვანილიშისა და ალი თანდილაგას დასახელებული ნაშრომის განმეორებითი გამოცემა მეცნიერული აპარატით, შენიშვნებითა და ახალი რეალობების გათვალისწინებით, შემდეგ კი მისი თარგმნა თურქულ ენაზე.

ლიტერატურა:

1. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის უახლესი ისტორიის ფონდი-4, საქმე 1012, ფ-1-70.
2. აჭარის სახელმწიფო მუზეუმი-ხელნაწერთა ფონდი, საქმე 400, ფ-10-219.
3. იქვე, საქმე-4001, ფ. 1-276.
4. გაზეთი საბჭოთა აჭარა, 1936 წელი, 30 დეკემბერი
5. გაზეთი საბჭოთა აჭარა-1937, 27 მარტი.
6. მ.ვანილიში, ა.თანდილაგა, ლაზეთი, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964 წელი, გვ.170.
7. Н.Рубин. Лаврентий Берия. Миф и реальность («точка зрения»), Москва, Олимп.Смоленск, Русич-1997 г. ст. 193-194.

Nodar Tstetskhladze

Mukhamed Vanilishi – the investigator of Lazeti history and ethnography

Summary

Public figure, writer and translator Mukhamed Vanilishi was the prominent investigator of Lazeti history and ethnography. His book “The essay of Lazeti history and ethnography” was published in Georgian (1964) and Turkish (1998). He led an important cultural and educational activity between Lazian residents in Georgia (Ajara, Abkhazia) and Turkey. In 1929 by edition of Mukhamed Vanilishi was published the Lazian newspaper “Mtchita Murutskhi” (“Red star”).

Mukhamed Vanilishi published a lot of the articles, essays, plays, stories, folklore materials, verses, the samples of folklore.

Нодар Цецхладзе

Мухамед Ванилиши – исследователь истории и этнографии Лазети (1909-1997)

Резюме

Общественный деятель, писатель, переводчик Мухамед Ванилиши был известным исследователем истории и этнографии Лазети. Его книга «Историко-этнографический очерк Лазети» был издан на грузинском (1969) и турецком (1998) языках. Он вел значительную культурно-просветительную работу среди лазов, проживающих в Грузии (Аджария, Абхазия) и в Турции. В 1929 году, под его редакторством была издана лазская газета «Мчита муруцхи» («Красная звезда»).

Мухамед Ванилиши опубликовал большое количество статей, очерков, эссе, рассказов, фольклорных материалов, стихов, образцов устного народного творчества, связанных с историей и этнографией.

Nodar Tsetskhladze

**Muhammed Vaniliši: Laz tarihi ve Etnoğrafiyası
araştırmacısı (1901-1997)**

Özeti

Araştırmacı, yazar ve mutercim olan Muhammed Vaniliši Laz tarihi ve Etnografisinin araştırmacıydı. Onun kitabı “Lazların Tarihi ve Etnografik Araştırması” Gürcüce (1964) ve Türkçe (1998) olmak üzere iki dilde yayınladı. Kitabında da görülüyor ki Acara, Aphazeti ve Türkiyede de Lazların kültür ve eğitimi konusunda da önemli çalışmalar yapmaktaydı. 1929 yılında onun başkanlığıyla “MCITA MURUTSHI” (kırmızı yıldız) adında Lazca bir gazete çıkarıldı.

O, Laz tarihi ve Etnoğrafiyası hakkında bir kaç makale, araştırma, piyesler, hikayeler, fõklõr belgeleri, şiiirleri, ve “Halk Sõzü Edebiyatının” bazı örneklerini yayınlamıştır.

ხაიასა-აცი: სომხური თუ ქართველური სამყარო?

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ქართულ ისე უცხოურ და განსაკუთრებით სომხურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია შეხედულება, რომ ხეთურ (მდებარეობდა მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში) წყაროებში მოხსენიებული ხაიასას (ჰაიაშა) სამეფო იყო სომეხთა წინაპარი. ხაიასას სინონიმად ზოგჯერ გვხვდება „აცი“, რომელიც იყო ხეთის იმპერიასთან ხაიასის ახლომდებარე ოლქი. მეცნიერთა აზრით, მათ სომეხი ერის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, რაზეც თითქოს მეტყველებდა ის ფაქტი, რომ ჩვენი სამხრეთელი მეზობლები უძველესი დროიდან თავიანთ თავს ჰაიებს, ჰაიკიანებს უწოდებდნენ, ხოლო შესაბამის ქვეყანას ჰაიასტანს.

ხაიასა (ჰაიაშა)-აცის (აჭი) ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილების პრობლემებს იკვლევდნენ მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები, ძველი ისტორიის სპეციალისტები (Гамкрелидзе Т.В. Иванов В.В., 1981: 18-19; Капанцян Г.А., 1948:27; Манандян Я.А., 1956:71; Меликишвили Г.А., 1954:85; Adontz N., 1946:50; Forrer Em., 1931:1-2, 23 და სხვა). თუ ისინი ვერ შეთანხმდნენ ხაიასა-აცის ლოკალიზაციის თაობაზე, სამაგიეროდ მათი შეხედულება ხაიასის ხალხის ეთნიკური კუთვნილების შესახებ გამოდგა ურყევი. ამ ქვეყნის ადგილმდებარეობის საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ უფრო მისაღებად გვეჩვენება ი.მანანდიანის აზრი. მკვლევარი ხაიასა-აცის ტერიტორიას ვანის ტბის დასავლეთითა და ჩრდილოეთით მდებარე ოლქებით განსაზღვრავდა. აღნიშნული სამეფოს დასავლეთი მიჯნა მდ.ეფფრატის ხაზს წვდებოდა (Манандян Я.А., 1945:32. Манандян Я.А., 1956:71).

აკად. გ.მელიქიშვილის შეხედულებით ხაიასას ონომასტიკურ მასალებში (ადგილის, ხალხისა და ღვთაებების სახელები) რაიმე სპეციფიკური სომხური ელემენტი არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით მცირე შეხვედრებს სომხურ ნათესავურ ხეთურ-ნესიტურ და ლუვიურ მსოფლიოსთან. ხაიასის ონომასტიკაში შეიმჩნევა პროტოსომხური და ხურიტული ელემენტი. აქედან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ხაიასა-აცი არ იყო ეთნიკურად არაერთგვაროვანი ელემენტი. მაგრამ მიუთითებდა მეცნიერი ეს ის ტერიტორიაა, რომელიც იქცა ძირითად ბირთვად სომეხი ხალხის ჩამოყალიბებაში (Меликишвили Г.А., 1954:85; Меликишвили Г.А., 1959:171).

ხეთურ წყაროებში მოხსენიებული ონომასტიკური მასალების დეტალურმა განხილვამ და ლინგვისტურმა ანალიზმა მოგვცა საშუალება გაგვერკვია ამ უძველესი ქვეყნის ეთნიკური კუთვნილება და მისი კავშირი ქართველურ სამყაროსთან. ჯერჯერობით ამოვიცანით 18 ტოპონიმი, რომელთა ძირითადი ნაწილი მეგრული ენის გამოყენებით იხსნება (12), ხოლო ნაწილი კი სვანურ ენას უკავშირდება (6):

1. ქ. Dukkamma (Dyggama) დუკამანა (დუგამა)–ს სახელწოდება იხსნება მეგრული ენის გამოყენებით. ტერმინი შედგება ორი ნაწილისაგან: დუგა (ან დუკა) და მანა. პირველი სიტყვა დულა (ორი გ-თი ან

კ-თი გადმოცემული უნდა იყოს ხეთურისათვის უცხო აფრიკატი „ღნიშნავს „მდულარე“-ს (ელიავა გ., 1997:142) მანა კი „ტრუსვას“ (ელიავა გ., 1997:206). ქალაქის მეგრული სახელწოდება უნდა იყოს დულამანუა, რაც ნიშნავს „მდულარეში ტრუსვას“.

2. Arhita-არხითა. ტერმინი შედგება მეგრული ძირისაგან არღი რაც „წავს, თრიას (ფაფუკი, ბეწვი)“ ნიშნავს, ხოლო თა ჩვეულებრივ ქართული სუფიქსია. ტოპონიმის სახელწოდება შეიძლება აიხსნას, როგორც „ადგილი სადაც ფაფუკისა და ბეწვისაგან ამზადებენ ტანისამოსს“. სახელწოდებაში გამოყოფილი ძირი „არხი“ შეიძლება ასევე დაუკავშირდეს ქართულ სიტყვას „არხი“-ს და ქალაქის სახელი გაიშფოროს როგორც „არხთან მდებარე დასახლება“ ან „არხიანი“ ე.ი. „ქალაქი, რომელსაც არხი აქვს“ ან „არხთან მდებარე ქალაქი“.

2. Zagga-ჯაგა. ღვთაების სახელი მეგრულად გამოითქმებოდა ზაგა ან ჯაგა (შეადარეთ: ზაბახა-ჯავახი). ჯაგა ნიშნავს „ეკალ-ბარდს“ (ელიავა გ., 1997:392). მაშასადამე, ეკალ-ბარდისა (თუ ტყის?) ღვთაებას ერქვა ჯაგა.

ზაიასას სამეფოში დასტურდება ქალაქები, რომელთა სემანტიკა მეგრულ ენასთანაა დაკავშირებული (ლახირზილა, გაზუ, ფატიარიცა ფატიე ხ ც, ბარაია, ტერიტიტუნი, კამუნა, არიფშა (ეს უკანასკნელი შეიძლება ქართული იყოს).

სვანური წარმოშობის ტოპონიმებია:

1 Yra-ურა. სვანური „ური“ ნიშნავს „მკვახე, უმწიფარი“ (თოფურია ვ., ქალღანი გ., 2000:730). ზაიასის ამ ქალაქის სახელწოდებით ასოცირებას იწვევს უიტერუხის (სამცხე-აჭარის ტერიტორია) გაერთიანების სატახტო ქალაქ ურაიანთან. აქაც ფუძეა ურა.

2 Gadkusa-გადკუშა. ქალაქის სახელი შედგება ორი სვანური სიტყვისაგან: „გად“ ნიშნავს „ვალი“ და „კუშე“-„ტეხს (ფიცს, ჭურჭელს)“ (თოფურია ვ., ქალღანი მ., 2000: 162,354).

ახლა თვით ქვეყნის სახელწოდების ზაიასისა (ჰაიაშა) და მისი ძირითადი ოლქის აციის (აჭი) სემანტიკის შესახებ. მიუხედავად იმისა რომ ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მეგრულენოვანი იყო. თვით ამ ტომების გამაერთიანებლის როლში გამოდის სვანური ოლქი, სვანური დინასტია ჰაიაშას ტომიდან. ტერმინში „ჰ“ ისეთივე მწარმოებელია როგორც მაგ.: იბერია-ჰიბერია, ხაბარენი-ჰაბარენი, ჰერები-ერიახი და სხვა. შა (ში) სვანური სუფიქსია, რომელიც აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს, ძირია აია, რომელიც ძველად სვანეთში მიწათმოქმედების და მიწისქვეშეთის ღვთაება იყო (მიბჩუანი თ., 1989:321). ჰაიაშას ხალხი თაყვანს სცემდა ღვთაება აიას; მის სახელზე აგებული ქალაქის (აია-ჰაია-ჰაიაშა) სახელი იქცა ამ ხალხის სატომო და ქვეყნის აღმნიშვნელ ტერმინად.

ტერმინ აცი-აზზი-ალზი-ში, როგორც ჩანს, ხეთებისათვის და ასურულათათვის უცხო აფრიკატი (ჭ) გადმოცემულია ც-ზზ-ლზ. ქალაქისა და ოლქის სახელი გადმოიცემოდა, როგორც აჭი, რომელიც სვანური სიტყვაა და ნიშნავს „აცხობს“ (თოფურია ვ., ქალღანი მ., 2000:102).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1 ჰაიაშა-აჭის სამეფოს მოსახლეობის ძირითადი შემადგენლობა მეგრულენოვანი იყო, ნაწილი კი სვანური წარმომავლობისაა.

2 რადგან თვით ქვეყნისა და სინონიმის სახელები სვანურია, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჰაიაშას სამეფოს მმართველი დინასტია სვანური წარმომავლობისა იყო.

3 ქართული დიფერენციაციული თეორიის თანახმად საერთო ფუძე ქართულს მეგრული უნდა გამოჰყოფოდა ძვ.წ. 8 ს. ახლო ხანებში. ჩვენს მიერ მიღებული დასკვნებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს თარიღი გადავწიოთ სულ ცოტა 12 საუკუნით მაინც, რადგან ძვ.წ. 15-14 საუკუნეებში მეგრულ ენას თავისი სახე უკვე მიღებული აქვს.

4 ქართული სახელმწიფოებრიობა 2600 ან 2300 წლის კი არა, არამედ 3500 წლისაა.

5 ყოფილი ხაიასის ტერიტორია მოგვიანო ხანის დაიაენ-დიაოხის სამხრეთი ნაწილია (ყოველშემთხვევაში ასე ჩანს წყაროებში), ჰაიაშა ხეთურ წყაროებში ჩნდება შემდეგ კი უკვალოდ ქრება. დაიაენი კი პირიქით ხეთურ წყაროებში არ ჩანს და დასტურდება ასურულ და ურარტული ხანის ეპიგრაფიკულ ძეგლებში. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჰაიაშა და დაიაენი სხვადასხვა დროს ერთი და იმავე ქვეყანას ზომ არ აღნიშნავდა? ამას გარდა ტერიტორიული თანახვედრისა, ემოწმება ისიც, რომ ორივე სამეფოში მმართველი დინასტია სვანური იყო და თვით სახელწოდებები – ჰ-აია-შა და დ-აია-ენი სემანტიკურად ერთი და იგივეა. დაიაენ-დიაოხიც უძველესი ქართველური ტომებისა და ქვეყნების სამეფოა და არა ხურიტული, რასაც ადასტურებს დაახლ. 20 ოლქისა და ქალაქის, მეფეთა და თვით ქვეყნის სახელწოდებათა ეტიმოლოგიური გააზრებანი.

ლიტერატურა:

1. ელიავა გ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.
2. თოფურია ვ., ქალღანი მ., სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
3. მიბჩუანი თ., დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.
4. Гамкрелидзе Т.В., Иванов В.В., Миграции племен-носителей индоевропейских диалектов с первоначальной территории расселения на Ближнем Востоке в исторические места их обитания в Евразии. -ВДИ., №2, 1981.
5. Капанцян Г.А., Хайаса-колыбель армян., Ер., 1948.
6. Манандян Я.А., О некоторых спорных проблемах истории и географии древней Армении: Ер., 1956.
7. Манандян Я.А., Критический обзор истории армянского народа: Ер., 1945.
8. Меликишвили Г. А., Наირи-Урарту, Тб., 1954.
9. Меликишвили Г.А., К истории Древней Грузии, Тб., 1959.
10. Adontz N., Histoire d'Armenie, Paris, 1946.
11. Forrer Em., Haijsa-Azzi,-Caucasica, 9, 1931.

Simon Gogitidze

Haiasa (Khaiasa-atsi): Is it Armenian or Kartvelian world?

Summary

According to the existing in the scientific literature point of view the mentioned in the Hatti sources tribal name “Haiasa” supposedly is connected with the self-designation of Armenians – “Hay” and with the name of their country – “Haystan”.

According to the linguistic analysis of the existing in the same sources onomastic data it is possible to associate “Haiasa” (Khaiasa-atsi) with Kartvelian (Megrel-Svanian) linguistic world.

The names of country and of the basic region (Atsi) must be Svanian origin, that gives us reasons to suppose that the ruling dynasty of this country was of Svanian origin.

Симон Гогитидзе

Хайаса (Хайаса-аци): Армянский или Картвельский мир

Резюме

В соответствии с существующей в научной литературе точкой зрения упомянутое в хеттских источниках племенное название Хайаса якобы связано с самоназванием армян – «Хай»- (Айя) и с термином обозначающим их страну – Хайстан – (Айястан).

Лингвистический анализ ономастического материала, который подтверждается в тех же источниках на территории «Хайаса», позволяет связать Хайаса (Хайаса-аци) с Картвельским лингвистическим миром.

Сами названия страны и основной области (Аци-Ачи) сванского происхождения, что позволяет нам предполагать, что правящая династия этой страны была сванского происхождения.

Simon Gogitidze

Hayiyasa –Atsi, Ermeni mi, Gürcü dünyası mı?

Özeti

Bilim literaturunda bulunan bazı görüşlere göre Hitit kaynaklarında kabile adı olarak bilinen “*Hayiyasa*” sanki Ermeni adı “*Hayiya*”lılara ve bu addan gelen ve onların yaşadığı yer adı olan “*Hayistana*” bağlanmıştır.

Aynı kaynaklarda, *Hayiyasa* – lıların yaşadığı yerlerinde tespit edilen Onomastik belgelerin dilbilim araştırmalarına göre, birkez daha bu yerin, *Hayiyasa-atsi*'nin gürcü (Megrelice ve Svanca) Dünyasına bağdaştırılabilir.

Eskiden bu yerde bir Svan kabilenin yaşadığını düşünülebilir, çünkü o yerin ve beldenin “*Atsi-Aji*” isimleri svanca dır.

ისტორიული ჭანეთი გვიანანტიკურ და ადრეპიზანტიურ ხანაში

ანტიკური ცივილიზაციის გავლენა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავ ზღვისპირეთში დიდი ბერძნული კოლონიზაციის პერიოდიდან იგრძნობოდა, რაც ჩვენთვის საინტერესო რეგიონში საკმაოდ მძლავრი ქალაქური ინფრასტრუქტურის (ტრაპეზუნტი, კოტიორა, კერასუნტი) ჩამოყალიბებაში გამოიხატა. ეს ტენდენცია ელინისტურ ხანაში კიდევ უფრო გაძლიერდა. ორდუ-გირესუნის სექტორში რამდენიმე ციხე-ქალაქი (სტრატონი, ფაბდა, სიდე, ფარნაკია) დაარსდა, რაც მომდევნო ეპოქასთან მართებაში საკმაოდ მნიშვნელოვან პრეცედენტად შეიძლება ჩაითვალოს. რომის იმპერიამ, რომელიც თავდაპირველად ძალზედ ფრთხილ სატელიტურ (კლიენტელურ) ქვეყნებზე დაყრდნობით მოქმედებდა (И. И. Луцкова Е. С., 1951: 89), შესანიშნავად გამოიყენა სწორედ წინა პერიოდში დაფუძნებული ფორპოსტები და მათი საშუალებით უფრო ადვილად მოსავლეთით განლაგებული ტერიტორიების ათვისებას შეუდგა (Максимова М. И., 1956: 191-192, 196, 315-328; კახიძე ე., 2002: 64-65). აგრესიული პოლიტიკის კონტურები ნერონის ხანმოკლე მმართველობის (54-68 წწ.) პერიოდში გამოიკვეთა, როდესაც სხვა აზიური კლიენტელური სახელმწიფოების მსგავსად გაუქმდა პოლემონების სამეფო (Suet., Nero, 18), სადაც თავის მხრივ მთელი ისტორიული კოლხეთი შედიოდა (Strabo, XI, 2, 18). რომაელთა სამხედრო აქტივობა განსაკუთრებით ვესპასიანეს დროს (69-79 წწ.) გაიზარდა (ინაძე მ., 1953: 3; Меликишвили Г. А., 1959: 354, 368; თოდუა თ., 2003: 12-17), რაც ე. წ. კავკასიის ან პონტო-კავკასიის სასაზღვრო ხაზის თუ კაპადოკიის საზღვრის კავკასიური მონაკვეთის ჩამოყალიბებაში გამოიხატა (შაიდაძე მ., 1985: 134; Кигურაძე Н., Лордкиპანიძე Г., Тодуа Т., 1987: 88-90; თოდუა თ., 2003: 11-12; Crow J. A., 1986: 77). ამ სისტემაში უდიდეს მნიშვნელობა ტრაპეზუნტს დაეკისრა, რომელიც სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთისაკენ და არა მხოლოდ ნია/ანატოლიისაკენ მიმავალ გზებს აკონტროლებდა (Mitford T. B., 1970: 162; ლორთქიფანიძე გ., 1991: 43-44). ჯერ კიდევ ტაციტუსი უსვამდა ხაზს ზიგანას უღელტეხილის მნიშვნელობას, რომლის მეშვეობით ტრაპეზუნტი ევფრატის ფრონტს უკავშირდებოდა (Ann., XIII, 39; Hist., 3, 47). უკვე ახ. წ. III ს. *Iteneraria Antoniana*-ში ამ მონაკვეთზე რამდენიმე პუნქტი მოიხსენიება: Ad Vincessimum-ი, თია, ზიგანა, სედისკა, დომანა (Mitford, T. B., 1980: 1216; Barrington Atlas, 2000: 87). უფრო აღმოსავლეთით კი მოგარო (*Notitia Dignitatum*-ის მოხორა) (გეორგიკა, 1961: 175; Адонц Н., 1971: 63). IV ს. *Tabula Peutingeriana*-ზე (X, 3-5) რომელიც ძირითადად სწორედ „იტინერარიას“ ეყრდნობა, ამავე არეალში სხვა დასახელების (დომანას გარდა) მქონე პუნქტებია დატანილი მაგნანა (თან. მაჭაკა), ღიზენენიკა (*Notitia*-ს ღაზანენიკა), ბილე, ფრონდარიუმი, პატარა (რავენას ანონიმის პატრა), მელოკია (რავენას ანონიმის)

ნიმის მელოკინა) და სოლონენიკა (*Notitia*-ს სილვანისი, რავენას ანონი-მის სოლოდიკინა) (Mitford T. B., 1980: 1217-1218). ასევე სრულიად განსხვავებული ტოპონიმებია დაცული პტოლემეაიოსთან (III ს), რომელთანაც ტრაპეზუნტის სამხრეთ-დასავლეთით ძეფირიონი (?), Aζα და კოკალია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ასიბა, მარდარა და კამური-სარბონია აღნიშნული (Mitford T. B., 1980: 1214).

ისევე როგორც წინა პერიოდებში, ანტიკური სამყაროს წარმომადგენლების, ამ შემთხვევაში რომაელების, ძირითად საყრდენს სანაპირო პუნქტები წარმოადგენდნენ. თავისი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებით გამორჩეოდნენ: ფადისანე (ფაცა), პოლემონიონი (ბოლომანი), ფარნაკია (გირესუნი), ტრიპოლისი (ტირებოლუ), თავისთავად ტრაპეზუნტი, პისო/ისიპორტო (ჯანაიერი), რიზუსი და, შესაძლოა, ათენა (პაზარი) (Максимова М.И., 1956: 308-309, 311, 314-320, 407-410; Mitford T. B., 1974: 162; Bryer A., Winfield D., 1985: 328, 330, 350; შაიდელი ძ., 1985: 134; Gregory S., 1997: 28-29; კახიძე ე., 2002: 63-67). მილიტარიზაციის დონე კიდევ უფრო III ს კრიზისის დროს გაძლიერდა, რაც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან წარმოებულმა ყაჩაღურმა ექსპედიციებმა განაპირობა. 257 წ ბორანებმა და ოსტგუთებმა მოახერხეს კარგად გამაგრებული ტრაპეზუნტის აღება (Zos., Hist. Nova, I, 32-33). არაა გამორიცხული, რომ 264 წ გუთების მიერ კაპადოკიისა და ვალათიაში შეჭრა (SHA, Gall. II, 11) სწორედ ამ ქალაქის გავლით მომხდარიყო (Максимова М.И., 1956: 307₂). იოანე ძალალასა (Chron., XII) და მოსე ხორენელის (II, 76) მიხედვით 276 წ კილიკიაში გუთების თარეშის აღკვეთის მიზნით გამომგზავრებული იმპერატორი მარკუს კლაუდიუს ტაციტუსი შეთქმულებმა ჭანეთში მოკლეს. 291 წ აქ ლაზიკის გავლით სარმატები შემოვიდნენ და მდ. ჰალისამდე მიაღწიეს (Const. Porphy., De Admin. Imp., 53). ბუნებრივია, ყოველივე ამან უარყოფითად იმოქმედა რეგიონზე და უპირველესად ტრაპეზუნტზე, რაც ამიანე მარცელინეს მიერ მის გაკვრით მოხსენიებაში (Res Gestae, VIII, 16), „თავისუფალი ქალაქის“ სტატუსისა და მონეტის მოჭრის უფლების დაკარგვაში (Bryer A., Winfield D., 1985: 182) გამოიხატა. მართალია, 284-288 წ წ ტრაპეზუნტი *I Legio Pontica*-ს ბანაკად იქცა (Mitford T. B., 1974: 164) და როგორც „ორენტიოსის მარტვილობიდან“ (III-IV სს მიჯნა) ჩანს, კვლავ ინარჩუნებდა რეგიონის ცენტრის სტატუსს (კეკელიძე კ., 1957: 300-301), მაგრამ IV ს ტრაპეზუნტს კავკასიის საჯარისო ფორმირებების მომარაგების საქმის დათმობა ანტიოქიისათვის მოუხდა (თოდუა თ., 1995: 131 და იქ მით. ლიტ.), ხოლო V ს დასაწყისისთვის ის ფაქტობრივად კასტელუმად იქცა (Bryer A., Winfield D., 1985: 182).

თავიანთი ძირითადი საყრდენი ძალის - საქალაქო ცხოვრების მოშლა, რათქმაუნდა, ნეგატიურად მოქმედებდა რომაელთა (ბიზანტიელთა) პოზიციებზე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და შესაბამისად კავკასიაში. დიოკლეტიანესა და კონსტანტინეს რეფორმების მიუხედავად ცენტრიდანური პროცესები IV ს იგრძნობოდა. მაგალითად, გაძლიერდა დასავლეთქართული სახელმწიფო - ლაზიკა (ეგრისი), რასაც მძი-

მე ვითარებიდან გამომდინარე, ხელს არც ბიზანტია უშლიდა (ჯანაშვილი ს., 1952: 317-318; ლომოური ნ., 1968: 72, 75; მუსხელიშვილი დ., 1977: 82; 2003: 106). ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ სწორედ IV მეორე ნახევრიდან ლაზიკამ თავისი საზღვრები ჭანეთის აღმოსავლეთ მონაკვეთამდე (რიზეს მხარე, ზღვისპირა კლარჯეთი) თუ ტრაპიზუსამდეც კი განავრცო (ასათიანი ნ., ლორთქიფანიძე მ., 1993: 68, 76; ჭიჭიშვილი გ., 1994: 68). სხვები ამ მოვლენას V ს პირველი ნახევრის ათარიღებენ (მუსხელიშვილი დ., 1977: 94).²⁶ თუმცა, ქართულ და სომხურ წყაროებზე (ქც, I, 64-67, 131, 137; მოვსეს ხორენაცი, 1984: 172; Армянская география, 1877: 39)²⁷ დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდის ძირითად მონაკვეთში არათუ ჭანეთი, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილიც კი ლაზიკის სახელმწიფო საზღვრებს გარეთ დარჩა (გრიგოლია გ., 1994: 132-133, 135, 143; შეად. Меликишвили Г. А. 1959: 181-182; ლომოური ნ., 1968: 67, 75). ამ მხრივ გასათვალისწინებელია არქეოლოგიური მასალა, რომელიც მიხედვითაც სავარაუდებელია, რომ უკვე III ს ბოლო-IV ს დასაწყისიდან ბიზანტიელები ციხისძირში კასტელუმს აშენებენ, რასაც IV ს მეორე ნახევრიდან ქალაქური ტიპის დასახლების წარმოშობა და ერთსაუკუნოვანი ფუნქციონირება მოჰყვა (ინაიშვილი ნ., 1993: 100-114, 121). ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა გ. გრიგოლიას საკმაოდ არგუმენტირებულ მოსაზრება *Notitia*-ს სებასტოპოლისა და ციხისძირის იგივეობის შესახებ (გრიგოლია გ., 1994: 132, 142). მართალია, არ გამოირიცხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლის ერთი ნაწილი ლაზთა ხელში გადასვლის შესაძლებლობა, მაგრამ ეს ნაკლებსავარაუდოა ჩვენთვის საინტერესო სამხრეთის მიმართულებით. მაგალითად აფსაროსის დაცლა ბიზანტიელთა სტრატეგიული ინტერესების ციხისძირისკენ გადანაცვლებით უფრო იხსნება (საინტერესოა, რომ სწორედ IV ს იწყება იქვე მდებარე ძველი ანტიკური ცენტრის ფიჭვნარის ხელახალი დაწინაურება, იხ. კახიძე ა., ვიკერსი მ., 2004: 123-131), ვიდრე ადგილობრივი სახელმწიფოს აქტივობით, რომლის არავითარი კვალ გონიოს მრავალწლიანი გათხრების შედეგად არ დადასტურებულა (კახიძე ე., ხალვაში მ., 1998: 30-32; ხალვაში მ., კახიძე ე., 2004: 147-149).

ამგვარი სიტუაცია V ს მეორე ნახევრიდან უნდა შეცვლილიყო დასაშვებია, რომ ანონიმის ცნობა ლაზთა აფსაროსამდე (ე. ი. ჭოროხამდე) განვრცობის შესახებ (PPE, 48), ცოტა უფრო ადრეული რეალობის ამსახველი იყოს, მაგრამ „დანიელ მესვეტის ცხოვრების“ მიხედვით ლაზიკის საზღვრებმა ხოფამდე მხოლოდ ამ საუკუნის 60-70-იან წლებში მიაწია (კეკელიძე კ., 1961: 5-6; გრიგოლია გ., 1994: 70-71).

²⁶ იგივე ავტორის 2003 წ მონოგრაფიაზე თანდართული რუკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ჭანეთი IV ს მეორე ნახევრისა და V ს პირველი ნახევრის ლაზიკის შემადგენლობაში (შეად. ლომოური ნ., 1989: 10; გოგიტიძე ს., 1998: 50, 56-57).

²⁷ მართალია, „სომხური გეოგრაფიის“ რედაქციებში (Армянская география. 1877: 16; Géographie de Moïse de Coréne. 1881: 27-28) ჭანეთს ანუ ხალდეების ქვეყანას და მის ქალაქებს (ათინა, რიზონი, ტრაპიზონი) კოლხეთში, იგივე ეგრისში ათავსებს, მაგრამ უფრო საერთო ეთნიკური წარმოშობაა გათვალისწინებული, ვიდრე პოლიტიკური რეალობის წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გვერდით დასავლეთ საქართველოს სხვა ტომები, თუნდაც სკანები უნდა დასახლებულიყო. (შეად. მუსხელიშვილი დ., 2003: 101)

77, 143). საინტერესოა, რომ დაახლოებით ამავე პერიოდიდან იგივე რეგიონში ქართლი აქტიურდება. ჯუანშერის მიხედვით გორგასალმა ბიზანტიელთაგან მიიღო „ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი ზღუითან ვიდრე არსიანთამდე, და ხევნი რომელნი მოსდგამან ღადოთა (?)“ (ქც, I, 1955: 177). როგორც ჩანს, აღმოსავლეთქართულმა სახელმწიფომ შემდგომი ექსპანსია ჩრდილოეთისკენ განაგრძო, სადაც გაცილებით უფრო სუსტი მეტოქე - ეგრისი ეგულებოდა. სწორედ ამ ისტორიული რეალობის ანარეკლი უნდა იყოს ვახტანგის მიერ აღდგენილი ოძრხეს საერისთავო (ქც, I, 1955: 185), რომელიც მისი სიკვდილის წინ კლარჯეთისა და წუნდის საერისთავოებთან გაერთიანდა (ქც, I, 1955: 203-204), ხოლო პროკოპისთან პეტრამდე განვრცობილ „ერთი თვითმყოფადი ხალხის“ (BG, VIII, 2) სახელით მოგვევლინა (გოგიტიძე ს., 2002: 23; შეად. მუსხელიშვილი, 2003: 101).

მიუხედავად ყველაფრისა, ჭანეთის ძირითად ნაწილზე, სადაც ქართული სახელმწიფოებრიობა საუკუნეების განმავლობაში აღარ არსებობდა, ბიზანტიამ შეინარჩუნა თავისი გავლენის ბერკეტები, განსაკუთრებით ზღვისპირა პუნქტებში. ჰერაკლეონი, Caena (რავენას ანონიმის Cena), კამილა, პიტანე (რავენას ანონიმის ფიტანე) პოლემონიონი, მელანტუმი (რავენას ანონიმის მელანციუმი), კარნასო (კერასუნტი, რავენას ანონიმის პარნასუმი), ზეფირიუმი (რავენას ანონიმის ზეფირიონი/კერასუნტა(?)), ფილოკალია, კორდილე (რავენას ანონიმის კორდულე), ტრაპეზუნტი (რავენას ანონიმის ტრაპეზუმი), ჰისოსი/ჰისილიმენი (რავენას ანონიმის ისულიმე), პითიე/ოფიუნტი, კანე პარემბოლე („ორენტოსის მარტვილობის“ „ბანაკები“ თუ კენი პარაოლიდი), რიზე (Notitia-ს რეილა), ადიენოსი (Tabula-ს არდინეო), ათენა, (აღმოსავლეთ) კორდილე („ორენტოსის მარტვილობის“ კორდილონი), აბგაბესი (პროკოპის არქავე), კისე და დროვამოშვებით ხოფა მის განკარგულებაში რჩებოდა. IVს ბოლო-Vს დასაწყისის ძველის - Notitia-ს მიხედვით კარგად ჩანს, რომ დამპყრობელი პოზიციებს ქვეყნის შიდა რაიონებშიც იმაგრებდა. აქ (ზივანა, სილვანისი, ღაზანენიკა, სისილა, მოხორა, ავადა), ისევე როგორც ზემოთ ჩამოთვლილ ზოგიერთ ზღვისპირა პუნქტში (ჰისოსი, პითიე, კანე პარემბოლე, რიზე) ბიზანტიური გარნიზონები იდგა (Or., 38). VIს ჩამოყალიბებული უფრო სტაბილური საშინაო და საგარეო ვითარების პირობებში ბიზანტიის იმპერიამ კიდევ უფრო გააძლიერა ექსპანსია. ბუნებრივია, მთავარი ყურადღება ტრაპეზუნტის აღორძინებას დაეთმო. ახ. წ. I-IIIსს მსგავსად ის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჰინტერლანდთან და კავკასიასთან დამაკავშირებელ რგოლად იქცა (Proc., BP, II, 30; Agath., III, 19; Menandri, fr. 22); საბოლოო სახე მიიღო თავის დროზე (III ს.) დაზიანებულმა საფორტიფიკაციო ნაგებობამ (Bryer A., Winfield D., 1985: 180, 186); იუსტინიანემ კეთილმოაწყო ქალაქი და აღადგინა საკულტო ნაგებობები (Proc., De Aed., III, 7). გასაგები მიზეზების გამო „ურბანიზაციულმა ბუმმა“ განსაკუთრებული ინტენსივობა ჭანეთის აღმოსავლეთით შეიძინა. ახლად აივო ან შეკეთდა ჰინტერლანდსა (პორონონი, ხარტონი, ბარხონი, სისილისონი, Burgus Novus-ი, სქამალიხონი, ჭანზაკონი) და ზღვისპირეთში

(რიზე, თეოდორიადა) განლაგებული საფორტიფიკაციო ნაგებობები თუ ქალაქები (Proc., Aed, III, 6; Agath., V, 1; Imp.lust. Novella, XXXI). ნიშანდობლივია, რომ IV-Vს ჭანები სხვა დაპყრობილი ხალხების მსგავსად იმპერიის სხვადასხვა კუთხეში მსახურობდნენ (Amm. Marc., Res Gestae, XXV, 1, 19; Zos., Hist. Nova, III, 28; Not. Dign., Or. 8, 31). ეს პრაქტიკა VIIს გაგრძელდა (გეორგიკა, II, 1965: 184₂, 234₁). მათი აქტიური მონაწილეობა მიიღეს ლაზიკაში მიმდინარე ბიზანტია-ირანის ომსა (Proc., BP, II, 29-30; BG, VIII, 13; Agath., II, 20-21, III, 20, 22, IV, 13, 18) და საკუთარ თვისტომთა ანტიბიზანტიური აჯანყების (556წ) ჩაქრობის საქმეში (Agath., V, 1-2). ასევე სიმპტომატურია, რომ VII ავტორი პროკოპი კესარიელი ტრაპეზუნტის დასავლეთით უკვე აღარ მოიხსენიებს ქართველურ ტომებს, არამედ ე. წ. პონტოელებს, ხოლო მათ აღმოსავლეთით განლაგებულ ტერიტორიას ტრაპეზუნტელთა ქვეყანას უწოდებს. ბიზანტიური გავლენის შესუსტებასთან პარალელურად იცვლება ტერმინებიც. ტრაპეზუნტელთა ქვეყნის საზღვრებს იქით მხოლოდ დასახლებული პუნქტებია (სუსურმენა და რიზე) ჩამოთვლილია შემდეგ ერთი ხალხის მიწა-წყალი (დაახლ. დღევ. ციხისძირამდე) ბოლოს კი ლაზეთი და მისი ქვეშევრდომები: სკვიმია და სვანია (BG VIII, 2).

ლაზიკაში რომაული სამხედრო მანქანის წარუმატებლობის ფონზე ჩანს, რომ ჭანეთში ანტიკური ცივილიზაციის ზეწოლა, რომელიც ჯერ კიდევ დიდი ბერძნული კოლონიზაციიდან დაიწყო, სუსტი სახელმწიფოებრიობის ან მისი არარსებობის წყალობით ყოველ ახალ ეტაპზე ღრმავდებოდა, რამაც V-VIს ერთგვარი კვინტენსირებული ფორმა მიიღო და სამხრეთ კოლხეთის დიდი ნაწილის უცხო სხეულში ფაქტობრივი ინკორპორაციით გამოიხატა. უდავოა, რომ რომაულმა გავლენამ მრავალ დადებით ტენდენციასაც შეუწყო ხელი. წინა საუკუნეთა შედარებით მნიშვნელოვანწილად აღიკვეთა მეომარ ტომთა თავდასხმები დაიწყო ურბანული დასახლებების აღორძინება. ამან, ისევე როგორც წინა თუ მომდევნო ეპოქების საგარეო ზეწოლამ მაკონსოლიდირებულ როლი შეასრულა. კომენტარს არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ლაზიკაში სწორედ იმპერიის წნეხის გავლის შემდეგ მიიღო ერთიანი სახელმწიფოს ფორმები. ასევე შეიმჩნევა სამხრეთ კოლხეთში ერთი ეთნიკური ჯგუფის – ჭანების ირგვლივ კონსოლიდაცია. როგორც ჩანს, სწორედ რომაულ სამყაროსთან მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ურთიერთკავშირებმა, პროგრესული იდეოლოგიის მიღებისათვის კულტურულ მზადყოფნასთან ერთად, უზრუნველყო ქრისტიანული იდეოლოგიის გავრცელება ქართულ სამყაროში. ადრეული თუ უფრო გვიანდელი წყაროების (Василевский В., 1909: 226-227; გეორგიკა, IV, 6. 1, 1941: 57-59; ქც, I, 1955: 38-42) თანახმად ირკვევება, რომ ზღვისპირა ქალაქების მეშვეობით ქრისტიანობა ჩვენთან IX შემოდის. IVს ეს პროცესი უფრო ინტენსიურად წარიმართა (Ποπαдопуλο-Κεραμεвс А., 1897: 8, II; Успенский Ф. И., 1918: 234; Cumont F., E., 1906: 367; Mitford, T. B., 1974: 161-162; Bryer, A., Winfield D., 1985: 182; კეკელიძე კ., 1957: 300, 319, 414-415; გეორგიკა, IV, 6. 2, 1952: 413-415; Kakhidze E., 2004:50) და საბოლოოდ VIს დასრულდა, როდესაც ჭანებმა იუსტიცია

ნეს მეფობის დროს ახალი რელიგია ოფიციალურად მიიღეს (Proc., De Aed., III, 6). თუმცა, მცირე აზიის მსგავსად, სადაც ნაკლებად ელინიზირებულ თუ რომანიზირებულ რეგიონებსა თუ საერთოდ, სასოფლო თემებში ქრისტიანობა ძნელად მკვიდრდებოდა (Ранович А. Б., 1949: 116; Голуницова Е. С., 1979: 358), აქაც ზღვისპირა ცენტრების გამოკლებით, ახალი იდეოლოგია, ისევე როგორც დასავლეთიდან შემოსული სხვა ნოვაციები, სირთულეებს წააწყდა. (Kakhidze E., 2004:50-51)

გამომდინარე იქიდან, რომ ჭანები თავისთავადი, არაანტიკური ცივილიზაციის წარმომადგენლები იყვნენ და საუკუნეების განმავლობაში დასავლურქართული სახელმწიფოდან წამოსული იმპულსების გავლენის ქვეშ იყოფებოდნენ, ბიზანტიელებმა თავიანთი მიზნების მიღწევა ბოლომდე ვერ მოახერხეს (ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით მაინც), მაგრამ საბოლოო ჯამში დამპყრობელმა ისარგებლა აქ ადგილობრივი სახელმწიფოს არარსებობით, ჰინტერლანდში შეაღწია და უკვე VII ს თავისუფლებისმოყვარე მთიელები ასე თუ ისე საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების სამსახურში ჩააყენა, მოწყვიტა მშობლიურ ეკლესიას, სახელმწიფოს და ნაბიჯ-ნაბიჯ უცხო ქვეყნისადმი სამსახურს შეაჩვია. სწორედ ეს უკანასკნელი თვისება საუკუნეების განმავლობაში მტკიცედ ჩაჯდა ამ რეგიონის მკვიდრთა ფსიქოლოგიაში და წარმატებით გამოიყენებოდა მათივე მონათესავე ტომების წინააღმდეგ მიმართულ აშკარა თუ ფარულ გეგმებში.

ლიტერატურა

1. ასათიანი ნ., ლორთქიფანიძე მ., საქართველოს ისტორია (VIII კლასის სახელმძღვანელო), თბ., 1993.
2. გეორგიკა, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანით გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.
3. გეორგიკა, ტ. II, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965.
4. გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. 1, ტექსტები გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941.
5. გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. 2, ტექსტები გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952.
6. გოგიტიძე ს. ძიებანი ვახტანგ გორგასალისდროინდელი ქართლის ისტორიიდან, ბათუმი, 1998.
7. გოგიტიძე ს. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საისტორიო გეოგრაფია, ბათუმი, 2002.
8. გრიგოლია გ. ეგრის-ლაზიკის საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994.
9. თოდუა თ. რომაული სამყარო და საქართველოს შავიზღვისპირეთი (სადოქ. სად. ნაშ.), თბ., 1995.
10. თოდუა თ. რომაული სამყარო და კოლხეთი, თბ., 2003.
11. ინაიშვილი ნ. ციხისძირის ახ. წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993.

12. ინაძე მ. ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის (ფლავიუს არიანე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ) (საკ. სად. ნაშ.), თბ., 1953.
13. კახიძე ა., ვიკერსი მ., ფიჭვნარი I, საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1998-2002 წწ. ბათუმი/ოქსფორდი, 2004.
14. კახიძე ე., ხალვაში მ. ვონიო-აფსაროსი წერილობითი წყაროებისა და უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.-კულტურის ისტორიის საკითხები (თსუ-ის კულტურის ისტორიის კათედრის კრებული), V, თბ., 1998.
15. კახიძე ე. რომის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ახ. წ. I-Vსს (საკ. სად. ნაშ.), თბ., 2002.
16. კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957.
17. კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, თბ., 1961.
18. ლომოური ნ. ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968.
19. ლომოური ნ. საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა საუკუნეში, თბ., 1989.
20. ლორთქიფანიძე გ. ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991.
21. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხური ისტორიის თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1984.
22. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977.
23. მუსხელიშვილი დ. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2003.
24. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955.
25. შპაიდელი მ. კავკასიის საზღვარი. II ს. გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფაზისში.-მაცნე, I, 1985.
26. ხალვაში მ., კახიძე ე., აფსაროსი ახ.წ. IV-V საუკუნეებში. ძიებანი, 13-14, 2004.
27. ჯანაშია ს. შრომები, II, თბ., 1952.
28. ჭეიშვილი გ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (მესხეთის) ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ანტიკურ ხანაში (საკ. სად. ნაშ.), თბ., 1994.
29. Адонц Н. Армения в эпоху Юстиниана, Ер., 1971.
30. Армянская география VII в. Перевод К. Патканова, СПб., 1877.
31. Василевский В. Хождение Апостоле Андрея в стране мирмидонян, труды, т. II в. вып. IV СПб., 1909.
32. Голубцова Е. С. Северное Причерноморье и Рим на рубеже нашей эры, М., 1951.
33. Голубцова Е. С. Идеологическая жизнь сельского населения Малой Азии в I-III вв. н. э.-Проблемы античной истории и культуры, I (доклады XIV международной конференции античников социалистических стран "Эйрене"), Ер., 1979.

34. Кигурадзе Н., Лордкипанидзе Г., Тодуа Т. Клейма XV легиона из Пицундского городища.-ВДИ, 2, 1987.
35. Максимова М. И. Античные города Юго-Восточного Причерноморья, М.-Л., 1956.
36. Меликишвили Г. А. К истории древней Грузии, Тб., 1959.
37. Попадопуло-Керамевс А. Сборник источников по истории Трапезунтской истории, ч. 1, СПб, 1897.
38. Ранович А. Б. Восточные провинции Римской империи в I-III вв., М.-Л., 1949.
39. Успенский Ф. И. Отчеты о командировке в Трапезунт.-ИРАН, 16, 1918.
40. Barrington Atlas of the Greek and Roman World, ed. R. J. A. Talbert, Princeton/Oxford, 2000.
41. Bryer A. and Winfield D. The Byzantine Monuments and Topography of Pontus, vol. 1, Washington, 1985.
42. Crow J. A. A Review of the Physical Remains of the Frontiers of Cappadocia. The Defence of the Roman and Byzantine East, eds. P. Freeman and D. Kenedy, Proceedings of a Colloquium Held at the University of Sheffield in April 1986 (Oxford), BAR Int. Ser., 1986, 297 (I).
43. Cumont F. et E. Voyage d' Exploration Archéologique dans le Pont et la Petite Arménie, Bruxelles, 1906.
44. Géographie de Moïse de Coréne d'après Ptolemée. Texte arménien traduit en Français par le p. Arsène Soukry Mekhitariste, Paris, 1881.
45. Kakhidze E. The christianisation of Georgia. Proceedings of an International inter-disciplinary conference on the Black Sea Region: Past, Present and Future, Istanbul. 14-16 October, 2004.
46. Gregory S. Roman Military Architecture on the Eastern Frontier, vol. 2, Amsterdam, 1997.
47. Mitford T. B. Some Inscriptions from the Cappadocian Limes.- JRS, 64, 1974.
48. Mitford T. B. Cappadocia and Armenia Minor: Historical Setting of the Limes .- ANRW, II, 7, 2, 1980.

Emzar Kakhidze

Chaneti/Tzanike in the Roman Imperial and Early Byzantine Periods

Summary

Roman Empire thoroughly assisted with the strengthening of Greek settlements that were in the east provinces and founded new military or urban centers during the 1st-3rd centuries A. D. Besides, there simultaneously increased the influence of barbarian elements, that became more apparent during

the following centuries.

Unfortunately, we can not say the same about the main part of the South-Eastern Black Sea Littoral, especially about its west section where the lack of local statehood made a foreign influence irregular and hence negative to the prejudice of national unity.

Roman and Byzantine forts were something like stabilizers and they somehow even precipitated the process of urbanization in Chaneti (especially at the times of Justinian's governance). There is observed a process of consolidation around a single ethnic group – the Tzani. The most remarkable were the influences in the religion notions. As it appears, close political and economic interrelation with the Roman-Byzantine World (together with cultural readiness to get progressive ideology) guaranteed the spread of Christianity in Chaneti as well as in other Kartvelian (Georgian) lands.

Эмзар Кахидзе

Чанети в позднеантичное и ранневизантийское время

Резюме

В первой стадии принципата римляне свое влияние в Юго-Восточной Причерномории распространяли с помощью вассального Понтийского царства. После упразднения Нероном этого государства и концентрации военных сил на Востоке, римляне заметно активизировались, что в период правления Веспасиана закончилось формированием “Понтийско-кавказской пограничной линии”. Несмотря на то, что римские гарнизоны стояли в хинтерланде (южнее Трапезунта), влияние античной цивилизации I-II вв. не было подавляющим. Но, отсутствие государственности привело к тому что в IV-V вв. иностранное влияние возросло. Правда, византийцам не удалось выполнить свою задачу до конца (особенно к востоку от Трапезунта), но к VI в. очаги сопротивления в основном были погашены, когда-то свободолюбивые горцы стали инструментом в руках империи против своих же соплеменников.

Римско-византийское владычество сопровождалось и положительными тенденциями. Оно сыграло большую роль в стабилизации общественной жизни Чанети, содействовало урбанизации, развитию экономики, торговых отношений, консолидации разрозненных племен и что самое главное, включило регион в сферу Христианского мира.

Emzar Kakhidze

Roma ve Eski Bizans Döneminde Çanistan (Çaneti)

Özeti

M.Ö. 66-65 yıllar arasında MİTRİDATUS ve müttefiklerinin mağlubiyetinden sonra, Romalılar yeni fethedilmiş topraklarda kendi etkisini korumayı küçük devletlerle gerçekleştiriyordu. Bunlar arasında da Doğu Karadeniz de yer almaktaydı. Yalnız NERO bu durumu tamamen değiştirerek diğer fethedilmiş memleketler gibi ilgimizi çeken bu bölgedeyi de m.s. 63. yılında Roma İmparatorluğuna bağladı. Bu olayın neticesi "Ponto-Kafkas Sınır Çizgisi" yani **Pontos Lemisi** kurulunca VESPASIANUS tarafından tamamlanmıştır. Bütün bunlara rağmen Roma Uygarlığın etkisi 1-3. yüzyıllar arasında sahil bölgelerinde hissedilmekteydi. 4-5. yüzyıllarda da Roma Uygarlığı Doğu Roma (Bizans) İmparatorluğu tarafından bölgenin iç taraflarına da götürüldü. Yalnız Batı Gürcü (Gürcistanın batısında olan) Kavimler Devletin (Lazikin) yerel yöneticileri bağımsız yönetim sürdürmeyi başarmışlardı. Gerçi bu bağımsızlık onların büyük çabalarına rağmen m.s. 6. yüzyılda sona erdi. Bağımsız yönetimi seven dağlıkların bazıları, birden bire değişerek kendilerini zapteden Romalıların politikasının gelişmesine sebep oldular.

Roma-Bizans egemenliğinin pozitif yanları da vardı: Çaneti'nin sosyal durumları düzeltildi. Ekonomi ve yaşam durumları yükselişe doğru gitmeye başladı. Ayrı ayrı olan kavimlerin, kabilelerin birleşmelerine sebep oldu, Hristiyanlık yayıldı ve b. ş.

უპოვლესი აია და დღევანდელი აი ია

ბერძენთა მითოლოგიით მზე (ჰელიოს) ქვეყნიერების მანათობელ ვთაებაა – ყოველ დილას ამოდის აღმოსავლეთში (აია, კოლხეთი), ჩადის დასავლეთში (აიაია, ჰესპერია). ჰელიოსს ოკეანოსის ასულმა პერსეისმა უშვა ძე:აიეტი, ასულები:კირკე და პასიფაე, ვაჟიშვილი:პერსესი. პერსესი ტავრისის (ტავრიდა) მბრძანებელია, პასიფაე-კრეტის დედოფალი, მინოსის ცოლი (ხაზი ესმება მეცნიერული მონაცემებით დადასტურებულ ფაქტს: კოლხური და მინოსური კულტურა უძველესი და ერთდროული მოვლენაა). გრძნეული კირკე, ბუნების მომწესხველი ქალღვთაება, ჰელიოსმა თავისი ეტლით გადაიყვანა ჰესპერიაში, აიაია-ს (აია) მფლობელობა ჩააბარა. მეფე-ქურუმი, მოგვი აიეტი, მზელვთაება ძე:აიას, კოლხიდას განაგებს (ბერძენთაგან ქართული კულტურისა და პატივის აღიარება). აიეტს კავკასიელი ნიმფა ასტეროდეა შეურთავს რომლისგანაც შესძენია აფსირტოსი, ოკეანისმა იდიამ აუშვა ქალკოი და მედეა.

კოლხი ბუმბერაზი აიეტი, მზის შვილი, ოკეანიდან ამომავალი მზის გულივით მოციმციმე გმირი მეფე, რვალის პერანგს იცვამს, ოქროს მუზარადს იხურავს, მრავალკეცი ხარის ტყავის ფარს ხელთ იღებს. მსუბუქად ატრიალებს შუბს (რომლის ტარებას მხოლოდ ჰერაკლე თ შეესძლებს); ოქროს ეტლით დაატარებს აფსირტე, ქარივით სწრაფ ცხენები შეუბამთ ეტლში; ოქროს ჩაფხუტის ციმციმით გადის ხოლ ბუნებზე, სპილენძისჩლიქებიანი ხარებით ხნავს ერთ დღეში 7 დღის სახნავს, თესავს დრაკონის კბილებს, ხოცავს მიწისშობილ ბუმბერაზებს. აიეტის სასახლეს ვაზის ლერწები ეხვევა, ეზოში ღვინისა და ანკარა წყლის შადრევნებია.

ანტიკურ სამყაროში ცნობილი იყო რომ კოლხეთი არის ოქროსაწმისის ქვეყანა („ოქროს“ უძველესი სიმბოლოა უმაღლესი სულიერებისა, უმაღლესი სიწმიდისა; „ოქროს საწმისი“ – უძველესი სიბრძნის „ვერძი“ – აზრის სიწმიდისა). ამის მოსაპოვებლად მოდიან არგონავტები. ორფეოსის მთავარი მიზანი იყო პელაზგი წინაპრების კულტურის აღორძინება, აღორძინება იმ პელაზგური, პროტოქართული სიბრძნის რომელიც ჰყვარდა პელაზგიის ნახევარკუნძულზე (დღეს – ბალკანეთის), პელაზგების ქვეყანაში და ელინურ პერიოდში გადაგვარდა და დაკნინდა.

იაზონი აია-ს ქვეყანაში შეიყვანეს კოლხურ მისტიკურებში (მისტიკურია – განბრძნობა), ჩაუტარეს გარკვეული გამოცდები, განვლო მრავალი ეტაპი თვითგანვითარებისა, განწმენდისა და აზიარეს „ოქროს საწმისის“. ის გამოცდები, რომელიც გაიარა იაზონმა, სიმბოლოებია იმისა რომ ბერძნებს კოლხეთში დახვდათ სამყარო პრეისტორიული სიბრძნისა, კაცობრიობის ყველაზე უფრო ძველი სიბრძნისა.

ცხადია, კოლხეთის სამეფოს განაგებდა არაერთი მეფე, ბერძნებს კი ისევე როგორც კრეტის ყველა ამბავი მინოსს მიაწერეს, კოლხეთშიც ერთი მეფის, აიეტის სახე შემოგვიწინახეს. „აიეტი“ ბერძნულად აია

ელს ნიშნავს, მოკვდავთმანათობელს; იათა მეფე - ქართულად ხსნის აკაკი წერეთელი.

„სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავი... ამ ცნებით ქრისტიანობა 2000 წლის წინ კვართი უფლისათი შემოვიდა, მაგრამ თავისი შინაგანი ამაღლებით ქართველი კაცი ჭეშმარიტების უდიდეს საიდუმლოს ატარებს: ამის მაგალითია არგონავტების მოსვლა; ისინი ოქროს მოპოვების წესზე უფრო დიდი საიდუმლოს გამო გამოჩნდნენ და ოქროს ვერძი იყო სწორედ ეს საიდუმლო. ვერძი ქრისტიანობაში იგივე მაცხოვარია, საწმისი - ბარძიმი, რომელშიც უფალია. აი, ამ ტყავზე იყო დაწერილი ქრისტეს წინასწარმეტყველება... არგონავტები საქართველოში ქრისტიანობის საიდუმლოს წასაღებად ჩამოვიდნენ“-სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარი მამა ზაქარია (ძინძიბაძე).

ძ.წ. VIII-VI საუკუნეებიდან აია იცვლება ტერმინით კოლხეთი, რის შედეგაც ანტიკური ხანის ბერძენი და რომაელი ავტორები ხშირად ხმარობენ ტერმინს აია-კოლხეთი.

ძველ შუამდინარეთში აია ქალღვთაებად ჰყავდათ. შუმერული მითოლოგიით ღამით ცაზე აია ცვლის შამაშს (მზის ღვთაება), დღით კი საღმთო ხვდება და გუნებას უკეთებს: „აია, საყვარელი მეუღლე შენი მოგესალმოს“.

ძ.წ. XVIII საუკუნის ჰამურაბის კანონების პროლოგში მოხსენიებულია აია შამაშთან ერთად. აია ურარტულშიც დასტურდება და ხეთურშიც; სვანეთში მიწათმოქმედებისა და მიწისქვეშეთის ქალღვთაებაა, აიას ღლეობას კვირა ღლეს აღნიშნავდნენ და „აია-მიშლადელ“ (სვანურად)-„აია-მზის ღლე“ ჰქვიოდა. ამჟამად აიას ღლეობას მხოლოდ სვანეთის ერთ სოფელში, უშგულში აღნიშნავენ ივლისის შუა რიცხვებში. რიტუალს მხოლოდ ქალები ასრულებენ.

ღლესაც აია ჰქვია კონცხს ყირიმის (ძველი ტავრისი, ტავრიდა) სამხრეთ ნაპირზე. პირენეის იბერებსა და ბასკეთში ღლესაც არის ადგილები: აია, ჰაია, ჰესპერია. VI საუკუნეში კონსტანტინეპოლში აგებულ ქრისტიანულ ტაძარს ბერძნებმა დაარქვეს „აია სოფია“-აიას სიბრძნე, ანუ წმიდა სიბრძნე.

გელათის აკადემიის კარიბჭეზე ნაქანდაკარია: გადაშლილ წიგნში მზე, მზეში - ია. „მეორედ იერუსალემად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“-ასეთად იქცა გელათი. ათინა საერო სიბრძნის სიმბოლო იყო, იერუსალემი-სასულიეროს... საერო და სასულიერო სიბრძნეთა შერწყმა იოანე პეტრიწის „განმარტებანი“.

თქმულება იასთან აიგივებს წმიდა კეთილმორწმუნე ქართველთა მეფეს, ჩვენს ღამაზ დელათამარს: „თამარ, კეთილო ყვავილო, სურნელოვანო იაო, სიღამაზე და სიტურფე მზისაგან გადგილიაო“.

„სიტყვა ია-სახელია ყვავილის და ქალის, სიტყვა ია საწყისია შეცდომის და სწავლის, -ვაჟა ჭითანავა.“²

1960 წლის აგვისტოში, ვენესუელაში მოეწყო მსოფლიო ერების ანბანთა სახელმძღვანელოების გამოფენა, სადაც იაკობ გოგებაშვილის „ღედა ენა, -მ უპირველესი ადგილი დაიჭირა. პირველი სიტყვა, რომლითაც იწყება ანბანის გაცნობა „ღედა ენა“-ში არია ია. ა და ი რომ ქართულში არსებობდა და გაზაფხულის ლურჯთვალა ყვავილს ია ჰქვიოდა, ეს უხსოვარი დროიდან ყველა ქართველმა იცოდა, მაგრამ თუ მათი

გვერდიგვერდ დგომა-აი ია-ასე მარტივი, ასე კეთილზმოდანი და ღმრთეობრივი მოსასმენი შეიქმნებოდა მხოლოდ იაკობ გოგებაშვილმა გაეოქროს გასაღებად დაადგა დედაენას და უკვდავებასავით უანდრეას ქართველ ბავშვებს.

ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მიგნება, უზრუნველყო ქართული ენის, დედაენის წარმატება და გადაწყვიტა მისი ბედი. ია-ორი ასო გერა, რომელნიც შეიცავენ მარცვლებს (ია), სიტყვას (ია), ფრაზას წინადადებას (აი ია)-გამოსათქმელად და დასაწერად ადვილი; პირველსავე გაკეთილზე მოსწავლე სწავლობს არამართო ორ ხმასა და ასო არამედ მაშინვე ჰკითხულობს სიტყვებსა და ფრაზას. პირველივე გაკეთილი წარმატაცია თავისი სიადვილით და სიამოვნებით. სხვა ენები ამ ვარ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან.

ია-გაზაფხულის მახარობელი; მისი არომატი განამტკიცებს სულიერ ძალებს, ნერგავს ოპტიმიზმს და აღვიძებს თვითგაჯანსაღების უნარს. ია-მკურნავი ძუძუს და გულის, ეპილეპსიის, კუჭ-ნაწლავთრაქტის,... შესამკობელი ობლის საფლავის. ოდითვან გამოიყენება „ბატონების“ დროს ავსულის გასაღვენად, „ბატონებს“ უგალობს ქართული სავედრებელ იაენანას: „ბატონების ბაღშიაო, იაენანიანაო, ...“ უდიდესი ქართული საგალობელია: „იამა გშობა შობითა...“ ქართულ გვარსახელებია: იაშვილი, ადამია, კალოიანი, ია, მამია,...

პირიქითა და პირაქეთა საქართველოს კავკასიონი... „კავკასი მბრწყინავი, მოციმციმე; „სიონ“-სიტყვით ბრძოლა; „სიონი“-საგან ღმრთისა, უფალი, ებგური (ხალხის სულიერი გუშავი), ... -სულხან-საბა, „სიტყვის კონა ქართული“.

კავკასია-ბრწყინვალე, მოციმციმე ია... აი ია!

ქართული ასომთავრული, მთვარე-მზისიერი კალენდრით (დღეს წამების სიზუსტით რომ ანგარიშობს გზას მზის ირგვლივ)-სამყაროსული ცივილიზაციის ფორმულითაა შედგენილი და ადამის მოდემის ნაშლის მოფენის (განათლების) სათავეა. მარტის გასრულებისას, გაზაფხულის ბუნიობის დღეს, მზე ვერძის ზოდიაქოს ნიშანში შედის. დედადამის გატოლების შემდგომი 1 წამით მომატებული დღე ახალი წელი პირველი დღეა. ეს 1 წამი იწყება ახალ წელიწადს, ამ წამთან მთავრდება და იწყება დედამიწის გზა-ივივე წრე მზის ირგვლივ. აი, მზის სახლი... ვერძის ზოდიაქოს წელიწადის მისტიურ, 12-ყვავილოვან გვირგვინში შეესაბამება ია, კოლხების მისტიური ყვავილი... ადამ/იანი მიკროსამყარო-თანაზიარი მინერალურთან, მცენარეულთან, ცხოველურთან, ღმრთაებრივთან.

სულხან-საბა „საუნჯე ქართული ენისა“-ს შეკრებისა და განმარტებისათვის „გამოწვლილვით“ იმოწმებს ბიბლიას (ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს), ჩვენს ფილოსოფოსთაგან ყველაზე მეტად იოანე პეტრიწს. „ღრამმატიკოსობა-ესე არს ყოელთა საბჭოთა და სასიბრძნო ცოდნის განმარტება, რომელ არს მწიგნობრობა“. „ართრონი-არა ასოები, რომელიმე წინა მოეზავებიან სიტყუათა და რომელიმე უკანა გუაროიან ჰყოფენ და დაატკობენ; არამედ ლათინთა და ელლენთა ენათშინა უმრავლეს და ერთს რიგზე გაწყობით არიან, ხოლო ქართულს წინა უკმო“. საბა მიგვანიშნებს ევროპული აზროვნების მხოლოდ ერთ რიგ, ერთხაზოვნებაზე, მაშინ როცა ქართული ყოველმხრივია. „აი-ასე“

ნი ხშირად და ართროზი, მრავალრიგად მოეზავების თავ-ბოლოთა; არიან ხშირი სამუსიკონი, სამწყობრონი და საგალობელნი“.

უძველესი აია... დღევანდელი აი ია-მისტერიების კულტურის სიმ-ბოლო, ეს ბგერები გამოხატავენ უძველეს მისტერიებს.

ქართული აზროვნებით „განათლება“ ნათლის მოფენას ნიშნავს. გა-ნათლებულმა კაცობრიობამ აზროვნების ევოლუციის 3 საფეხური, 3 კულტურა განვლო: 1). ამირანის მოდგმის სვანების შექმნილი „კლდეზე მიჯაჭვული ზეკაცი“ (ოქროს საწმისის მაძიებელ ბერძნებს სცოდნიათ მისი მისტერიების არეალი-პრომეთე მიჯაჭვულიაო კვიტაიის მახლო-ბელ მთაზე, რომელსაც ამირან-მთა ჰქვია); 2). მზის კოლხი შვილების შექმნილი „ოქროს საწმისი“; 3). იბერიელთა-„გრაალი“. „კლდეზე მი-ჯაჭვული ზეკაცი,, „ოქროს საწმისი“, „გრაალი“-აზროვნების ევოლუ-ციის ეზოთერული სახელებია. შემდეგია „მარადქალური სოფიას“ სწავ-ლება, რათა სამშენველი აღივსოს სულით. სულიწმიდის, ბუნების დი-დი ასპექტის, მარადქალური სიბრძნის გამოვლენა არის ტრანსცენდენ-ტალური ინტელექტის, ღმრთაებრივი სიბრძნის მოპოვება.

„კლდეზე მიჯაჭვული ზეკაცი“-ამირანული მისტერია, ზიარება მი-წასთან (ამირანი ზომ მიწისმუშაკობისა და სამჭედლო საქმის მასწავ-ლებელია); „ოქროს საწმისი,- აი იას-ს მისტერია, ზიარება მცენა-რეულთან; „გრაალი“-ქრისტიანული კულტურის ფორპოსტი, ზიარება ცხოველურთან ცის ზოდიაქოს მეშვეობით; „ქალწულ სოფიას“ მისტე-რია-აქაც ქართველი კაცი ჭეშმარიტების უდიდეს საიდუმლოს ატარებს: ამირანის შეუღლება ზეციურ ყამართან.

„მარადქალური სოფიას“ სწავლების მომზადებას ანთროპოსოფია კისრულობს. უძველეს კოლხურ სიბრძნეში წვდომამ, ამ სიბრძნის აღორძინებამ შეაძლებინა ფილოსოფიის დოქტორს რუდოლფ შტაინერს შეექმნა ანთროპოსოფია-სულის მეცნიერება, სიბრძნე ადამიანის შესახებ. ანთროპოსოფიაში საგულდაგულოდ აღინიშნება ძ.წ. XIX ს-ში შავი-ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, კავკასიაში, კოლხური მისტერიების არსებობის ფაქტი.³ ინიციაციის საკრალური ცოდნა, რომელიც კოლ-ხეთში განვითარდა, არგონავტების მიერ გატანილი იყო დასავლეთში და შემდეგაც კოლხეთი იყო ეგვიპტური და ბერძნული მისტერიების შეხვედრის ადგილი, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა აზ-როვნების ევოლუციის ისტორიაში.

კოლხური მისტერიები ყოველთვის იღწვოდნენ მომავლისათვის. კოლხეთს გააჩნდა ასტრალური სხეულის კათარზისის დიდი გამოცდი-ლება. წმიდა გრაალის რაინდობის ინსტიტუტის განახლება-აღორძინება გახდება სპირიტუალური მორალურობით ამოძრავებული მომავლის იმ-პულსი, რომელიც შეგვაძლებინებს მარადქალური სიბრძნის მოპოვებას, რამეთუ მხოლოდ ფიზიკური მზე კი არ გვათბობდეს, არამედ სიყვა-რულის მზეც.

ლიტერატურა:

- 1 „მესამე ათასწლეული“, №1 (44), 2000.
- 2 ჭითანავა ვ., „ათასი ფიქრი“, თბ., 1999.
- 3 Steiner R., Katalog des Gesamtwerhes, Dornach/Schweiz, 1961-1984.

Nugzar Tkhilaishvili

The anciant “Aia” and contemporary “Ai ia”

Summary

Contiguity with the magical sounds of the anciant mysterial culture of “Aia” helped the ancient Colchians to create such culture which nourished the mankind untill the antiquity. The delivery of the “Golden Fleece” to Greece demonstrate that the culture of “Aia” was transmitted to antiquity.

Нугзар Тхилаишвили

Древняя «Айя» и современное «Аи иа»

Резюме

Соприкосновение с магическими звуками древней мистериической культурной «Айя» помогло древним колхам создать такую культуру, которой питалось человечество до античной эпохи. Доставка «Золотого руна» в Грецию, говорит о том, что культура «Айя» была передана античности.

Nugzar Thilaişvili

Eski “AIA” ve bugünkü “Ai ia”

Özeti

Tarihi mistik kültürün büyüleyici harfleri olan “AIA” ile tanışmak, eski Kolhililere, beşeriyetin antik devre kadar yaşadığı kültürünü meydana getirtti. “Altun Müflon’un” (Golden fleece) Yunanistan’a götürülüşü, “AIA” kültürünün Antik Çağlardan daha da öncelere uzandığına işaret etmektedir.

ლაზუბთან პრაკლე II ურთიერთობის საკითხისათვის XVIII ს. 60-70-იან წლებში

1768-74 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II რუსეთის მხარეზე გამოვიდა. იგი რუსეთთან კავშირში ოსმალთაგან მიტაცებული ქართული მიწების განთავისუფლებას გეგმავდა. მართალია, აქცენტი ძირითადად ახალციხის საფაშოზე კეთდებოდა, მაგრამ არსებობს მონაცემები, რომ ერეკლე მეფეს მხედველობის არედან არც შაიხზღვისპირეთის ქართული მიწები ჰქონდა გამორჩენილი. ამ მხრივ საინტერესოა 1769 წლის 4 სექტემბრით დათარიღებული ერეკლე II წერილი ნ.პანინისადმი.

წერილში ერეკლე II ომში ჩაბმისათვის სრულ მზადყოფნას გამოთქვამს, ოღონდ სანაცვლოდ არანაკლებ 15 პოლკი რუსი ჯარისკაცით ითხოვს დახმარებას. წერილის ბოლოში იგი აცხადებს: „ამ თხუთმეტის პოლკისაგან ხუთი პოლკი ახლა გვებოძოს, ამ ზამთრამდისვე... ეს ხუთი პოლკი ჯარი ამად გვნებავს ამ ზამთრამდის და ამისათვის მოგახსენებთ და გთხოვთ, რომ რადგან ოსმალთ ძალი ჩვენს საზღურამდე არ მოწეულა, ჩვენ იმ ჯარის შეწევნით, რომელნიც რომ არარატის მთის გარეშემო, ანუ ახალციხისა და ანუ ყარსისა გარეშემო ქრისტიანნი არიან, და იგინი ოსმალთა მონებასა ქუეშე იყოფებიან, და კუაღად, რომელნიც შავის ზღვის გარეშემო ჩვენ კერძო ადგილნი უჭირავენ, შესაძლებელი არს, რომ ყოველივე ძალითა ღვთისათა მიუღოთ; და ათი პოლკი-გაზაფხულზე, როდესაც დროსა და საქმესა ეშესაბამებოდეს, მაშინ გვიბოძოთ“ (მაჭარაძე ვ., 1988: 415-416).

როგორც ვხედავთ, ჩვენ აქ საქმე გვაქვს საკმაოდ სერიოზულ პროექტთან, რომელშიც სხვა ტერიტორიებთან ერთად ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფის-ლაზების მიწა-წყალიც ფიგურირებს. თავისთავად ცხადია, რომ პროექტის წარმატებული განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ლაზების პოზიციასაც. განვიხილოთ ლაზთა პოტენციური შესაძლებლობები და მათი მოსალოდნელი რეაქცია რუსულ-ქართულ ალიანსთან მიმართებაში.

დავიწყოთ ლაზთა განსახლების არეალისა და რაოდენობრივი მონაცემების განხილვით.

ლაზური მოსახლეობის ძირითადი მასა განსახლებული იყო ტრაპიზონის საფაშოს ანუ ვილაეთის ტერიტორიაზე. ტრაპიზონში ინგლისის კონსულის ჯიფორდ პალგრევის ცნობით ტრაპიზონის ვილაეთი, რომელიც შეკვეთილიდან იწყებოდა და მდ. ყიზილ ირმაკამდე (ძველი პალისი) გრძელდებოდა, ოთხ სანჯაყად (სადროშოდ, ოლქად) იყოფოდა. ესენი იყო 1. ლაზისტანი, 2. ტრაპიზონის ოლქი, 3. ჭანიკი, 4. ვიუმისხანე (გოზალიშვილი გ., 1965:205). მისივე მონაცემით საფაშოს მოსახლეობა 1872 წლისათვის 938 ათას კაცს უდრიდა. აქედან მუსულმანი იყო 768 ათასი. მსგავსი მონაცემები აქვთ სხვა წყაროებსაც (Завриев Д., 1947:183).

დ.ზავრიევი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ჩრდილო-მოსავლეთ ანატოლიის სტატისტიკური მდგომარეობა, სხვადასხვა წყაროს მონაცემთა შეჯერებით ასკვნის, რომ XIX-XX საუკუნეებში მიჯნაზე ტრაპიზონის ვილაეთის მოსახლეობის ორი მესამედი უნდა ყოფილიყვნენ და მათ რიცხვს 600 ათას კაცამდე ვარაუდობს (Завриев Д., 1947:181). ეს მაშინ, როცა ლაზურ მოსახლეობას გავლილი აქვს მთელი რიგი რეპრესიები და დაწყებულია მათი გასვლა ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ნაწილში. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რაოდენობრივი შეფარდება ლაზებსა და საფაშოს დანარჩენ მოსახლეობას შორის ორ მესამედზე ნაკლებია XIX საუკუნის 60-70-იან წლებში იქნებოდა. ის კი არა, თუ ვითვალისწინებთ იმ ღონისძიებების შედეგებს, რასაც ოსმალებმა განახორციელეს ლაზების საბოლოო გატეხვისა და მათი რაოდენობის შემცირების მიზნით XIX საუკუნის 30-60-იან წლებში (რეპრესიები, მასობრივი გადასახლებები), მივალთ იმ დასკვნამდე, რომ თუ ესოდენ ხელსაყრელი პირობების მიუხედავად XIX საუკუნის მიწურულს ათასამდე ლაზი მაინც კიდევ ცხოვრობდა ტრაპიზონის ვილაეთში, წლის უკან მათი აბსოლუტური რაოდენობა 600 ათასზე მეტიც კი უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას ამაგრებს შემდეგი ფაქტები. ზ.ჭიჭინაძის გადმოცემით XIX საუკუნის II ნახევარში ლაზებში არსებული ინფორმაციით ლაზისტანიდან ოსმალეთის სხვადასხვა ნაწილში გასულიყო და დასახლებული ყოფილა 400 ათასზე მეტი ლაზი. ლაზების სიტყვით ოსმალები ამას იმიტომ აკეთებდნენ, „რომ ასეთის დაფანტვით ლაზები დაეცინას, სახეს და ვინაობის ცნობას დაჰკარგავენ და გაოსმალდების“ (ჭიჭინაძე ზ., 1927:46-47). ხოლო წ.ბაწაშის დასკვნით, რომელსაც რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების მონაცემებზე დაყრდნობით აკეთებს, სამშობლოდან რუსეთში გადახვეწილი ლაზების რაოდენობა „1800 წლიდან 1919 წლამდე შეადგენდა 515 000 სულს“. „თანაც სრული მონაცემები როდიაო“—დასძენს იგი (ბაწაში წ., 1988:48).

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის II ნახევარში ლაზთა რიცხვითი თავის სამშობლოში აუცილებლად უნდა ყოფილიყო 600 ათასზე მეტი, რათა ასეთი მოცულობის ნებითი თუ იძულებითი ხასიათის ემიგრაციის შემდეგ XIX საუკუნის მიწურულს იმდენი კიდევ დარჩენილიყვნენ, რაოდენობა დენსაც ამას დ.ზავრიევი ვარაუდობს.

დ.ზავრიევთან შედარებით უფრო შორს მიდის გ.გოზაშვილი, იყენებს რა ჯ.პალგრევის, პ.შუბინსკის, მ.ფრუნჯესა და სხვათა მონაცემებს, იგი ასკვნის, რომ XX საუკუნის დასაწყისისთვისაც კი ტრაპიზონის ვილაეთის მოსახლეობის არანაკლებ სამი მეოთხედი უნდა ყოფილიყო ლაზური წარმოშობის (გოზაშვილი გ., 1965:202-206).

ნებისმიერ შემთხვევაში აშკარაა, რომ XVIII საუკუნის 60-70-იან წლებისათვის ლაზურ-ჭანური მოსახლეობა საკმაო რიცხვმრავლობით გამოირჩეოდა და განსახლების შესაფერის არეალსაც ფლობდა. მათ რაოდენობრივი მონაცემები იძლევა შემდეგი სახის დასკვნის გაკეთებას: საშუალებას-მრავალრიცხოვანი და კარგი მეომრული თვისებების მქონე ლაზების გაწვევიანება ანტიოსმალურ კოალიციაში დიდად გაზრდილი ამ კოალიციის საბრძოლო პოტენციალს.

ოსმალთაგან ტრაპიზონის საკეისროს დაპყრობა-გაუქმების დროიდან მოკიდებული (1461 წ.), ლაზებს არასოდეს შეუწყვეტიათ ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ოსმალური უღლის მოშორებისათვის. სწორედ ამ უკომპრომისო ბრძოლის შედეგი იყო ის, რომ მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ოსმალებმა ლაზებში ვერც ქრისტიანობა ამოძირკვეს ბოლომდე და ვერც ზოგად-ქართული ეროვნული თვითშეგნება. ასეთი მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს დავუშვათ ანტიოსმალურ კოალიციაში ლაზთა შესაძლებელი გაწევრიანების ალბათობა.

როგორც ცნობილია, მაჰმადიანი ლაზების გარდა, რომლებიც დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ, საფაშოს ტერიტორიაზე საკმაო რაოდენობით ცხოვრობდნენ ქრისტიანი ლაზებიც. მართალია, ოსმალეთის მთავრობა გარკვეული მოსაზრებებით ყოველთვის უარყოფდა ქრისტიანი ლაზების არსებობას და მათ ბერძნებად ნათლავდა, მაგრამ ფაქტია, რომ პინტოელი „ბერძნების“ დიდი ნაწილი ლაზური წარმოშობისა იყო (ბაწაში წ., 1988:38-54. გოზალიშვილი გ., 1965:205-206). ამ საკითხთან დაკავშირებით შ.ლომსაძე წერს: „დღეს ოფიციალური დოკუმენტებით ქრისტიანი ლაზი აღარ არსებობს, ისინი ბერძნებად არიან აღრიცხული, თუმცა ყველა მათ ჯერ კიდევ ახსოვთ გადმოცემა თავიანთი ლაზური წარმოშობის შესახებ“ (ლომსაძე შ., 1979:27).

გარდა ამკარა ქრისტიანებისა, ტრაპიზონის საფაშოში ცხოვრობდნენ ე.წ. „კრიპტოქრისტიანები“ ანუ „ფარულქრისტიანებიც“, რომლებიც გარეგნულად მაჰმადიანობას მისდევდნენ, სინამდვილეში კი ქრისტიანობის ერთგულები რჩებოდნენ (ბაწაში წ., 1988:37). წ.ბაწაში კრიპტოქრისტიანების დიდ ნაწილს ლაზებად მიიჩნევს. ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყვნენ და შესაფერის მომენტში ამკარადაც აღიარებდნენ თავიანთ სარწმუნოებას (ბაწაში წ., 1988:27-34).

ლაზთა ეს ნაწილი (ანუ ქრისტიანი ლაზები) თავისი მენტალიტეტით ყველაზე უფრო ანტიოსმალურად განწყობილი ძალა იყო. თუმცა მათ არც მუსულმანი თვისტომები ჩამორჩებოდნენ და ოსმალური მმართველობის მიმართ ნაკლებ შეურიგებლობას არც ისინი ამჟღავნებდნენ. საერთოდ, მაჰმადიანი და ქრისტიანი ლაზები ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას იჩენდნენ. „ბალკანეთის ომებამდე-წერს წ.ბაწაში-ქრისტიანები და მუსულმანები სრულ თანხმობაში ცხოვრობდნენ, ინარჩუნებდნენ ნათესაურ კავშირებს და ერთადვე აღდგებოდნენ ხოლმე მხოლოდ ხარკის ამკრეფთა და საერთო ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, რასაც მრავალი წერილობითი წყარო და სხვა საბუთები ადასტურებენ“ (ბაწაში წ., 1988:50).

ამ ბრძოლამ განაპირობა ის, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ტრაპიზონის საფაშოს ტერიტორიაზე ოსმალეთის სულთნის ხელისუფლება ჯერ კიდევ ნომინალურ ხასიათს ატარებდა. ადგილობრივი „დერეხეები“ ანუ ბეგები ერთგვარ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. ასეთი ვითარება XIX საუკუნის შუა წლებამდე გრძელდებოდა. გარკვეულ წარმატებას ოსმალებმა 1834 წელს მიაღწიეს, როცა სულთნის მთავრობამ ლაზეთში ექსპედიცია ჩაატარა და მათი ნაწილი ბალკანეთსა და დასავლეთ ანატოლიაში გაასახლა. მიუხედავად ამისა, ლაზები შემდგომ წლებშიც დამოუკიდებელ ძალად გრძნობდნენ თავს და არაი-

შვიათად მტრობდნენ ოსმალებს. ე.ი. „ლაზები, როგორც ეთნიკური ერთეული, აუტანელ მდგომარეობაში მყოფნიც კი, უპირისპირდებოდნენ თურქებს“ (ბაწაში წ., 1988:10-11). დიდი მცდელობის მიუხედავად მათში ეროვნული თვითშეგნების ამოძირკვა არ მოხერხდა. XIX საუკუნის II ნახევარშიც კი ამ მშვენიერი კუთხის წარმომადგენლებს ახსოვდათ თავიანთი ჭეშმარიტი წარმომავლობა და ნათესაური კავშირების არსებობა დანარჩენ ქართველობასთან, განსაკუთრებით მეგრელებთან. 1873 წელს, აჭარაში თავისი ცნობილი მოგზაურობის დროს, დ.ბაქრაძე ესაუბრა ერთახლოფელ ლაზს ხასან-ალა მურადოღლის, რომელიც ბეგების საგვარეულოს ეკუთვნოდა. სხვა მრავალს შორის ხასან-ალას ესეც უთქვამს: „საერთოდ, ჩვენებური თქმულებით, ჩვენ ლაზები, მეგრელებთან ერთად ერთ ტომს შევადგენდით... ჩვენმა ბეგებმა თითქმის ყველამ იცის ქართული; ქართულად უპირატესად მათი ცოლები კითხულობენ და წერენ; ეს იმიტომ, რომ მათ ძველთაგანვე ნათესაობა აქვთ ჩურუქსუელ და მეგრელ მაღალ საზოგადოებასთან“ (დ.ბაქრაძე დ., 1988:29).

ლაზებში არსებულ ქართულ თვითშეგნებაზე მოგვითხრობს ზ.ჭიჭინაძეც, რომელსაც მრავალი გადმოცემა გაუგონია „თვით ლაზელ მოხუცებულ ხოჯიებისაგან 1895 წელს“ (ჭიჭინაძე ზ., 1927:9-10). საინტერესოა მისი ერთი ცნობაც: „1860 წ. ალი-ფაშა თავდგირიძემ ცოლად შეირთო ლაზი თავადის შაინ-ოღლის ქალი დინდინ-ხანუმი. ეს ქალი ქობულეთში მოიყვანეს. ამ დროს ამ ქალმა ქართული წერა-კითხვა იცოდა, რომელიც ლაზისტანში ესწავლა“ (ჭიჭინაძე ზ., 1927:20).

ვასაგებია, რომ თუ XIX საუკუნის ბოლოს, ოსმალთა აძენი მცდელობის მიუხედავად, ლაზებში ჯერ კიდევ დვიოდა ეროვნული თვითშეგნება, უფრო ძლიერი იქნებოდა იგი XVIII საუკუნის II ნახევარში, როცა ადგილობრივი ბეგები ქედს არ უხრიდნენ სულთანს და ფაქტობრივად ნახევრად დამოუკიდებელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

დ.ჯანელიძის გამოკვლევით ლაზების მიწა-წყალს 1749-85 წლებში განაგებდა „ლაზთა ბელადი ჯანიკლი-ალი-ფაშა“. „მის ძალაუფლებას ემორჩილებოდა მცირე აზიის ოთხი სადროშო, ანუ სანჯაყი და სამოცამდე მაზრა. ამ თვალუწვდენელ ტერიტორიაზე მდებარეობდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული ქალაქები-სინოპი, ტრაპიზონი, არზრუმი, ამაზია და სხვ“. „საჭიროების შემთხვევაში ჯანიკლი-ალი-ფაშას შეეძლო რაღაც ათიოდე დღეში 60 ათასამდე მეომარი შეეყარა“. დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ქრისტიანებს. ისინიც დიდი რაოდენობით იყვნენ მის სამხედრო ნაწილებში და მისდამი ერთგულებით გამოირჩეოდნენ (ჯანელიძე დ., 1984:180-181).

ჯანიკლი-ალი-ფაშა, „როგორც რიგი დოკუმენტებისა გვაძნობს, ფარულად ქრისტიანობდა კიდევ. იგი სხკადასხვა დროს იყო ტრაპიზონისა და არზრუმის ვილაიეთების გამგებელი, ანატოლიის სერასკერი (სარდალი), ფლობდა ვეზირის სახელოს. გამოირჩეოდა საქართველოსადმი კეთილგანწყობით“ (ურუშაძე ლ., 1989:73). ერთ-ერთ ცოლად ესვა იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის და თუ შვილი (ჯანელიძე დ., 1984:182-183).

სულთნის ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაში ეს ძლიერი და მდიდარი პიროვნება აშკარა ურჩობას იჩენდა, რამაც მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა განაპირობა. ბრწყინვალე პორტამ ლაზთა ბელადის წინააღმდეგ ინტრიგების ქსელიც დახლართა და მას მეზობელი ფეოდალი-თურქი ჩაფან-ოღლუც მიუსია (ჩაფან-ოღლუს ფეოდალური გვარი ფლობდა ტერიტორიას ანკარის რაიონში მდინარეების საქარიასა და ყიზილ-ირმაკს შორის (გიგინეიშვილი ო., 1982:51). რუსეთის რეზიდენტი ა.სტახიევი 1779 წლის 2 ოქტომბერს ნ.პანინს სწერდა: ჩაფან-ოღლუს „ხონთქრის კარმა დაავალა მოესპო ჯანიკლი-ალი-ფაშას მთელი საგვარეულო, რომელიც ბატონობდა შავი ზღვის სანაპიროზე სინოპიდან ტრაპიზონამდე და ხშირად არ ასრულებდა ხონთქრის კარის ბრძანებას“ (ჯანელიძე დ., 1984:185).

მტრებმა თავდაპირველად მოახერხეს და ჯანიკლი-ალი-ფაშა იძულებული გახადეს 1779 წლის ოქტომბრის ბოლოს სამშობლოდან გაქცეულს თავი რუსეთის ხელდებულ ყირიმის სახანოსათვის შეეფარებინა. აქ იგი რუსეთთან კავშირის ძებნას იწყებს და იმპერატრიცა ეკატერინა II-ს, მცირერიცხოვანი რუსული რაზმით დახმარების შემთხვევაში, მთელი ანატოლიის დაპყრობას ჰპირდება (ჯანელიძე დ., 1984:190).

მიუხედავად ჯანიკლი-ალი-ფაშას ყირიმში გახიზვნისა, მის ერთგულ ლაზებს ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტიათ, რამაც მალე მისი უკან დაბრუნების შესაძლებლობა განაპირობა. დაბრუნებული ლაზი ბელადი 1783 წელს მასთან ჩასულ რუსეთის აგენტებს ზვდება და კვლავ აგრძელებს მოლაპარაკებას „მცირე აზიაში მოსალოდნელი შეჭრის შემთხვევაში ლაზისტან-რუსეთის სამხედრო თანამშრომლობისა და მოკავშირეობის შესახებ“ (ჯანელიძე დ., 1984:206).

აღსანიშნავია, რომ რუსებისადმი სიმპათია ჯანიკლი-ფაშას ჯერ კიდევ 1768-74 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში გამოუვლენია, რაც, დ.ჯანელიძის აზრით, შეიბლება მისი შერისხვის ერთ-ერთი მიზეზიც ყოფილიყო.

ამრიგად, განხილულიდან ნათელია, რომ XVIII საუკუნის 60-70-იანი წლებისათვის ტრაპიზონის ვილაეთში ანტიოსმალური ტალღის აკორების ფრიად ხელსაყრელი ნიადაგი არსებობდა. ნახევრადდამოუკიდებელი ლაზი ბეგების ბრძოლა სულთნის სიუზერენობის სრული ლიკვიდაციისათვის და მათი ბელადის, ჯანიკლი-ალი-ფაშას შესაძლებლობა-მისწრაფებები გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოთ ის, რომ ანატოლიის სიღრმეში რუს-ქართველთა ერთობლივი არმიის შეჭრის შემთხვევაში ლაზები ანტიოსმალურ კოალიციას შეუერთდებოდნენ. მითუმეტეს, რომ ანატოლიაში ერეკლე II-სა და მისი მოკავშირე რუსული რაზმის გამოჩენა ავტომატურად გამოიწვევდა აქ მცხოვრები მრავალრიცხოვანი სომხების, იეზიდებისა და აისორების ანტიოსმალურ აჯანყებას-ამ ხალხების სასულიერო და საერო წინამძღოლები წლების განმავლობაში მიწერ-მოწერას აწარმოებდნენ მეფე ერეკლესთან ერთობლივი გამოსვლის თაობაზე. ამას დავუმატოთ ახალციხის საფაშოს ქართული მოსახლეობის (მათი დიდი ნაწილი ამ დროს კვლავ ქრისტიანი იყო) აშკარა სიმპათიები ერეკლე მეფისადმი და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ოსმალეთის იმპერიის საერთო კრიზისისა და მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის ომის ფონზე, ეს კოალიცია მრისხანე ძალად იქცეოდა და

ამ რეგიონში ოსმალთა ბატონობას სერიოზულ საფრთხეს შექმნევფიქრობთ, ლაზები ხელიდან არ გაუშვებდნენ ასეთ სასურველს და შეეცდებოდნენ მის გამოყენებას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მოსაპოვებლად.

ამიერკავკასიაში მოქმედი რუსეთის საექსპედიციო კორპუსის სარდლობის მიზეზით რუსულ-ქართული ერთობლივი ლაშქრობა ანაღლიაში ჩაიშალა-ეტყობა რუსულმა მხარემ თავისი სამომავლო გეგმებისათვის მიუღებლად ჩათვალა ქართლ-კახეთის სამეფოს ესოდენი გაერება. შესაბამისად, აღარ შედგა ლაზთა მოსალოდნელი ანტიოსმალური გამოსვლაც.

ლიტერატურა:

1. მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკ. I, 1988.
2. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბ., 1988.
3. ბაწაში წ., ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლურ ანატოლიაში, თბ., 1988.
4. გიგინეიშვილი ო., ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, 1982.
5. გოზალიშვილი გ., მითრიდატე პონტოელი, თბ., 1965.
6. ლომსაძე შ., გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979.
7. ურუშაძე ლ., ქართული წარმოშობის მოღვაწენი ოსმალეთში (XVI-XIX სს.), ჟურნ. „მაცნე“ - ისტორიის სერია, №4, თბ., 1989.
8. ჭიჭინაძე ზ., ოსმალეთის ყოფილ საქართველოს და ქართველთა მკამდთან ნაწილი ლაზისტანი ისტორიულის და ეთნოგრაფიული მხრით, ტფ., 1927.
9. ჯანელიძე დ., საქართველო და აღმოსავლეთი, თბ., 1984.
10. Завриев Д., К новейшей истории северо-восточных вилаетов Турции, Тб., 1947.

Oleg Djibashvili

**The relation of Irakli II with Lazians in the
60-70-th of the XVIII century**

Summary

During russian-Osmanian war in 1768-74 the King of Kartli-Kakheti Irakli II came out in favor of Russia. In the alliance with russians he planned to liberate the old georgian territories captured by Osmans. For the successful realization of this project was very important the position of numerous georgian ethnographic group – Lazians, who lived in Osmanian Empire. It is stated in the work that in the case of entry into Anatoly of russian-georgian joint army Lazian population could join to antiosmanian coalition. These considerations are supported by the fact that Lazians themselves under leadership of their Leader Janikli Ali-Pasha strove for their independence.

For the reason of the high command of the russian expeditionary corps , russian-georgian coalition expedition failed and accordingly was not realized the antiosmanian appearance of Lazs.

Олег Джибашвили

**К вопросу взаимоотношений Ираклия II с лазами
в 60-70-ых годах XVIII в**

Резюме

В русско-османской войне 1768-74 годов Картл-кахетинский царь Ираклий II выступил на стороне России. В альянсе с русскими он планировал освобождение захваченных османами грузинских земель. Для удачного осуществления проекта, большое значение имела позиция живших в Османской империи многочисленной грузинской этнографической группы- лазов. В труде высказано соображение, что в случае вторжения русско-грузинской объединенной армии вглубь Анатолии, лазское население могло примкнуть к антиосманской коалиции. Это соображение подтверждает тот факт, что лазы, под началом своего предводителя Джаникли Али-Паши, сами стремились к независимости.

По причине командования действующего в Закавказье русского экспедиционного корпуса, русско-грузинский коалиционный поход сорвался, соответственно не осуществилось антиосманское выступление лазов.

Oleg Cibaşvili

18.yüz yılın 60-70 yıllar arasında, Gürcü Kralı 2. Erekle ve Lazlar arasındaki ilişkileri

Özeti

1768-74 yıllar arasında yapılan Rus-Türk savaşı sırasında Kartli ve Kahetin Kralı 2. Erekle Rusların tarafına geçti. Onun Ruslarla birlikte olmasındaki maksadı, Osmanlılar tarafından işgal edilen Gürcü toprakların serbest bırakılmasını planlamaktı. Bu planın gerçekleştirilmesi için Osmanlı İmparatorluğu'nda yaşayan ve nüfusu büyük olan, Gürcü etnik gurubu olan Lazların tutumu çok önemliydi. Çalışmada, Rus-Gürcü birliklerin Anadolu derinliğine girdiklerinde, Lazların da bu birliklerle katılabileceklerini ve Anti Osmancılık Koalisyonuna gireceklerini ileri sürülmüştür. Lazların öncüleri olan Canikli Ali Paşa'nın öncülüğünde, Lazların bağımsızlıklarını elde etme çalışmaları da, yukarıda belirtilmiş olan planın gerçekleşmesini daha da küvvetlendiriyordu.

Ne yazık ki, Trans Kafkasya'da bulunan Rus Komutanlar tarafından, Rus-Gürcü Koalisyonu bozuldu. Dolayısıyla da Lazların Anti Osmancılık ayaklaması da gerçekleşemedi.

სახლულის საგანგებო ზოგიერთი ასაქტი ლაზეთში

ვახტანგ VI ბრძანებდა: „უკეთუ ძმანი ანუ მამა-შვილნი, ანუ ბიძა-ძენი, ანუ ბიძა-შვილნი, გინა სხვა ნათესავნი, ერთსახლნი და ერთად მამულენი ვეღარ მოთავსდნენ და გაიყარნენ, ამ წესითა და რიგით დაშორების წესი“ (სამართალი ვახტანგ VI-ისა. ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1981 წ. გვ. 211).

ასე იყო ოდითგან. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ადათობრივი სამართალი არეგულირებდა ადამიანთა შორის საზოგადოებრივ ურთიერთობებს, საჭირო იყო გარკვეული წესისა და რიგის დაცვა; განსაკუთრებით ეს ეხებოდა „ერთსახლნი“-ს ანუ ერთი სახლულის წევრთა გაყოფას და ქონების განაწილებას.

ოჯახის და საოჯახო ყოფის შესწავლა-განაწილებისას გვერდს ვერ აუკლავთ ოჯახთა ჯგუფის სეგმენტაციას. დღემდე შემორჩენილი (ხალხის ხსოვნაში მაინც) ამ მოვლენასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, კუთხეებისათვის დამახასიათებელი ადათობრივი კანონმდებლობა-სამართალი.

აღნიშნული საკითხის შესწავლა-განზოგადება ქართული და ზოგადკავასიური მაგალითებით ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. შეიქმნა ისეთი ფუნდამენტური გამოკვლევები, როგორცაა რ. ხარაძის, ალ. რობაქიძის, ვ. ითონიშვილის, გ. ნადარეიშვილის, ნ. მაჩაბლის ნაშრომები. არაერთი სტატია და წიგნი დაიწერა რეგიონების მიხედვით (ა. რობაქიძე, ს. ბახია, გ. ცეცხლაძე).

წინამდებარე სტატიაში მოკლედ შევეხებით დიდი სახლულის შედარებით მცირე ერთეულებად, ოჯახებად გაყოფა-განაწილების ზოგიერთ წესს ლაზეთში.

ტერმინის გააზრება ადრინდელთან შედარებით ბოლო პერიოდში ცოტა სხვაგვარად ხდება (ნ. მგელაძე, ნ. მასანოვი- სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები. კრ. კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი საქართველოში. I. ბათ. 1996. გვ. 17-18). საქართველოში სახლულს შეადგენდა სამი-ოთხი თაობა. იგი აერთიანებდა ცალკეულ ნუკლეარულ ოჯახებს, ასევე პირდაპირ და არაპირდაპირ ნათესავებს, როგორც აღმავალი, ისევე დაღმავალი ხაზის აგნატებს, რომლებთანაც ეგი იმყოფებოდა რეალურ ურთიერთობაში და არსებულ კავშირს შესაბამისი ტერმინოლოგიით გამოხატავდა. ნუკლეარული ოჯახების სეგმენტაციის, გაყოფის და სახლთმეურნეობრივი სტრუქტურების შემჭიდროების შესაბამისად არსებულ ზღვარს სცილდებოდა და ფართოვდებოდა მოცემული ტიპის სოციალური ორგანიზაციის ფუნქციები. ინარჩუნებდა რა რიგ მახასიათებელ ნიშნებს: სახლთმეურნეობრივ კულტებს, კერის ირგვლივ ნათესავთა შეკრების ტრადიციებს, შედარებით აღმატებითი ხარისხის ლოკალურობას (ნ. მგელაძე, ნ. მასანოვი - სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიისა და მოდელირების თეორი-

ული და მეთოდოლოგიური პრობლემები. კრ. კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი საქართველოში. I. ბათ. 1996. გვ. 17-18). ცნება „ოჯახთა ჯგუფი“ გაიაზრება, როგორც სახლეულის ფარგლებში ნაკლეარულ ოჯახთა გარეთიანება. არაერთი მეცნიერი იყენებს ცნებებს: „დიდი ოჯახი“, - „საოჯახო თემი“, „პატრიარქალური ოჯახი“, „რთული ოჯახი“ და სხვა. მართებულად მიგვაჩნია, რომ ოჯახთა ჯგუფი განვიხილოთ, როგორც სოციალური ორგანიზაციის დამოუკიდებელი სტრუქტურა. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „დიდი“ ხშირად გვხვდება ეთნოგრაფიულ ყოფაში, ის უფრო ხშირად, სახლეულის შიგნით წევრთა სიმრავლის აღმნიშვნელია (როგორც, მაგალითად, **დიდ-ოხი** ლაზეთში).

ამრიგად, ოჯახთა ჯგუფის სახლეულის ფარგლებში შედგება ცალკეულ ნუკლეარული ოჯახებისაგან, რომელთა უფროსები ერთმანეთს უკავშირდებიან ნათესაობით (მამა-შვილები, ძმები, ბიძაშვილები და ა. შ). ბევრ შემთხვევაში ჯგუფი დაკავშირებულია სამეურნეო-ეკონომიკური ერთიანობით.

სახლეულის სეგმენტაციის პროცესში ფუძიდან გამოყოფილი ოჯახებისათვის რჩებოდა გაუყოფელი ქონებაც. მაგალითად, მთავარი სახლი, თავსახლი. იდეოლოგიური ერთობის ამსახველი ძირი ხატის გამოხატულებას დღეს ერთი გვარის ან გვარის გენეალოგიური შტოს, ან სოფლად მოსახლე ლოკალური ჯგუფის სალოცავი წარმოადგენდა, სალოცავს ლაზურად **ოხვამე** ქვია, **ოხვამეს** არაერთი ნაშთი დღემდე შემორჩენილა ლაზურ სინამდვილეში და ზეპირსიტყვიერებაში. სალოცავზე გამართული რიტუალი ნაყოფიერებისა და გამრავლების გამომხატველი იყო.

ოჯახის სულადობის გასარკვევად ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად მნიშვნელოვანია საარქივო მასალაც.²⁸ ეს უკანასკნელი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ოჯახის სრული შემადგენლობა, ორივე სქესის წარმომადგენელთა ვინაობა, ასაკი, განათლება და სხვა. შეიძლება განვსაზღვროთ რომ XX ს. დასაწყისისათვის ლაზეთში ჭარბობდა 3-4 სულიანი ოჯახები.

მ. ვანილიში და ა. თანდილავა XX საუკუნის 60-იან წლებშიც მიუთითებენ ლაზური ოჯახების მცირერიცხოვნობაზე, „ლაზური ოჯახი მცირერიცხოვანია“. ერთ სოფელში ლაზთა რამდენიმე გვარი ცხოვრობს, ყოველ საგვარულოს თავისი უბანი უჭირავს. ერთი გვარი რამდენიმე კომლისაგან შესდგება... თუ კომლში წევრთა რიცხვი 12-ს გასცილდა, მაშინ შეთანხმებით ისევ ქმნიან კომლს (გაყრის საშუალებით). თუ ოჯახში ორი ძმა დაქორწინების შემთხვევაში იყრებიან, ხოლო თუ მესამე ძმაც ჰყავთ, მაშინ ეს ორი ძმა მანამდე არ გაეყრება ერთმანეთს სანამ მესამეს არ დააქორწინებენ.

²⁸ Кавказский календарь на 1892 г. Тифл. 1891. отд. II

Военное-статистический и стратегический очерк Лазистанского Санджака. Составленное Казбегом. Тб. 1876.

Известия Кавказкого отдела императорского русского географического общества. т. XVIII 1905-1906. Тифл. 1906.

Новый энциклопедический словарь. Изд. д. Бывшее Брокгауз-Ефронь. Петр. т. 23. 1912 г.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტოპონიმ „დიდი ოჯახის“ (ლაზ. „დიდი ოჯალი“) არსებობა მიუთითებს იმაზე რომ ლაზეთში ყოფილა გაუყოფლად ცხოვრების შემთხვევებიც. მითუმეტეს, რომ ამის დადასტურება შეიძლება ეთნოგრაფიული მასალითაც (მ. ვანილიში, ა. თანდილა, ლაზეთი. 1964. გვ. 111)

საზოგადოდ ოჯახთა ჯგუფის სეგმენტაციის განხილვისას იკვეთება საკითხების გარკვეული სპექტრი:

1. სეგმენტაციასთან დაკავშირებული მასალა;
2. გაყოფის მიზეზი.
3. გაყოფის დრო (მშობლების იცოცხლეში ან მათი გარდაცვალების შემდეგ);
4. ქონების განაწილების წესები;
 - ა) ქონება, რომელიც ექვემდებარება გაყოფას;
 - ბ) მოწილე;
 - გ) მიწის, სახლის, საყანის, ტყის, საძოვის გაყოფა;
 - დ) მშობლის წილი;
 - ე) ძმების წილი;
 - ვ) ქალიშვილის წილი—მზითვევი;
 - ზ) ქვრივი რძლის წილი;
 - თ) გერის და უკანონო შვილის წილი;
 - ი) ჩასიძებულის წილი გაყრისას;
 - კ) მოჯამაგირე, ხიზანი, როგორც გაყოფისას სახლეულის

წევრი;

5. გაუყოფელი, საზიანო ქონება.
6. გაყრის, განაწილების ორგანიზაცია, მონაწილენი;
7. ფაქტის იურიდიული დამოწმება, დოკუმენტის შედგენა.

ამჯერად ვერ შევჩერდებით სახლეულის ეკონომიკურ საფუძვლებზე, ურთიერთდამოკიდებულების ნორმებზე, შრომის ორგანიზაციაზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ლაზეთში ისეთ სახლობას, სადაც მამა, დედა და შვილები თავიანთი ოჯახებით ცხოვრობენ **დიდი ოხრი**, **დიდი ხანე**, **დიდი ოჯალი**, **ოხორი** ქვია. ასეთ ოჯახებში უფროსი ბაბუ (**უმჩანე**, **ოხორმანჯე**, **პაპული**) იყო, მისი დაუძღვრების ან გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახში უფროსი ვაჟი. ოჯახის უფროსის კარგი ორგანიზატორული ნიჭის დამამტკიცებელი იყო რამდენად სწორად წარმართავდა იგი სამუშაოს, მოიმარაგებდა სარჩოს და შემას ზამთრისათვის, რის გაყიდვას გადაწყვეტდა, რით ვაამდიდრებდა ოჯახს, რას შემატებდა მას. თუ ვაჟების სრულწლოვანობამდე გარდაიცვალა მამა, სახლეულს დედა უფროსობდა, მამას სიცოცხლეშივე შეეძლო უფროსობა შვილისათვის დაეთმო; იყო შემთხვევები, როცა სახლეულის უფროსს ირჩევდა სხვა წევრებთან შეთანხმებით. ან მომაკვდავი მშობელი ანდერძს დატოვებდა, ვინ უნდა ყოფილიყო სახლის უფროსი, დანარჩენს უნდა დაეჯერებინათ მისთვის და მხარში ამოდგომოდნენ. როგორც ერთმა მოხუცმა ლაზმა თქვა: „მამა ვიყავი და გავაკეთე, ახლა ესენი არიან მამები და გააკეთონ. ძველ დროში საქმეც დიდი იყო და ურთიერთობაც დიდი“ (ავტორის საველი ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, სოფელი სარფი, 2000 წ). ხშირად ძმების სათათბირო შედარებით უფრო უნარიან აირჩევდა უფროსად, წინამძღოლად საოჯახო და სამეურნეო საქმეებში. ქალებს შორის უფროსი დედა ან უფროსი რძა-

ლი იყო. ლაზეთშიც, ისევე, როგორც ზოგადად კავკასიაში, სახლეულის უფროსს თვალსაჩინო, მისთვის განკუთვნილი ადგილი ეჭირა, სადილვახშამზე პირველი ლუკმა უფროსს უნდა გაეტეხა.

ლაზურ „**ობორში**“ **უმწანეს**, პაპულის ადგილი ცალკე იყო. ლაზეთში ტერმინად შეიძლება დავაფიქსიროთ **კარა პაპული** (კერიის პაპული). დიდ სახლეულში რამდენი ოჯახიც იყო, იმდენი ბუხარი შეიძლებოდა ყოფილიყო ლაზეთში.

სამუშაოს ოჯახში უფროსი ანაწილებდა, მნიშვნელოვან საკითხებს ოჯახის წევრებთან თათბირის შემდეგ, ზოგჯერ ერთპიროვნულადაც კი გადაწყვეტდა. უფროსის საქმე თვალსაჩინო იყო, კარგად გასაკეთებელი, სადილის მომზადებას დედამთილი ხელმძღვანელობდა.

ლაზეთში, განსხვავებით საქართველოს სხვა კუთხეებისაგან მამაკაცები სეზონურად გარე სამუშაოზე დადიოდნენ. თუმცა ოჯახში დაბრუნებული ვაჟი ფულს მამას აბარებდა. გაუყოფელ სახლეულში საერთო იყო ქონება, ნებისმიერი საქმე. ბაზარში ძირითადად კაცები დადიოდნენ, ქალთაგან—დედამთილი. ლაზეთისთვის დამახასიათებელი ეს მოვლენა შემთხვევითი არ იყო. რადგან ლაზეთში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში სახლეულის უფროსად იმას აყენებდნენ, ვისაც ყიდვა—გაყიდვა ეხერხებოდა. ამასვე მიუთითებდა გ. ყაზბეგი, როცა ამბობდა, რომ „ლაზები პირველ რიგში ვაჭრები არიან“ (გ. ყაზბეგი—სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათ. 1995. გვ. 155).

ოჯახში მამა კანონის კაცი იყო (ავტორის საველი ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, სოფელი სარფი, 1998 წ.). გაუყოფელი კერა ძლიერი იყო და ამ სიძლიერით ამყობდა. „ასეთი ოჯახი საზოგადოებაშიც ძლიერი იყო და ეკონომიკურადაც“ (ავტორის საველი ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, სარფი, 2000 წ.). ერთად ცხოვრება წვერთა კეთილშობილებაზე და სულგრძელობაზე მიუთითებდა. სახლეულის ბუნება საკუთრების ფორმასა და ხასიათს განსაზღვრავდა. სახლეულის შიგნით ოჯახებს და ოჯახის წევრებს კერძო და პირადი საკუთრებაც გააჩნდათ (მზითვის, საქონელი და სხვა). თუმცა მათი უფლება—მოვალეობა სახლეულის გაუყოფელი საერთო ქონებაზეც ვრცელდებოდა, რადგან ისინი წილის მფლობელები იყვნენ, წილს კი ნაწილობრივ მათი შრომა განსაზღვრავდა, სახლეულის წევრები საერთო საკუთრებას უფრო ხილდებოდნენ და მისი „განსხვისების შემთხვევაში ოჯახს შეეძლო კომპენსაცია“ (მგელაძე, მასანოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 29).

მამის გარდაცვალების შემდეგ ხშირი იყო ძმების ოჯახების გაუყოფლად ცხოვრების ფაქტები. გაყოფის შემდეგ ძირითად ფუძეს ლაზეთში **ჯინჯი** (ძირი) ერქვა, უფრო ზუსტად **ჯინჯი ოხორი**.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საკუთრების უფლებას სახლმეურნეობაში ფლობენ მხოლოდ მამაკაცები, რომლებიც იმავდროულად წარმოქმნიან მინიმალურ ნათესაურ ჯგუფს (ლინიჯს), მაშინ, როცა თემში მუშაობენ ქალებიც, რომლებიც არ არიან ლინიჯის წევრები და სარგებლობენ საკუთრების გარკვეული უფლებით (მგელაძე, მასანოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 29).

აზრთა სხვადასხვაობაა საკითხზე, თუ როდის იყოფოდა ოჯახი. საინტერესოა ვ. ითონიშვილის აზრი, რომ ყოველი კონკრეტული ოჯახის გაყოფა, როცა იგი თავისი სიმწიფის პერიოდში დაასრულებდა,

მიზანშეწონილ აქტს წარმოადგენდა (ვ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბ. 1968, გვ.275).

ლაზეთში სახლობის// სახლეულის გაყრის შესახებ სამეცნიერო და აღწერილობითი ხასიათის ლიტერატურაში შედარებით მწირი ინფორმაცია გვხვდება. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოპოვებული მასალა კი ასეთია.

სახლეულის გაყოფა ძირითადად მშობლების სიცოცხლეშივე ხდებოდა. ამის მიზეზი იყო მრავალრიცხოვნება ან უსიამოვნება სახლეულის წევრთა შორის, რომელიც ხშირად რძლებს შორის იწყებოდა და შემდეგ საყოველთაოდ იქცეოდა.

ლაზეთში გაუყოფელ სახლეულს *დიდ ოხოს* უწოდებენ, გაყოფას *ოკორთუ* (ავტორის საველი ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, სოფელი სარფი, 1998 წ).

გაყოფა მამის სიცოცხლეში იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ ოჯახს საშუალება ჰქონდა. გაყოფამდე წილის მოთხოვნა არ იყო მიღებული, თუმცა ასეთი შემთხვევებიც ფიქსირდებოდა. მშობლები ცდილობდნენ თანაბრად გაეყოთ ქონება, ცოდვის ემინოდათ. ოჯახს უფროსი კაცი ყოფდა. იცოდნენ საკონფლიქტო შემთხვევებში გვარის უხუცესის, ბიძების, ბიძაშვილების, მუხტარის მოწვევა.

ხშირად, თუ ოჯახში ორი ან მეტი ძმა იყო, მშობლები დაელოდებოდნენ მათ დაოჯახებას, მამა შეძლებისდაგვარად სახლებსაც აუშენებდა ვაჟებს.

სახლეულის//სახლობის საკუთრებიდან იყოფოდა მიწა, საოჯახო ნივთები. მიწა ყოველთვის თანაბრად ნაწილდებოდა. მამასთან უმცროსი ვაჟი რჩებოდა. მშობლის წილი იმ შემთხვევაში გამოიყოფოდა, თუ თავად ჰქონდათ ამის სურვილი. შეიძლებოდა მზითვის გარდა მშობლებს გათხოვილი ქალიშვილისთვისაც მიეკუთვნებიათ გარკვეული ქონება, ვთქვათ ციტრუსის ნარგავები. მშობლების დაკრძალვის ხარჯებს ყველა შვილი თანაბრად გაიღებდა.

გაყოფის შემდეგ დგებოდა საბუთი სენელი.

წყალი (*გუბის წკაი*) არ იყოფოდა, ტყე (*დალი*)— კი. თუ ტყე გასაყოფად არ იყო საკმარისი, მის სანაცვლოდ ტყის გასაშენებელ მიწას იძლეოდნენ მშობლები.

საყანე (*ყონა*) და სკა იყოფოდა. თუ სკა რაოდენობით მცირე იყო, მას მშობლები იტოვებდნენ და თავლს ანაწილებდნენ. ნაწილდებოდა საქონელიც.

წისქვილი (*მსქიბუ*) საერთო რჩებოდა. წისქვილით ზოგჯერ მთელი სოფელი სარეგებლობდა. იყო წისქვილზე განაყოფ ძმებს შორის მორიგობაც. წისქვილის აშენება დიდ კაცურ საქმედ ითვლებოდა.

გაუყოფელი რჩებოდა დიდი სპილენძის ქვაბი (საინტერესოა, რომ ასეთ ქვაბს სამეგრელოში „ჭანურს“ ეძახდნენ).

მზითვი— *ზითვი, ჩეიზი* (თურქ). არ შედიოდა სახლეულის საკუთრებაში და გაუყოფელი რჩებოდა. უფრო მდიდრები ქალიშვილს ხალიჩას (*ქლიძი*) ატანდნენ, იგი შემდეგ კვლავ ქალიშვილის კუთვნილება იყო.

ლაზეთში კარგი მზითვის გატანებით მშობლები ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ ის გულისტკივილი, რაც გამოწვეული იყო ქალიშვილის გათხოვებითა და ოჯახიდან წასვლით, გარდა ამისა, მათ უნდოდათ,

აგრეთვე, ეკონომიკურად უზრუნველყოთ თავიანთი ქალი, რათა ქმრის ოჯახში მას დამცირებულად და შევიწროებულად არ ეგრძნო თავი.

დედის ნამზითვის ქალიშვილის მზითვის ნაწილი ხდებოდა. „საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე ქალი კარგავს მშობლების ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებას და მზითვი იქცევა მშობლების მიცემულ ქონებად. მისი შედგენილობა და ღირსებულება არასოდეს არ არის დაკანონებული, მაგრამ ნორმირებულია ტრადიციის საშუალებით იმდროინდელი კულტურულ-ეკონომიკური პირობების მიხედვით“ (ნ. მაჩაბელი—ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან. თბ. 1976. გვ.139).

ქვრივი რძალი (*შია*) თუ შვილები ჰყავდა, გაყოფისას იმავე უფლებით სარგებლობდა, როგორც დანარჩენი ვაჟები. მაგრამ ადრე ქვრივ ქალს დედამთილ-მამათილი არ ყოფდა. იტოვებდნენ ძირ ოჯახში და ეხმარებოდნენ. უშვილო რძალი ხანდახან მიდიოდა ქმრის სახლიდან, ზოგჯერ მაზლიშვილს იშვილებდა და მას ზრდიდა. რძალს, თუნდაც უშვილო იყოს, ნამსახური წილი ეძლეოდა.

გაუთხოვარი ქალი (*ელამსქადეი*) მშობლებთან რჩებოდა და მზითვი იყო მისი წილი. მობრუნებულ ქალიშვილს წილი მამისეულ სახლში ერგებოდა.

გერი (პროღონი) სახლობაში გვართ სარგებლობდა (ე.ი. თავისი მამისეული არ ერგება). მას ქონების ნაწილს მისცემდნენ, „პლპლიპ-ობოლიაო“. გოგონას გაამზითვებდნენ. თუმცა მიწა სხვა გვარისას არ ერგებოდა.

შეიძლებოდა დაყოლილი და დამხვდური შვილების დაქორწინებაც ქონების გაუყოფლობის მიზნით.

როცა ოჯახს ვაჟი არ ჰყავდა და შვილიშვილს ისახლებდნენ, დედისეულ გვარს აძლევდნენ. ასეთ ოჯახს დედისეული ერქვა.

უვაჟო ოჯახში ქონება დებზე იყოფოდა.

ოჯახიდან წასულ ზედსიძეს (*იჯგუე*) თავისი ნამსახურის გარდა (ისიც ფულადი სახით) არაფერს გაატანდნენ.

უკანონო შვილს არაფერი ერგებოდა.

რაც შეეხება სახლს, სანამ ახალს ააშენებდნენ, დროებით ნაწილდებოდა. შეიძლებოდა სახლის საფასურის ფულადი სახით გაცემაც. ახალ სახლში გადასვლისას იცოდნენ საჩუქრის ჩუქებაც.

განაწილებული შვილები ანუ ერთი სახლეულის განაყოფები ლაზეთში ერთმანეთისთვის არიან მოძმეები (*მოჯუშალევე*). განაყოფებზე იტყოდნენ — „ართ ოხოიშ კოჩეფიაო“ — ერთი სახლის კაცებიაო.

წილი სახლეულში სულით ავადმყოფსაც ერგებოდა და მის განკარგულებაში გადადიოდა, ვინც მას მოუვლიდა.

ასეთი იყო, საზოგადოდ სახლეულის სეგმენტაციის პროცესი ლაზეთში XIXს-ის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. იგი დაახლოებით ისეთივეა, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში და, ზოგადად, კავკასიაში.

Pirimze Rurua

Some aspects on household segmentation in Lazeti

Summary

The work deals with Lazian traditions and customs in the end of XIX-th and 1-st half of the XX-th centuries. The traditions concern with the household segmentation into several nuclear families. The work covers such terminology as terms and conditions of segmentation rules of property distribution, shared property, segmentation organization and so on. The work concludes that traditions and customs in Georgia, and generally in the Caucasus coincide with the Lazian ethnological material.

Пиримзе Руруа

Некоторые аспекты сегментации «сахлеули» (домохозяйства) в Лазети

Резюме

В труде рассмотрены обычаи и традиции, существующие в Лазети конца XIX и в I половине XX вв., которые связаны с разделением «сахлеули» на несколько нуклеарных семей. В частности, рассмотрены связанные с сегментацией терминология, причины и время раздела, правила раздела имущества, неразделимое, общее имущество, организация раздела и др. В заключении можно сказать, что в Лазети подтвержденный этнографический материал в большинстве случаев совпадает с грузинской и в общем, с кавказской традицией.

Pirimze Rurua

Lazistanda bazı aile segmantısı (aile bölmesi)

Özeti

Araştırmada, 19. yüzyılın Batum'a bağlı Hulo vadisinin ve 20.yüzyılın başlangıcındaki Lazistanda bulunan adetlere, geleneklere ve Ataerkil Ailenin bir kaç aile olark bölmeye değinmiştir. Aynı zamanda araştırmada özellikle aile bölme ile (Segmentasıyla) alakalı terimleri de araştırılmıştır. Bölmenin sebepleri ve zamanı, mal bölme adeti, bölünmeyen ortak mal, bölme organizasyon ve diğer bazı konulara da değinilmiştir. Bun dan dolayı diyebiliriz ki Lazistan'la alakalı Enoğrafik kaynağı Gürcü ve hatta Kafkas geleneklerine benzemektedir.

ლაზები და ლაზეთი (მოკლე ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათება)²⁹

ლიტერატურა და წყაროები: ეთნოგრაფიული ლიტერატურა საკუთრივ ლაზეთის შესახებ თითქმის არ მოგვეპოვება. ამ ოლქის მცხოვრებთა ყოფის ცაკეული მხარე ზოგად ჭრილში აღუწერია მკვლევარ გიორგი ყაზბეგს ნაშრომებში: «Три месяца в Турецкой Грузии» და «Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского Санджака» (1876 г.).

გ. ყაზბეგს საფუძვლიანად აქვს დახასიათებული მხარის ტოპოგრაფია და ხასვასმით აქვს მითითებული იმ ფაქტზე, რომ განსახლება და სახმარი მიწები ლაზეთში მოცემულია ვერტიკალურ ზონალობაში. ამავე დროს საკმარისადაა განხილული კუთხის სამეურნეო მდგომარეობა, მცხოვრებთა საქმიანობა, ვხები და უღელტეხილები. ნაშრომებში გარკვეული ადგილი ეთმობა მოსახლეობის ეთნიკური და წოდებრივი შედგენილობის გარკვევას.

გ. ყაზბეგის ცნობებით, 1974 წლისათვის ლაზების რიცხვი აღწევდა 55 ათასს³⁰ და ცხოვრობდნენ მაკრიალიდან ქემერამდე, ანუ ყოფილ რკინის პალომდე. ავტორის სამართლიანი თქმით წარსულში მთელს ლაზისტანში გაბატონებული იყო დასახლების სათემო ფორმა.

²⁹ ვლადიმერ მგელაძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი დღიდან მისი დაარსებისა. გარდაიცვალა 1967 წელს. იგი არის არაერთი საინტერესო სტატიისა და მონოგრაფიის ავტორი, რომელთა გარკვეული ნაწილი გამოქვეყნებულია, ხოლო დიდი ნაწილი ინახება ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდებსა და ავტორის ბიზად საოჯახო არქივში. როგორც ჩანს, ვლ. მგელაძეს ჩაფიქრებული ჰქონდა დაეწერა ვრცელი გამოკვლევა ლაზების ეთნოგრაფიაზე. მაგრამ უდროოდ გარდაცვალების გამო ეს მას არ დასცალდა. მის ბიზად საოჯახო არქივში დაცულია ხელნაწერი, რომელიც არაა დასათაურებული. მაგრამ ხელნაწერში გამოყოფილია ქვესათაურები: „ლიტერატურა და წყაროები“, „ლაზების განსახლება და ტერიტორიული საზღვრები“ და „ლაზეთის წარსულიდან“. ეს ნაშრომი ვრცელი ხაზით („წერილობითი წყაროები და ლიტერატურა“, „ლაზების განსახლების ტერიტორია და საზღვრები“, სადაც დამატებულია და დაშუქებულია რიგი საკითხი, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა „სარფის დასახლების ტოპოგრაფიის მოკლე მიმოხილვა“, „ლაზური სოფლის ეთნიკური შედგენილობა“, „სარფის მოსახლეობის გვარობრივი შედგენილობა“, ინახება ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში – ხიხ.: „ლაზური დასახლების მორფოლოგიის საკითხები (სოფელ სარფი).--1961 წელს შესრულებული გეგმიური თემა, ფონდი №, ანაწერი 3, საქ. ერთ. №44, ბათ., 1961ჯ. ასევე, ავტორის არქივში დაცულია რამდენიმე გვერდიანი ხელნაწერი: „ლაზური დასახლების მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (სოფ. სარფის მასალების მიხედვით), რომლის შედარებით ვრცელი ტექსტი შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ სპეციალურ გამოცემაში გამოქვეყნდა ხიხ.: ვლ. მგელაძე. ლაზური დასახლების მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (სოფ. სარფის მასალების მიხედვით).--ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, III, თბ., 1964ჯ. აქვე შემონახულია ლაზთა წარსულისა და ლაზური დასახლებისადმი მიძღვნილი ნაშრომის ქართულენოვანი მანქანაზე ნაბეჭდი მცირე მოცულობის რეზიუმე, რომელიც ფაქტიურად დასახლებული გამოკვლევის დასკვნითი ნაწილია. წინამდებარე ნაშრომში აქცენტზე გაკეთებულია იმ წყაროებზე, სადაც დახასიათებულია ლაზთა დასახლების თავისებურებები, განსახლება და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული საზღვრები. ეს გამოკვლევა დაიწერა 1961 წელს და, ბუნებრივია, იგი თანამედროვე გადასახდებიან სრული არაა, მიუთქვს ავტორი ამ სახით მის გამოქვეყნებას შესაძლოა არც კი ვარაუდობდა, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი საინტერესოა და სასარგებლოც იქნება ლაზეთის ისტორიითა და ეთნოლოგიით დაინტერესებულ ბიურებისათვის – რედაქციის შენიშვნა.

³⁰ შამსედინ სამის ცნობით ლაზების რიცხვი აღწევს 138425 სულს. იხ.: მისი „კამუსუნ ალაშ“, ტ. V, სტამბოლი, 1896. გვ. 3967 (თურქულ ენაზე). ცნობა მომართდა ნ. ჩიჯავაძემ, რისთვისაც მადლობას მოგახსენებ.

ლაზეთის შესახებ საყურადღებო მასალებია თავმოყრილი ვ. ლი-სოვსკის ნაშრომში – «Чорохский Край» (1887 გ.), თუმცა ავტორს ჩვე-ნი თემის შესახებ ძლიერ მწირი ცნობები მოეპოვება, მაინც ვ. ლი-სოვსკის საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული სამუსლიმანო საქართველოში არსებული დასახლების ტიპის, სტრუქტურის, განსახ-ლების, სოფლისა და უბნის თავისებურებების შესახებ.

ლაზეთის ეთნოგრაფიულ შესწავლისათვის გარკვეულ მნიშვნელო-ბის მქონეა ე. ლიოზენის სტატია – «Берег Русского Лазистана» (1906 გ). ნაშრომში დაცულია მაკრიალის ტერიტორიული თემის სოფლების სია, მცხოვრებთა რაოდენობა და მოსახლეობის ეთნიკური შედგენი-ლობა.

გარდა აღნიშნულისა ანგარიშგასაწევია პეტრე უმიკაშვილის ხელ-ნაწერთა არქივში დაცული დინამიური ცნობები. მაკრიალის ხეობის სა-თემო აღწერილობა გამოქვეყნებულია სტატიაში – „ოსმალის საქართ-ველო. ტაოს კარი და კოლა“³¹, სადაც ცალკე თავადაა გამოყოფილი „ჭანეთი“.

საქართველოს ამ კანტონს მიეძღვნა ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომი – „ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი, ლაზისტანი“ (1927 წ.). მასში მთელი რიგი ცნობაა შესული და საინტერესო ეთნოგრაფიული მასალაა ასახული ოსმალთა ბატონობის დროინდელ ლაზეთის შესახებ.

საკუთრივ ლაზებს ეხება ნიკო მარის სტატია – «Из поездки в Ту-рецкий Лазистан»³². ნ. მარის ძირითადი ამოცანა იყო ლაზური კილოს შესწავლა, თუმცა ავტორს მოეპოვება საყურადღებო ცნობები საქართვე-ლოს ამ კუთხის ადმინისტრაციული დაყოფის, ხეობების აღწერის სოფ-ლების სიის თან დართვით, მცხოვრებთა საქმიანობისა და მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის შესახებ. ამავე დროს ავტორი იძლევა ლაზეთის ეთნოგრაფიული საზღვრების აღწერას.

ლაზების განსახლების ტერიტორია და საზღვრები: XVIII საუკუ-ნის დიდი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ეთნოგრა-ფიულ ლაზეთს ასე შემოსაზღვრავს: „ბაიბურდისა და ფორჩხის სამხ-რით, ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი და აწ უწოდებენ ლაზსაკე“³³ – ლაზეთს.

სარფსა და გონიოს შორის მდებარე ქედი – პონტოს, ანუ ტავრის მთის ერთი შტო, რომელიც შავ ზღვას ებჯინება, უნდა ყოფილიყო ფეოდალური ხანის აჭარისა და ლაზეთის ეთნოგრაფიული მიჯნა. ამი-ტომაც ვახუშტი წერს: ლაზეთი იწყება „შავი ზღვის წადევნებლით, გონიოდამ“³⁴.

შორეულ წარსულში ზანური, კერძოდ მეგრულ-ჭანური ტომების განსახლების არეალშია საგულვებელი თითქმის მთელი აჭარა. ადრემო-ნათმფლობელურ და ფეოდალურ ხანაში კი თანდათანობით ხდება აჭარისა და ჭანეთის მოცემულ საზღვრებში ლოკალიზება. გონიო-

³¹ გაზ. „ივერია“, 1877 წ. №23

³² Известия императорской Академии Наук, С.-П., №7 серия, с. 547-570, 607-632.

³³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 142.

³⁴ იქვე, გვ. 142.

სარფს შორის ზღვისპირის გაუვალ და კლდოვან ზონას ახლაც „დემირ-კაფს“ ანუ „რკინის კარებს“ ეძახიან, რაც გარკვევით უნდა მიუთითებდეს გონია-სარფის სათემო საზღვრის არეზე.

ლაზეთის ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული საზღვრების შესახებ მართებულად შენიშნავდა ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი: ვარსამბერკითგან (ვერშემბერკი) მიყოლებული ჭანეთის მიწა-წყალი ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ მიემართება და პონტოს ქედსა და შავ ზღვას შუაა მოქცეული. ეს ზოლი თანდათანობით ვიწროვდება და ბათუმის ოლქში სარპთან (სარფი ვ. მ.) თავდება.³⁵

ასეთივე შეხედულების იყო ნ. მარიც. ავტორის თქმით, ლაზეთის ტერიტორია «на юге с востока на запад отгорожен от материка горною цепью в которой выдаются вершиы Вершембек (ვერშემბეკ), «в 3000 метров» джимыл (ჯიმილი) и хорошо известный ... но мало обследованный Пархал (პარხალი)³⁶. ნ. მარის ცნობებით ამ საზღვრებშია ტრაპიზონის ვილაეთის რიზეს სანჯაყის ორი კახა. ქემერიდან გურუპიმდე აღწევს ათინის კახა, ხოლო გურიპსა და კოფმიშს შორის მდებარეობს ხოფის კახა. ვიწესა და ათინას ხეობებს ყავთ მუდირები, ხოლო ხემშინი მიწერილია ხოფის კახაზე. მაშინ ათინის კახაში ყოფილა 69 სამუხტრო, ანუ სოფელი, აქედან ლაზურად ლაპარაკობდა 64 სამუხტრო³⁷. სინამდვილეში სამუხტრო ემთხვეოდა ტერიტორიულ თემს და არა სოფელს. ამავე დროს იგი ადმინისტრაციული უჯრედი იყო. ნ. მარის დაკვირვებით, ლაზებით დასახლებული ტერიტორია ვარშემორტყმული იყო სხვადასხვა ეთნიკური, თუ ეთნოგრაფიული ჯგუფებით. ლაზურ სოფლებს სამხრეთით თურქები, საკუთრივ გათურქებული ჭანები ეკვროდა, ხოლო აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთითი – ქართველი მუსლიმანები. ბევრი ლაზი, ავტორის თქმით, გაქართველებული იყო.³⁸

ლაზებით დასახლებული მიწაწყლის ბუნებრივი საზღვრების შესახებ ეთნოგრაფიულ ყოფაში შეკრებილი ცნობების ანალიზი მოცემული აქვს ე. ლიოზენს ნაშრომში – „რუსეთის ლაზისტანის სანაპირო“. ე. ლიოზენის თქმით, კავკასიის ეთნოგრაფიულ რუკაზე შეცდომით გამოყოფენ ლაზებით დასახლებულ ტერიტორიას ჭოროხის შესართავიდან. სინამდვილეში ლაზეთის ტერიტორია იწყება სოფელ სარფით³⁹. ავტორის დაკვირვებით, ლაზეთი ისაზღვრება სარფით, მთა ბოლოყოთი, ოხორდიათი, ბელლევანით, კორტანეთით და მისი სანაპირო ჩხალას წყალით⁴⁰.

ლაზურ ენაზე მოლაპარაკე ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის – ლაზების ეთნოგრაფიული საზღვრების შესახებ მიუთითებს გ. ყაზბეგიც. ავტორის მონაცემებით, გონიოს სამუდროში სხვადასხვა წარმოშობის

³⁵ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ... გვ. 46.

³⁶ Н. Я. Марр. Из поездки в Турецкий Лазистан.-Известия императорской Академии Наук (ИИА). С.-П., серия №7. 1910. с. 608

³⁷ იქვე, გვ. 608.

³⁸ იქვე, გვ. 608.

³⁹ Э. Лиозен, Берег русского Лазистана. - Известия кавказского отдела императорского русского географического общества. т. XVIII, 1906. с. 157.

⁴⁰ его же., с. 110.

ხალხი ცხოვრობს. აჭარლებით დასახლებულ გონიას შემდეგ ლაზური სოფელი სირთი⁴¹ მოდის და აქედან მოკიდებული ვიდრე ხოფამდე მთლიანად ლაზურ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობს⁴². უფრო ზუსტი ჩანს ზ. ჭიჭინაძე, როცა წერს, რომ ლაზეთი მიაღწევს თითქმის ტრაპიზონამდე⁴³. საზღვრებთან დაკავშირებით ნ. მარი აღნიშნავდა, რომ ადრე ჭანური ტომს ეკავა უფრო ვრცელი ტერიტორია და დასვლეთით აღწევდა მდ. კიზი-ირმაკამდე, რომლის თავდაპირველი სახელი ჰალისი იყო⁴⁴. ნ. მარი გადმოგვცემს ინფორმაციას ფეეზი-ბეის შეხედულებას. ფეეზი-ბეის აზრით, სტამბოლში ლაზებს ეძახიან თურქეთის მთელი შავი ზღვის სანაპიროს მცხოვრებლებს, აგრეთვე სამსუნელებსა და სინოპელებსაც, ხოლო სამსუნელები ლაზებს ეძახიან ტრაპიზონელებს. ეს უკანასკნელნი კი ლაზებს უწოდებენ რიზელებს. ფეეზი-ბეი შენიშნავდა, რომ რიზე ლაზების მხარეა და ეს უკანასკნელნი სწორად ლაპარაკობენ. აქვე, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რომ იმავე ინფორმაციის ცნობით, გიუმიშხანელები ლაზებს მოიხსენიებენ ერზრუმელებად, ხოლო ერზრუმელები, თავის მხრივ, ლაზებად მიიჩნევენ გიუმიშხანელებს და სანაპიროს მცხოვრებლებს⁴⁵. როგორც ჩანს, შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო თანდათანობით ხდებოდა ლაზური ენისა და მოსახლეობის გავრცელების არეების შევიწროვება. ეს პროცესი ახლაც მიმდინარეობს.

ვ. ლისოვსკი ნაშრომში – „ჭოროხის მხარე“ მიუთითებს, რომ რუსეთის სამფლობელოში ლაზებითაა დასახლებული სარფის, მაკრიალის, ბელღევანისა და ჩხალის ხეობები. მათი საერთო რაოდენობა ორი ათასამდე აღწევდა⁴⁶. ამ პერიოდში ლაზეთის ძირითადი ნაწილი კვლავ ოსმალეთის გავლენის სფეროდ ითვლებოდა.

ლაზეთის წარსულიდან: ანტიკურ ხანაში ლაზეთი მაკრონ-სანთა და ჰენიოსთა ქვეყნის სახელით იყო ცნობილი, ხოლო ადრეულ საშუალო საუკუნეებში ამ კანტონს ზღვისპირა კლარჯეთი ეწოდებოდა⁴⁷. ზღვისპირა კლარჯეთი ძირითადად ვიწე-მაკრიალს მოიცავდა.

ქართლის სამეფოს გაძლიერებამდე (ძვ. წ. IV-III საუკუნეები) ლაზეთი კოლხეთის ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო ჩვენი ერის II საუკუნეში ვიწეს მხარე იბერიის შემადგენლობაში შედიოდა. V-VI საუკუნეებში, – წერს ი. სიხარულიძე, – ეს მხარე ერთგვარ ბუფერულ ზონას წარმოადგენდა ლაზეთის სამეფოსა და ბიზანტიას შორის, თუმცა იგი ეკლესიურად ლაზეთის სამეფოსთან იყო დაკავშირებული⁴⁸. VI საუკუნის ბოლოს რიზეს ოლქი კვლავ იბერიის შემადგენლობაშია,

⁴¹ უნდა იყოს სარფი.

⁴² Г. Казбек. Три месяца в Турецкой Грузии. – Записки кавказского отдела императорского географического общества (ЗКОИГО), кн. 10, вып. 1, Тифл., 1876, с. 131.

⁴³ ზ. ჭიჭინაძე. ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი. ლაზისტანი, თბ., 1927, გვ. 30.

⁴⁴ Н. Я. Марр. Указ. раб., с. 608.

⁴⁵ Его же., с. 608.

⁴⁶ В. А. Лисовский. Чорохский край (военно-статистический очерк), Тифл., 1887, с. 54.

⁴⁷ ბ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 202, 203, 207, 209-210, 250.

⁴⁸ ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, თბ., 1958, გვ. 33.

ხოლო VII საუკუნეში ამ კანტონს აფხაზეთის სამეფოდ წოდებულ დასავლეთ საქართველოს მეფეთა ხელში ვხვდებით.⁴⁹

IX საუკუნიდან საქართველოს წინააღმდეგ ბიზანტიის აგრესია კიდევ უფრო ძლიერდება და აქტიურდება. აფხაზთა სამეფო ჯერ რიზეს ოლქის სამხრეთს, ხოლო X საუკუნის პირველ ნახევარში კი ამ კანტონის სხვა ნაწილებსაც კარგავს⁵⁰. X საუკუნის მეორე ნახევარში რიზეს მხარე შედის ტაო-კლარჯეთის სამთავროში. XI საუკუნის 20-იან წლებში რიზეს ოლქი ბიზანტიამ კვლავ ჩამოგლიჯა საქართველოს, თუმცა მაკრიალ-სარფი მაინც საქართველოს ფარგლებში დარჩა.

XII საუკუნის მიწურულში რიზეს ოლქი ბიზანტიამ კვლავ თავისი გავლენის სფეროში მოაქცია. XIII საუკუნის დამდეგს ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ამ ზონაში და შეიქმნა საქართველოს ვასალური სახელმწიფო – ტრაპიზონის სამეფო.

ტრაპიზონის სამეფოს შექმნის (1204 წელი) შემდეგ, საკუთრივ რიზეს მხარე სარგებლობდა განსაკუთრებული უფლებებით. იგი საქართველოსა და ტრაპიზონის საკეისროს საერთო სამფლობელოს – კონდონიუმს წარმოადგენდა⁵¹. XIII საუკუნის 80-იანი წლებიდან „სრულად ჭანეთი“ სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში შედიოდა. მოიშალა კონდონიუმის სისტემაც. 1483 წლიდან ჭანეთი და აჭარა საგურიელის საზღვრებში მოექცა, ხოლო 1511 წლიდან ჭანეთი კვლავ ათაბგთა ხელში აღმოჩნდა. 1535-1547 წლებში რიზეს მხარე და აჭარა ისევ გურიელს ეჭირა. 1547 წელს რიზეს ოლქი და გონიას თემი ოსმალეთმა დაიპყრო. ოსმალთა ბატონობის პერიოდში მაკრიალის თემი სარფითურთ შედიოდა გონიას სამუდროში. გონიას ეს სამხედრო-ფეოდალური საგამგეო იწყებოდა ადგილ ორთახოფიდან და აღწევდა ჭოროხამდე. ამ ადმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა მარადიდიც⁵². ადრე, გონიოს სამუდროს განაგებდნენ აჭარელი თავდგირიძეები.

1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ლაზეთის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს დაუბრუნდა, თუმცა მენშეიკების სუსტმა პოლიტიკურმა შორსმჭვრეტელობამ მხარის ხელახალი დაკარგვა გამოიწვია და საქართველოს საზღვრებში ახლა ლაზეთიდან მხოლოდ სოფელ სარფის ნახევარი დარჩა. წარსულის ეს პოლიტიკური ტეხილები და სოციალური ძვრები, თავისებურ გავლენას ახდენდა დასახლების მორფოლოგიაზეც.

სარფის დასახლების ტოპოგრაფიის მოკლე მიმოხილვა: ამჟამად სარფის ერთი ნაწილი საქართველოს ფარგლებშია. ეს სოფელი უხსოვარი დროიდან აღნიშნული ქართველური ტომის – ლაზების სამკვიდრებელი იყო.

⁴⁹ პ. ინგოროყვა. დასახ. ნაშრ., გვ. 206.

⁵⁰ იქვე, გვ. 208, 215, 226, 274.

⁵¹ იქვე, 284. ტრაპიზონის ქრონიკაში ნათქვამია: 1377 წელს ზაფხული ადგილ მაკრევიალუს (მაკრიალში) გაყატარეთ. მაშინ ქართველთა მეფე დავითის ასული წაბრძანდა გონიადამ მაკრევიალუს (იხ.: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 33, გვ. 42). აქედან ჩანს, რომ გონია საქართველოს მეფის საგამგეოა და, ამდენად, კონდონიუმის ხაზიც გონია-სარფს შორის უნდა ვეძებოთ.

⁵² Г. Казбег. Три месяца в Турецкой Грузии. с. 131.

სარფი ხევის მსგავსი სოფელია. ამიტომაცაა, რომ ვ. ლისოვსკის სარფი ლაზეთის ხეობებს შორის აქვს მოხსენიებული⁵³. ამ სოფლის ნახევარზე მეტი თურქეთის სახელმწიფო საზღვრებშია მოქცეული და ერთიანდება მაკრიალის, ანუ ახლანდელი ქემალ-ფაშას ნაპიეში. ნაპიე სასოფლო თემის მსგავსი სოციალურ-ადმინისტრაციული ერთეული იყო. თვით ეს ტერმინი არაბულია და ქართულ თემს ენაცვლება.

სოფელ სარფის ბუნებრივი მიჯნებია: **კოფშიში**, მთა **სულთან-ხელიში**, **ქვახერხი**, **ჯიფოკა**, **ინჯილი**, **თეფესი** (მაკრიალის ხეობასთან), **ბოლოყო**, **ღეჯი-ტალახონა**, **ნეფელლული**, (მარადიდთან), **მაისა**, **ოკანდე-ლე**, **ბოგილლული**, **ცხემლლული** და **მანდრათი** (გონიოსთან). დასავლეთით სოფელს შავი ზღვა აკრავს. თურქეთის სახელმწიფო საზღვარი სარფში ემთხვევა ტიბაშის წყალსა და ჟინი გზას.

აჭარის ასსრ შემავალი სარფი ცალკე სასოფლო საბჭო იყო. ადმინისტრაციულად ამ საბჭოში ერთიანდებოდა კალენდერე და კვარიათის ის ნაწილი, სადაც ძირითადად ლაზები ცხოვრობს.

ისტორიული ლაზეთის დიდ ტერიტორიაზე ქართველური წარმომავლობის ლაზური ეთნოგრაფიული ჯგუფია განსახლებული, რომელთაც, მიუხედავად მძიმე წარსულისა და მტკიცენული ხვედრისა, სათუთად აქვთ დაცული მშობლიური ენა, ეროვნული თვითშეგნება, კულტურისა და ყოფის ტრადიციული ფორმები.

* * *

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის ეთნოგრაფიული ცნობებით სოფელი სარფი მაკრიალის ტერიტორიული თემის შემადგენლობაში შედიოდა. ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ტერიტორიული თემი გვაროვნული წყობილების დაშლის საფეხურზე წარმოიშვა⁵⁴. სარფი გეოგრაფიულად მაკრიალის ხეობის გარეთ დევს და მისი ტერიტორია მტკიცედ ლოკალიზებულ ერთეულს წარმოადგენს. ამდენად, საფიქრებელია, რომ უფრო ადრე სარფი ცალკე ერთეული, მცირერიცხოვან დასახლებულ პუნქტთა გაერთიანება უნდა ყოფილიყო. ეს ხეობა სამი მხრიდან შემოზღუდულია მთის ქედებით, ხოლო სარფის ერთი მხარე შავ ზღვას ებჯინება შესანაშნავი პლაჟით.

სარფის ხეობაში დასახლების ადგილი, ყველა სახის სახმარი მიწა-წყალი და ტყე ამ გეოგრაფიული ერთეულის საზღვრების შიგნით არის მოქცეული.

სარფის ხეობა ადრე ხევის, ანუ თემის ტიპის დასახლება რომ ყოფილა ამას მრავალი ნასაცხოვრისის, ნასახლარის, ციხისა და ეკლესია-ნასაყდრის (**ქილისე**) არსებობაც ადასტურებს.

სოფლის ხევისპირში, დაბლობში მოსახლეობის ვადანაცვლების მიზეზთა კომპლექსში მეურნეობრივი პირობებიც უნდა დავასახელოთ მორწყვითი მიწათმოქმედების ვათვალისწინებით. დასახლების ტიპის ჩამოყალიბებაში მორწყვითი მიწათმოქმედების როლთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი წერს: „ქართული სოფლები ხევისპირული გახდნენ მას შემდეგ, რაც მორწყვა მათთვის უმთავრესი მნიშვნელობის სამეურ-

⁵³ В. А. Лисовский. Указ. раб., с. 54.

⁵⁴ რ. სარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში.-მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1953, გვ. 196.

ნეო საქმიანობა შეიქმნა. ამერიიდან სოფელი ხევს მიეკრა და ხევი მოსახლეობის ბუნებრივი ტერიტორიული ერთეული შეიქმნა“. აქედან მოდის ის ფაქტი, რომ „საქართველოს მთელი ტერიტორია, მთელი მოსახლეობა ხევებად და მოხვეებად დაიყო“⁵⁵. ლაზეთისათვის სოფლის ხევში გაშენება ზღვასთან დაკავშირებულმა მეურნეობრივმა პირობებმა და ზღვაოსნობამაც განსაზღვრა. ამდენად, ხევში სოფლის გაშენება ზოგადად წყალთანაა დაკავშირებული.

გალმა სარფი წარსულში ზევით, გამოლმა სარფის პირისპირ, მთის ფერდობზე ყოფილა გაშენებული. იქ ახლაც არის ძველი ნასადგომე-ნასახლარები: **მეგზა, ნიმექთებენი, ნომსქიბენი, ოჯინახუმ, ოფუტე, კილიმ ოჯახი, გოლასქი ოჯახი**. ზემოთ დასახელებულ პერიოდსა და უკვე აღნიშნული მიზეზებით ეს სოფელიც ქვევით, დაბლობში ჩამოსულა საცხოვრებლად. სარფის მიწა-წყალზეა მოქცეული აგრეთვე რამდენიმე ნასაყდრი კალენდერეში, ხემშილულში, ოკანდელეში, ჩაყირდასა და მედიდსირთში. გალმა სარფში ერთ მაღალ ბორცვზე მიუთითებენ ციხის ნანგრევებზეც. ეს ციხე ადრე სარფის ხეობის დასახლებულ პუნქტთა მცხოვრებთათვის თავდაცვითი მნიშვნელობის ნაგებობა უნდა ყოფილიყო.

სოფლის თავყრილობისა, თუ სათემო შეკრებულობის პუნქტი ყოფილა ადგილი **კავაქიბი** (ცაცხვისძირი). აქ წყდებოდა ყველა ის საკითხი, რაც უშუალოდ შინაგან ცხოვრებას შეეხებოდა. ცაცხვისძირში ყოფილა სავაჭრო დუქნები, საჩაიე, ყავახანა და ა. შ. ერთი ცნობით, გვიან სავაჭრეულო წყობილების დამახასიათებელი მოვლენები, როგორცაა თემობა, შურისძიება, სისხლის აღება, ქალების მოტაცება და სხვა ლაზებში უკვე აღარ არსებობდა⁵⁶. ლაზი ინფორმატორების თქმითაც, ოლქობა (თემობა) აჭარაში იცოდნენ. სარფის მასალებით ხალხური თვითმართველობის ფორმა ლაზეთში ჯერ-ჯერობით უცნობი რჩება. ოსმალთა ბატონობის პერიოდში სოფელს განაგებდა ხალხის მიერ არჩეული და სახელმწიფოს სათანადო ინსტანციაში დამტკიცებული მოხელე-გამგებელი, ე. წ. **მუხტარი**, ანუ მამასახლისი., რომელიც უშუალოდ მეთვალყურეობდა სოფლის საქმეებს. ძირითადად კი მისი ფუნქცია იყო გადასახადების აკრეფა. მუხტარს მხარში ედგა სოფლის მოხუცი მამაკაცები. თუ მუხტარი ხალხის ნდობას დაკარგავდა, სოფლის საზოგადოება მის ნაცვლად სხვას ირჩევდა.

მთხრობელთა გადმოცემით, სოფელი ძველად ორ ნაწილად – გალმა და გამოლმა სარფად იყოფოდა. ხშირი ყოფილა სოფლის ამ ორ კუთხეს შორის დაჯგუფება, სასოფლო საკითხებზე დავა და კამათი. ყოველივე ეს მიმდინარეობდა ადგილ „ცაცხვის ძირში“. გამოლმა სარფს ამავე დროს ჰქონია თავისი შესაკრები ადგილი უბან „დუზი ოფუტეში“.

საერთო-სათემო საკითხების გარჩევა-განხილვის დროს სარფის წარმომადგენლობა მაკრიალში ჩადიოდა და იქ ხდებოდა ყოველგვარი შიდასათემო პრობლემების მოგვარება. ოსმალთა ბატონობის პერიოდში სოფლის ცენტრალური ადგილი მეჩეთს (ჯამე) ეკავა. აქ თავს იყრიდა სოფლის სხვადასხვა უბნიდან გამოსული ბილიკები. ცალკე გზებით სოფელი უკავშირდებოდა სახმარ მიწებს და ტყეებს. ამავე დროს

⁵⁵ ნ. ბერძენიშვილი. ერთი ფურცელი ისტორიული გეოგრაფიის დღიურიდან.-საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბ., 1960, გვ. 181.

⁵⁶ აჭარის სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, საქმე 194, ფურცელი 19.

სარფს გზებით მიმოსვლა ჰქონდა გონიასთან, მარადიდთან, ბათუმსა და მაკრიალთან. მაკრიალიდან სარფზე გამავალი გზა კვეთდა კვარიათს, გონიას, ჭოროხს და მგზავრი ანგისაში ხვდებოდა. ეს გზა სარფელებს ბათუმს აკავშირებდა. ჭოროხზე ხიდის უქონლობის გამო ნავებით გადადიოდნენ. სარფელები ბათუმს ხშირად საზღვაო გზითაც ეწვეოდნენ. ძველათ სახმელეთო გზა ზღვის სანაპიროზეც გაუკეთებიათ. გზის ერთი შტო გონიიდან ჭარნალ-თხილნარით და სიმონეთ-მირვეთის გავლით ქვედა მარადიდს უკავშირდებოდა. ზედა მარადიდში მიმავალი მგზავრი სარფიდან მაკრიალ-ბელღევან-ოხორდიას გზით მიდიოდა. სარფი შუაზე იკვეთება მაკრიალისა და გონიას თემების დამაკავშირებელი შოსეთი. სარფი გზებითაა დაკავშირებული ყველა ნასაცხოვრის-ნამოსახლარებსა და ნაეკლესიარ-ნასაყდრებს.

ამრიგად, საველე მუშაობის დროს შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით დგინდება, რომ ლაზური დასახლების ცალკეულ პუნქტს შორის წარსულში მიმოსვლა ყოფილა საკმაოდ კარგი გზებით, რაც კუთხის სამეურნეო დაწინაურებაზეც მიუთითებს.

* * *

მაკრიალის ტერიტორიული თემის (**ნაჰიე**) დასახლებული პუნქტების რაოდენობა ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ერთნაირი არ ყოფილა. პ. უმიკაშვილის უბის წიგნაკში დაცული და 1879 წლის 31 დეკემბრით დათარიღებული ცნობებით მაკრიალის თემში შედიოდა სოფლები: **სარფი, ლიძანი, ყარაშარვალი და საკუთრივ მაკრიალი**⁵⁷.

დ. ბაქრაძის მიერ 1879 წელს შესრულებულ და გამოქვეყნებულ ნაშრომში – «Заметки дорожные: I «Чурек-Суиский участок». II Батумский участок»⁵⁸ – შესული მასალებით მაკრიალის თემში სოფელთა იგივე რაოდენობაა დამოწმებული. როგორც ჩანს, პ. უმიკაშვილი და დ. ბაქრაძე ერთი და იგივე, ოსმალთა ბატონობის დროინდელ თურქულ წყაროებიდან მომდინარე ცნობებით სარგებლობდნენ.

მაკრიალის თემის შედარებით სრული აღწერა მოცემული აქვს ე. ლიოზენს. ავტორის თქმით, მაკრიალის სასოფლო თემში შედიოდა: **სარფი, უჩ-კარდაშში, შანა, მაკრიალი, ჭანჭახონა, ქიოფრიჯი, სოვილი, კულ-გაპისი, ლიძანი, მანელ-ოღლი და ხემშინი**⁵⁹.

ლაზეთის ხეობა ჩხალას სოფელთა სია მოცემული აქვს ისტორიკოსსა და მწიგნობარს ზ. ჭიჭინაძეს. ავტორის თქმით, ჩხალას ხეობის სოფლები ერთ სამამასახლისოს შეადგენდა. ეს სამამასახლისო მიწერილი ყოფილა ლივანას, ანუ მარადიდის საბოქაულოზე. ამ თემის სოფლებია: **დაკვარა, ოხორდია, კორტანეთი, ბელღევანი, პანჩუსეთი, სუჯუხა, მამანათი, სკურიე, ვალრავეთი, მაჭაათი, გაბრიელა, ღუსკოი**. პატარა სოფლებს, სადაც ორი-სამი კომლი ყოფილა დასახლებული, ავტორი არ იხსენიებს⁶⁰. ზ. ჭიჭინაძე აქვე ასახელებს სოფელ ლომანს და მაკრი-

⁵⁷ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების ფონდი. პ. უმიკაშვილის პირადი ფონდი.

⁵⁸ დ. ბაქრაძე. ხელნაწერთა ინსტიტუტი.-დიმიტრი ბაქრაძის პირადი არქივი, საქ. 33, ფ. 14, გვ. 2; ფ. 23, გვ. 2.

⁵⁹ ე. ლიოზენ. Указ. раб., с. 161.

⁶⁰ ზ. ჭიჭინაძე. ოსმალეთის ყოფილი საქართველოს და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი,

ალს. სინამდვილეში უკანასკნელი სამი სოფელი მაკრიალის თემში შედიოდა.

ლაზეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ოსმალთა ბატონობის პერიოდში თემი ადმინისტრაციული ერთეულიც – „სამუხტრო“ იყო. თემის მცხოვრებლებს აერთიანებდა სასოფლო, თუ სათემო მოედანი ნაგებობათა კომპლექსით. ლაზეთის დასახლების სათემო სტრუქტურაზე მიუთითებენ გ. ყაზბეგი და პ. უმიკაშვილი. გ. ყაზბეგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ლაზეთმა დიდხანს შემოინახა თავისი პირველყოფილი კულტურა და გვაროვნული წყობილება. ავტორის დაკვირვებით, ლაზეთის მიკრო-ეთნოგრაფიული რაიონები ჩამოყალიბდნენ თემების ფორმით და გამუდმებით ებრძოდნენ მეზობლებს არსებობისათვის⁶¹.

ლაზეთის ხევთა, თემთა რიგში მაკრიალიცაა სავარაუდებელი, რომლის ტერიტორიულ ერთეულად ითვლებოდა სოფელი სარფიც.

მაკრიალის ტერიტორიული თემისა და ჩხალას ხეობის მაგალითიდან ჩანს, რომ ლაზეთის ცალკეული თემი თავის შიგნით აერთიანებდა მეტ-ნაკლები რაოდენობის მთელ რიგ დიდსა და პატარა სოფელს. მსგავსად აჭარის სოფლისა, ამ კანტონის დასახლების ძირითადი ერთეული რამდენიმე ნაწილად – უბნად იყოფოდა.

აბუს ხეობაში დევს სოფელი აბუ, რომელიც ორ ნაწილად იყოფოდა, სადაც 140 კომლი სახლობდა⁶².

ლაზეთით დასახლებული ბოლო ერთეული ათინას კაზა ყოფილა. ათინადან რკინის პალომდე (ქემერი) 20-30 ვერსი იქნება. ეს იყო ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და ეთნიკური საზღვარი. ადრე, ტრაპიზონიც („ექსი ტრაპიზონი“) ქართველთა ნასადგომევი იყო.

ლაზეთის სოფლების კომლთა საშუალო სიდიდის სრულად წარმოდგენის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიტანოთ ცნობები, რომლებიც ზ. ჭიჭინაძეს შეუკრებია და ჩხალას ხეობის დასახლებული პუნქტების კომლთა რაოდენობას ასახავს: დაკვარა – 15 კომლი, ოხორდია – 20 კომლი, კორნატეთი – 25 კომლი, სუჯუნა – 45 კომლი, მამანათი – 30 კომლი, მაკრეთი – 45 კომლი, გაბრიელა – 15 კომლი, დუზქოი – 60 კომლი, სკურა – 15 კომლი, გარავეთი – 29 კომლი, მაჭათი – 20 კომლი⁶³.

მოტანილი ცნობებით, XX საუკუნის 20-იან წლებამდე ჩხალასა და მაკრიალის თემებში ტრადიციული სოფლების კომლთა რაოდენობა საშუალო სიდიდეს ვერ აღწევს. მაკრიალის თემში ლაზეთით დასახლებული ყველაზე დიდი სოფელი საკუთრივ მაკრიალი (60 კომლი) და სარფი (42 კომლი) იყო.

სარფის უბნებისათვის დასახლების სიმჭიდროვის არც თუ ისე მაღალი კოეფიციენტი იყო დამახასიათებელი, ხოლო ახლად წარმოქმნილი უბნები მაღალი სიმჭიდროვის სურათს საერთოდ არ იძლევა.

1900-იან წლებში გონია-მახოსა და მაკრიალ-სარფის უბანზე მცხოვრებთა საერთო რაოდენობა 1659 კომლი ყოფილა⁶⁴. გ. ყაზბეგის

ლაზისტანი, თბ., 1927, გვ. 32.

⁶¹ გ. ყაზბეგი. ლაზისტანის სანჯაყი, გვ. 34.

⁶² იქვე, გვ. 111.

⁶³ ზ. ჭიჭინაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 32.

⁶⁴ Э. Лиюзен. Указ. раб., с. 161.

ცნობით 1874 წლისათვის მთელს ლაზისტანში 12 ათასი კომლი ყოფილა⁶⁵.

სამუსლიმანო საქართველოში მოგზაურობის დროს გ. ყაზბეგს შეუკრებია ცნობები ყოფილი ლაზისტანის სანჯაყის მოსახლეობის ეთნიკური, ტომობრივი და რელიგიური შედგენილობის შესახებ. ავტორის თქმით, ეს ცნობები XIX საუკუნის 40-იან წლებს განეკუთვნება. ამ მონაცემებით, გონიას სამუდროში ყოფილა 500 კომლი ქართველი მუსლიმანი – 3000 სული და 1000 კომლი მუსულმანი ლაზი – 6000 სული⁶⁶.

გ. ყაზბეგისა და ე. ლიოზენის ცნობები თუ სინამდვილეს ასახავს, მაშინ ამ ზონაში მცხოვრები აჭარლების კომლთა რაოდენობაში 32 წლის ფარგლებში საკმაოდ დიდი მატება შეიმჩნევა და იგი 169 კომლს უდრის⁶⁷. ასეთივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო, საერთოდ ლაზეთში და კერძოდ კი მაკრიალის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ვინაიდან „ლაზები თვალსაჩინოდ მრავლდებიან“⁶⁸.

ე. ლიოზენის ცნობებით, გონიოს სასოფლო თემის შვიდი სოფლიდან აჭარლებით დასახლებული იყო: თხილნარი, ომბოლო, ახალსოფელი (ყოფილი ყიზილთოფრაღი) და საკუთრივ გონია. ხემშილები სახლობდნენ კვარიათსა (6 კომლი) და კალენდერეში (5 კომლი). ქურთებით იყო დასახლებული ერთი პუნქტი, რომელიც ზიმოენიკად იწოდებოდა⁶⁹. აქ სულ 20 კომლი მესაქონლე ქურთი სახლობდა. ეს პუნქტი უნდა იყოს გონიო-ახალსოფლის ზღვის სანაპირო, სადაც ადრე მართლა ცხოვრობდნენ მოსული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. ხემშინები ურთიერთში ლაპარაკობდნენ თურქულად და ცოტა ლაზურად. მათი ხასიათიც, წერდა გ. ყაზბეგი, უკვე ლაზურია. ხემშინი ცალკე სამუდროს წარმოადგენდა, რომელიც მიწერილი ყოფილა ათინის საკარმაკამოზე და შედიოდა ბათუმის სამუთესერიფოსში⁷⁰. სომხებით პირველად დიდი ხემშინი, ანუ იგივე ძველი ხემშინი დასახლებულა, ხოლო შემდეგ პატარა ხემშინი მოშენებულა პირველის ხარჯზე.

აჭარასა და ლაზეთში მცხოვრებ ხემშინებსა და ქურთებს მიწა იჯარით ჰქონდათ ალებული. ზოგ მათგანს კიდევ შეუძენია ადგილები, რის საფუძველზე მთლიანად დამკვიდრებულან. ეს იყო „ოსმალობის“ პირდაპირი გამოვლენა.

ე. ლიოზენის ცნობებით ხემშინები ბაშ-ხემშინებად და ხოფე-ხემშინებად განიყოფოდნენ. ჭანეთის მიწა-წყალზე მათი მთავარი სამოსახლო დიდი ხემშინი იყო. მათ მთავარ მოსაქმეობას კი მესაქონლეობა წარმოადგენდა. ზოგიერთი მაკრიალელ-გონიონელი ხემშინი მიწასაც ფლობდა. ისინი ქსოვდნენ შალს პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სახსრების მოსაპოვებლად ეხმარებოდნენ ლაზებს მიწის დამუშავებასა და ართვინიდან ტვირთვის ზიდავაში.

⁶⁵ გ. ყაზბეგი. დასახ. ნაშრ., გვ. 131.

⁶⁶ იქვე, გვ. 86-87.

⁶⁷ თუ გ. ყაზბეგის ცნობები ზუსტად 40-იანი წლების მდგომარეობას ასახავს, მაშინ პერიოდი მატებისა 60-70 წლით უნდა განისაზღვროს.

⁶⁸ ზ. ჭიჭინაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 30.

⁶⁹ Э. Лиозен. Указ. раб., с. 160.

⁷⁰ Г. Казбек. Три месяца в Турецкой Грузии, с. 125.

ჭანეთ-ლაზეთში ხემშინთა მოსვლის თარიღი დადგენილი არ არის. გადმოცემების მიხედვით ხემშინთა დამკვიდრება ამ მხარეში დაახლოებით XIX საუკუნის დამდეგიდანაა საეარაუდებელი.

გ. ყაზბეგის მონაცემებით, ყოფილ ლაზისტანის სანჯაყში ცხოვრობდა 500 ოჯახი ჩერქეზი ემიგრანტი. მათი ნაწილი სახლობდა არჰავესა და ხოფის მიდამოებში. მუჰაჯირთა უმრავლესობა გაჭირვებაში დაიღუპა. ჩერქეზთა ნაწილი მაკრიალის თემში სახლობდა. ამ ჯგუფის, ქურთებისა და ხემშილების ნაშვირები ახლანდელ სარფში, ან მიმდგომ სანახებში საერთოდ აღარ სახლობენ.

კალენდერე ტერიტორიულად სარფისათვის უფრო მისადგომი და ახლოა, ვიდრე გონიო-კვარიათისათვის. ადრე იგი ცალკე სოფელი უნდა ყოფილიყო. რომელი ეთნოგრაფიული ჯგუფით იყო დასახლებული წარსულში ეს ნასოფლარი - აჭარლებით, თუ ლაზებით, ესეც უფრო რთული სათქმელია და, ამდენად, აღნიშნულზე აღარ შევჩერდებით.

წარსულში სარფი ეთნიკურად ერთგვაროვანი იყო. ამავე დროს დღემდე შემონახული უბანთა ნაწილის მონოგენურობა, თუმცა ამჟამად ოფუტების ძირითადი ნაწილი მაინც მრავალგვარიანია. უბანთა ერთგვაროვნება გვიან, XX საუკუნის 20-იანი წლების შემდგომ პერიოდში ირღვევა. ეს პროცესი ახლაც მიმდინარეობს.

სარფში არ დასტურდება გვარის გამოცვლის შემთხვევები ჩასიძებისა, თუ ჩასახლების შემთხვევების გამო, რაც ერთ-ერთი არსებითი სხვაობაა აჭარული და ლაზური დასახლების მორფოლოგიისა.

სარფის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში აღწერილი ქართული გვარები და გვართა მეგრული დაბოლოება -ია გვიანდელია. სარფში გვარის ძირითად მაწარმოებლად მაინც -ში რჩება.

ნიშანდობლივია, რომ ლაზების შთამომავლები ცხოვრობს აჭარის უმრავლეს თემში, მაგრამ დღეს უმეტესობას ლაზური გვარი აღარ აქვთ.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ:

1. ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემებით ლაზებით დასახლებული მიწა-წყალი შავი ზღვის სანაპირო ზოლში სარფით იწყება. სარფსა და გონიას შორის მდებარე ტავრის მთის ერთი ქედი აჭარასა და ლაზეთს შორის სათემო მიჯნად გამოიყურება. ლაზებით დასახლებული მიწა-წყალი ქემერამდე (რკინის პალო) აღწევს. ლაზეთის მოცემულ საზღვრებში ლოკალიზება ხდება ადრემონათმფლობელურ და ფეოდალურ ხანაში, რაც გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ ძვრებთანაა დაკავშირებული.

2. ლაზები სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებებში შედიოდა. ფეოდალურ ხანაში ლაზური თემებიდან რიზეს მხარე უმთავრესად საქართველოს უკავშირდებოდა. ადრეფეოდალურ ხანაში ეს კანტონი ზღვისპირა კლარჯეთის სახელითაა ცნობილი. გვიან მას ქართველი მეფეები და ბიზანტიაც ფლობს. XVI საუკუნის პირველ ნახევარში მთელი ჭანეთ-ლაზეთი ოსმალეთმა დაიპყრო.

3. ამჟამად, საქართველოში მოქცეულია ლაზური სოფელ სარფის მხოლოდ ნახევარი. ამ სოფელში ერთიანდება კალენდერე და კვარიათის ის ნაწილი, რომელიც ძირითადად ლაზებითაა დასახლებული.

4. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან სარფი მაკრიალის თემში (ნაბიე) შედიოდა. ეთნოგრაფიული მონაცემები, მატერიალური კულტურის ძეგლების განლაგების სტრუქტურა, ტოპოგრაფიული ნიშნები და სხვა რიგის მონაცემი, მაგალითად, ნასახლარ-ნასაცხოვრების სიმრავლე, გზების განლაგება ხეობის შიგნით, ადასტურებს, რომ სარფი ადრე თემის (ხევის) ტიპის ერთეული უნდა ყოფილიყო.

5. ლაზური თემის შემადგენლობაში შედიოდა რამდენიმე სოფელი. ლაზური სოფელი მთური სოფლის სიმჭიდროვეს ვერ აღწევს და კომლთა რაოდენობითაც საშუალოზე დაბალი მონაცემებით ხასიათდება.

ლაზეთის სოფელი ეთნიკური შემადგენლობითაც სხვადასხვა სურათს იძლევა. ადრე სოფელი ერთი ეთნიკური ელემენტით ჩანს დასახლებული, ხოლო ოსმალთა ბატონობის პერიოდში სოფლის ეს თავისებურება ირღვევა და იწყება ეთნიკური სიჭრელე, რაც XIX საუკუნეში უფრო გაძლიერდა მუჰაჯირობისა და ხემშინების ხარჯზე. უკანასკნელ პერიოდამდე სარფი ერთი ეთნიკური ელემენტით – ლაზებით იყო დასახლებული, თუმცა მის მიმდგომ სანახებში – კალენდერე, კვარიათი, ხემშინები, მომთაბარე ქურთები და თურქები სახლობდნენ, რაც ტოპონიმიკიდანაც ჩანს.

6. XX საუკუნის 20-იან წლებამდე სარფში 42 კომლი ცხოვრებულა, ახლა მხოლოდ გამოღმა სარფში 91 კომლზე მეტი სახლობს. სარფის სინამდვილეში არ დასტურდება დიდი და მრავალსულიანი ოჯახები. ოჯახის წევრთა მაქსიმუმი 14 სულს არ აღემატება.

7. ლაზური დასახლების ერთეული რთული სტრუქტურით ხასიათდება. თემი სოფელთა კრებულია, ხოლო სოფელი, დასახლების ეს ძირითადი ერთეული, თავის მხრივ უბანთა ორგანული გაერთიანებაა. სარფი მრავალი უბნისგან შედგება, კერძოდ ესენია: ზღვისპირი, ვაკე, კარახუსეინიში, მემიშიში, ჟილენი, ვანლიში, ჯავარაიში, კაზამემელიში, წყამაფხა, ქესოლეფეში, ბინაში და თანთოლლეფეში. „ფეე“-ში მრავლობითობის ნიშანია და ქართულ „ებ“-ს ენაცვლება.

8. უბანი ლაზებში ორი ტერმინით – „მეელე“-თი და „ოფუტე“-თი აღინიშნება. უკანასკნელი ლაზურია და აქ ძირეული „ფუტი“-ა. -ო წინასართია და ქართულში ხმარებულ „სა“-ს ენაცვლება, ე. ი. იქნება „სა-ფუტე“-ი. ოფუტეს თავდაპირველი მნიშვნელობა ადამიანის პირველი სამოსახლოს, ერთ ჭერქვეშ ცხოვრების, ჭერქვეშეთის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ტერმინი ეფარდება საზოგადოების განვითარების ტენილებსა და შესაბამისი მნიშვნელობის ცნებაც ხდება. ჯერ იგი საზოგადოების ერთი ერთეულის – სახლის (გვარის) ჭერქვეშეთია, გვიან ოჯახის – საოჯახო თემის, თუ დიდი ოჯახის ერთიანი საცხოვრისის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ტერიტორიული თემისა და სოფლის გაჩენის დროს ოფუტე ხდება თემისა, თუ სოფლის ორგანული ნაწილის გამომხატველი ტერმინი. ოჯახის პარცელაციის ნიადაგზე ხდებოდა სოფლის გამჭიდროვება და ახალი უბნის გაჩენა. ეს პროცესი ახლაც მიმდინარეობს. ასე წარმოიქმნა ძველ ნასოფლარებზე სარფის ახალი უბნები – კვარიათი (გაღმა) და კალენდერე. ლაზური სოფლის უბანი სხვადასხვა სიდიდის ყოფილა. სარფში უბნის კომლთა მაქსიმუმი ოცდაერთია, ხოლო მინიმუმი კი – სამი კომლით განისაზღვრება.

9. ლაზეთის მრავალგვარიანობას ტერიტორიული განსახლების სიჭრელეც ახლავს. ამიტომაც სოფელი მონოგენური არ არის. ამ მხრივ არც უბნები გამოირჩევა. სარფში ახლა ათზე მეტი გვარის წარმომადგენელი ცხოვრობს. დასტურდება ფაქტიურად პოლიგენური გვარები. სარფში დადგინდა ერთი „ძირის“ დაყოფა „მამებად“ და შტოგვარებად განტოტება, რაც მომიჯნავე აჭარაშიც გამოვლინდა.

10. ლაზების ერთი ნაწილი ადგილმონაცვლეობისა, თუ სხვა მიზეზების გამო აჭარის სხვადასხვა სოფლებში დასახლებულან. ზოგ მათგანს შემოუნახავს მამა-პაპური გვარი, ხოლო მათი უმრავლესობა შემთხვევით, ფიქტიურ გვარს ატარებს. ლაზეთში გვარის ძირითად მაწარმოებლად „ში“-ა მიღებული, ხოლო მრავლობითობის აღმნიშვნელ სუფიქს „ეფე“-ში წარმოადგენს.

Vladimer Mgeladze

Lazians and Lazeti

Summary

In the article is discussed the problems of Lazian history and cultural values, mainly according existing at the second half of the XIX-th century and the beginning of the XX-th century. Literary sources, thought the work is emphasized on the morphology of the settlements. This article is a part of that large theme which had the title “The problems of the morphology of Lazian settlement (Sarpi village)”, which was written by the author in 1961 as a manuscript. This work was performed on the basis of an ethnographic field-work, the written sources and the documents from the archives. The manuscript is preserved in personal archives in Batumi Niko Berdzenishvili scientific – research institute of the Academy of Georgia and also in the family of the author.

Владимир Мгеладзе

Лазы и Лазети

Резюме

В статье рассматриваются проблемы лазской истории и культурных ценностей в основном, на базе литературных источников, существующих во второй половине XIX века и начале XX века, хотя в работе акцент сделан на морфологии населения. Эта статья является частью большой темы под названием «Проблемы морфологии лазского населения (село Сарпи)», которая была написана автором в 1961 году в виде рукописи. Эта работа была выполнена на основе этнографических полевых исследований, письменных источниках и архивных документах. Рукопись хранится в личном архиве, в Батумском научно-исследовательском институте им. Нико Бердзенишвили, а также в семье автора.

Vladimer Mgeladze

Lazlar ve Lazistan

Özeti

Çalışmada Lazların tarihi ve kültürel değerlerinden bahsedilmiştir. Araştırma genellikle 19. yüzyılın 2. yarısı ve 20 yüzyılın başlangıcında bulunan edebi kaynaklarına göre yapılmıştır. Gerçi araştırmanın ana konusu yerleşim morfolojisiyle alakalıdır. Bu araştırma, araştırmacı-yazarın büyük çalışması olan ve elyazısı olarak günümüze kadar gelen “Lazların Yerleşim Morfolojisi Konuları”nın bir bölümüdür. Araştırmacı-yazar konuyla alakalı bu büyük çalışmasını etnografik araştırmalara, yazılı kaynakalara ve arşiv belgelere dayanarak ortaya koymuştur. El yazıları yazarın evinde ve bir nüshası da “Gürcistan Bilim Akademisinin Niko Berdzenisvili Batum Bilim ve Araştırma Enstitüsünde” bulunmaktadır.

რკინიგზის მშენებლობა ლაზეთში 1916-1917 წლებში

1916 წლის გაზაფხულზე რუსეთის კავკასიის არმიამ, რომლის თვალსაჩინო ნაწილს ქართველები შეადგენდნენ, ოსმალთაგან გაათავისუფლა ისტორიული ლაზეთი. შემდგომი შეტევითი ოპერაციებისათვის მოქმედი არმიის უზრუნველსაყოფად რუსეთის სარდლობამ საჭიროდ ჩათვალა ქ.ტრაპიზონში მტკიცე ზურგის სამსახურის მოწყობა. ამისათვის ლაზეთის ზღვისპირა ზოლში, ბათუმიდან ტრაპიზონამდე გადაწყდა ფართოლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანა.

1916 წლის მაისში ქ.ბათუმში შეიქმნა სპეციალური დაწესებულება სახელწოდებით—„ბათუმ-ტრაპიზონის ფართოლიანდაგიანი სამხედრო რკინიგზის სამუშაოთა სამმართველო“, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა სამხედრო ინჟინერი, პოლკოვნიკი მ.ა.ვერდერეცკი.¹ იმავედროულად დაიწყო საპროექტო სამუშაოები.

აღნიშნულ დაწესებულებას ქ.ბათუმში გამოუყვეს ცალკე შენობა და უზრუნველყვეს საჭირო საინჟინრო-ტექნიკური პერსონალით. „სამმართველოსთან“ შეიქმნა ტექნიკური, მექანიკური და გეოლოგიური განყოფილებები, დამოუკიდებელი სამედიცინო სამსახური.² ბათუმის მუნიციპალიტეტმა ქალაქის განაპირას, სოფ. სოუქსუს საზღვართან, გამოჰყო 1,8 ჰექტარი მიწის ნაკვეთი მშენებარე რკინიგზის საბაზო საწყობების და მექანიკური სახელოსნოების მოსაწყობად.³ მათი ელექტროენერგიით მომარაგებისათვის, 1917 წლის იანვრის დასაწყისში ბათუმის მახლობლად, მდ. ჭოროხზე მოეწყო პატარა ჰიდროელექტროსადგურიც. სადენების გასაყვანად გამოიყენეს ქალაქის ელექტრობოძები.⁴

ლაზეთის რკინიგზის მშენებლობისათვის ხაზინამ გამოჰყო იმ დროისათვის სოლიდური თანხა—25 მილიონი რუბლი. 1916 წლის 14 დეკემბერს თვითონ იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ ხელმოწერილი „დროებითი დებულებით“ მშენებლობის უფროსს მიენიჭა შეუზღუდავი უფლებები ტექნიკური და მუშათა პერსონალის რაოდენობის, მათი ხელფასების, წარმოებულ სამუშაოთა შეფასების, მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკის და მოწყობილობათა ღირებულების, აგრეთვე, სხვა სახის ხარჯების განსაზღვრაში. მასვე შეეძლო, საჭიროებისას, უკვე დამტკიცებულ პროექტშიც შეეტანა აუცილებელი ცვლილებები.⁵

ლაზეთის რკინიგზის მშენებლობა დაიწყო 1916 წლის აგვისტოში. სამუშაოები წარმოებდა ერთდროულად რამდენიმე უბანზე, ქ.ბათუმიდან დაწყებული-ტრაპიზონამდე.

ლაზეთის ზღვისპირეთი მთავორიანია და კლდოვანი. ამიტომ რკინიგზის მოსაწყობი სამუშაოები განისაზღვრა სამ ეტაპად. პირველი რიგის ამოცანა იყო დაბლობ ადგილებში რელსების დასაგებად გრუნტის და პლატფორმების მომზადება. მეორე ეტაპზე განსაზღვრული იყო ხიდების და გვირაბების გაყვანა მთიან ადგილებში, რაც უნდა დასრულებულიყო სამონტაჟო სამუშაოებით და მატარებლების მოძრაობის დაწყებით.

რკინიგზის მშენებლობამ ათასობით მუშახელი მიიზიდა დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან, მათ შორის ლაზეთიდანაც. მათთვის, მშენებლობის სხვადასხვა უბანზე, აიგო ხე-ტყის სახერხი ქარხნები და სხვადასხვა სახის სახელოსნოები; მოეწყო ბარაკები, სასადილოები, სავაჭრო ფარდულები და სხვა ობიექტები. მშენებლობაზე მუშაობდა 30-ზე მეტი საბარგო ავტომობილი, ასობით ოთხთვალა და ურემი.

1917 წ. იანვარში დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალთან ლაზეთის შტოს შეერთების საკითხის განხილვა. ამისათვის შეიქმნა შერეული კომისია, სახელმწიფო მრჩეველ გ.ს.ქიქოძის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიოდნენ ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის, ამიერკავკასიის რკინიგზის, ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის, სამხედრო უწყების, მიხეილის ციხე-სიმაგრის, ბათუმის სავაჭრო და სამხედრო ნავსადგურების წარმომადგენლები. იანვრის დამლევს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ლაზეთის რკინიგზა ამიერკავკასიის მაგისტრალთან დროებით შეერთებინათ „ბათუმის საბარგო სადგურთან, მარცხენა მხრიდან“.

ზემოაღნიშნულ უწყებათა წარმომადგენლები აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში შეედგინათ ბათუმის დამოუკიდებელი საკვანძო სადგურის პროექტი, რომელსაც შეუერთდებოდა როგორც ლაზეთის, ისე უკვე დაპროექტებული ბათუმ-ყარსის რკინიგზაც. სამწუხაროდ, შემდეგ განვითარებული მოვლენების გამო ამ გეგმების განხორციელება ვეღარ მოხერხდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად რუსეთის ხელისუფლებაში მოსულ დროებით მთავრობას მძიმე მეძკვიდრეობა დარჩა: რთული ფინანსური მდგომარეობა და საგარეო ვალები, განადგურების პირას მისული მეურნეობა, რევოლუციით და ორხელისუფლებიანობით წარმოქმნილი ანარქია და უწყესრიგობა, კორუმპირებული სამოხელეო აპარატი. დაცარიელებული ხაზინა უკვე უშუალოდ ფრონტის საჭიროებებსაც ვეღარ აკმაყოფილებდა. ამიტომ, რუსეთის დროებითმა მთავრობამ გადაწყვიტა არაპირდაპირი სამხედრო დანიშნულების ხარჯების შემცირება, რაც შეეხო ლაზეთის მშენებარე რკინიგზასაც, რადგან არ ჰქონდა სახსრები მის ბოლომდე მისაყვანად.

1917 წლის 1 აპრილს ქ.თბილისში, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომის“) თავმჯდომარე ვ.ხარლამოვმა მოიწვია ამიერკავკასიის სამხედრო და სამრეწველო წრეების წარმომადგენელთა სპეციალური თათბირი, რომელზეც იმსჯელეს ლაზეთში სამხედრო რკინიგზის შემდგომი გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ. თათბირზე აღინიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო სერიოზული სირთულეები გაჩნდა ამ ობიექტის სარკინიგზო რელსებით და სხვა საშენი მასალებით მომარაგებაში.

ამავე თათბირზე წამოიჭრა საკითხი, რომ ფართოლიანდაგიანის ნაცვლად აევით ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. თუმცა ესეც შეუძლებლად მიიჩნიეს, რადგან ლაზეთის ზღვისპირეთის მთავორიანი და კლდოვანი რელიეფის გამო საჭირო გვირაბების და ხიდების გაყვანა დიდ დამატებით სახსრებს მოითხოვდა, რის საშუალებაც ხაზინას აღარ ჰქონდა. ამიტომ თათბირზე დაადგინეს „რკინიგზის მშენებლობის დაუყოვნებლივ შეჩერება“. სანაცვლოდ, მოქმედი არმიის მომარაგებისათვის

მიზანშეწონილად მიიჩნიეს ბათუმ-ტრაპიზონს შორის საზღვაო-საკაბო ტაჟო მიმოსვლის გაძლიერება, რის გამოც გადაწყდა დაეჩქარებინა სამხედრო პორტის მშენებლობა ტრაპიზონში.⁷

ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების გადაწყვეტილება ლაზეთის რკინიგზის მშენებლობის შეჩერების თაობაზე გაიზიარა რუსეთის დროებითმა მთავრობამაც, მაგრამ, ამასთან, არასაკმარისად მიიჩნია არმიის მხოლოდ ზღვით მომარაგება, მითუმეტეს, რომ ტრაპიზონში პორტის გაღრმავება-გაფართოების სამუშაოები ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ამიტომ 1917 წ. 15 აპრილს დაადგინა: „შეწყდეს ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობა და მთელი ინვენტარი, მასალები და მუშახელი გადაეცეს სამიმოსვლო გზათა კავკასიის ოკრუგის მმართველობას ამავე მიმართულებით საავტომობილო გზის მოსაწყობად“.⁸ ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე „ოზაკომმა“ შექმნა სალიკვიდაციო კომისია ინჟინერ ა.ე.ლაშჩუს ხელმძღვანელობით. ეს კომისია მიაგვლინეს ბათუმში მუშახელის, ინვენტარის და საშენი მასალების აღრიცხვის მიზნით. აღრიცხული ქონების ძირითადი ნაწილი გადაეცა ტრაპიზონის გამაგრებული რაიონის კომენდატურის განკარგულებაში კომისიამ იმუშავა 1918 წლის მარტამდე, რუსეთის ჯარების მიერ ტრაპიზონის დატოვებამდე.¹⁰

აღსანიშნავია, რომ ლაზეთის რკინიგზის მომავალი ბედის გარკვევის პერიოდში ჩატარდა მისი რევიზია. ამისათვის 1917 წ. აპრილის დასაწყისში „ოზაკომმა“ შექმნა სპეციალური კომისია ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ინჟინერის, ე.ა. სიტენკოს თავმჯდომარეობით და ამავე უწყების სამი ექსპერტის მონაწილეობით. კომისიაში შეიყვანეს, აგრეთვე, ამიერკავკასიის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოების თითო წარმომადგენელი. მათი ბათუმში ჩამოსვლის შემდეგ კომისიაში ჩართეს ადგილობრივი მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე გიზო ანჯაფარიძე და ბათუმის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ევგენი კრინიცი.¹¹

კომისია მოკვლევას შეუდგა 16 აპრილიდან და ორთვიანი მუშაობის შედეგად დაადგინა, რომ ლაზეთის რკინიგზაზე ადგილი ჰქონდა ხაზინის ფულების დატაცებას და არაღანიშნულებისამებრ ხარჯვას კერძოდ, მშენებლობის დაწყებიდან გასულ 7 თვეში ამ მშენებლობისათვის გამოყოფილი 25 მილიონიდან გახარჯული იყო 21 მილიონი რუბლი, მათგან 1,1 მილიონი შესაშური სისწრაფით „ათვისეს“ 1-დან-16 აპრილამდე, ე.ი. „ოზაკომის“ მიერ მშენებლობის შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან-ამ რევიზიის დაწყებამდე პერიოდში. ასეთი დიდი დანახარჯების მიუხედავად, ამ დროისათვის, რკინიგზის მშენებლობის სამუშაოები მხოლოდ სანახევროდ იყო შესრულებული. რელსების დასაგებად გრუნტი ძირითადად დაბლობ ადგილებში მომზადდა და ისიც უხარისხოდ. მალლობ და კლდოვან ადგილებში კი მსგავსი სამუშაოები ჯერ დაწყებულიც არ იყო.¹²

„ოზაკომის“ სარევიზიო კომისიის მასალებში ბევრი ფაქტია მოტანილი მშენებლობაზე მოკალათებული საქმოსნების მიერ ფულის მითვისების თაობაზე. დიდძალი თანხები გაიფლანგა უხარისხო მანქანამოწყობილობების, ინვენტარის და უვარგისი ხე-ტყის შესყიდვით. ისინი მალე გამოდიოდნენ მწყობრიდან და საჭიროებდნენ შეკეთებას, ან ხე-

ლახლა შეძენას. უწესრიგობა იყო გამეფებული სამშენებლო უბნებზე. მოუფრთხილებლად წარმოებდა აღრიცხვა და კონტროლი. მოიჯარადრეები მრავალგვარ მაქინაციას მიმართავდნენ ფულის მისათვისებლად. მათ საწყობებიდან, თითქოსდა მშენებელთა საჭიროებისათვის, გამოჰქონდათ შაქარი, ფქვილი, სხვა სასურსათო და საყოფაცხოვრებო დაწინაშეულების საგნები, სამშენებლო მასალები და საწვავი, რასაც კერძო პირებზე ჰყიდნენ.¹³ ათისთავები და უფროსი მუშებიც კი, სამუშაოდან დათხოვნის მუქარით ან მოტყუებით, ახერხებდნენ მიესაკუთრებინათ რიგითი მუშების ხელფასის ნაწილი, ხოლო მშენებლობაზე ახლად ჩამოსულთაგან ქრთამს იღებდნენ, რომ მათთვის მიეცათ შესაფერისი სამუშაო.

სამთავრობო სარევიზიო კომისიის შეფასებით ზემოაღნიშნული ბოროტმოქმედებები იყო მშენებლობის უფროსის უმრქმელობის, დოცლაპიობის და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შედეგი, რის გამოც იქ მოკალათებულმა საქმოსნებმა შეძლეს დიდძალი თანხების მითვისება. კომისიის დასკვნის საფუძველზე პოლკოვნიკი ვერდერევესკი გადააყენეს თანამდებობიდან, ძიების გაგრძელება დაევალა სამხედრო პროკურატურას და აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.¹⁴

აღსანიშნავია, რომ ხაზინის ფულების გაფლანგვას ადგილი ჰქონდა სხვა ობიექტებზეც. ამის გამო 1917 წ. ივლისში ბრალდება წაუყენეს ომით დაკავებული ოსმალეთის ტერიტორიების გენერალ-გუბერნატორ რომანოვსკის, მისივე უწყების საინჟინრო ინსპექციის უფროს პოლკოვნიკ ვუნკოვსკის და სხვა მსხვილ თუ წვრილ საქმოსან მოხელეებს.¹⁵

რა თქმა უნდა ძნელია ირწმუნო ყველა ზემოაღნიშნული ცნობის აბსოლუტური სანდოობა ამა თუ იმ ეჭვიმიტანილი პირის ბრალეულობის შესახებ. მითუმეტეს, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ პერიოდში გაძლიერდა ეჭვიანი დამოკიდებულების ტენდენცია ძველი სამხედრო პირებისა და მოხელეებისადმი. მაგრამ ფაქტია, რომ თვითმპყრობელური რეჟიმის არსებობის ბოლო პერიოდში რუსეთში სერიოზულად მოირყა საერთო წესრიგი და სახელმწიფოებრივი აზროვნება, ხოლო სამოხელეო აპარატი კორუფციის ჭაობში აღმოჩნდა, რის ნათელი დადასტურებაცაა ლაზეთის რკინიგზის დაუმთავრებელი მშენებლობა.

ამრიგად, 1916-1917 წლებში ლაზეთში რკინიგზის მშენებლობას რუსეთი აწარმოებდა სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარე. ამის მიუხედავად, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, მას დადებითი როლის შესრულება შეეძლო ლაზეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და ამ ძირძველი ქართული მხარის დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრაციაში.

შენიშვნები

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდეგში იხ: სცსსა), ფონდი 2080, აღწ. 1, საქ. 544, ფურც. 422.

2. აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში: აცსა), ფ.6, აღ. 1, ს.896, ფურც.4.

3. იქვე, ს.873, ფურც. 1-8.
4. იქვე, ს. 899, ფურც. 6-9.
5. სცსსა, ფ. 2080, აღ.1, ს.544, ფურც. 422-433.
6. აცსა, ფ.6, ს. 896, ფურც. 5.
7. სცსსა, ფ. 2080, აღ. 1, ს.544, ფურც. 4-5.
8. იქვე, ფურც. 19.
9. ტრაპიზონი რუსეთის არმიამ დაიკავა 1916 წ. აპრილში. კავკასიის არმიის მთავარსარდლის 1916 წ. 26 ივლისის ბრძანებულებით, მას შემდეგ რაც გადაწყდა ტრაპიზონში ზურგის საბაზო სამსახურის მოწყობა, ეს ქალაქი-სიმაგრე და მის ირგვლივ 25 ვერსტის რადიუსის ტერიტორია გამოცხადდა ტრაპიზონის გამაგრებულ რაიონად. მის კომენდანტს მიენიჭა სამხედრო გენერალ-გუბერნატორის უფლებები (სცსსა, ფ. 1818, აღ. 2, ს.122, ფურც. 49).
10. სცსსა, ფ. 2080, აღ. 1, ს.544, ფურც. 4-5.
11. იქვე, ფურც. 14, 23.
12. იქვე, ფურც. 4-5.
13. იქვე, ფ. 1854, აღ.1, ს.776, ფურც. 2-5.
14. იქვე, ფ. 2080, აღ. 1, ს.544, ფურც. 422-433; პოლკ. ვერდერევისკის ნაცვლად, სალიკვიდაციო სამუშაოების ბოლომდე მისაყვანად, ლაზეთის რკინიგზის მშენებლობის სამმართველოს სათავეში ჩაუყენეს ინჟინერი კოვანკო, რომელიც ბათუმის ოლქის აღმასკომის თავმჯდომარე - ე.კრინიციკის შეფასებით „იმსახურებდა ნდობას“ (სცსსა, ფ. 2081, აღ. 1, ს. 243, ფურც. 5).
15. იხ. სცსსა, ფ. 1854, აღ. 1, ს.356, ფურც. 1-61.

Malkhaz Sioridze

The construction of railway in Lazeti (Lazistan) in 1916-1917-th

Summary

In spring of 1916 during the first world war Russian Tsar's Government started to build some of military new constructions in the ancient Georgian province-Lazistan (Lazeti) liberated by the Russian-caucasian army.

Among them one of the major projects was Batumi-Trabzon broad-gauge railway for the building of which Russian Government gave out 25 million gold roubles.

The building started on the several different areas of Lazistan (Lazeti) at the same time. This work was performed by special administration whose management office was situated in Batumi. There were also mechanical workshops and other objects necessary for building. It was supposed to link the Lazistan (Lazeti) railroad to Transcaucasus railroad in Batumi.

After the February revolution in 1917 according to the state auditing on April of 1917 about 21 million roubles had already been spent for this project,

but the greatest part of this sum was appropriated by the machinators. The provisional Government in Russia had no additional financial resources and as a result of ruin of Russian state, the Russian provisional Government stopped this project.

The given question is almost unknown in historygraphy.

Малхаз Сиоридзе

Строительство железной дороги в Лазистане (Лазети) в 1916-1917 годах

Резюме

Весной 1916 г. царское правительство России начало ряд новостроек военного назначения, в древнегрузинской провинции – Лазистане, освобожденной русской Кавказской армией.

Среди них одним из главных объектов была Батум-Трапезунтская ширококолейная железная дорога, для постройки которой Российским правительством была выделено 25 миллионов золотых рублей.

Строительство началось одновременно на нескольких строительных участках Лазистанского приморья. Строительством руководило специальное управление, которое находилось в Батуми. Здесь же расположились главные механические мастерские, склады и другие объекты. Предполагалось подсоединение Лазистанской ветви к Закавказской железной дороге в Батуми. После февральской революции 1917 г. на Лазистанской ж.д. была проведена ревизия, в результате чего выявилось что уже было израсходовано и расхищено 21 млн. рублей. Однако работы были выполнены лишь на половину. Для завершения строительства требовались большие дополнительные средства, возможность которых казна не имела. Кроме этого серьезные затруднения создалось в снабжении строительства рельсами и другим инвентарем. Поэтому постановлением Российского временного правительства от 15 апреля 1917 г. строительство железной дороги в Лазистане было приостановлено.

Данный вопрос почти неизвестен в историографии.

Malhaz Sioridze

1916-1917 yıllar da Lazlarda demiryolu yapımı

Özeti

1916 Yazın da Çarlık Rusyası, savaşla geri alınan eski Gürcü toprakları olan Lazistanda askeri önem taşıyan değişik inşaatlar başlatmışlardır. Bunlar

arasında en geniş çaplı olan çalışma Batum-Tırabzom arasında ki demir yolu inşaatıydı. Bu yolun yapılması için 25 milyon Altın Ruble Çarlık Rusyasının bütçesinden ayarlandı.

Yol inşaatı deniz kenarında bir kaç bölgede birden başlamıştı. Bu çalışmaları özel bir kurum yönetiyordu. Bu kurumun merkez ofisi ise Batum'da bulunuyordu. Aynı zamanda Batum'da, gereken mekanik fabrikaları ve inşaat için gereken depolar ve değişik kurumlar kuruldu. Trans Kafkasyanın demir yollar ve yeni yapılan Batum-Tırabzom demir yolu Batum'da birleşecekti.

1917 yılı Ekim Devrimin'den sonra yapılan teftiş sonucu anlaşılırmıştı ki, bütçeden ayarlanmış paranın büyük bir kısmının (21 milyon altın ruble) harcanmasına rağmen çalışmaların yarısı bile yapılmamıştır. Bu çalışmaları devam etmesi çok büyük para gerekmektedir. Rus Hükümetinin bütçesinin buna yeterli gelmemesi ve nakliyesinde de bazı zorlukların olması yüzünden 15 nisan 1917'de bu inşaatın durdurulmasına mecbur kalınmıştır.

Bu konuya tarihi kaynaklarda pek yer verilmemiştir.

ჯეპალ ვარშალომიძე

მოზაური ლაზი ხურო-მეჩუქურთმეანი

საისტორიო-ლიტერატურულ წყაროებში ლაზების ხელოსნობაში ოსტატობაზე, მათ შორის ხურო-მეჩუქურთმეობაზე, მრავალი საყურადღებო ცნობა მოიპოვება. ამათგან მრავლისმთქმელია XVIII საუკუნის პირველ ნახევრის მოღვაწის ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათება — ლაზები „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთთა, დიდთა და მცირეთა“ (1. ვახუშტი, 1941, 142).

ლაზების ხის მუშაკობის ხელოვნებაზე XIX საუკუნისა და შემდგომი პერიოდის საისტორიო და ხუროთმოძღვრული ხასიათის შრომებშიც მნიშვნელოვანი მონაცემები აისახა (2. Пальгрев, 1882. В.Я. Лисовсий, 1887, 58. А.М. Павлинов, 1893, 76. Н.Я. Март, 1910. ი.ა. დამია, 1956, 85. М. Гараკანიძე, 1959, 114)

ლაზებისათვის ხურო-მეჩუქურთმეობა, როგორც საშოვარზე გასულთა შრომითი საქმიანობა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების წყარო, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვითაც დადასტურებულია. ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა აკად. გ. ჩიტაიას დაკვირვება. იგი წერს: „მთელ დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც სამხრეთ-საქართველოში და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოშიც მე-19 საუკუნის მანძილზე და ნაწილობრივ მე-20 საუკუნის დასაწყისში ლაზები საუკეთესო ხის ოსტატებად, ხუროებად და ხის ნაგებობის საუკეთესო უსტიებად იყვნენ მიჩნეულნი (3. გ. ჩიტაია, 1941, 305).

ნ. მარის ცნობით, აღნიშნულ პერიოდში, ლაზები საქართველოს საზღვარს გარეთაც დადიოდნენ სამუშაოდ. (4. Н.Я. Март, 1910, 617). წ. ბაწაშის შრომაში ვკითხულობთ: „ყოველწლიურად 1500-ზე მეტი ლაზისტანელი, მეზღვაურების გამოკლებით, მიემგზავრებოდა რუსეთის ქალაქებში: ბათუმში, ფოთში, სოხუმში, როსტოვში, ფეოდოსიაში, ქერჩში, ევპატორიაში, სევასტოპოლში, ოდესასა და სხვა ქალაქებში საშოვარზე, სადაც ისინი ცხოვრობდნენ რამდენიმე წლის განმავლობაში“. (5. წ. ბაწაში, 1988, 47).

ლაზი ხუროები ძირითადად ორ, სამ ან ოთკაციან ჯგუფებად დადიოდნენ საშოვარზე. ხშირად წინასწარ აზუსტებდნენ პირობებს — აღებული სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, თუ ვისთან, რა ფასად და რა ფორმის სახლს ააშენებდნენ. ამგვარი დეტალები ადრევე უნდა გადაეწყვიტათ. ფართოდ იყო გავრცელებული შრომის დღიური ანაზღაურება. მეტად მნიშვნელოვანი იყო ამა თუ იმ ხუროს აღიარება სოფელში, თემში და ა. შ. რაც უფრო მეტი სახლი ჰქონდა აშენებული ხუროს მით უფრო იყო დაფასებული. მიუხედავად ამგვარი ყურადღებისა ბევრი მათგანის კონკრეტული ვინაობა აღარ შემორჩა ხანდაზმულთა მეხსიერებას, თუნდაც სამი ათეული წლის წინათ. გასული საუკუნის 70-იან წლებში მთხრობლები ზოგადად მიუთითებდნენ გადმოცემას, რომ ესა თუ ის ჯამე ლაზებმა ააგეს, ჩუქურთმებით შეამკეს და ა. შ. აღნიშნული გარემოების გამო მეტად ძვირფასია ცალკეული, კონკრეტული, ოსტატების ვინაობისა და საქმიანობის შესახებ გამოვლენილი ეთნოგრაფიული მონაცემები. ამ ხარვეზის დაძლევაში გარკვეულად გვიხ-

მარება ეპიგრაფიკული მასალებიც. რამდენიმე ოსტატის ვინაობის შესახებ ცნობები შემოგვინახა მეჩეთებზე არსებულმა წარწერებმა. მაგალითად, შუახვევის რაიონის სოფ. დღვანის საკულტო ნაგებობის შესასვლელი კარის თავზე ამოკვეთილია წარწერა: „ ხელოსანი ომერ უსტა ახმედის ძე ლაზისტანიდან“. გარკვეულია, რომ მას თან ახლდნენ შვილები: მუსტაფა, ხასანი და სიძე ახმედი. ომერი არჰავედან, კერძოდ, სოფელ ორჭიდან ყოფილა გვარად ყუროლლი. ცნობილია, რომ სოფელ ორჭაში, თალოქეთსა და ვიწეში მოსახლეობის დიდი ნაწილი ხელოსნობას მისდევდნენ (6. მ. ვანილიში, ა. თანდილავა, 1964, 78). ამავე ოსტატს აუშენებია მეჩეთი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტში, სადაც თან ახლდნენ შვილები: მუსტაფა და ხასანი. აჭარაში გარდა ომერ ყუროლლისა სხვა ლაზი ომერიც ყოფილა, რომელსაც 1900–1903 წლებში აუშენებია და მოუჩუქურთმებია ხულოს რაიონის ღორჯომის თემის ჯამე. მას მშენებლობაზე ამავე თემის ხუროებიც ეხმარებოდნენ, რომელთა შორის ოსტატებით გამორჩეულ შაქირ ართმელაძეს მანამდე ჩუქურთმა საკუთარ სახლის კარებზეც ჰქონია ამოკვეთილი (7. ჯ. ვარშალომიძე, 1975, 63,) ღორჯომის ჯამეს მშენებლობისას ომერი ასაკით 50 წელს ყოფილა გადაცილებული.

შუახვევის რაიონის სოფელ ჭვანის ჯამე ადგილობრივ ხუროებს აუვიათ, ჩუქურთმებით კი ლაზეთიდან მოსულ ომერ ბერხანოლლის შეუქცია.

იმერეთში, ბაღდადის რაიონში, სოფელ ხანში ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლზე ქართულ და თურქულ ენაზე შესრულებულ წარწერაში იკითხება: „ბათომის გუბერნიის არჰავე ვეზდის ფილარგეთის მცხოვრები უსტა ომერ. ეფენდი“ (8. გ. ჩიტაია, 1937, 336). ამ რაიონში, მთელ ხანის წყლის ხეობაში, სამ ძმას: ომერს, ახმედსა და მუსტაფას ლაზური სახლები აუშენებიათ, მათგან ადგილობრივებსაც უსწავლიათ ხურობა და იმათ ყაიდაზე უკეთებიათ ხის ნაგებობები და ორნამენტები ხეზე“ (9. გ. ჩიტაია, 1941, 305)

გ. ჩიტაიამ გამოიკვლია, რომ თრიალეთში, სოფელ გუნია-ყალაში მცხოვრებნი ტურშოვები წარმოშობით ლაზები ყოფილან. ამ გვარში დახელოვნებულ ხუროებს „თრიალეთის ბევრ სოფელში შესანიშნავად მოჩუქურთმებული სახლები უკეთებიათ (10. გ. ჩიტაია, 1941, 306). მკლევარს მათ მიერ აგებული სახლები სოფელ წინწყაროსა და გუნია-ყალაში დაუმოწმებია. ხოლო სოფელ წინწყაროში გუნია-ყალელი ლაზის კონსტანტინე ტურშოვის მიერ ნიკიფორე არისტოვისათვის 1883 წელს აგებულ სახლზე ამოკვეთილი წარწერა მშენებლის ვინაობაზე მიუთითებს (11. გ. ჩიტაია, 1941, 308)

გურიაში, ჩოხატაურის რაიონში, ხურობით სახელი მოუხვეჭია ლაზ ხელოსანს, ალი გელიშს, რომელსაც ქრისტიანობის მიღების შემდეგ სახელად ალექსანდრე, გვარად მგელაძე დაურქმევია. იგი სოფელ ბუკისციხეში ოჯახს მოჰკიდებია და იქვე დამკვიდრებულა (12. ი. სიხარულიძე, 1979, 6) ასევე, საყურადღებოა, სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის ჯვარცმის ეკლესიის ამშენებელი (1891წელი) ივანე დივასოლლი. იგი ქრისტიანობაზე დაბრუნების შემდეგ ივანე ქართველად წოდებულა (13. ი. სიხარულიძე, 1979, 7).

ლაზებს სამეგრელოშიც მრავალი საცხოვრებელი სახლი აუშენებიათ. მათი ოსტატობის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ზუგდიდში, სამეგრელოს მთავრების—დადიანების სასახლისა და სოფელ სალხინოში საზაფხულო რეზიდენციის ჩუქურთმები. ლაზების მიერ შესრულებული ორნამენტების ცალკეული ნიმუშების ანალოგების დამზადება-მიზამკა უცდიათ მეგრელ მეჩუქურთმეებსაც. მათ მოუნდომებიათ ლაზების ტრადიციული კომპოზიციების გამეორება, რომლებიც რელიეფური კვეთის ტექნიკით ხასიათდება. მეგრელი ოსტატები, ისევე როგორც რაჭველი, გურული და იმერელი ხუროები ძირითადად აეურული ორნამენტების მიმართ ერთგული დარჩნენ. მათ ტრადიცია არ შეუცვლიათ.

ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ ზემო აჭარაში საკულტო ნაგებობათა უმრავლესობა, მათ შორის ღორჯომის, აგარის, ნიგაზეულის, დღვანის, გოგაძეების და მთა ჩირუხის ჯამეები ლაზი ხუროების მიერ ყოფილა აგებული და მოჩუქურთმებული, ხოლო ქვემო აჭარაში, კერძოდ, ქედის რაიონში კი, სოფელ გეგელიძეების, ცხმორისის, ძენწმანისა და დანდალოს საკულტო ნაგებობები.

ცნობილია, რომ აჭარაში ჯამეების მშენებლობის ტემპი დაჩქარდა რუსეთ—თურქეთის ომის დამთავრების (1878წ) შემდეგ, განახლდა ძველი ნაგებობები, მცირე ზომის მეჩეთები შეიცვალა უფრო დიდით. ამიტომაც ლაზ ხუროებზე მოთხოვნილება გაიზარდა, მათ ხომ მეჩეთების აგების საქმეში მეტი გამოცდილება ჰქონდათ, ვიდრე ადგილობრივ უსტიებს. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ლაზები მეჩეთების ინტერიების შესამკობად, მოსახატავად იყენებდნენ ზეთის ფერად საღებავებს. ლაზების მიერ აგებულ ღორჯომის, ნიგაზეულის, დღვანის, გოგაძეების, ჭახათის ჯამეებზე სიმინდი ღეროთი, ფოთლებით, ტაროთი და ფოჩვებით გამოუსახავთ, რაც სიმინდის შემოტანის (14. ნ. ბრეგაძე, 1965) საქმეში მათ ღვაწლს სიმბოლურად უნდა აღნიშნავდეს.

ასევე, სიმბოლურია გემის გამოსახვა ლაზი ხუროების მიერ სოფელ ღორჯომში, დღვანსა და გოგაძეში აგებულ მეჩეთების ფასადებზე (15. ჯ. ვარშალომიძე, 1979, 78)

მოგზაური ლაზი და ადგილობრივი ხუროები ზოგჯერ ერთიანდებოდნენ და ქმნიდნენ „ამხანაგობებს“, შრომის გასამრჯელოს თანაბრად იყოფდნენ. იშვიათად ასეთ გაერთიანებაში ადგილი ჰქონდა ანაზღაურების არათანაბარ განაწილებას, ითვალისწინებდნენ თითოეული მათგანის ოსტატობისა და გამოცდილების დონეს (ბაშუსტა//უსტაბაში, უსტა, შეგირდი, დამხმარე) შრომის ანაზღაურების თაობაზე სამუშაოს დაწყებამდე მორიდებოდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941.
2. Отчет консула Пальгрева, за лето 1872 года, о береге Лазистана и прилегающих к нему внутренних округах, между Шевкетили и укреплением св. Николая на русско-турецкой границе на берегу Черно-

го моря и Трапезундом- ИКОИРГО, Т.VII, 1882; В. Я Лисовский. Чорохский край, Тифлис, 1887; А. М. Павлинов. Памятники магометанские. Материалы по археологии Кавказа, Вып. III[^] М, 1893. Н. Я. Марр. Из поездки в Турецкий Лазистан- ИИАН, 1910; ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება. აჭარა, თბილისი, 1956; М. Гараканидзе. Грузинское деревянное зодчество. Тбилиси, 1959.

3. გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში- ენიმკის მოამბე, X, თბილისი, 1941.

4. Н. Я. Марр. из поездки в Турецкий Лазистан.- ИИАН, 1910

5. წ. ბაწაში, ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, თბილისი, 1988.

6. მ. ვანილიში, ა. თანდილავა. ლაზეთი, თბილისი, 1964.

7. ჯ. ვარშალომიძე, ორნამენტი ხეზე. სამხრეთ- დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, II, თბილისი, 1975.

8. გ. ჩიტაია. იმერეთის ექსპედიცია,- ენიმკის მოამბე, II, ტფილისი, 1937

9. გ. ჩიტაია. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში.- ენიმკის მოამბე, X, თბილისი, 1941

10. გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი...

11. გ. ჩიტაია ...იქვე

12. ი. სიხარულიძე, ჭანეთი. II, ბათუმი, 1979

13. ი. სიხარულიძე, იქვე

14. ნ. ბრეგაძე. საქართველოში სიმინდის კულტურის შემოტანის ისტორიის საკითხებისათვის,- საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, X, II;- 3, თბილისი, 1965

15. ჯ. ვარშალომიძე, ორნამენტი ხეზე (აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), ბათუმი, 1979.

Djemaal Varshalomidze

Lazians – seasonal carpentry workers

Summary

In the XIX-th century and at the beginning of the XX-th century Lazians - the seasonal carpentry workers, from the historical Georgian province Lazeti, constructed a lot of dwelling houses and religious buildings in West Georgia. After the end of the war between Russia and Turkey (1878), Lazians started intensively to build the mosques in Adjara. Lazians usually set up the associations of the carpenters and completed them with the relatives, but sometimes the associations included the local carpenters. The functions of the carpenters were distributed according their experience and

skill. They were respected, some of them settled down in life as a married man and converted to Christianity.

Джемал Варшаломидзе

Странствующие лазы- плотники

Резюме

В XIX веке и в начале XX века многие жилые и культовые здания в Западной Грузии строились выходцами из исторической грузинской провинции- Лазети. После русско-турецкой войны (1878г) лазы интенсивно стали строить мечети на территории Аджарии. Эти мастера вместе с некоторыми членами своих семей (иногда при участии местных плотников) организовывались в товарищества, которые назывались «Амханагоба». В товариществе функции распределялись в соответствии с опытом и мастерством. Эти мастера пользовались уважением и нередко оставались жить в новых местах, создавая семьи, а некоторые из них принимали христианство.

Cemal Varşalomidze

Gezen Laz usta-nakişçılar

Özet

19. ve 20. yüzyılların başlangıcında tarihi gürcü provinsiyadan-Lazistandan gelen ustalar batı Gürcistanda, bir çok ev ve ibadet haneleri inşa etmişlerdir. Doksan üç Rus-Türk (1878 y) muharebesinden sonra lazlar Acara bölgesinde bir çok camii inşa ettiler. Lazlar kendi akrabalar içerisinde, bazende yerel ustalarla birlikte ustalar gurubu “Amhanagoba”-“arkadaşlık” oluşturuyorlardı. Bu gurubların işleri için ustalığına göre tasnif ediyorlardı. Laz ustalara bölgede büyük saygı gösteriliyordu. Bazen gittikleri yerlerde evlenip yerleşiyorlardı ve hatta hristiyanlaşıyorlardı.

**ენათმეცნიერება
და
ფოლკლორი**

ისტორიული ლაზეთი ზ.ჭიჭინაძის ნაშრომის – „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“ – მიხედვით

ზ.ჭიჭინაძის ნაშრომში „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“ (თბ., 1913) აღწერილია სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, შავშეთი, იმერზევი, კლარჯეთი...) მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, კულტურა, წეს-ჩვეულებები... ნაშრომში აღწერილია, აგრეთვე ისტორიული ლაზეთიც. აქვე შენიშვნაში (გვ. 242) მითითებულია, რომ მის მიერ შედგენილი ლაზისტანის ვრცელი აღწერა დაუბეჭდავია.

ხსენებულ ნაშრომში ლაზეთის აღწერას სულ 14 გვერდი უჭირავს და ორი ნაწილისაგან შედგება. როგორც პირველ ნაწილში („ლაზისტან-ჭანეთი, I“, გვ. 242-250), ისე მეორეში („ლაზისტანი, II“, გვ. 250-257) ძირითადად აღწერილია ლაზეთი, მოცემულია მისი ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობა. ავტორი რამდენიმე ადგილას მოიხსენიებს ჭანეთსა და სამეგრელოსაც.

ლაზეთ-ჭანეთთან დაკავშირებით მიმოხილულია საქართველოს ამ ისტორიული მხარის წარსული და აწმყო. კერძოდ, აღნიშნულია: ლაზეთი ხშირად ექვემდებარებოდა უცხო სახელმწიფოებს (რომს, ბიზანტიას, არაბებს და სხვ.). რომაელების მფლობელობა იწყება ძველი დროიდან, მათი ზეგავლენა ლაზებზე მძლავრი იყო, მაგრამ არც ლაზები ყოფილან „მჩატენი“. რომაელებისა და ბიზანტიელების ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში მათ შეინარჩუნეს ეროვნული ცნობიერება. ლაზების სულით ძლიერება ოსმალთა დესპოტიზმმა მასხვილმა და ფანატიზმმაც ვერ შეარყია. ლაზები V საუკუნიდან აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს შინაურ საქმეებში.

ლაზეთს მეტად ძველი და მდიდარი ისტორია აქვს, რაზედაც ნათლად მეტყველებს ბიზანტიელი და რომაელი მწერლების ცნობები. სადაც „ისე შესანიშნავად მთელი საქართველოს ერი არ არის მოხსენიებული“, როგორც ლაზეთი და ჭანეთი. „საფიქრებელია ისიც, რომ ხშირად უძველესის დროიდან ლაზისტანის სახელწოდებით იგულისხმებოდა მთელი საქართველო და ქართველი ერიც კი“ (გვ. 243-244).

ლაზეთი და ჭანეთი დღეს ჩამოშორებულია საქართველოს, მაგრამ უხსოვარი დროიდან საქართველოსთან იყო დაკავშირებული და ყველა მათგანი (ლაზი, ჭანი, მეგრელი) ქართველს წარმოადგენდა.

მთელი შავი ზღვის სანაპირო იწოდებოდა ჭანეთ-ლაზეთ-სამეგრელოდ, გურია შემდეგაა გაჩენილი. ლაზური, მეგრული და ქართული მონათესავე ენებია. ყველას სალიტერატურო ენა ქართულია, ერთია დამწერლობაც (ქართული). XVII საუკუნეში ბევრი ლაზი „გაფრანგდა“ (მიიღეს კათოლიკობა) და შემდეგ კი გასომხდა.

ლაზისტანი ცხრა სანჯაყისაგან შედგება. 1854 წლამდე ლივანაგონიოს ფაშები ლაზისტანის ფაშებადაც იწოდებოდნენ. 1830 წელს მუსა ფაშა ჭყონია თავის წერილებში ქართულად ასე აწერდა ხელს: „გო-

ნიო ლივანა ლაზისტანის სანჯაყის მფლობელი მუსა ფაშა ჭყონია“. ლაზების მთავარი ქალაქი იყო ტრაპიზონი.

შავი ზღვის სანაპიროზე, ბათუმიდან 250 ვერსის მანძილზე, ლაზებს აქვთ ქალაქები და დაბები, რომელთაგან ზოგი ნავსადგურია. ყველა ქალაქში ლაზების ხელთაა ვაჭრობა და ხელოსნობა, კარგი მეზღვაურებიც არიან. ყველაფერში „ოსმალთ ესენი საკმარისად აღემატებიან“. ამ უპირატესობის გამო ოსმალები „მათ სდევნიან კიდეც“.

ნაშრომის ამ ნაწილში ლაზეთის ისტორიის, ქართველური ენების ნათესაობის და სხვა საკითხები ძირითადად სწორადაა გაანალიზებული. ამასთან ავტორი საკმაოდ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ლაზების საქმიანობის შესახებ.

ნაშრომში შემდეგ მიმოხილულია „ბათუმი და ლაზისტანი“ (დ.ბაქრაძის რუსული ცნობების მიხედვით. გვ. 247-250). დახასიათებულია ბათუმისა და ლაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა, ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობა და მოკლე ისტორია. ჩამოთვლილია ლაზისტანის საფაშოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები (11 ყაზა: ბათუმი, ჩურუქსუ, ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი, ლივანა, არხავე, ეხშინა, გონიო, ზოფა და ათინა; ტექსტის მიხედვით - გონიე, ზოფი, ათინე). ბათუმში ბევრი ქობულეთელი, აჭარელი და ლაზი ცხოვრობს, - ამბობს ზ.ჭიჭინაძე.

„ლაზისტანი II“. ნაშრომის ამ ნაწილში ზ.ჭიჭინაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ ძველი ბერძენი და რომაელი მწერლების ცნობებით უფრო მეტი ვიცით ისტორიული ლაზეთის შესახებ, ვიდრე დღეს. ამიტომ ავტორი მოკლედ მიმოიხილავს XIX საუკუნის დასასრულის ლაზეთის ისტორიას, გეოგრაფიულ მდებარეობასა და მცხოვრებთა მდგომარეობას.

ზ.ჭიჭინაძე აღნიშნავს: ლაზეთი იწყება მაკრიალიდან და თითქმის ტრაპიზონამდე აღწევს. მაკრიალი კი მდებარეობს ზღვის პირას, ბათუმიდან 26 ვერსის მანძილზე.

როცა ოსმალებმა ლაზეთი დაიპყრო, შეუდგა ისლამის გავრცელებასაც. ლაზები შავი ზღვის პირას მდებარე დაბებში, სოფლებსა და ქალაქებში ცხოვრობენ 200 ვერსის მანძილზე. ისინი უმთავრესად მისდევენ სოფლის მეურნეობას, ვაჭრობასა და ხელოსნობას. არიან კარგი მშენებლები, ნაოსნობაც კარგად იციან, გემებსაც კი აკეთებდნენ. ლაზებმა ქრისტიანობა XVIII საუკუნის „ნახევრამდე“ მთლად დაკარგეს და ისლამი იწამეს. რასაც მოჰყვა ქრისტიანული მატერიალური ძეგლების განადგურება. დღეს იშვიათად თუა შემონახული ქრისტიანული ტაძრების ნაშთები, რომელთაც მოსახლეობა თამარ მეფის ნაშენად თვლის.

ლაზისტანი ტრაპიზონის ფაშას ემორჩილება. ლაზების ყველა საქმეც ტრაპიზონში ირჩევა და რომელიმე საქმე სტამბულამდე იშვიათად აღწევს. ლაზთა რიცხვი 350 ათას სულს აღწევს. გამრავლება მაღალია, მაგრამ ოსმალები ჯარში გაწვეულ ლაზებს ისეთ ქვეყნებში ავზავნიან, რომ ხშირად სამშობლოში ვეღარ ბრუნდებიან. ამასთან ლაზ ბავშვებს ხშირად იტაცებენ და ყიდიან.

ლაზები ოჯახში ლაზურად ლაპარაკობენ. ლაზური ენა განსაკუთრებით კარგად იციან ქალებმა. იციან, აგრეთვე ოსმალური ენაც. ლა-

ზეთში სასულიერო პირებიც ლაზები არიან. მათ განათლება უმეტესად სტამბოლში აქვთ მიღებული და ფანატიკოსობაში ხშირად თათრის მოღვაწეებსა და ხოჯებსაც კი „სჭარბობენ“. სამრევლო სკოლებში სწავლება არაბულ ენაზეა. აღზრდის წესი ოსმალურია, ხშირად წიკპლსა და ეკლიან ჯგუფებსაც ხმარობენ. ლაზებმა კარგად იციან, რომ მეგრელები და ქართველები მათი მონათესავენი არიან.

რუსეთის შემადგენლობაში მხოლოდ ჩხალის ხეობაა, ლაზეთის დანარჩენი ტერიტორია კი ოსმალეთის საზღვრებშია.

ლაზები ცხოვრობენ შემდეგ სოფლებში:

1. დაკვარა, 5 კომლი. წინათ მეტი იყვნენ, მაგრამ, როცა რუსეთმა ეს ტერიტორია დაიჭირა, ბევრი ოსმალეთის ლაზისტანში გადასახლდა.

2. ოხორდია, 10 კომლი, ზოგი წავიდა.

3. კორტანეთი, 15 კომლი, ზოგი წავიდა.

4. ბელლეგანი, 20 კომლი, ზოგი წავიდა.

5. პანჩერეთი, 15 კომლი, ზოგი წავიდა.

6. სუჯუნა, 5 კომლი, 55 კომლი გადასახლდა.

7. მამანათი, 30 კომლი.

8. სკურჩე, 5 კომლი, ზოგი წავიდა.

9. მაკრეთი, 15 კომლი, ზოგი წავიდა.

10. გადრავეთი, 9 კომლი, ზოგი წავიდა.

11. მაჭათი, 10 კომლი, ზოგი წავიდა.

12. გაბრიელა, 5 კომლი.

13. ლუსკოი, 60 კომლი.

14. სარფი, 40 კომლი. ზღვის პირას მდებარეობს.

15. ლიმანი, 20 კომლი.

16. მაქრიალი, 20 კომლი.

ამ სახელების უმეტესობა ქართულში კარგად ცნობილი ტოპოფორმანტებითაა გაფორმებული. ზოგი სახელწოდება სხვაგან ოდნავ შეცვლილი ფორმით გვხვდება. მაგ., მაკრეთი, მაქრიალი 1923 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე ასეა მოცემული: მაყრეთი, მაკრიალი.

ავტორი არ ასახელებს 2-3 კომლიან სოფლებს. მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ ამგვარი ქართული სოფლები ტრაპიზონამდეა. მთების, დღეების, მდინარეების, სოფლების მცირე ნაწილისათვის ოსმალური სახელები დაურქმევიათ.

ლაზურ ანუ ქართულ სახელს თითქმის არც ერთი ლაზი აღარ ატარებს. ზოგს ქართული გვარი შენარჩუნებული აქვს, ზოგს კი ოსმალურად გადაუკეთებია. მაგ., ქურდიანი ქურდოლლად იწოდება, მარგიანი - მარავოლლად, მარიამიძე - მაიროლლად და სხვ.

ლაზებში არის თქმულება, რომ ძველად სოხუმიდან მოყოლებული ტრაპიზონამდე, ზღვის პირას, სულ მეგრელები და ლაზები ცხოვრობდნენ. არის სხვა გადმოცემებიც, მაგრამ ისლამის ზეგავლენით დამახინჯებულია. ლაზებს საკუთარი სიმღერები, ზღაპრები, ზეპირ-გადმოცემები, ლეგენდები, არაკები... აქვთ.

ლაზი ძალზე ადვილად უმეგობრდება იმას, ვინც ლაზური ენა იცის. მას კარგად ესმის, რომ „სჯულით ოსმალთა“ (იგულისხმება მუსლიმანობა-მ.ქ.), მაგრამ ტომით ლაზია, ქართველის მონათესავე. ამიტომ

მაც ზ.ჭიჭინაძე თვლის, რომ ფანატიკი მოღებით, ხოჯებითა და ხაფიზებით სავსე ლაზეთში ლაზური ენის მცოდნეს ძალზე გაუადვილებდა მუშაობა ლაზური ზეპირსიტყვიერების შესაკრებად, რომელიც აუცილებლად უნდა შეიკრიბოს და დაიბეჭდოს ქართული ასოებით. წერდა მკვლევარი.

ზ.ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ლივანიდან ჩხალის ხეობით ერთი გზა ლაზისტანში გადადის. აქედან აჭარასა და ლივანში ხშირად შედიან ლაზი ხელოსნები, ვაჭრები და სასულიერო პირებიც. ბევრმა კარგად იცის ქართული. მათ მკვლევრისათვის უამბიათ, რომ ოსმალოს ლაზისტანში ლაზური ენა ოსმალთაგან იღვენება. ასე თუ გაგრძელდა, ლაზური ენა მალე დაიკარგებაო. სწავლება არაბულ და ოსმალურ ენებზეა. სასამართლო, მეჯლისი, მიწერ-მოწერა, ლოცვა და ქადაგება სულ ოსმალურადაა. ლაზურ ოჯახებშიც ხშირად ოსმალურად ლაპარაკობენ. ტრაპიზონისკენ მცხოვრებ ლაზებში იშვიათად თუ შეხვდები ლაზურის მცოდნე ლაზსო.

მოცემული ვრცელი ამონაწერების მიხედვით ნათელია, თუ როგორ კარგად ერკვეოდა ზ.ჭიჭინაძე საქართველოს და, კერძოდ, ლაზეთის ისტორიისა და ლაზური ენის (ლაზური დიალექტის-მ.ქ.) საკითხებში, იცნობდა ძველ წყაროებს და იმდროინდელ ენათმეცნიერულ გამოკვლევებს ქართველური ენების შესახებ. თვითონაც ძირითადად სწორ დასკვნებს აკეთებს. ასევე ძალზე საინტერესო ტოპონიმური მასალაც აქვს აღწუსებული. მართალია, წარმოდგენილი სოფლების სახელები ძალზე ცოტაა რეალურთან შედარებით, მაგრამ მაინც ღირებული წყაროა მხარის ოიკონიმიის შესასწავლად. არანაკლებ საინტერესოა დემოგრაფიული მონაცემებიც, ცნობები ლაზების საქმიანობის შესახებ, გვარების თუ სახელების შეცვლის, ლაზური მეტყველების მდგომარეობის შესახებ და ა.შ. ზ.ჭიჭინაძის მიერ ისტორიული ლაზეთის შესახებ შეკრებილი მასალები საყურადღებო წყაროა მხარის ისტორიისა და კულტურის, ეთნოგრაფიული ყოფის, ასევე ონომასტიკის შესასწავლად.

Mikhail Kamadadze

Historical Lazeti in the book of Z.Chichinadze "Moslem Georgians and their villages in Georgia"

Summary

In the book of Z. Chichinadze "Moslem Georgians and their villages in Georgia" along with the regions of the South-West Georgia is described the historical Lazeti. In this book is shown the historical and contemporary (beginning of the 20-th century) situation of this region. The author paid the attention to the Lazian's way of life, Lazian's speech and so on. The material collected by Z. Chichinadze about historical Lazeti is very valuable source for the investigation of the history, culture, ethnography and onomatology of this region.

Михаил Камададзе

**Историческая Лазети в книге З.Чичинадзе
«Грузины-мусульмане и их села в Грузии»**

Резюме

В книге З.Чичинадзе «Грузины-мусульмане и их села в Грузии» наряду с регионами Юго-западной Грузии представлена и историческая Лазети. В книге показано историческое и современное (начало 20-го века) положение этого региона. Автор уделил внимание вопросам быта, речи лазов и т.д. Собранные З.Чичинадзе материалы являются важными историческими документами по изучению истории, культуры, этнографии и ономастики этого региона.

Mikheil Kamadadze

**Z. Tçitçinadze'nin belgelerine göre, tarihi Lazistan, Müslüman Gürcüler
ve Gürcistan da Müslüman Köyleri"**

Özeti

Z. Tçitçinadze'nin çalışmasında "*Müslüman Gürcüler ve Gürcistan da Müslüman köyleri*" Güney-Batı Gürcistanin bölgelerle birlikte Tarihi Lazistanı da işlenmiştir. Çalışmasında, bu bölgenin tarihi ve çağdaş (20.yüzyılın başlangıcı) durumuna da yer verilmiştir. Yazar Lazların yaşam şartları da dikkate alırken, Lazca konuşmalar hakkında ve diğer bazı konulara da değinmiştir. Z. Tçitçinadze'nin Tarihi Lazlarala alakalı toplanmış olduğu bilgiler, bu bölgenin tarihini, kültürünü, yaşayışlarını ve onomastığını öğrenmek için büyük ve önemli kaynaklardan biridir.

ლაზეთის ტოპონიმები გიორგი ყაზბეგის შრომებში

გიორგი ყაზბეგმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში იმოგზაურა. მან, როგორც კარგმა სამხედრო სპეციალისტმა და გეოგრაფიის ჩინებულმა მცოდნემ, ძვირფასი მასალები შეკრიბა ამ რეგიონში, რომელთა შორის აღსანიშნავია ტოპონიმური მასალაც.

საკუთრივ ლაზეთის ტოპონიმები ძირითადად მოცემულია გ.ყაზბეგის ორ ნაშრომში: სამი თვე თურქეთის საქართველოში და ლაზისტანის სამხედრო-სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევი (Казбек Г., 1875., Казбек Г., 1876. ყაზბეგი გ., 1995). ამ უკანასკნელში ლაზეთი აღწერილია სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, თუმცა ნარკვევში რეგიონის არაერთი გეოგრაფიული სახელიც არის ფიქსირებული. მოცემულია ცნობები ლაზეთის საზღვრების, სამიმოსვლო გზების, მდინარეების შესახებ და სხვ. ხოლო დასახელებულ პირველ ნაშრომში ლაზეთი უფრო ვრცლადაა აღწერილი.

გ.ყაზბეგი სახელწოდება ლაზეთს სამგვარად მოიაზრებს: 1. ლაზეთით დასახლებული ქვეყანა; 2. თურქული პროვინცია (სანჯაყი), რომელშიც შედიოდა: აჭარა, ქობულეთი (ჩურუქ-სუ), მაჭახელი, ლივანა, ბათუმი და საკუთრივ ლაზეთი; 3. უძველესი ლაზიკა (ყაზბეგი გ., 1995:117).

ნაშრომის იმ ნაწილში, რომელსაც „ლაზეთი“ (ყაზბეგი გ., 1995:117-155) ეწოდება, მიმოხილულია საკუთრივ ლაზეთი, ე.ი. ლაზეთით დასახლებული ქვეყანა. აღნიშნულია, რომ ლაზეთი ქართველური მოდემის ხალხია და ლაპარაკობენ მუგრულისაგან ოდნავ განსხვავებულ ენაზე; ცხოვრობენ ყოფილი ქართული სამეფოს უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. გეოგრაფიულად ამ მხარეს უჭირავს შავი ზღვის ნაპირის ვიწრო ზოლი პონტოს ანუ ლაზეთის ქედის დასავლეთ ფერდობზე, ქემერის (რკინის პალო) კონცხიდან ზღვისპირა სოფელ მაკრიალამდე. ამ მხარის მცხოვრებნი თავისთავს ლაზებს, უფრო ხშირად ჭანებს უწოდებენ. თურქებიც მათ ლაზებს ეძახიან, აჭარლები და შავშები კი - ჭანებს უწოდებენ (ყაზბეგი გ., 1995:117-118).

საერთოდ გ.ყაზბეგი თავის შრომებში საქართველოს ისტორიის კარგ ცოდნასაც ავლენს, რაზედაც ნათლად მეტყველებს ზოგიერთ საკითხზე მსჯელობისას ავტორის მიერ დამოწმებული იმ დროისათვის ცნობილი ისტორიული ფაქტები და მათი ანალიზი, სათანადო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა ცოდნა და ა.შ.

გ.ყაზბეგი მოიხსენიებს სოფ. ბორჩხას (იმ დროს 80 კომლიანი სოფელი ყოფილა), მდ. ჩხალას (მაშინ უკვე თურქულად ჩაირ-სუს უწოდებდნენ). ავტორი გეოგრაფიული თვალსაზრისით აღწერს კარჩხალისა და ლაზეთის მთებს. კერძოდ, აღნიშნავს: ზღვასა და მდინარე ჭოროხს შორის არსებული სივრცე შევსებულია მთებით, რომლებიც კარჩხალთან არის გამთლიანებული. ართვინთან ეს ქედი ორ ნაწილადაა გადატეხილი, რომელთაგან ჩრდილოეთის მხარე ატარებს კარჩხლის, ხოლო

სამხრეთი-ლაზისტანის ანუ პონტოს მთის სახელს. ლაზეთის მთების ქედი ჯერ ზღვის სანაპიროს პარალელურად მიემართება, შემდეგ ხოფის მერიდიანის დასაწყისიდან ზღვას სულ უფრო შორდება და ბოლოს, სურმენეს პარალელზე, მისგან ოცდაათი ვერსითაა დაშორებული. ამ ქედს მოსახლეობაში ერთი საერთო სახელი არა აქვს, კოხი და როზენი კი მას პონტოს ქედს უწოდებენ. ეს სახელია, აგრეთვე, როგორც ახალ წყაროებში, ისე ანატოლიის რუკებზეც. ქართველები პონტოს ქედს ჭანეთის ქედს უწოდებენ, სომხები - ლაზეთის ქედს.

სოფ. ბორჩხასთან ჭოროხს მარცხნიდან ერთვის მდინარე ჩაირ-სუ (იგივე ჩხალა, ჩხალის ხეობა), რომელიც ლივანასა და ლაზეთს საზღვრავს. ამ მკვიდროდ დასახლებულ ხეობაში ავტორი მოიხსენიებს თორმეტკომლიან სოფელს ჩათა. შემდეგ დასახელებულია პოტიჩურის მთა, რომლის ნაპარალებიდანაც გამოედინება ოთხი მდინარე: მურღული, ჩხალა (ჭოროხის შენაკადებია), ხოფა და არხავე (შავ ზღვაში ჩაედინება). დასახელებულია, აგრეთვე, ხოფა, ორთახოფა (თრუქ. ორთა „შუა“, ე.ი. ორთახოფა - შუახოფა-ე.ბ.), პირონიტის კონცხი, პირონიტი (40 კომლიანი სოფელი), კისე, მაკრიალი, ვიწე, ვიწეს ხეობა, არხავეს ხეობა, იაკობიტი, გარმონია (ხეობა და სოფელი), გარმონიის ქედი, სუმლი, სუმლის ხეობა, აბუ (ხემო და ქვემო), ქემერის კონცხი, დერბენტი, ჩიქულითი, ჩინგითი, მარმანდი, დუზ-გურჯი („ქართველთა ვაკე“), კობაკი, პარხალი, მდ. ფურტუნა, ხალა, ართაშენი, ვიჟა, ლანგრე, კუზიკი, ათინა, ბულები, ლიმანი, ლაროსის კონცხი და ა.შ.

გ.ყაზბეგი მის მიერ აღწერილ ხეობებში ხშირად სოფლების რაოდენობაზეც მიუთითებს, სამწუხაროდ, სოფლების სახელებს სრულყოფილად არ წარმოგვიდგენს. ავტორი იშვიათად მოიხსენიებს, აგრეთვე, ამ მხარეში მცხოვრებ გვარებს.

ლაზურ მეტყველებასთან დაკავშირებით მკვლევარი აღნიშნავს, რომ იგი უეჭველად ქართველური ენების განშტოებაა და ოდნავ განსხვავდება მეგრულისაგან. ლაზურში სამი კილოკავია: ხოფის, არჰავესა და ათინის. პირველი თითქმის მთლიანად ემთხვევა მეგრულს, მეორე, რომელზედაც აბუს ხეობაში ლაპარაკობენ, ხოფისა და ათინის მეტყველების საშუალოა, ხოლო მესამე, ბერძნულისა და თურქულის გავლენით უფრო დაშორებულია საერთო ფესვებს (ყაზბეგი გ., 1995:155). საგულისხმოა, რომ ჭანურში ამჟამადაც იგივე (რასაც გ.ყაზბეგი აღნიშნავდა XIX საუკუნის 70-იან წლებში) სამ კილოკავს (ხოფური, ვიწურ-არქაბული და ათინური) გამოყოფენ (ჯორბენაძე ბ., 1989:222).

გ.ყაზბეგმა აღწერა საკუთრივ ლაზეთის ის ადგილები (სოფლები, ხეობები, მთები...), რაც თვითონ ნახა (ყაზბეგი გ., 1995:117-155). ზოგიერთ მათგანთან დაკავშირებით დამატებით შეიძლება ითქვას შემდეგი:

კისე ამ სოფლის სახელი გვხვდება „კისა“ ფორმითაც. როგორც აღნიშნულია, გასული საუკუნის 70-იან წლებში კისე საკმაოდ დიდი სოფელი (120 კომლიანი) ყოფილა (სიხარულიძე ი., 1977:68). თუმცა ეს ცნობა გ.ყაზბეგის მიხედვით არ დასტურდება. მისი მოგზაურობის დროს ამ სოფელში 12 კომლი ცხოვრობდა (ყაზბეგი გ., 1995:127).

პირონიტი ეს სახელწოდება სხვადასხვა წყაროში განსხვავებული ფორმით გვხვდება: პირონიტი, პირონითი, პერონითი, პირონიდი (სიხარულიძე ი., 1977:68-69). სწორი ფორმა უნდა იყოს პირონითი.

არხავე, იგივე არქაბე. სოფელი გაშენებულია მდ. არქაბეს ორივე მხარეს, ზღვის სანაპიროზე. ამჟამად არქაბეს „მუსაზადე“ ეწოდება.

იაკობიტი, იგივე იაკობითი. გ.ყაზბეგი ამ სოფელს ასახელებს არქაბეს ხეობაში, ზღვიდან 5 კერსის დაცილებით, არქაბესა და ჰარმონი-სწყლის შესართავთან.

დერბენტი, იგივე დერბენდი. ფიქრობენ, რომ ამ სოფლის ძველი სახელწოდება უნდა იყოს „ტრევენდი“. ოსმალთა მფლობელობის დროს გადაკეთდა დერბენდად (სიხარულიძე ი., 1977:80-81).

მაკრიალი ჭანები ამ სოფელს „ნოლედს“ უწოდებენ. ბოლო დროს თურქებმა მაკრიალს, ისე როგორც ჭანეთის სხვა სოფლებს, შეუცვალეს სახელი და „ქემალფაშა“ უწოდეს (სიხარულიძე ი., 1977:46-47).

ამრიგად, გ.ყაზბეგის მიერ შეკრებილი მასალები საყურადღებოა ლაზეთის ტოპონიმების თავდაპირველი ფორმების დასაზუსტებლად, ასევე მათი ლოკალიზაციისათვის, რადგან ამჟამად ეს სახელწოდებები ფაქტიურად აღარაა, ოფიციალურად თურქულითაა შეცვლილი. მათი ხსოვნა ნაწილობრივ აქაურთა მეხსიერებას შემოუნახავს. ამდენად, გ.ყაზბეგის ჩანაწერებს ისტორიული წყაროს ღირებულებაც აქვს.

ლიტერატურა:

1. Казбек Г., Три месяца в Турецкой Грузии, Тифлис, 1875.
2. Казбек Г., Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского санджака, Тифлис, 1876.
3. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995.
4. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.
5. სიხარულიძე ი., ჭანეთი, I, ბათუმი, 1977.

Eter Beridze

The Lazian toponymy in the works of Giorgi Kazbeki

Summary

In the 70-th of XIX-th century Lazeti was described by Giorgi Kazbeki. The toponymical material collected by Giorgi Kazbeki is interesting historical source for the clarification of the initial forms of the geographical names of this region and their localization.

Этер Беридзе

Лазские топонимы в работах Георгия Казбеки

Резюме

В 70-их годах XIX века Лазети был описан Георгием Казбеки. Топонимический материал собранный Георгием Казбеки является интересным историческим материалом для уточнения первичной природы и локализации географических наименований этого региона.

Eter Beridze

Giorgi Kazbeg'in çalışmasındaki Lazistan'ın yer adları

Özeti

19 yüzyılın yetmişli yıllarında Lazistanı Giorgi Kazbegi tarafından araştırıldığının araştırmalar yer isimlerinin kayıdı, Lazistan coğrafyası ve bölgedeki eski isimlerin öğrenilmesini daha da kolaylaştırır.

ლაზური „სიჯალიკობა“ და მასთან დაკავშირებული ხალხური პოეზია

კაცობრიობის ისტორიაში ქორწინებამ და ოჯახმა უაღრესად დიდი როლი შეასრულა ადამიანთა ბიოლოგიურ კვლავწარმოებასა და მათ სოციალიზაციაში, კულტურულ ფასეულობათა ტრანსმისიაში⁷¹. ასეთივე ფუნქცია გააჩნდა ქორწინებას ლაზურ საზოგადოებაში. ლაზური საქორწინო ტრადიციებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ნიშნობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და აღნიშნულ წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერი მასალა. სხვათა შორის, აღნიშნულ წეს-ჩვეულებათა ციკლიდან ლაზებში დასტურდება საინტერესო ტრადიცია, რომელიც ნიშნობის შემდეგ ქორწილამდე, ანუ წყვილთა ოფიციალურ შეუღლებამდე, მომავალი პატარძლისა და სასიძოს „ფარულ“ ინტიმურ კავშირში იყო გამოხატული. სასიძოს მიერ საპატარძლოს მამისეულ ოჯახში ჩუმი ვიზიტები ხუთშაბათს ხდებოდა, რომლის შესახებაც ყველამ იცოდა, მაგრამ საცოლის ახლო ნათესაობა და საოჯახო წრე ისე იქცეოდა თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. ხუთშაბათი დღე და, საერთოდ, სიძის ფარული ვიზიტები პატარძლოს მამისეულ ოჯახში ლაზურმა ხალხურმა ფოლკლორმა ასე ასახა:

ამ სეი უმსეი, –
სიჯალეფეში სეი,
ბაშქა სეის ვარ მეხთა,
თის გექჩაფან ქესეი.

დღეს არის ხუთშაბათი, –
სიძეების ღამე,
სხვა საღამოს არ მოხვიდეთ,
თავში ჩაგარტყამენ უროს.

ლექსიდან ჩანს, რომ ხუთშაბათი სიძეების დღე იყო. სიმამრის სახლში სხვა დღეს ვიზიტი სასიძოს საფრთხეს უქადდა. ამდენად, ლაზ სიძეს ყოველ ხუთშაბათს შეეძლო დანიშნულთან შეხვედრა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ნიშნობა ხუთშაბათს უნდა განხორციელებულიყო, ასევე, დანიშნულებს მხოლოდ ხუთშაბათს შეეძლოთ შეხვედრა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დღეს განსაკუთრებული საკრალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რაც ქორწინების მისტიკურ ბუნებასთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ.

ყურადღებას იქცევს ამ ლექსის გაგრძელება, რომელიც სატრფოსთან ლტოლვას გადმოგვცემს. სასიძო ღამობს არა ჩვეულებრივ მთვარიან ღამეს, არამედ მარიამობის მთვარეს მონახულოს მისი გულის სწორი:

რაკანის თუთა ქეხთუ
თუთა მაიაშინაში,
მან ნოსის გამაულუ,
იარი გომაშინაში.

ბორცვზე მთვარე ამოვიდა
მთვარე მარიამობისა,
მე ჭკუიდან ვიშლები,
როცა სატრფოვ გამახსენდები.

⁷¹ აღნიშნული საკითხისა და შესაბამისი ლიტერატურის შესახებ იხილეთ: ნ. მასანოვი, ნ. მგელაძე, 1998:13.

ბუნებრივია, ბორცვზე მთვარის ამოსვლა უნდა მოასწავებდეს სასიძოსათვის სიმამრის სახლში მისვლის დროის დადგომას. ამიტომ ელის ასე მოუთმენლად იგი მთვარის ამოსვლას. ეს ღამე მისთვის წმინდა, გულისსწორთან შეხვედრის ღამეა და მარიამობის მთვარედ მისი ამ ხალხურ ლექსში გააზრება შემთხვევითი არ უნდა იყოს.

სასიძო სიმამრის სახლში სარკმლიდან შედიოდა, რაც მისი ვიზიტის უჩინარობას უნდა გულისხმობდეს. ეს სიუჟეტი მკაფიოდაა ასახული ზემოთ დასახელებული ლაზური ლექსის გაგრძელებაში:

ფენჯეშენ ამულუნ ბოზოს ნიშანი მუში, სანდულის ქოველაძინ შექელემეფე მუში, იარი ამახთაშკულე, ვარ მოსწონს იარი მუში, ფენჯეშენ ოცხოხტუნ, ძიაში იარი მუში, სანდულის ქოვესქიდუ შექელემეფე მუში.	სარკმლიდან შედის გოგოს დანიშნული, სკივრზე დვია მისი ნამცხვრები, სატრფო როცა შევა, არ მოეწონება დანიშნულს, სარკმლიდან ბიჭი გადმოხტება, როცა ნახავს მის დანიშნულს, სკივრზე დარჩება ხელუხლებელი მისი შაქარლაბები.
--	--

ლაზური **სიჯალიკობა**, ანუ სიძეობა, ზ. თანდილაკას დაკვირვებით, ნიშნობიდან ქორწილამდე დროს მოიცავდა და თავსდებოდა ორი-სამი წლის ფარგლებში. ამ პერიოდში ვაჭი ცდილობდა შეხვედროდა საცოლეს, რასაც დასაწყისში მეგობრების დახმარებით ახერხებდა, ხოლო შემდეგ საცოლის ახლობელი ქალების, მათ შორის „დამთირე“-ს, ანუ სადედამთილოს მეშვეობით. ქალები მამაკაცებს უმაღავენენ სიძის ჩუმ შეხვედრას მომავალ პატარძალთან. ლაზი სასიძო, როცა ახლო ნათესაური წრის მამაკაცები ოჯახში არ იმყოფებოდნენ, მაშინ, გვიან ღამით მიდიოდა საცოლის სანახავად. სწორედ ამ წესს ეწოდებოდა **სიჯილაკობა**. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წყაროებით ირკვევა, რომ სიჯილაკობის დროს სასიძოს პატივისცემით ეპყრობოდნენ და ქალები ტკბილეულითაც კი უმასპინძლებოდნენ (თანდილაკა, 1972:123), თუმცა სიჯილაკობასთან დაკავშირებული ლექსების დიდი ნაწილი სატირული-უმორისტულიცაა, სადაც გადმოცემულია სასიძოსადმი გადაჭარბებული პატივისცემისადმი მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება (თანდილაკა, 1972:124). ხშირად, სიჯილაკობასთან დაკავშირებული ჩვეულების ხასიათი საცოლის ეკონომიკური მდგომარეობითაც განისაზღვრებოდა. ეს, რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ, ბუნებრივია, არც ამ კუთხით შეიქმნებოდა ი. ყიფშიძის მიერ გამოვლენილი ისეთი ლაზური ლექსი (ყიფშიძე, 1939:47), რომელიც ნიშანლობისას სიმამრის ოჯახის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას ასახავს:

ძუკარაქ-თი ზენგინი-სთერი ვასე(ნ). გეიქთუ ღო ვარ უჩქინ, მუ ივასე! „ჰაშოფეთე სიჯაშ გური ივასე?“	ბამავს მდიდარს, ღარიბიც ისე შვრება, დაიქცა და არ იცის რა იქნება, „სიძეს გული ამგვარად უკეთდება?“
---	--

სასიძოს მხრიდან საპატარძლოს ოჯახში ასეთი ვიზიტების დროს ხდებოდა ისეც, რომ საპატარძლო ქორწილამდე დაორსულდებოდა

ხოლმე. „სიჯილაკობა“-სთან ერთად ამ ჩვეულებას ლაზები „ნიშანლობის“ სახელწოდებით იცნობენ. ეს ტერმინი, ისე, როგორც თავად ჩვეულება, ფართოდ იყო გავრცელებული ლაზების მეზობლად განსახლებული და მათი მონათესავე ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფის – აჭარლების საოჯახო ყოფასა და ტრადიციულ საქორწინო ცხოვრებაში (ნილაიდელი, 1935:27-28). აღნიშნულ საკითხზე, როგორც ადრეული საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის დამახასიათებელ მოვლენაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ მ. ბექაია და ვლ. მგელაძე. ვლ. მგელაძე სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისის კვალდაკვალ აღნიშნულ ჩვეულებას დედისეული ოჯახის ნაკვალევად მიიჩნევდა და ამ წესს მთა აჭარაში ურვადისა და მზითვის არსებობით ხსნიდა (მგელაძე, 1996:226). მ. ბექაიას შეხედულებით კი, რომელიც, ასევე, გამომდინარეობს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისებიდან, აჭარული ნიშანლობა ატარებს დისლოკალური დასახლების პერიოდისათვის დამახასიათებელი ქორწინების ნიშნებს, რაც მისი აზრით, დასტურდება სანიშანლოდ პირველად მისვლის – ე. წ. „დაპაიჯნის“ წესში. ნიშანლობის ხანგრძლივობა განსაზღვრული იყო ეკონომიკური ფაქტორებითაც, რადგან გამოსასყიდისა და მზითვის მომზადება გარკვეულ დროს საჭიროებდა, განსაკუთრებით თუ პატარძლის ოჯახს ეკონომიკური პრობლემები გააჩნდა. ავტორის თანახმად, ამას ემატებოდა აგრეთვე სურვილი, რომ ქალი-მუშახელი, რაც შეიძლება დიდხანს არ გაეშვათ ოჯახიდან. აქედან გამომდინარე, მ. ბექაია თვლიდა, რომ თუმცა ნიშანლობა გენეტიკურად უკავშირდებოდა დისლოკალურ დასახლებას, მიუხედავად ამისა, უმეტესად სხვა ფუნქციას ატარებდა, რაც შეიძლება მისი ხანგრძლივად შემონახულობის წინაპირობაც იყო. მ. ბექაიას შეკრებილი მასალებით, ნიშანლობის ჩვეულება კარგად შემოინახა ზემო აჭარამ, ხოლო ნაკლებად ქვემო აჭარამ. კინტრიშის ხეობაში კი იგი არ გვხვდება. აჭარაშიც **ნიშანლობა (ნიშშალობა)** გულისხმობდა სასიძოს სიარულს საცოლის ოჯახში ნიშნობისა და ქორწილის შუა პერიოდში. მალული ვიზიტების ხანგრძლივობა შეადგენდა წელიწადსა და უფრო მეტ დროს. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა სქესობრივ ურთიერთობასაც, რაც ხშირად, საპატარძლოს მამის ოჯახში მშობიარობითაც მთავრდებოდა (ბექაია, 1964,13-14).

საერთოდ, ნიშანლობის ჩვეულება საკმაოდ ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობების წიაღიდან უნდა მომდინარეობდეს. სპეციალურ ლიტერატურაში ფეხმოკიდებულია შეხედულება, რომ იგი უნდა გაჩენილიყო დისლოკალურ დასახლებაში, ე. ი. განვითარების იმ ეტაპზე, როცა მიმდინარეობდა მატრილოკალურიდან პატრილოკალურ დასახლებაზე გადასვლა. ნიშანლობის ანალოგიურ წესებს ვხვდებით საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე, რიგორც კავკასიისა და, საერთოდ, მსოფლიოს ხალხებში, რაც მკვლევრებს აძლევს საფუძველს იგი უნივერსალურ მოვლენად მიიჩნიონ.

ამგვარი ძველი ტრადიციის ანარეკლი შემოგვინახა ლაზურმა ხალხურმა პოეზიამ, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ფოლკლორის უაღრესად დიდ წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას ძველი და უძველესი საზოგადოებების საოჯახო და საზოგადოებრივი ურთიერთობების, ად-

რეული სოციუმების წევრთათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესისა და, საერთოდ, ინდივიდთა ერთობის ადრეული სოციალური აგებულების შესწავლისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბექაია მ. „ნიშანლობა“ აჭარაში. – ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მესამე სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), ბათ., 1964.
2. თანდილავა ზ. ლაზური ხალხური პოეზია, ბათ., 1972.
3. მგელაძე ვლ. ქორწინება და საქორწინო წეს-ჩვეულებანი აჭარაში. – კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, 1, ბათ., 1996.
4. მგელაძე ნ. მასანოვი ნ. სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები. – კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, 1, ბათ., 1996.
5. ყიფშიძე ი. ჭანური ტექსტები, თბ., 1939.

Mzia Djgarkava

Lazian “Sidjalikoba” and the folk poetry associated with this tradition

Summary

In the article is discussed the folk poetry samples reflected in the folklore which associated to the custom “Sidjalikoba” connected with the wedding traditions. “Sidjalikoba” was the custom of the secret meeting between the future son-in law and fiancée in the house of a father – in law in the period between an engagement and a wedding. The investigation of the old particular features of this custom became possible not only on the basis of the ethnographic facts and ethnological conclusions but also by the means of folklore texts preserved by the Lazian population, where is manifested such interesting feature that is not preserved now in the traditional way of life.

Мзия Джгаркава

Лазское «Сиджаликоба» и связанная с этой традицией народная поэзия

Резюме

В статье рассматриваются образцы устного народного творчества связанные с обычаем «Сиджаликоба», которое связано со свадебными традициями. «Сиджаликоба» является обычаем, по которому будущий зять и невеста тайно встречались в доме тестя в период между обручением и свадьбой. Исследование особенностей этого обычая стало возможным не только на основе этнографических фактов и этнологических выводов, но также и посредством фольклорных текстов сохранившихся среди лазского населения, где проявляются такие интересные особенности, которые теперь не сохранились в традиционном быту.

Mzia Cgarkava

Lazcada “sicalikoba” ve buna baęlı halk syleyiřleri

zeti

Bu alıřmada genellikle dęn adetleriyle alakalı olan “sicalikoba” nın halk geleneęinde benimsenen rnekleri bulunmaktadır. “sicalikoba” nıřanlamadan sonra dęnden nce, kız ve erkeęin kayın pederinii evinde gizlice buluřması demektir. Yukarıda belirttięimiz gelenek ok eski Lazca metinlerde yer almaktadır.

Bu tr konular arařtırılęında deęiřik olan, yalnız gnmzde sadece, szl olarak gelmiř ve yařanmayan geleneklerle karřılařmanın mmkn olduęuna řahid olursunuz.

ზანური სუბსტრატის რაღანიმე ლექსიკური ნიმუში აჭარულ დიალექტში

ზანურმა ენამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ენის დასავლური კილოების ფორმირებაში. ზანურის გავლენა ახლაც ჩანს დასავლურ კილოთა ფონეტიკურ, მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ თავისებურებებში. ეს გავლენა მნიშვნელოვნად მჟღავნდება ლექსიკაშიც. ზანური სუბსტრატის გავლენის დადგენის თვალსაზრისით დიალექტების შესწავლისას საინტერესოდ წარმოჩნდება აჭარული დიალექტიც. უკვე ბევრი საგულისხმო მიგნება და ზანური სუბსტრატის ნიმუშია მოცემული ი.სინარულიძის, შ.ნიჟარაძის, გ.კარტოზიას, ზ.თანდილაკას, ცნარაკიძისა და სხვა მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებში, მაგრამ მიზანმიმართული კვლევა კიდევ ახალ ენობრივ მოვლენებსა თუ ნიმუშებს წარმოაჩენს.

ზანური ლექსიკური ელემენტები აჭარულში გვხვდება როგორც თვით ზანური, ისე ზანურის განშტოების (მეგრულისა და ლაზურის) დამახასიათებელი ფორმებით. აღსანიშნავია, ასევე, რომ ზანიზმები აჭარულში უფრო ლაზურის ფორმით გვხვდება, რაც, როგორც აღნიშნავენ, გამოწვეულია ხანგრძლივი ტერიტორიული და უშუალო კონტაქტებით ლაზურთან (თანდილაკა ზ., ნარაკიძე ც., 1986:92).

აჭარული დიალექტური ლექსიკის დარგობრივად კვლევამ საშუალება მოგვცა, გამოგვეყო ზანური ლექსიკური სუბსტრატის ახალი ნიმუშები აჭარულში. წარმოვადგინთ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს:

სიტყვა წმასნა აღნიშნავს გრეხას, კლაკნვას („ხერტალზე ივრიხება, იწმასნება ძაფი“. შდრ. აბულ. წმასნა-თხზვა, ხლართვა, წნეხვა. „ყოველსა მას წმასნილსა ეკიდა თვთოი აყიროი“; საბა, წმასნა-მეტად შეგრეხა).

ძველ ქართულში ხმარებული და აჭარულ დიალექტში შემონახული ლექსემა წმასნა, რომელსაც მეგრული ჭომომ//ჭუმომ და ლაზური ჭიმომ (თოკის გრეხა, თამბაქოს ფოთლების დახვევა) შეესაბამება, ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანისათვის აღდგენილი არქეტიპია (ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., 1990:465). აღსანიშნავია, რომ აჭარულში, სამშენებლო ლექსიკაში გვაქვს ტერმიეი ჭიბომანი, საფეიქრო ლექსიკაში კი ნაქსოვის სახის აღმნიშვნელი სახეწოდება - ჭიბომანა, ჭიბომანი მეგრულ-ლაზური ჭიმომი-ის ქართული შესატყვისია (ჭიმომ→ჭიბომ... მ→ბ-ს მონაცვლეობა აჭარულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენაა, მაგ. მზე→ბზე, მრეში→ბრეში...).

ჭიბომანი მიმღობური წარმოების სიტყვაა და მიღებულია ჭიბომ ფუძეზე -ან მაწარმოებლის დართვით. ჭიბომანი ხის სათლელი ხელსაწყოა („ჭიბომანმა ხე გათალა, გოგომ ხელები გაშალა“. შდრ. ქეგლ, ჭოპოსანი - ხის სათლელი მსხვილკბილა ქლიბი). ჭიბომნით ხის გათლისას ხის ანათალიც ივრიხება, იწმასნება და ბურბუშელად ცვივა. ტერმინი ჭიბომანი ზანიზმია აჭარულში.

სირისკული, სერისკული აჭარულში ვახშმის შემდეგ, ღამით პურის ჭამას ეწოდება (ნიჟარაძე შ., 1971:55). მიწის სამუშაოების, მატყლის

ჩეჩვის, რთვის დროს თუ სხვ. იცოდნენ ნადის მოწვევა. ნადის მოწვევი განსაკუთრებით ემზადებოდა ნადის გასამასპინძლებლად. ნადის მონაწილეთათვის მრავალფეროვან კერძებს ამზადებდნენ. თუ სუფრის გაშლა დაუგვიანდებოდათ, ნადის მონაწილეები მიუმღერებდნენ, სირისკუდს მოითხოვდნენ („ვახშამი თუ არ მოგვეწონებოდა, ან სუფრის დადგმა დაავგიანდებოდათ, სირისკუდს მოვთხოვდით“). ამ სიმღერის ერთი ვარიანტი ასეთია:

„აბლავი მოდგა თაროსაო,
დეემსგავსა მთვარესაო, მოსირისკუდიო,
დადგა ტაფა, დაქნა ფაფა, მოსირისკუდიო,
წაბლავი ხაპი, ზედ კლარჯული, მოსირისკუდიო“.

ამ სიმღერას, მთქმელის განმარტებით, ქალები მღეროდნენ მატყლის რთვის ან ყანის მკის დროს ნადში (შიოშვილი თ., 1987:59).

ამ ლექს-სიმღერაში რეფერენად გამოყენებული „მოსირისკუდიო“ სირისკუდიდან ნაწარმოები სიტყვაა.

სირისკუდი რთული სახელია. ამ კომპოზიციის პირველი ნაწილია სერი (სირი) სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა. როგორც ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ძველ ქართულში საღამოს პურის ჭამას სერი და სერობა ერქვა. უკვე საშუალო საუკუნეებში და თანამედროვე ქართულში ეს ტერმინი აღარ გვხვდება. აღმოსავლეთ საქართველოში ამ სიტყვის კვალი ტერმინ სერისკუდში მოჩანს, რომელიც სამხარის მოგვიანებული გაგრძელების აღსანიშნავად იხმარება. თანამედროვე მეგრულს დაცული აქვს სერის ძველისძველი მნიშვნელობა და ღამეს ნიშნავს, ხოლო ვახშამს ოსირიშე, ე.ი. სასერე ეწოდება (ჯავახიშვილი ივ., 1937:103).

სერი ღამის მნიშვნელობით დაცული ყოფილა ლაზურში (Mapp H., 1935:341). აჩიქობავს ვარაუდით, ძველ ქართულში ეს სიტყვა ზანურიდანაა შეთვისებული.

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტთა მსგავსად სიტყვა სერი აჭარულ დიალექტსაც შემოუნახავს ტერმინში სერისკუდი (//სირისკუდი, სივრისკუდი). ამჟამად სიტყვის ფუძე სერ აღდგენილია ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანისათვის (ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., 1990:268).

ნ.მარს ლაზურში დაფიქსირებული აქვს სიტყვა ტაკლ (ურდული, ხის მოკლე ფიცრისაგან დამზადებული, კარის მოძრავი საკეტი) (Mapp H., 1910:187). აჭარულში გვაქვს ტაკვი (←ტაკო), რაც ადამიანის დამოკლებულ, რომელიმე ნაწილის მოკვეთის შედეგად დარჩენილ კიდურს აღნიშნავს („ტაკვაი იყო, მარტო ცერი ჰქონდა დარჩენილი, მარა ქვეყნის საქმეს აკეთებდა“, ნ.საბა, ტაკვი - ხელმოკვეთილი მკლავი; შდრ. ნიჟ. ტაკვაი). ამ ფუძეს, სემანტიკური გადახრით უნდა უკავშირდებოდეს ძველ ქართულში ცნობილი და აჭარულ დიალექტში დღემდე შემორჩენილი სიტყვა ტაკვეციც -კომბალივით მსხვილთავიანი ჯოხი, ოდნავ მოღუნული მსხვილვათა კეტი (ნ.საბა, ქეგლ.).

სიტყვა ტაკვი ზანიზმია აჭარულში.

აჭარულის მებოსტნეობის ლექსიკაში ტერმინი დეჯა მარცვლეულის უხემფხიან პარკს აღნიშნავს („ნაადრევედ რომ დავთესთ, ი ლობიაი ლეჯაი გამოდის“). დეჯა -ა სუფიქსით გაფორმებულ ქონების აღმნიშვნელ სიტყვათა რიგში შედის. იგი მიღებულია სიტყვიდან დეჯი, რაც ლაზურსა (ჩიქობავა ა., 1942:101) და მეგრულში ღორს აღნიშნავს. ქართული ღორ— და ზანური დეჯი- ერთმანეთის კანონზომიერი ფუძეებია. აჭარულ დეჯა ტერმინში, როგორც საგნის თვისების გამომხატველ სიტყვაში, სემანტიკური ცვლით დაცულია ზანური დეჯი ძირი; გვაქვს მისგან ნაწარმოები ზმნური ფორმებიც: აღეჯება, გადაღეჯება - ბახჩეულის გადამწიფება. ხშირად ხანსრულ, გაუთხოვარ ქალზეც გადატანით ამბობენ „აღეჯებულია, გადაღეჯებულია“ („მაგის აღეჯებული გოგო ვინმემ თუ თქვა, ხელათ მისცენ!...“).

აჭარული დიალექტის ქობულეთურ კილოკავში მოხუც, უკბილო ქალს ხშირად აღნიშნავენ სიტყვით „დახჩინული“ („ვიფიქრე, აი ქალი, დახჩინული დედაბერი, სა წევყვანო-მეთქინ!“). კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ მიმდებარე ფორმაში გამოიყოფა ფუძე ხჩინ. ხჩინი ლაზურში დედაბერს აღნიშნავს, ხჩე - კი თეთრს (დიხჩანუ-გათეთრდა (ფენრიხი პ., სარჯველაძე ზ., 1990:501). ე.ი. სიტყვების ხჩინი, დახჩინული სემანტიკა თეთრამდე დაიყვანება, რაც მოხუცებულობის ასაკთან, თმის გათეთრებასთან ასოცირდება (შდრ. ლაზ. ხჩე-თეთრი, ქართ. (მ)ხცე-ჭაღარა).

აჭარულში ხჩინვა კიდევ უშნოდ, კბილების გამოჩენით სიცილს აღნიშნავს („ნუ იხჩინვი, გასაშხაფავო“). როგორც ვხედავთ, აჭარულმა საწყისში ხჩინვა და მიმდებარე დახჩინული სემანტიკური გადახრით შემოგვინახა ლაზური ხჩი- ძირი. მსგავსი ვითარება ყოფილა ქვემო იმერულის ხონურ თქმაშიც. აქ ხჩინი საერთოდ აღნიშნავს „მიხჩუებულ, ძალზე მოხუცს“. როგორც აღნიშნავენ, იმერული მიჰყვება მეგრულს (ბენდელიანი ც., 2000:33). აჭარული კი მიჰყვება ლაზურს და ხჩინის მნიშვნელობა მოხუც ქალზე კონკრეტდება.

ფათხი ხის ხმელი, პატარა ტოტებია, რომელსაც ხვიარა ბოსტნეულს ჩამოუკიდებენ სარზე, ჭიგოზე, ან ახალამოსულ მწვანილს დააფარებენ დასაცავად. ფათხიდან უნდა მომდინარეობდეს ზმნა დაფართხვა, გადაფართხვა, რაც ზემოდან გადაფარებას ნიშნავს („კრუხი გადიეფართხა ჭუჭულებს,... შდრ. ლაზ. ფათხი. „ფართხი პატარ-პატარა ხის ტოტებია, რომელსაც კიტრს ჩამოუკიდებენ“) (ნარაკიძე ც., 1988:65). საყურადღებოა, რომ ეს სიტყვა სემანტიკური ცვლით დასტურდება ღორჯომის ხეობაშიც (სოფ. აგარა). ფათხს აქ ცარიელ, გამშრალ, ტყავადღარჩენილ ცურს ეძახიან („ძროხას ძე აღარ აქ; ცარიელი ფათხი დარჩა“). ფათხი ახალ ქართულ ენაში არ დასტურდება, საბასთან კი სიტყვით ფათხა აღინიშნება ბადის საქსოვი ჩხირი.

აჭარულში ღარღილი რიხიან ლაპარაკს, ომახიან ხმას ჰქვია („მაგის ღარღილი კაი ხანია აღარ გამიგონია“). აჭარულის მსგავსად ღარღილი ამავე მნიშვნელობით გვაქვს გურულ დიალექტშიც (ნ.ქეგლ; შდრ. საბა, ღარღილი-მცირე რამ ჰაზრი).

სიტყვაში ღარღილი გამოიყოფა ზანური წარმოშობის ძირი ღარღ, რომელსაც შეესაბამება ქართული ღერღ (შდრ.ქეგლ, ღერღილი-ის რაც მსხვილად დააფქვეს). როგორც ჩანს, აჭარულმა და გურულმა თავის

წიალში შემოინახა ძირი ღარღ (შღრ. ღარღიღი), რომელმაც დროთა ვითარებაში შეიცვალა სემანტიკა (აქ ალბათ გასათვალისწინებელია ღერღვის დროს წისკვიღის ქვის ხმიანობა!).

ღერღ ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანისათვის აღდგენიღი არქექტიპია (ფენრიხი პ., სარჯვეღაძე ზ., 1990:346), მაგრამ სიტყვა ღარღიღი ზანიზმია როგორც აჭარულში, ასევე გურულში.

აჭარული ტერმინით ბოლოღი აღინიშნება აბრეშუმის ჭია, ობობა და სხვ. ქართულ ობობას შეესატყვისება ლაზური ბომბულა, ბობოღა და მეგრ. ბობოღია. ამ სიტყვებიდანაა ნაწარმოები ტერმინები: ბომბღი, ბომბღაცა, ბომბღავს და სხვ. რაც აჭარული ფეიქრობის ლექსიკაში ქსელსა და ქსელის გაბმას აღნიშნავს.

აჭარულში დანწკიპას ვიწროსახიან, ლოყებჩავარდნიღ ადამიანს ეძახიან. მეგრულ-ლაზურში კი დვანწკი ლოყას ჰქვია. ქართული ჯირკი (ხის კუნძი) ლაზურში ჯირკკ ფორმითაა წარმოდგენიღი. ასევეა აჭარულშიც. ტკვანი, ტკვანჯი დამწკრობის ან დარტყმის შედეგად აბებრებულ, აბურცულ კანს ჰქვია. ლაზურში კი ვეტკვანჯუ ზემოდან დარტყმა, დაცემაა. დვანჯუ სატირღად შემზადება-განწყობა, სახის დამანჭვაა. ლაზური ოღვანჯუ კბიღების ღრჭიღლს, კრატუნს აღნიშნავს; ნანჯანჯები აჭარულში, ისევე, როგორც ლაზურში დანიანიბულ, დაყეყიღ სახსარს ჰქვია; ტიტვირი-ჩამოშვებულ დიდ ტურს და ა.შ.

კიღვე ბევრი მსგავსი ტერმინის დასახელება-განხიღვა შეიძლება, მაგრამ აქ მოტანიღი მასალაც კი ნათღად გვიჩვენებს, რომ აჭარული დიალექტის ლექსიკურ მონაცემებს დიდი მნიშვნეღობა აქვს ქართველურ ენათა ნათესაობის, კერძოდ, ქართული ენის აჭარული დიალექტისა და ზანურის (მეგრულ-ლაზურის) ურთიერთმიმართებათა კვლევისათვის.

ღიტერატურა:

1. აბულაძე ი., ძვეღი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ბენდელიანი ც., ზანური ლექსიკური ფენა ქვემო იმერულ დიალექტში, XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასაღები, თბ., 2000.
3. თანდიღავა ზ., ნარაკიძე ც., ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V, თბ., 1986.
4. ნარაკიძე ც., საექსპედიციო მასაღები, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დიალექტოლოგიური არქივი, საქმე №47, 1988.
5. ნიყარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.
6. ნოღაიდელი ნ., მასაღები აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკონისათვის, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბ., 1976.
7. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928.

8. ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
9. ქეგელ-ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბ., 1950-64.
10. შიოშვილი თ., საექსპედიციო მასალა, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი, 1987.
11. ჩიქობავა ა., ლაზურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1938.
12. ჩიქობავა ა., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
13. ჯავახიშვილი ივ., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.
14. Марр Н., Грамматика Чанского (Лазского) языка с хрестоматией и словарём, С.П., 1910.
15. Марр Н., Этно и глотогония Восточной Европы, т.5, М., 1935.

Nanuli Nogaideli

**Several Lexical Samples of Zanian Language in
Ajar dialekt of Georgian Language**

Summary

It is possible to single out several lexikal samples of substrative Zanian Language in Ajar dialekt of Georgian Language. This phenomenon was caused by the historcial and Lingual interaction of Zanian and Georgian languages. In this study it is considerad several new leksical samples of Zanian language substrale in Ajar dialect: čibošani, seriskudi, takvi, ġeža, daxčinuli, ġančkipa, ġvažva, ġargili and etc.

The existence of such lexical samples in Ajar dialect for the most part are explained with the territorial closeness and immediate contacts between Ajara and Lazeti.

Нанули Ногаидели

**Несколько лексических единиц занского субстрата
в аджарском диалекте**

Резюме

В аджарском диалекте грузинского языка выделяются лексические единицы занского субстрата. Это явление обусловлено историческими зано-грузинскими языковыми взаимосвязями.

В работе представлено несколько новых лексем занского субстрата: *čibošani*, *seriskudi*, *takvi*, *geža*, *daxč'inuli*, *ganč'kipa*, *gvažva*, *ğargili* и др.

Сууществование в аджарском диалекте таких лексических единиц большей частью объясняется территориальной близостью и взаимными контактами Аджарии и Лазети.

Nanuli Nogaideli

Zanca substatumun birkaç kelime örneği Acara diyalektinde

Özet

Gürcü dilin Acara diyalektinde zanca substatum kelimeleri mevcuttur bunun sebebi ise gürcü zanca dillerinin tarihi ilişkileridir.

Bu çalışmada Zanca substatumun birkaç yeni kelime gösterilmiştir. mesela: *Çhiboşani* (ჭიბოშანი), *seriskudi* (სერისკუდი), *takvi* (ტაკვი), *dahçimuli* (დახჩინული), *geca* (გეჯა), *gantskipa* (განჭკიპა), ve saire.

ციალა ნარაკიძე

ნათესაური ურთიერთობის ამსახველი ლექსიკიდან ლაზურში

ნათესაური ურთიერთობის ამსახველი ლექსიკის კვლევამ ლაზურში ბევრი საინტერესო ლექსიკური ერთეული წარმოაჩინა, რომლებიც საყურადღებოა როგორც ენათმეცნიერული, ასევე ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც.

ნათესაობით სისტემაში ყველა მისი წარმომადგენელი შესაბამისი სახელით მოიხსენიება: დედას ლაზურში ნ ა ნ ა ს ეძახიან (შდრ. მეგრ. ნანა, დიდა, დია) „ნანაშენ ლოყა, ნანაშენ კაი, ჯჯაბა დუნა ას მითიჲ ენი- დედაზე ტკილი, დედაზე კარგი, ნეტავი ქვეყნად თუ არის ვინმე“ (ბსკიდა, საქმე №58, გვ.29). ქართული ნანა იხმარება გურულში ნენა/ნენეს სახით და ზანურიდან შეთვისებული უნდა იყოს, მაგრამ ამის გარეშეც-წერდა არნ.ჩიქობავა-ქართულში უნდა ყოფილიყო ნახმარი ნ ა ნ ა „დედა“-ს მნიშვნელობით; ამაში გვარწმუნებს ნ ა ნ ა სახელი სიმღერისა. რომელსაც აკვანში მწოლიარე ბავშვს უმღერის დედა: ქართველი დედა ისევე დამღერის „ნანა შვილო, ნანინა-ო, როგორც ჭანი: ჰა, ნანი, ნანი, ნანი... (ჩიქობავა არნ., 1938:18).

სახელი „ნანა“ მითოლოგიურ სამყაროსაც უკავშირდება. ნანა ქალღმერთია, ბუნების ფრიგიული ღვთაების დედა. შუამდინარული მითოლოგიის მონაცემებით კი ნან ძირი ჩანს ბევრი ქალღმერთის სახელში: ა შ ნ ა ნ ი, ნ ა ნ შ ე (კიკნაძე ზ., 1979:55).

საგანგებო ფუძეების (შანტიში, ოცხე, ოგე) დართვით ნანა-საგან ნაწარმოებია დედინაცვლის აღმნიშვნელი ტერმინები ლაზურში: ნანაშანტიში „ნანაშანტიშის ხეს ვორე, ვა ვირდი ჭიტა ვორე,- დედინაცვლის ხელში ვარ, არ გავიზარდე პატარა ვარ (ბსკიდა, საქმე №58, გვ.89). „ნანაშანტიში“ ერთგნებიათ კომპოზიტია. მეორე კომპონენტი „შანტი“-ს მნიშვნელობა უცნობია, -ში- კი ლაზური მაწარმოებელია. „ნანაშანტიში“//ნანაშანტიში“-ს სინონიმური ფორმებია „ნანაოგე“, „ნანაოცხე“. „ო ც ხ ე“ ზანური წარმომავლობის ტერმინია, მომდინარეობს ზმნისაგან „ოცხუ“ და ნიშნავს „სესხებას“. „ო გ ე“ აღმოსავლური წარმომავლობისაა და ნიშნავს „სანაცვლოს“. ამავე ფუძეების დართვით სიტყვაზე „ბ ა ბ ა“ (მამა) მიიღება მამინაცვლის აღმნიშვნელი ტერმინები ლაზურში; „ბაბაშანტიში“, „ბაბაოცხე“, „ბაბაოგე“. „ბაბათი შანტიში იყვენია, ნანაოცხე ტაშია“ -მამაც ნაცვალი იქნება, როცა დედინაცვალია (ბსკიდა, საქმე №58, გვ.8).

ბებიას დ ი დ ი ნ ა ნ ა-ს, ნანდიდი-ს ეძახიან (შდრ.ქართ.დიდ-დედა); სიყვარულითა და მოფერებით ბებიას „დიდი“-საც ეძახიან (შდრ. აჭარ. დიდი). ლაზთა მეტყველებაში აქა-იქ ბაბუას აღმნიშვნელი ტერმინის პ ა პ უ ლ ი-ს პარალელურად დიდინანას (დიდედას) მსგავსად გვხვდება დიდი ბაბაც (დიდი მამა); „პ ა პ უ ლ ი“ წინაპარსაც ნიშნავს „პაპულიფეს“ ოხოფე აქ უღუტეენან-მამა-პაპათ (წინაპრებს) სახლები აქ ჰქონიათ (ჩიქობავა არნ., 1938:14). ლაზეთში ოჯახის უფროსად ითვლება ოჯახის უზუცესი პ ა პ უ ლ ი (ბაბუა), რომლისთვისაც დამახასიათებელია ბუზართან, კერასთან ჯდომა. სწორედ ამის გამო სახ-

ლის უხუცესს ხშირად კირაპაპულის (კერის ბაბუას) უწოდებდნენ (ვანლიში გ., 1979: 117). კირაპაპულის ეძახიან იმ აღმნიშვნელს, რომელსაც ხალხში გასვლა არ უყვარს და მიჯაჭვული თავის ოჯახზე, "მუდ ენ, კირაპაპულიდ ავი, ოხრიშენ მოთ ვა გამულუ მილეთის მოთ უნტკობუ-რა არის კერის ბაბუა ხარ, სახლიდან გარე რატომ არ გადიხარ, ხალხს რატომ ეძალები (ბსკიდა, საქმე №55, გვ.95).

ლაზური სქირო კანონზომიერი შესატყვისია ქართული მულისა. სქირი ძირითადად ვაჟიშვილის მნიშვნელობით იხმარება ლაზურ მეტყველებაში, თუმცა გვხვდება ოსურ სქიროც-ქალიშვილი (შდრ. მეგრ. ოსურსკუა). სქირისაგან ნაწარმოებია ოხორასქირო ი//ოხასკი (ცოლის ძმა, მაზლი).

ქმრის და, ცოლის და ოხასულეა (სახლის ასული, მული). ოხასულე მნიშვნელოვანი და საყურადღებო ტერმინია, რადგანაც ამ კომპოზიტის შემადგენელი კომპონენტის „ასული“-ს გამოყოფა გვაფიქრებინებს, რომ ლაზურში ადრე სიტყვების „კულანი“, „ბოზო“-ს პარალელურად ქალიშვილის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა „ასული“-ც.

შვილიშვილი მოთაა (შდრ. მეგრ. მოთა) მოთა ლაზურში ნამოერს, ბარტყს აღნიშნავს, მეგრულში კი ამ სიტყვას ლაზურისაგან განსხვავებით, მხოლოდ ადამიანის მიმართ ხმარობენ.

რძალი, ძმის ცოლი ნისაა. ლაზურის ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავში იხმარება ნუსა „ფოთანი გიჭაფარენ ჭუტა ნუსა, კუჩხე გიღუნ ჭუჭუტა-ფეხსაცმელს გიკერავენ პატარძალო, ფეხი გაქვს პაწაწინა (ჟღენტე, 1938: 157). მეგრულში „ნისა“-ს ორი ვარიანტი გვხვდება ნოსა//ნისა (ყიფშიძე ნ., 1914:205). ქართულის აღმოსავლურ კილოებში ეს სიტყვა არაა დადასტურებული, მაგრამ შემონახულია ნაწარმოებ სახელში ნუსადი ა-ბიძის ცოლი (ორბელიანი ს., 1938:105). არნ.ჩიქობავას აზრით სიტყვა არაბულია. მაგრამ ივ.ჯავახიშვილის ნოსა//ნისა ქართველური წარმოშობის სიტყვებად აქვს გაგებული და თავკიდურა - ბეერას ნააფიქსალ ელემენტად მიიჩნევს (ჯავახიშვილი, 1937:183). ბოლო გამოკვლევების თანახმად მიიჩნევა, რომ სიტყვა ნისა ქართულში, ზანურში და ჩრდილო-კავკასიურ ენებშიც ინდოევროპული გზითაა დამკვიდრებული (ნოლაიდელი ნ., 1999:45). ლაზურ კილოკავებში ნუსა//ნისა-ს პარალელურად დასტურდება ნუსადი ა//ნისადა, ნისაყა//ნუსაყა ძმათა ცოლები ერთმანეთისათვის (შდრ. აჭარ; იმერ; ლეჩ; საბა; ქველ; შილი).

სისხლით ნათესაობის სისტემაში ნათესაური ურთიერთობის სიახლოვით პირველ საფეხურად მიჩნეულია ბაბასქირო (მამა-შვილობა), მეორე საფეხურად ჯუმალობა (ძმობა); ბიძაშვილობა, მამიდა-შვილობა, დეიდაშვილობა აღინიშნება ერთი ცნებით „ინქსალობა“, „ინქსალეფე“ „ექსალეფე“. დისწული, ძმისწული იწოდება „ანიმსედ“ ალიმსედ“. ამ ტერმინთა შესატყვისები სხვა ქართველურ ენებში არ გვხვდება. მაშასადამე, ეს ტერმინები საკუთრივ ლაზურია.

ერთი ოჯახიდან გაყოფილები, ოჯახის განაყოფები მაჯუმალეფეა (მოძმეები, განაყოფები).

ქართულ ენაში დედისა და მამის ხაზით არსებული ახლობლობა საერთო სახელით „ნ ა თ ე ს ა ვ ი თ“ აღინიშნება, ლაზურში „ნათესავი“ ტერმინის შესატყვისი სიტყვა არ გვხვდება, იხმარება ლექსიკური ერთეული „ჩ ქ ი ნ ე ფ ე“ (ჩვენები, ჩვენებურები). სიტყვაში „ნ ა თ ე ს ა ვ ი“ გამოიყოფა-თეს-ძირი. სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია თეს-ძირის საერთო ქართველურობა. ქართულ -თეს-ს შეესატყვისება ზანურში -თას-ი; ცოლ-ქმარს შვილი რომ გაუჩნდებათ, იტყვიან: „ბეე დოთასეს ა“-ბავშვი დაბადესო, გააჩინესო“. ეს გვაფიქრებინებს, რომ ლაზურში ახლობლის, ნათესავის აღმნიშვნელ ტერმინად შესაძლებელია ხმარებულიყო „ნათესავის“ მსგავსი სიტყვა, რადგანაც ნაშიერის აღსანიშნავად ლაზურში იხმარება ლექსიკური ერთეული „ნოთასე“ „ნოთასე მუში, მუშისთეი იენ“-ნაშიერი მისი (ნაშობი), მსგავსია მისი.

ნათესაურ სისტემაში საინტერესოა ტერმინი „ოსურჭკორი“, რომელიც ჩვენს მიერ პირველადაა ფიქსირებული და მეცნიერული ლიტერატურისათვის უცნობია. „ოსურჭკორი“ (გათხოვილი ქალიშვილი მამისეული ოჯახისათვის) „ჩქიმი ოსურჭკორი ქომოხთუ“ ჩემი გათხოვილი ქალიშვილი მოვიდა. კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი ო ს უ რ -წარმოდგენილი ფუძის სახით ზანურ მეტყველებას შეგუებული სიტყვა უფროა ვინემ კანონზომიერი შესატყვისი ქართული

ა ს უ ლ ი- ს ა. ოსური ლაზურში იშვიათია, მეგრულში ჩვეულებრივი. ლაზურში შენახული აქვს ის მნიშვნელობა, რაც ქართულს აქვს (ასული, ქალიშვილი), მეგრულში კი მნიშვნელობა ერთგვარად შეცვლილია: ო ს უ რ ი ს ძირითადი მნიშვნელობაა ც ო ლ ი... მაგრამ: ოსურ სქუა-ქალიშვილი, ოსურ-კათა-ქალები (ქიმოლკათას-მამაკაცების საპირისპიროდ).

კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი ჭ კ ო რ ი მონის, მორჩილის მნიშვნელობით იხმარება მეგრულში, მაგრამ გათხოვილი ქალიშვილის მნიშვნელობით ო ს უ რ ჭ კ ო რ ი მეგრულში საერთოდ არ გვხვდება. საყურადღებოა მეგრულში გასათხოვარი ქალის დანიშვნის შემდეგ აღმნიშვნელი ტერმინი „მოჭყუდუ“. საინტერესოა ამ სიტყვის ეტიმოლოგია. მეგრულად მზითვს „ოჭყუდური“ ჰქვია. ეს სიტყვა წარმოებულია ზმნა ჭყვიდუასაგან, რაც ქართულად ნიშნავს წყვეტას. „მოჭყუდუ“ ქართულად აღნიშნავს მოტაცებულს ანუ ვინც მთელისგან ძალადაა მოშორებული. დანიშნული ქალიც გამოეყოფა თავის მშობელ გვარს, სხვა გვარის წევრის მიერ არის „მოტაცებული“ და დანიშნული ქალის სახელწოდებაც ამიტომ აქედან წარმოსდგება (მაკალათია ს., 1941:259).

ლაზურშიც გვაქვს ზმნა ო ჭ კ ი რ უ; ათინურ კილოკავში ო ჭ კ ო რ უ (მოჭრა). შესაძლებელია მსგავსად მეგრული მოჭყუდუ-სა კომპოზიტის მეორე კომპონენტი ზმნა ოჭკორუდან მომდინარეობდეს და ნიშნავდეს ქალიშვილს მამისეული ოჯახიდან მოწყვეტილს, მოჭრილს.

ოსურჭკორის პარალელურად ლაზურში ო ხ ო ჭ კ ო ა ს არსებობამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ჭკორი ბერძნულიდან იყოს შეთვისებული (შდრ. K u r i g r - „ქალბატონი“), მაგრამ კომპოზიტის (ოსურჭკორი) შემადგენელი ნაწილების ცალ-ცალკე არსებობა ზანურში სხვადასხვა მნიშვნელობით მიგვანიშნებს ამ ტერმინის ლაზურ წარმომავლობაზე.

ლიტერატურა:

1. Марр Н., Грамматика чанского (лазского языка), С.-П.,1910.
2. Магазаник Д., Турецко-русский словарь, М.,1945.
3. გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები,თბ., 1962.
4. ლლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I-II თბ.,1974- 1975.
5. ვანლიში გ., ლაზთა საოჯახო ყოფის ისტორიიდან- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VII თბ.,1979.
6. კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, თბ.,1979.
7. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ.,1941.
8. ნოლაიდელი ნ., ნათესაური ურთიერთობის ამსახველი რამდენიმე ტერმინი აჭარულში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის შრომები, III,1999.
9. ორბელიანი ს., ქართული ლექსიკონი, ტფ.,1928.
10. ფლენტი ს., ჭანური ტექსტები, ტფ.,1938.
11. ქველ-ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ.ჩიქობავას რედაქციით. I-VIII, თბ., 1950-1964.
12. Кипшидзе Н., Грамматика мингрельского (иверского) языка С.-П., 1914.
13. ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ.,1938.
14. ჯავახიშვილი ივ., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ.,1937.
15. ბსკიდა - ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და ლექტოლოგიური არქივი.

Tsiala Narakidze

From the vocabulary of ties of Kindship in Lazian dialect

Summary

In the article is represented the Lazian philological material which describes the ties of Kinship. The investigations in this direction manifested a lot of new Lexical units.

ციალა ნარაკიძე

Из лексики родственных отношений в лазском диалекте

Резюме

В статье представлен лазский словесный материал характеризующий родственные отношения. Исследования в этом направлении материалов отраслевой лексики лазского диалекта выявили много новых интересных лексических единиц.

Tsiala Narakidze

Gürcüce ile Lazca arasındaki dil akrabalığı ortaya koyan sözcükler:

Özeti

Çalışmada akrabalık ilişkilerini belirten sözcükler konu edilmiştir.

Lazcada, bu doğrultudaki araştırmamızın sonucunda bir kaç ilgi çekici sözcük dikkati çekmiştir.

რამდენიმე ზანური ლექსიკური ერთეულისათვის სამხრულ დიალექტებში

ენათმეცნიერთა და ისტორიკოსთა გამოკვლევებიდან უკვე კარგა ხანია ცნობილია, რომ ლოკალურად ის ტერიტორია, სადაც ამჟამად გურულები და აჭარლები არიან დასახლებული, ძველად ზანურ მოსახლეობას ეკავა: „ლაზიკას ერთ დროს ეჭირა არა მხოლოდ ახლანდელი ლაზისტანი, არამედ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროც, ეხლანდელი გურიით, სამეგრელოთი და იმერეთით (მარი ნ., 1904:116). იგივე შეხედულება განავითარეს შემდგომში ივ. ჯავახიშვილმა, ი. ყიფშიძემ, არნ. ჩიქობავამ, ს. ჟღენტმა და სხვებმა.

„სიტყვის ეტიმოლოგიის გარკვევა პირვანდელი მნიშვნელობის ვათვალისწინებაა, იმ წარმოდგენის ამოფესვაა, რომელიც სიტყვაშია ჩამარხული და რომელიც ცხადყოფს. რატომ დაერქვა ეს სიტყვა ამ ობიექტურ მონაცემს (ჩიქობავა არნ. 1937:48).

წინამდებარე ნაშრომში წარმოგიდგენთ მხოლოდ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს, ასე მაგ:

ქვიჯა— მაგარი ხის კუნძიდან გამოთლილი ჯამი, რომელშიც ნაყვენ ნიორს, ნიგოზს, მარილს და სხვ. (ნიჟარაძე, 1971:356). „ჩვირბინე აიშე ბებიასთან და ქვიშა ამომიტაი“ (ბსკიფა). ქვიჯა— მწვანილის სანაყი ჯამი. „ქვიჯაში დაუნაყავთ წუანილებსა“ (ფუტკარაძე შ., 1993:602). ქვიჯა ზულოს რ—ში იხმარება საცეხველისა და ქვიჯის (როდინის) მნიშვნელობით. ქვიჯა— „მცირე როდინი“ (სულხან—საბა, 1993:244). დ. ბაქრაძე „ქვიჯა“—ს ასე განმარტავს: ქვი—ჯა შემოკლებული ქვის ჯამია, იმას რითაც ნაყვენ. იმერეთში—ქვასანაყს ეძახიან, გურიაში—სანაყ ქვას, აჭარაში—ქვიჯა—ს (ბაქრაძე დ., 1987:152). მეგრულში იხმარება ქვიჯე // ქვინჯე (ყიფშიძე, 1994), ქვინჯე // ქვინჯა —როდინს ნიშნავს (ჭარაია პ., 1997: 141).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „ქვიჯა“ კუთხური სიტვა ფილთაქვას სინონიმურია, იგივე, რაც როდინი და ქვემოიმერული და გურული დიალექტების კუთვნილებადაა მიჩნეული (ქეგლ., 1990:970:991).

ი. მეგრელიძე თვლიდა, რომ „ქვიჯა“ კომპოზიტია და შედგება ქართული „ქვა“—სა და ლაზურ—მეგრული „ჯა“—(ხე)—საგან (მეგრელიძე ი., 1938:116-117), ე.ი. „ქვიჯა“ თხზული სახელია, რომლის პირველი კომპონენტი „ქვი“ უნდა იყოს ნათესაობით ბრუნვაში დასმული ქართული „ქვა“(ქვის), რომელსაც კომპოზიტურ ფორმაში ნათესაობითის „ს“ თანხმოვანი დაჰკარგვია და მხოლოდ „ი“ ხმოვანი დარჩა (დ.ბაქრაძეც „ქვიჯა“—ს „ქვის ჯამ“—ად განმარტებისას „ს“ თანხმოვანს აღადგენს), რაც შეეხება მეორე ნაწილს „ჯა“—ს, შესაძლებელია იგი „ჯამ“—ის შეკვეცილი ფორმა იყოს, მაგრამ სხვა ვარაუდის დაშვებაც შეიძლება. ჩვენ ვიზიარებთ ი.მეგრელიძის აზრს, იმის შესახებ, რომ საკვლევი ლექსიკური ერთეულის მეორე კომპონენტი „ჯა“ არის ზანური „ჯა“, რომელსაც ქართულში შეესატყვისება „მელ“. ზანური სიტყვა „ჯა“ აჭარულსა და სხვა ქართული დიალექტებისათვის უცხო არ არის, ასე

მაგ: ჯარა, ჯარგვალი და სხვა. ჩვენი აზრით, ზანურია არა მარტო საკვლევი ლექსიკური ერთეულის მეორე ნაწილი, არამედ მთლიანად კომპოზიტი „ქვიჯა“. ვფიქრობთ, ამ ტერმინმა შემდეგი გზა გამოიარა: ქუჯა¹ქუიჯა – ქვიჯა, ე.ი. ქვა ხე, რომლისგან სანაყს აკეთებენ.

ძელვა ერთ-ერთი ხის ჯიშია *zelcova carpinohilia* კხ.ალუხი: ავლუხი, მეგრ. ძერქვა, ქართ. ნეკერხალი, აჭ. ლუკმაკენჩხა, გურ. ლეკენჩხალი (მაყაშვილი, 1991: 74: 89: 130), რომელიც სიმაგრითა და გამძლეობით ხასიათდება. იგი დედამიწის უძველესი მცენარეა. მისი მაგარი, მკვრივი და მტკიცე მერქნისაგან დამზადებული ფიცარი არ იბრიცება, არ სკდება. სანაყი, ანუ როდინი, სწორედ გამძლე ხის მასალას მოითხოვს.

ღარღალი – ხმამაღლა, უაზრო და უსიამოვნო, მომაბეზრებელი ლაპარაკი, ღრიანცელი, ყაყანი (ნიფ. შ., 1971: 361). შდრ. საბა: ღაღავი – შეთქმულობა უბრალოთა ზედა (სულხან-საბა: 1993: 245); შდრ: შარაშ. ღლოფინი-ხმამაღლა, უსიამოვნო ხმით, გაჯავრებით ლაპარაკი: „რაფერ საშინლათ ღლოფინობდა იი ქალი“ (შარაშიძე, 1938:72). აჭარულში შ. ნიჟარაძეს დაფიქსირებული აქვს „ღარღალ“ ძირი. „არ მოკწყინდა მაინც ამდენი ღარღალი?!“ (ნიჟარაძე შ., 1971:361). „მთელი დღე ღარღალებენ“ (ბსკიდა), „არ მომწონს მაგათი ღარღალი“ (ბსკიდა), ღარღალი-გურულში ნიშნავს ხმამაღალ ძახილს, ყიჟინას, ლაპარაკის მანერას, „კაი ღარღილი აქ“, სასიამოვნო ხმა, საუბარი, შდრ. ბერ., შარაშ., 1938:71; სულხან-საბა, 1993:247). შდრ. ღაღადება – „ესე ითქმის ყო (ე)ელივე ხამაღლობით მაყოფა; (კივილი, ყივილი, კრჩხიალი, ყაყანი, ძიგძიგი, ჯიჯკინი, კიჟინა, ზრინვა, ზრიალი, ყვირილი სულხან-საბა, 1993:247), აჭარულში „ღარღალ“-ის გარდა გვხდება შემდეგი ფორმები: ღურღული-ხმამაღლა, არეულად ლაპარაკი, ყაყანი, ღრიანცელი (ნიჟარაძე შ., 1971: 366), ღურღული-ღურღუნი, გაჯავრებით, ჩუმაღ ლაპარაკი (შდრ.ჩუბ. ღურღური: გ.შარაშ., 1938: 73), ღაღადი-უაზრო და მომაბეზრებელი ლაპარაკი, ჯუჯღლუნი, შდრ. ღარღალი (ნიჟარაძე შ., 1971:361). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ღარღალი-(კუთხ) ხმამაღალი, იმერულ-გურულად არის მიჩნეული. 1) ღარღალ-ი (კუთხ). იმერ. ხმამაღალი ლაპარაკი; 2) ღარღალებს – ღარღალი გაუდის (ქეგლ, 1993: 999). „ღარღალ“-ს გარკვეული კავშირი აქვს „ღაღად-თან ღაღად-თან, ღაღადება-ყვირილი (სარჯველაძე, 200:223).

ხულოს, ქედისა და ქობულეთის რაიონებში „ღარღალი“ (ღარღალებს) ნიშნავს უთავბოლო ლაპარაკს. ღაზურში „ოღარღალუ“ (ო-რა-რღალ-უ) ლაპარაკს ნიშნავს, ჭან. ღარღალ-ლაპარაკი (ჭარაია, 1997: 104), ხოლო მეგრულში-მომაბეზრებელს ლაპარაკს (ყიფშიძე, 1994:349).

ღარღალი არის ყბედობა (პ. ჭარაია, 1997: 144, შდრ. ღავღავი-შეთქმულება უბრალოსა ზედა, საბა, 1993:245), შდრ. სვან გარგლა// ბარგალ-ლაპარაკი, разговор (დონდუა კ., 2001: 58).

მამასადაძე, „ღარღალ“ ძირი აჭარულსა და სხვა დასავლურ კილოებში ზანიზმია.

ასეთია ნაშრომში მოყვანილი ლექსიკური ერთეულების ეტიმოლოგიის ახსნის ჩვენეული ცდა.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.
2. ღონდუა კ., სვანურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონი, თბილისი, 2001.
3. თანდილავა ზ., ნარაკიძე ც., ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში, აჭარული დიალექტის ლექსიკა: №5, ბათუმი, 1986.
4. მაყაშვილი ალ., ბოტანიკური ლექსიკონი, თბ. 1991.
5. Мегрелидзе И.В., Лазский и мегрелский слои в Гурийском М., 1938.
6. ნიჭარაძე., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961
7. ნიჭარაძე., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971
8. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, II, თბილისი, 1993.
9. ჟღენტა ს., გურული კილო, თბ. 1936.
10. სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ. 2001.
11. ფუტყარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
12. შარაშიძე გ., გურული ლექსიკონი, ქართულ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938.
13. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II, თბ., 1990.
14. ლლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
15. ყიფშიძე ი., რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
16. ჭარაია პ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.
17. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ. 1960.

Nargiz Akhvlediani

About some Zanian Lexical units in Southern dialects of Georgian language

Summary

In Ajar dialect of Georgian Language even now it is well noticeable of the manifestation of the traces of Zanian language in Phonetics, Grammar and Vocabulary. In the work is considered some lexical unit, in particular – “Kvidja”, “Gargali”.

ნარგის ახვლედიანი

О нескольких занских лексических единицах в южных диалектах грузинского языка

Резюме

В Аджарском диалекте следы занизмов и сегодня проявляются как в фонетике, так и в лексике. В работе рассматривается несколько лексических единиц, а именно: «Квиджа», «Гаргали».

Nargiz Ahvlediani

Güney lehçesindeki (Gürcistan) birkaç zanca kelimeler

Özeti

Acara Lehçesinde bugün bile zanca kelimelerin izi, Seslerde ve gramerde oldüğü gibi kelimelerde de hala görölmektedir. Çalışmada bir kaç kelime üzerinde durulmuştur. Özellikle "kvija", ve "ğarğadi".

სიტყვა კრიმანჭულის ეტიმოლოგიისათვის

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი სიტყვა-კრიმანჭულს-შემდეგნაირად განმარტავს-„კრიმანჭული-ი (კრიმანჭულისა) გურულ (მაყრულ, საგმირო, ისტორიულ...) სიმღერებში-თავისებურად მიმოქცეული მაღალი ხმა. კრიმანჭული სრულდება საოცრად მაღალ ფარდებში და ყელში ფალცეტის ხმის ტრიალით ქმნის არსებითად ორნამენტული ხასიათის მრავალგვარ ფიორეტურას ერთნაირი სიმსუბუქით (გ.ჩხიკვ.), გაჩნდა ღიღინი, ვალობა, სიმღერა კრიმანჭულითა (აკაკი). ისმოდა... ყანებში მომუშავე გლეხების სტვენა და კრიმანჭული (ზ.ჩხიკვ.)“. დ.არაყიშვილი თვლიდა რომ კრიმანჭული „როგორც განვითარების უფრო რთული მელოდიური ხაზი სიმღერაში, ნაწილობრივ როგორც ელფერი, უეჭველად გურულის მუსიკალური აზროვნების გაფართოებას, გამდიდრებას წარმოადგენს“ (სიხარულიძე ი., 1975:3). პროფ. ი.სიხარულიძე ეთანხმება დ.არაყიშვილს და მიიჩნევს რომ კრიმანჭული სამეგრელოშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, თუმცა ის დასტურდება აგრეთვე აჭარაშიც.

სავარაუდოდ სიტყვა - კრიმანჭული-პირვანდელი გენეტიკური სტრუქტურის თვალსაზრისით, შემდეგ ფორმანტებს უნდა შეიცავდეს - კრიმან - ჭული. -ი- სახელობითი ბრუნვის ნიშანია, სავარაუდოდ -ჭულ-სუფიქსი უნდა იყოს, ხოლო კრიმან-კი ფუძე.

ამ ფუძესთან ყველაზე მეტ სიახლოვეს ავლენს ლაზური (ჭანური) ზმნა -კრ-ი-ამ-ს (მეგრული-რკ-იანს-ს), რაც კივილს აღნიშნავს.

მამული კიამს-მამალი ყივის (კივის)... ჩარჩიშა იდუ-სი, არ კოჩი კრიამს-ბაზარში რომ წავიდა, ერთი კაცი გაკივის... ოწედი, გუგული ვარ ონ ...და ბერე კრიამტუ- ნახე, გუგული არაა!... ეს ბიჭი კიოდა... (ჩიქობავა არნ., 1938:297).

სავარაუდო ფორმანტი ჭულ-ი მრავალ ქართველურ სიტყვაში დასტურდება-კუნ-ჭულ-ი (ქართულში კუთხეს ნიშნავს) (ჩიქობავა არნ., 1986:270). ლაზურში აგრეთვე კუთხეს ნიშნავს, მეგრულში კუნჭული კუნჭული-ს (ბაშლიყის ფოჩი) ვარიანტად არის მოტანილი ი.ყიფშიძეზე მითითებით (ქაჯაია ო., 2001:174), თუმცა ი.ყიფშიძესთან ვერ დავადასტურეთ. მეგრულში დაცულია-კუნჭულა-„ფაცხის სახეობაა, მას ჰქონდა მრგვალი და წოპიანი სახურავი; გადახურული გვიმრით (ქაჯაია ო., 2001:174).

ლაზურსა და ქართულში გვაქვს-ჭუჭ-ულ-ი. „მეგრულში ეს სიტყვა ქათმებისა (და წიწილების) მოხმობისას თუ შეგვეხვდება: ჭუჭუ//ჭუჭუ... (ჩიქობავა არნ., 1938:100).

ლაზურსა და მეგრულში დასტურდება ბურ-ჭულ-ი წალდის მნიშვნელობით (ჩიქობავა არნ., 1938:162).

მეგრულშია აგრეთვე სავარაუდო -ჭულ- სუფიქსიანი სიტყვა -ჭარჭულუა-დახატვა, დაქარგვა (ელიავა გ., 1997:375), მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის რომ მეგრულმა შემოინახა -ჭურ-ჭულ-ი ტკბილი საუბარი (ყიფშიძე ი., 1994:597; ელიავა გ., 1997:375), რომელსაც აგრეთვე აქვს მეორე მნიშვნელობა-წკრიალი, ჭიკჭიკი, ვალობა

(ელიავა გ., 1997:379). მეგრულში გვაქვს აგრეთვე -ღურჭული-სიმღერა (ყიფშიძე ი., 1994: 557) და ღურჭულუა-ჭიკჭიკი (ელიავა გ., 1997:328), ლაზურად ღურჭულაფს-ჭიკჭიკი (მასალა მოგვაწოდა ც.ნარაკიძემ).

უეჭველია, რომ კრიმანჭული ზანური წარმომავლობის სიტყვაა და მისი სტრუქტურისა და მნიშვნელობის მიხედვით ძალიან ახლოს არის ზემოთ მოყვანილ მეგრულ სიტყვებთან (ღურჭული, ღურჭულუა, ჭურჭელი). ფუძის მიხედვით ის უფრო მეტ სიახლოვეს ავლენს ლაზურთან, თუმცა მთლიანად არც მეგრულსა და არც ლაზურს არ უკავშირდება.

სავსებით გამართლებულია ვივარაუდოთ, რომ გურიის ტერიტორიაზე თავის დროზე გავრცელებული იყო ისეთი ზანური ლექსემები რომლებიც მათი მორფოლოგიური სტრუქტურით ახლოს იყვნენ მეგრულთან, ხოლო ლექსიკური აგებულებით ლაზურთან.

მაგრამ საქმის ვითარების ასეთი ზოგადი დასკვნა ვერ შევლის. პრობლემატურად რჩება-ჭული ფორმანტის ფუნქცია. სიტყვა ბურჭულთან დაკავშირებით არნ.ჩიქობავა წერს: „ვივარაუდებ, რომ ბურჭულ-ან რთული ფუძეა და შედგება ორი ფუძისაგან: ბურ-და ჭულ-ისაგან, ანდა ბურ-თავსართია და სიტყვის ნივთიერი ნაწილია-ჭული (შდრ. ჭან. ბურ-გილ-(იხ.). მეგრ. ბირ-გულ). ორსავე შემთხვევაში ჭულ-ში ულ-დეტერმინანტი-სუფიქსია“ (ჩიქობავა არნ., 1938:163).

საყურადღებოა, რომ ქართულ სიტყვა ყინ-ულ-თან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა წერს: „აღსანიშნავია რომ ქართულში ეს ძირი (ყინ-შენიშვნა ჩვენია) დაირთავს დეტერმინანტ სუფიქსებს: ულ-ს ახ.ქართულში, ელ-ს ძვ.ქართულში, არც ჭანურში, არც მეგრულში შესაბამისი სუფიქსი არ გაგვაჩნია“.

სხვა ადგილას სიტყვა „ყვერ-ულ“-თან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა წერს: „ეს სიტყვა წარმოშობით მიმღეობაა ქართულშიც, მეგრულშიცა და ჭანურშიც: -ულ-სუფიქსი ქართულში, ილ-მეგრულში და ელ ჭანურში ნამყო დროის მიმღეობას ახასიათებს“.

ვფიქრობთ, რომ ეს წინააღმდეგობა -ულ-სუფიქსთან დაკავშირებით დაიდლევა თუ ვივარაუდებთ, რომ ისტორიულ წარსულში ქულ- სუფიქსი ზანურსაც გააჩნდა და მოფერებით-კნინობით ფუნქციას ატარებდა (ჩაგანავა გ., 2003:135).

საყურადღებოა, რომ ბავშვურ მეტყველებაში (ქართულში) დღესაც ჟღერს-მამიდა-მამიდ-ულ-ი, მაკა-მაკ-ულ-ი, ლადო-ლად-ულ-ი და სხვა (ულ-სუფიქსზე იხილეთ აგრეთვე ჩიქობავა არნ. 1942:64 და სხვა).

იმ შემთხვევაში თუ ფორმანტ ჭ-ს ცალკე განვიხილავთ, მაშინ უნდა გაირკვეს მისი ფუნქცია და მნიშვნელობა. სიტყვებში -კუნ-ჭ-ულ-ი (ქართ., მეგრ., ლაზ.)-კუთხე (ოთახის პატარა ნაწილი), ბურ-ჭ-ულ-ი (მეგრ., ლაზ.) -პატარა ცული (წაღდი), კუ-ჭ-ულ-ი (მეგრ.)-ბაშლიყის პატარა ნაწილი-ფოჩი, ჭარ-ჭ-ულ-უა (მეგრ.)-ხატვა-გარემოს საგნების დაპატარავებით გადმოცემა, ჭურ-ჭ-ულ-ი (მეგრ.)-ტკბილი საუბარი ან დაბალ, პატარა ხმაზე, ჩვეულებრივისაგან დაპატარავებულ (შემცირებული) ხმაზე საუბარი.

ჭურ-ჭ-ულ-ი (მეგრ., ლაზ.)-წკრიალი, ჭიკჭიკი, გალობა-ან ვიწრო (პატარა) ხმაზე საუბარი; აქვე შეიძლება მოვიტანოთ ქართული -ჩურ-ჩ-ულ-ი-დაბალ, პატარა ხმაზე საუბარი; ღურ-ჭ-ულ-ი (მეგრ.)-სიმღერა-სიამოვნების მომნიჭებელი, მოწესრიგებული ე.ი. მართვადი გამოთქმა.

შეიძლება ამ ბოლო სიტყვაში გამოვყოთ-ჭულუა, როგორც წვრილი ხმით ბგერის გადმოცემა ანდა ჭიკჭიკი.

უეჭველია რომ ფორმანტი ჭ ულ სუფიქსთან ერთად მოფერება-კნინობითობის გამოხატველია, ანდა ასეთი დამოკიდებულების გამაძლიერებელია.

ბუ-ჭ-ულ-ა საბას განმარტებით პატარა წისქვილს აღნიშნავს (ორბელიანი ს.ს., 1949:79). ბუ-ჭ-ულ-ა საერთოდ „პატარას“ მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა (ჯავახიშვილი ივ., 1937:188). საყურადღებოა, რომ ჭ-უნ-უ ლაზურში წვრილ წნელს ნიშნავს (Mapp H., 1910:228). ჭ-უნ-ჭ-უ ლაზურად გახდილს (Mapp H., 1910:228) ანუ ტანისამოს მოცილებულს (ე.ი. შემცირებულს) ნიშნავს.

მცირისა და მოფერება-კნინობითობის გამაძლიერებელი უნდა იყოს ფორმანტი -ჭ- წიწილის აღმნიშვნელ სიტყვაში -ჭ-უ-ჭ-ულ-ი. ლაზურში ჭ-ფორმანტი სიტყვა ჭინჭო ნიშნავს-1.წვრილ კაკლებიან სიმინდს; 2. პატარა ტანის, სუსტ პიროვნებას (მასალა მოგვაწოდა ც.ნარაკიძემ).

მნიშვნელოვანია, რომ თუ მეგრული ჭურჭული-ტკბილ საუბარს ნიშნავს (ელიავა გ., 1997:379) ქართული ჩურჩული (მეგრულში -ჭ-ქართულში ჩ-ს შეესატყვისება) იგივე მნიშვნელობით იხმარება. ფორმანტი ჩ უფრო მეტად ხმის დაწვეას („ჩვენ ჩუ და თქვენც ჩუ“) უნდა აღნიშნავდეს, მისი ეკვივალენტური ჭ მეგრულში კი იგივე მნიშვნელობით უნდა გამოიყენებოდეს.

-ჭ- ფორმანტიანი მეგრული ჭ-ი-ჭ-ე პატარას ნიშნავს, ჭ-იხ-ი მეგრულში წვრილ თოვლს აღნიშნავს ჭ-იფანა-წვრილ-წვრილს, ჭ-იფე-წვრილს (ელიავა გ., 1997:377).

ხმის შეცვლასთან, ბგერის თავისებურად გადმოცემასთან არის დაკავშირებული ქართულში და მეგრულში სიტყვა-ჭიჭყინა; ასევე მეგრული ჭიხინი (ქართული ჭიყვინი); მეგრული ჭ-ვახე-მჟავე, ძმარი- (ელიავა გ., 1997:376) -ე.ი. თვისებით ნაკლული ღვინო; ჭ-ვეთი-წვეთი (ელიავა გ., 1997:376) ე.ი. წყლის მცირე ჩამოდინება; ჭ-ველა-ნორჩი ნერგი (ელიავა გ., 1997:376) ე.ი. პატარა, ჯერ ზრდადაუმთავრებელი მცენარე; ჭ-ვიტე-ხვრელი (ელიავა გ., 1997:376) ე.ი. მცირე მოცულობის გვირაბი.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს რომ ჭ-ფორმანტი დაკავშირებულია დაწვერილებასთან, შემცირებასთან, დაპატარავებასთან, მოფერება-აღერსის გამოხატვასთან ან ასეთი განცდების გაძლიერებასთან.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ რომ კრიმანჭულის შემადგენელი ნაწილია ფალცეტი, რომელიც მამაკაცური ხმის განსაკუთრებული მაღალი ბგერაა და რომელიც ბგერის განსაკუთრებული დავიწროებით მიიღება, მაშინ გასაგები იქნება, რომ სიტყვა კრიმან-ჭულ-ი უნდა ნიშნავდეს წვრილი, მაღალი ხმით სიმღერას.

მაგრამ უშუალოდ ასეთი სემანტიკა არ დასტურდება არც ლაზურში, არც მეგრულში და არც ქართულში.

აქედან გამომდინარე, ისევ უნდა ვითარად, რომ ეს სიტყვა აშკარად, ლაზურთან ახლოს მდგომი რომელიღაც ზანური ენის დიალექტის კუთვნილება იყო. ასეთ შემთხვევაში არ არის გამორიცხული რომ სიტყვა -კრიმანჭული- შედგენილი სიტყვა იყოს-კრი (ყვილი, ყვირილი-ლაზურში; რკ-ყვილი, ყვილი მეგრულში) და მანჭავს (ქართულში-პრანჭავს, ღმეჭს, ღრეჭს, ღრეცს- ჩიქობავა არნ., 1986:282), მეგ-

რულში გვაქვს აგრეთვე მანჭი-ი (მანჭის)-ბასრი, ჩამწვდომი; მანჭილ-ი (მანჭილ/რს) მიმღ. ვნებ. წარს. (ქაჯაია ლ., 2001:214).

ამრიგად, თუ მანჭვა ჩვეულებრივი მდგომარეობის შეცვლას, რაღაცის ხაზგასმას ნიშნავს მაშინ მანჭ-ის მნიშვნელობა-ბასრი ანდა თუნდაც ჩამწვდომი არ უნდა იყოს შორს ასეთივე მნიშვნელობისაგან. აღსანიშნავია, რომ მეგრულის-დომანჭელი-მიმღ. ვნებ. წარს. ქართულის-დამანჭული-შესატყვისობაა (ქაჯაია ო., 2001:214).

კრი-მანჭი (მანჭვა)-საგან უნდა იქნეს ნაწარმოები სახელზმნა, ისევე, როგორც ინგრევასაგან იწარმოება-დანგრეული,-კრი-მანჭი-საგან იწარმოება კრიმანჭული.

ამრიგად, სიტყვა კრიმანჭულის პირვანდელი მნიშვნელობა შეესატყვისება ბასრი, ჩამწვდომი ხმით ყივილს.

ლიტერატურა:

1. ელიავა გ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.
2. ორბელიანი ს., სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბ., 1949.
3. სიხარულიძე ი., ხალხური მუსიკის საოცრება, გაზ. ლენინის დროშა. 1975.
4. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2001.
5. ყიფშიძე ი., რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
6. ჩაგანავა გ., ერთი გურული გვარის ანდლულაძე-ს ლაზური წარმოშობის შესახებ, ბსუ შრომები, V., 2004.
7. ჩიქობავა არნ., ერთტომეული, თბ., 1986.
8. ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტბ., 1938.
9. ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
10. ჯავახიშვილი ივ., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტბ., 1937.
11. Марр Н., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.
12. Марр Н., Грамматика чанского (лазского) языка, Спб., 1910.

Guram Chaganava

Etimology of the word “Krimanchuli”

Summary

The word “Krimanchuli” in georgian language has the meaning of a singing by the high voice (Falsetto). The investigation has shown us that this word must be of a Zanian (Megrelian-Lazian) descent.

According to its structure and meaning it's similar to the structure of the Megrelian words-“Gurchuli”-song, “Gurchulua”-, singing, twitter. But according to its base- “Kriman”,-this word is more close to lazian (Laz) word “Kriam” (piercing cry).

The word “Krimanchuli” may be consisted from two words – “Kri” [cry-Lazian] and “Manchi” [sharp, heartfelt-megrelian], which, forming one verbal noun manifests supposed initial meaning -sharp heartfelt singing (piercing cry).

It is possible. to suppose that the word “Krimanchuli” by its structure is connected with Megrelian, lexically by Lazian and according to the usage of the suffix “ul”-by Georgian.

Гурам Чаганавა

К этимологии слова – «криманчули»

Резюме

Слово «Криманчули», в грузинском означает пение высоким голосом (фальцет). Исследование показало, что это слово занского (мегрело-лазского) происхождения. По своей структуре и значению оно очень близко подходит к структуре мегрельских слов – «Гурчули»- песня, «Гурчулуа»-щебетание, пение. Но по своей основе - «Криман» это слово проявляет большую близость к лазскому слову – «Криам» -(пронзительный крик).

Слово «Криманчули» может состоять и из двух слов – «Кри» (крик-лазское) и «Манчи» (острый, проникновенный - мегрельское), которые, образуя одно отглагольное существительное, дают предполагаемое первичное значение - острое, проникновенное пение (пронзительный крик).

Можно предполагать, что слово «Криманчули» структурно связано с мегрельским, лексически с лазским а по закономерности использования суффикса - «ул» - с грузинским.

Guram Çaganava

“Krimantçuli” kelimenin etimolojisi

Özeti

“*Krimandculi*” kelimesi Gürcücede sesli şarkı söylemek demektir. Yapılmış araştırmalar gösteriyor ki bu kelimenin aslı Zanca, yani *Megrelice* ve *Lazcadır*. O kendi kelime yapısı ve anlam olarak megrelicedeki “*ğurdculi*” - şarkı söylemek, “*ğurdculua*”-ötmek, şarkı soylemek kelimesine benzemektedir. Fakat bu kelime kendi kökü itibarıyla “*kriman*” a göre lazca kelimesi olan “*kriam*” (çiğlik atmak) kelimesine benzemektedir.

“*Krimandculi*” kelimesi birleşik iki kelimedenden de oluşmuş olabilir. “*kri*” (çiğlik atmak-Lazca) ve “*mançi*” (keskin, içine giren-Megrelice) eskiden bu kelimenin anlamı keskin, içine giren, şarkı söylemek olabilirdi.

Bir bakımdan da “*Krimandculi*” kelimenin, kelime yapısı olarak megrelice, sözlük anlamı olarak lazcaya ve ek olarak da, *-ul-* ekinin kullanılmasıyla Gürcüceye bağlantılı olduğu düşünülmektedir

წელიწადის დროთა ქართულ სახელწოდებათა ლაზური შესატყვისობანი

როგორც ცნობილია წელიწადი იყოფა ოთხ დროდ: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. საინტერესოა ამ სახელწოდებების წარმომავლობა. პროფ. ზ.ჭუმბურიძე თვლის, რომ: „ზამთარ და ზაფხულ ერთი და იგივე ზა-თი იწყება, რომელიც სვანურად „წელიწადს“ ნიშნავს. შედარებითი ანალიზი გამოგვაყოფინებს აგრეთვე არ და ულსუფიქსებს, ძირს კი წარმოადგენს ერთ შემთხვევაში მთ (ზა-მთ-არ-ი), მეორეში - ფხ (ზა-ფხ-ულ-ი). აი, სწორედ ამ ძირეულ ულემენტებთან უნდა იყოს დაკავშირებული „სიცივისა“ და „სითბოს“ მნიშვნელობანი. ასე რომ, ზამთარი ნიშნავს „წელიწად-ცივს“, ე.ი. „წლის ცივ დროს“, ზაფხული კი „წელიწად-თბილს“, ე.ი. „წლის თბილ დროს“ (ჭუმბურიძე ზ., 1987:80).

ამ სიტყვებიდან შეიძლება გამოიყოს ორი წინსართი, ზა (ზა-ფხული) და ზამ (ზამ-თარი). ს.ს.ორბელიანის ლექსიკონში არის ასეთი განმარტება: „ზამი და ზიემი ერთია“ (ორბელიანი ს.ს. 1991:275), ხოლო არის „ზიემი გამჩვენება, მზადება დიდი“ (ორბელიანი ს.ს. 1991:281). აქედან გამომდინარე ზა და ზამ ხომ არ შეიძლება ნიშნავდეს არა წელიწადს, არამედ მზადებას რაიმესადმი. გასარკვევია სიტყვის ძირთა მნიშვნელობა, ერთის მხრივ-ფხ (ზა-ფხ-ული), მეორეს მხრივ თარი (ზამ-თარი). ს.ს.ორბელიანს აქვს ასეთი განმარტება: „ფხა ყანის თავთავის ეკალი (ორბელიანი ს.ს. 1993:208). ხომ არ ნიშნავს ზაფხული „მზადებას მოსავლიანი პერიოდისათვის“? მაგრამ, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ლაზურად (7) და სვანურად მაფხა ნიშნავს ზაფხულს (ჩიქობავა არნ., 1938:188) და დარს, ე.ი. კარგ ამინდს (ქუთელია ნ., 1982:64). ხომ არ შეიძლება, რომ ძველ ქართულშიც იყო მსგავსი, დარის აღმნიშვნელი სიტყვა და შემდგომ ან შეიცვალა სხვა სიტყვით, ან საერთოდ ამოვარდა ხმარებიდან და შემორჩა მხოლოდ სიტყვა ზაფხულს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება, რომ სიტყვა ზაფხული ნიშნავდეს: „მზადებას დარებისათვის“. „მზადებას კარგი ამინდებისათვის“.

მკვლევარი ზ.ჭუმბურიძე აღნიშნავს, სიტყვა „გაზაფხული მიღებულია ზაფხულზე გა ზმნისწინის დართვით, შემოდგომა კი დგას ზმნის საწყისია (შემო-დგ-ომ-ა) და ნიშნავს გარკვეული პერიოდის (რთველის ან სიცივეების) დადგომას“ (ჭუმბურიძე ზ., 1987:80-81). ავტორის აზრს ვიზიარებ, მიმაჩნია, რომ გაზაფხული ზაფხულზე გა ზმნისწინის დართვითაა მიღებული. ლაზურად გაზაფხული იქნება „ფუქრინორა“, ხოლო ფუქრი, ფუქირი არის ყვავილი (ქუთელია ნ., 1982:87). აქედან გამომდინარე ფუქრინორა ნიშნავს „ყვავებისა,, „ყვავილობის პერიოდს“. ასეთივე მნიშვნელობისაა მეგრული სიტყვა „გოფალირი“ რაც გაფურჩქნა ნიშნავს და გაზაფხულის მეგრული სახელწოდებაა. ხომ არ შეიძლება, რომ ასეთივე სახელწოდება ძველქართულშიც იყო, მითუმეტეს, რომ მაისის ძველქართული სახელწოდება იყო ვარდობისა (ორბელიანი ს.ს., 1993:429).

რაც შეეხება სიტყვა შემოდგომას, ვფიქრობ, რომ იგი არ იყო თავიდან წელიწადის დროის აღმნიშვნელი სიტყვა. ჩემის აზრით ეს სახელწოდება წარმოადგენს სიტყვა შემდგომის სახეცვლილებას. რაც აღნიშნავდა ახალ წელს, ანუ შემდგომ წელს. როგორც ცნობილია ახალი წელი X საუკუნემდე აღინიშნებოდა სექტემბრის თვეში, ამიტომ ძველქართულად ამ თვეს „ახალწლისა“ ერქვა (კოპალეიშვილი ვ., 1991:108). აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, სიტყვა შემოდგომმა დაკარგა რა პირველადი ფუნქცია, ახალი წლის აღმნიშვნელი სიტყვის სახით, დაერქვა წელიწადის ერთ-ერთ დროს. ლაზურად შემოდგომა იკითხება, როგორც სთველი, სტველი, წილვა (ქუთელია ნ., 1982:84) სთველი და სტველი გასაგებია, რთველს ნიშნავს, ხოლო წილვა-კრეფას (ქუთელია ნ., 1982:84), ე.ი. ყურძნის მოსავლის აღებას. ხომ არ შეიძლება, ძველქართულშიც ყოფილიყო მსგავსი სახელწოდება, მაგალითად-რთველი, რომელიც წლის ერთ-ერთ დროს, შემოდგომას აღნიშნავდა, ხოლო დროთა განმავლობაში დარჩა მხოლოდ ყურძნის მოსავლის აღების აღმნიშვნელ სახელწოდებად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოპალეიშვილი ვ., მითებიდან კალენდრებამდე, თბ., 1991.
2. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ.I, თბ., 1991.
3. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ.II, თბ., 1993.
4. ქუთელია ნ., ლაზური პარამითეფე, თბ., 1982.
5. ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1991.
6. ჭუმბურიძე ზ., დედაენა ქართული, თბ., 1987.
7. ცნობა მოგვაწოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბუსერიძე ტბელის სახელობის, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ქალბატონმა ციალა ნარაკიძემ.

Zviad Anakidze

The conformity between Lazian and Georgian names of the seasons

Summary

In Georgian words “Zapkhuli” (summer) and “Zamtari” (winter) it is possible to single out the suffixes – “za” and “zam”, which, according to the dictionary of S.S.Orbeliani means “great preparation”. “Tiri” in megrelian has the meaning of “a snow”. It is possible that “Tiri” and “Tari” is one the same word. Thus “Zamtari” has the meaning of “preparation to the snow”. “Mapkha” in Lazian has the meaning of a clear weather”. May be that in old Georgian language “Pkha” had also the meaning of “clear weather”. Consequently “Zapkhuli” has the meaning “preparation to the clear weather”.

S.S.Orbeliani thought also that “Pkha” had the meaning of “the needle of the ear of a wheat” and so “Zapkhuli” must mean “preparation to the Harvest”. Spring in megrelian and Lazian are identical in the content, in Megrelian “Gopaliri”-blooming, In Lazian “Pukrinora”-blooming. Georgian name, as it seems to us, had to be lost. Georgian “Shemodgoma” (autumn) originated from the word “Shemdgomi”, “Shemdgomi tseli” next year (the new year), because the New Year usually had been started in September. In Lazian autumn is named “Stveli” (Rtveli in Georgian) and “Tsilua” (harvesting). It is possible that in old Georgian there was such name “Rtveli”, which now has the meaning of “grape harvesting”.

Звиад Анакидзе

Лазские соответствия грузинских названий времен года

Резюме

В грузинских словах – «Запхули» (лето) и «Замтари» (зима) выделяются префиксы – «за» и «зам», что, в соответствии со словарем С.С. Орбелиани означает «большую подготовку». «Тири» по мегрельски означает снег. Возможно, что «Тири» и «Тари» являются одним и тем же словом. т.е. «Замтари» означает «подготовку к снегу». «Мапха» по лазски означает «ясную погоду». Возможно, что в древнегрузинском «Пха» также означало «ясную погоду». Исходя из этого – «Запхули» означает «подготовку к ясной погоде». С.С.Орбелиани считал также, что «Пха» обозначает иглы колосья пшеницы т.е. «Запхули» должно означать «подготовку к урожаю». Весна по мегрельски и лазски одинакового содержания термины – по мегрельски «Гопалири» - «цветение», по лазски «Пукринора»-цветение. Грузинское название наверное потеряно. Грузинское «Шемодгома» (осень) происходит от слова «Шемдгоми», «Шемдгоми тсели» - следующий год (новый год), так как новый начинается в сентябре. По лазски осень называется «Ствели» (ртвели грузинское) и «Теилуа» (сбор). Возможно и в древнегрузинском было такое же название – Ртвели, которое в настоящее время означает сбор винограда.

Zviad ANAKIDZE

Gürcücedeki mevsimlerin Lazca karşılığı.

Özeti

Gürcücedeki *Zaphuli* (yaz) ve *Zamtari* (kış) *za* ve *zam* ön ekleriyle ortaya çıkmıştır. *Za* ve *zam* “Sulhan Saba Orbeliani’nin Açıklamalı Sözlüğünde “bir şeye hazırlanmak” demektir. Tiri megrelicede “kar” demektir ve bu *tiri* ile *tari* aynı kelime olabilir. Dolaysıyla *zamtari* “kar için hazırlık” demek olabilir. *Mapha* Lazcada “güneşli hava”ya denir. Aslında eski gürcücede de *pha* da güneşli hava anlamında olabilirdi. Bundan dolayı *zaphuli* “güneşli hava için hazırlığı” demek olur. “Sulhan Saba Orbeliani’nin Açıklamalı Sözlüğünde “*pha*” buğday başağın dikenini demektir. Dolaysıyla *zaphuli* “mahsulü hazırlamayı” da demek olabilir. *Gazaphuli* (ilk bahar) megrelicede ve lazcada anlam olarak aynıdır. Megrelicede *gopaliri-akvavebuli*=“çiçeklenmiş, lazcada ise *puknirora-* akvavebuli=“çiçeklenmiş. *Şemodgoma* (sonbaharı) kelimesi “sonra gelen” kelimesinden türetilmiştir. Bunun sebebi de eskiden sonbaharda Gürcü kavimlerde yeni yıl eylül ayında başlıyordu ve “sonra gelen”, yani yeni yılın gelmesi kastediliyordu. Lazcada sonbaharın ismi “*stveli*” ve “*tsilua*” (toplamak) dir. Eski Gürcüce’de de sonbaharın adı *rtveli* olarak da bilinir. Şimdiki Gürcücede *rtveli* üzüm toplamayı demektir.

ზურაბ თანდილავა – ქართული კულტურის მოაზარე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ თანდილავა მრავალმხრივი დიაპაზონის მეცნიერი იყო. ფოლკლორისტიკასა და დიალექტოლოგიაში ფუნდამენტური ნაშრომების გარდა, მას ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევები ლიტერატურათმცოდნეობის, მითოლოგიის, ეთნოგრაფიის, ლექსიკოლოგიის, ტოპონიმიკის, ტექსტოლოგიისა და ქართული კულტურის ისტორიის მრავალ საყურადღებო საკითხზე.

ზურაბ ოსმანის ძე თანდილავა დაიბადა 1928 წლის 14 სექტემბერს ბათუმის რაიონის სოფელ სარფში, გლეხის ოჯახში. სარფის შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, 1943 წელს, შევიდა გონიოს საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1947 წელს და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1952 წელს. 1952–1959 წლებში იგი მუშაობდა ბათუმის რაიონის სოფელ სარფის რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1959 წლის მაისიდან ზ. თანდილავამ მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1967 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „ლაზური ზეპირსიტყვიერების ძირითადი ჟანრები“ და იმავე წლის ოქტომბრიდან დაინიშნა ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1972 წლის იანვარში – ამავე განყოფილების ხელმძღვანელად. 1984 წლის თებერვალში ზ. თანდილავა დაინიშნა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. იგი იყო ინტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოსა და ქართულ-კავკასიური და აღმოსავლური ენების ფუნდამენტური კვლევის პროგრამის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

მეცნიერულ-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში გამოჩენილი ღვაწლისათვის 1970 წლის 26 მარტს ზურაბ თანდილავა დააჯილდოვეს მედლით „შრომითი მამაცობისათვის“. მისი საინტერესო, ღრმად მეცნიერული და პრობლემური ნაშრომები არაერთგზის აღინიშნა ფულადი პრემიებით, საპატიო სიგელებითა და კვლევითი ინსტიტუტისა თუ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს მაღლობებით.

1989 წლიდან ზ. თანდილავა იყო რუსთაველის საზოგადოების ხელვაჩაურის რაიონული განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის (1991–1995) დეპუტატი.

1995 წელს ზურაბ თანდილაყამ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი“, რისთვისაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ფილოლოგიის (10.01.10) მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ზურაბ თანდილაყა გარდაიცვალა 1996 წლის 3 ნოემბერს.

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ოთხ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში ზ. თანდილაყამ შექმნა 50-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც ეხება ზოგადი, და კერძო ფოლკლორისტიკის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერებისა თუ ქართული კულტურის ისტორიის სხვადასხვა საკითხს. პროფესიონალ ფოლკლორისტსა და დიალექტოლოგს აღმოსავლური ენების საფუძვლიანი ცოდნა დიდად ეხმარებოდა, ეკვლია ისეთი პრობლემები, როგორცაა: ქართველურ ტომთა თევზაობა-ნაოსნობის ისტორია, შრომის ლექს-სიმღერები ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში, ლაზური და აჭარული ზღაპრები, ლაზური საისტორიო და საწესჩვეულებო პოეზია, მითოლოგიური თქმულება-გადმოცემები, ამინდის მაგიური მართვის წეს-ჩვეულებანი და ზეპირსიტყვიერება და სხვა.

განუსაზღვრელია ზურაბ თანდილაყას ღვაწლი ქართული ენის აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკის შესწავლის საქმეში. მას ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევები: „ქართული ენის აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკის შესწავლისათვის“, „ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (მოკლე ანგარიში 1958-1982 წწ)“, „ზანიზმების შესახებ აჭარულ დიალექტში“, „ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში“ და სხვა.

ზურაბ თანდილაყას ლექსიკოლოგიური ნაშრომებიდან თვალსაჩინოა მისი გამოკვლევები: „ქართული ფოლკლორის ლექსიკონი I, „(გამბა „მეცნიერება“, თბ., 1974), „ქართული ფოლკლორული ლექსიკონი, II“ (გამბა „მეცნიერება“, თბ., 1975), რომლებშიც წარმოჩენილია მეგრული და ლაზური ფოლკლორისტული ტერმინები; „მეთევზეობის ლექსიკონიდან“ (აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, გამბა „მეცნიერება“ თბ. 1975), „მითოლოგიური ლექსიკიდან (უშკური, ლარსა)“ - („აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VI, გამბა „მეცნიერება“, თბ., 1987).

ზურაბ თანდილაყას მეცნიერული მემკვიდრეობიდან ყველაზე თვალსაჩინო მაინც მისი ფოლკლორისტული ნაშრომებია. ეროვნული ზეპირსიტყვიერების, განსაკუთრებით კი ლაზური და აჭარული მასალის, კვლევას მან მიუძღვნა უაღრესად საინტერესო ნაშრომები, რომლებითაც შუქი მოჰფინა ქართული (და არა მარტო ქართული) ფოლკლორისტიკის მრავალ კანდინალურ საკითხს. ქართული ფოლკლორითა და ზოგადად ქართველურ ტომთა სულიერი კულტურის ისტორიით დაინტერესებულ მეცნიერთა და ფართო საზოგადოებისათვის სამაგიდო წიგნებად დარჩება მისი „ლაზური ზღაპრები“ (გამბა „ნაკადული“, თბ., 1970), „ლაზური ხალხური პოეზია“ (გამბა „აჭარა“ ბათ., 1972), „შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი“ (გამბა „მეცნიერება“, თბ.,

1980), „წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი“ (გამბა „აჭარა“, ბათ., 1996)

ზურაბ თანდილაყამ დიდი ამაგი დასდო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ათეული წლების განმავლობაში ჩატარებული ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული და ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო არქივში დაცული ფოლკლორული და დიალექტოლოგიური მასალის პუბლიკაციას: ინსტიტუტის თანამშრომელთა (ჯ. ნოღაიდელი, ა. ახვლედიანი, ა. ინაიშვილი, ა. მსხალაძე, ე. ზოიძე, ე. დავითაძე) თანაავტორობით: „აჭარის ხალხური პოეზია“, გამბა „მეცნიერება“ თბ., 1969); „ქართული ანდაზები და გამოცანები“ (გამბა „საბჭოთა აჭარა“, ბათ.; 1976); „ფოლკლორული მასალები (შეკრება, გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ზურაბ თანდილაყამ)“; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, (გამბა „მეცნიერება“, თბ., 1990, გვ. 93-124). მანვე შეადგინა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შეკრებილი უმდიდრესი საზღაპრო ეპოსის სამი ტომი, რომელიც დღემდე ელის გამომცემელს. ზ. თანდილაყამ შრომატევადი სამუშაო გასწია ცნობილი ლაზი მხატვრისა და პოეტის ხასან ჰელიმიშის პოეტური მემკვიდრეობის თარგმნითა და მეცნიერული ანალიზით, რითაც საზოგადოების ფართო წრისათვის საცნაური გახდა ტრავიკული ბედის მქონე ლაზი შემოქმედის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ზურაბ თანდილაყა თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში იკვლევდა წყლის განმასახიერებელ ღვთაებებს ქართულ ფოლკლორში. ამ ხანგრძლივი და შემართებული შრომის შედეგი იყო მისი ბრწყინვალე, ღრმად მეცნიერული გამოკვლევა „წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი“, რომლისთვისაც მას ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. ამავე სათაურით დასტამბულმა გამოკვლევამ, რომელიც ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ასახული წყლის კულტის მონოგრაფულად შესწავლის პირველი წარმატებული ცდაა, ფართო გამოხმაურება და აღიარება ჰპოვა როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერთა შორის. წიგნში გაანალიზებულია მითოლოგიის ისეთი კარდინალური საკითხები, რომლებზედაც ასე გამოწველივით დღემდე არავის უმსჯელია. ესენია: წყლის მაგიური ძალისადმი რწმენის ამსახველი მოტივები, წყლის ნაყოფიერების ფუნქცია, წყლის სტიქიის განმასახიერებელ მითოლოგიურ პერსონაჟთა ზოგიერთი ღვთაებრივი სახე და წყლის კვალი ამირანის თქმულებაში.

ნაშრომის უმთავრესი დანიშნულებაა, წარმოაჩინოს, თუ რა მეცნიერული ღირებულება გააჩნია წყლის კულტისა და მის განმასახიერებელ პერსონაჟთა სემანტიკური არსის გარკვევას, რომლის გარეშეც სრულყოფილად ვერ გაშუქდება ქართული ფოლკლორისტიკის მრავალი საკითხი. გამოკვლევას უდიდეს ღირსებას მატებს ის, რომ ქართულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ პრობლემებს ავტორი ვიწროდ, იზოლირებულად, მარტოოდენ ქართული (ანდა კავკასიური) ყოფის ჩარჩოებში შემოფარგლულად არ განიხილავს. მან კარგად უწყის, რომ წყლის სტიქიაზე ქართველთა მითოლოგიური შეხედულებანი და შესაბამისი რწმენა-წარმოდგენები, მიუხედავად ნიშანდობლივი ეროვნული კოლორიტისა, ტყუპისცალივით ემსგავსება სხვა ხალხთა რწმენა-წარმოდ-

გენებს. ეს ფაქტი მოგვაგონებს ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში ცნობილ თეზას, რომ „მთელი მსოფლიო ერთი ქვეყანაა“.

ზ. თანდილავას ფუნდამენტურ ნაშრომში „წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი“ წარმოჩენილ ურთულეს მითოლოგიურ პრობლემათა მრავალრიცხოვან სპექტრში გარკვევა და მათი სრულყოფილი ანალიზი უთუოდ უდიდეს მეცნიერულსა და მოქალაქეობრივ ძალი-სხმევას მოითხოვდა. მისი ავტორიც სწორედ ის მკვლევარი იყო, ვისაც ხელეწიფებოდა ამ საპატიო მისიის შესრულება. ამის ნათელი დასტურია ის სწორი, მეცნიერულად სანდო და საგულისხმო დასკვნები, რაც მის მიერ დიდი რუდუნებით შეკრებილსა თუ სხვადასხვა არქივში დაკულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალათა ანალიზს ეფუძნება.

ნაშრომში საინტერესოაა წარმოჩენილი უკვდავების მაძიებელი ჭაბუკისა და უკვდავების წყლის ძიების მოტივთა როგორც სიუჟეტურ-იდეური მსგავსება, ისე მათ შორის არსებული განსხვავება. ქართული მასალა განხილულია შუამდინარული ეპოსის „გილგამეშიანის“ შუქზე. წყლის ნაყოფიერების ფუნქციას მკვლევარი სწავლობს საოჯახო-სამეურნეო ყოფის ამსახველ რიტუალებსა და მასთან დაკავშირებულ ფოლკლორულ ნაწარმოებებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლაზარობა-ელიობის ზემოაჭარული ტრადიცია, რომელიც, მიუხედავად საერთო, ზოგადქართული ხასიათისა, ორიგინალობით გამოირჩევა, რაც ძირითადად ამ ჩვეულების მთაზე (საზაფხულო საძოვრებზე), ეგრეთწოდებულ „ქვაკაცებით“ „დასახლებულ“ ადგილებზე, შესრულებაში ვლინდება და როგორც მკვლევარი ასკვნის, მაღალ მთაზე „მობინადრე“ ეს „ქვაკაცები“ ემსგავსებიან ვეშაპებისა და ვეშაპიოდების სახელწოდებით ცნობილ ისეთ მეგალითურ ძეგლებს, რომელთა ძირითადი ფუნქცია მიწათმოქმედებისა და ირიგაციის დაცვა-მფარველობა იყო.

საგულისხმო მოსაზრებას ვეთავაზობს ავტორი ქართული წარმართული დარგობრივი ღვთაების – მესეფის შესახებ და მიიჩნევს, რომ მარტოოდენ სამონადირეო დანიშნულება და მასთან დაკავშირებული მოტივები ამ ღვთაების მითოლოგიური სახის სრულყოფილად გააზრების საშუალებას არ იძლევა. მრავალმხრივსა და საინტერესო მასალაზე დაყრდნობით მკვლევარი ვეთავაზობს დასკვნებს: მესეფი ქალური საწყისის ღვთაებაა; მამაკაცი მესეფის სახე გვიანდელი მოვლენაა და იმ ეპოქას განეკუთვნება, როცა სოციალურ – იდეოლოგიურ გარდაქმნათა ხანგრძლივ გზაზე ქალღვთაებათა ფუნქციას მოზიარე გაუჩნდა; მესეფი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ტაროსის ღვთაება, რომელსაც ნაყოფიერების ფუნქციაც ეკისრებოდა.

მეტად საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც ეძღვნება მტკნარი წყლის ღვთაება ლარსას (ლასა) სახის გარკვევას, რომლის გენეზისის კვლევასაც შუმერულ-ქართველურ-ეტრუსკულ რწმენა-წარმოდგენებამდე მივყავართ.

ორიგინალურ, ღრმა მეცნიერული ანალიზით გაჯერებულ მოსაზრებებს ვეთავაზობს ზ. თანდილავა თევზი-პერსონაჟის მითოლოგიური სახის შესახებ. აქვე ვეცნობით თრიალეთში დადასტურებული თევზის (წმინდა კალმახის) დასაფლავების ჩვეულებას, რომლის ძირებიც ძველი შუმერების ყოფაშია დასაძებნი.

ნაშრომში გამოთქმულია ღირებული მეცნიერული მოსაზრებები ამირანის თქმულებაში გამოვლენილ წარმართულ-მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებზე წყლის კულტის შესახებ. ზ. თანდილავას მართებული შენიშვნით, ამირანის თქმულების ერთ-ერთი თავდაპირველი ეპიზოდ-თავანია წყალთან ზიარების რიტუალი, რაც წყლის სტიქიას ადამიანის ბედის უშუალო გამგებლად, გმირის წრთობის პრველ საფეხურად წარმოგვიდგენს. ორიგინალური და მეცნიერულად დამაჯერებელია ავტორის მსჯელობა ამირანის თქმულების ვეშაპ-გველვეშაპზე, ივრი ბატონზე, ყამარის მამაზე, სულკალმასზე და სხვა, რაც სათავეს უდებს ამირანის თქმულების ახლებურ გააზრებას და მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს ამირანის ჩამომავლობის შესახებ მეცნიერულ ლიტერატურაში დღემდე არსებულ შეხედულებებში.

ზურაბ თანდილავას მეცნიერული მემკვიდრეობა ღირშესანიშნავი ნობათია არა მარტო ფოლკლორისტების, ეთნოგრაფების, ისტორიკოსებისა და ენათმეცნიერთათვის, არამედ – რელიგიურ-მითოლოგიური აზროვნებისა და ქართული კულტურის ისტორიის შემსწავლელთათვის. ზურაბ თანდილავას მოღვაწეობა დასტურია მაღალზნეობრივი მოქალაქეობისა, რაც მისთვის ესოდენ ახლობელ ფოლკლორულ მსოფლმხედველობაში „კაი ყმის“ სახელით მოიხსენიება. დიას, ჭეშმარიტად კაი ყმა ბრძანდებოდა ბატონი ზურაბი და რომ არა დაუნდობელი სენი, იგი კვლავ მრავალი ღირებული გამოკვლევით გაამდიდრებდა მშობელი ხალხის სულიერი კულტურის ისტორიას.

Tina Shishvili

Zurab Tandilava - the figure of the georgian spiritual culture

Summary

Doctor of philology Zurab Tandilava (1928-1996) was the untiring collector of the spiritual legacy of labour people, prominent publicator and successful researcher. He made a valuable contribution to the development of georgian folkloristics and dialectology.

The majority of his scientific works devotes to the several problems of lazian and adjarian folks verbal and branch vocabulary.

The special value of the scientific legacy of Zurab Tandilava has his “Water’s cult and georgian folk-lore”, which is the first and successful attempt of the monographical study of the georgian folk-lore and ethnographical ly reflected “water’s cult”. In this book at a deep scientific level and in a new way of interpretation is analysed lots of the cardinal problems of mythology.

Тина Шиошвили

Зураб Тандилава – деятель грузинской духовной культуры

Резюме

Доктор филологических наук - Зураб Османович Тандилава (1928-1996 гг.) был неутомимым собирателем духовного наследия трудового народа, видным публикатором и успешным исследователем. Он внёс большой вклад в развитие грузинской фольклористики и диалектологии.

подавляющее большинство научных трудов З. Тандилава касается различных проблем лазской и аджарской словесности и отраслевой лексики.

Из научного наследия Зураба Тандилава особую ценность представляет его исследование «Культ воды и грузинский фольклор», которое является первой и успешной попыткой монографического изучения, отображенного в грузинском фольклоре и этнографическом быту Кольта воды. В нём по-новому, на глубоком научном уровне, проанализированы многие кардинальные вопросы мифологии.

Tina Şioşvili

**ZURAB TANDILAVA- Gürcü folklorünün
ve lehçelerinin büyük araştırmacısı**

Özeti

Profesor Dr. Zurab Tandilava (1928-1996) ataların manevi miraslarının toplayıcısı, büyük aydın ve başarılı araştırmacısıydı. O Gürcü folklorüne ve dialektolojiye büyük çabalar safetti. Onun çalışmaları genelde Acara ve Lazca lehçelerinde bulunan halk söyleyişleriyle ve bazı sözcük sorunlarıyla alakalıdır.

Zurab Tandilavanın bilim çalışmanın en önemlisi ve büyük değer taşıyan araştırma “Suya Tapma ve Gürcü Folklorü”dür. Araştırmasında Gürcü folkloründeki etnografik varlığında suya tapma, Monografik olarak derinliğine kadar öğrenilmesi için ilk ve çok başarılı bir çalışmasıdır. Aynı zamanda bu çalışmasında yüksek bilimsel seviyesiyle bir çok mitolojik konuyu tahlil etmişti.

აიას ეტიმოლოგიის შესახებ

სახელწოდება აიას ფუძე ეტიმოლოგიურად შეიძლება დაკავშირებული იყოს ყვავილ იასთან, რომელიც მეგრულად გამოითქმის, როგორც იაია ან უბრალოდ ია. უფაქიზესი, სიმორცხვის და სათნოების სიმბოლო; მცენარე ია გამოყენებული აქვს იაკობ გოგებაშვილს თავის „დედა ენაში“, აი იას წინადადების სახით, როგორც ბავშვთა გულის გასაღები. ჩვენთვის არ არის საკმარისი, ქვეყნის სახელწოდების დაკავშირება ყვავილთან. ისე არის ქვეყნები, რომლებიც მცენარეებთან არიან სიმბოლურად დაკავშირებული.

ძველ კოლხეთში ხდებოდა მისტიკურ სიბრძნესთან ზიარება, სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, ბუნების არსში წვდომა. ინტუიციის წრთობით, მიწათმოქმედების სიყვარულით, კაცთმოყვარეობითა და სამყაროს იღუმალებასთან შეკავშირებით. აქედან გამომდინარე, ძირითადად იაში იყო განსახიერებული ორი სტიქია. ი ხმოვანი განასახიერებს მიწის სტიქიას. სიტყვა მიწაში მეგრულად დიხაში ფიგურირებს ი ასო. ა განსახიერებაა წყლისა. თვითონ სიტყვა წყალში, მეგრულად კი წყარში არის ხმოვანი ა. სახელწოდებაც აია ამ სტიქიების ურთიერთმოქმედებას ნიშნავს. წყალი ინტუიციურობის, სულიერების სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს. მაგ., სიბრძნის წყარო, პირწყლიანობა, წყალობა და სხვა. ხოლო მიწა მდგრადობის, ფიზიკურობის მინიშნებაა. იასა და აიას სტიქიური გაგებით შერწყმისას ყალიბდებოდა საკრალური სრულყოფისაკენ სწრაფვის სისტემა. მეზობელ ქვეყნებში აია აღიქმებოდა, როგორც საიდუმლო სიბრძნის მოსაპოვებელ ქვეყნად. ეს ცოდნა მიიღებოდა სხვადასხვა დაბრკოლებათა გადალახვით. არგონავტების მითში, იასონი სულიერ გამოცდილების, გაბრძნობის, ინიციაციის პროცესს უმთავრესად მიწის დამუშავებით გადის. საერთოდ ადამიანი, რასაც გულწრფელად შეიყვარებს, მის არსობრივ საწყისს წვდება. ბუნების ძალთა თაყვანისცემით, მიწის მუშაკობით ადამიანი ჰქმნის თავის სამყაროს, მიკროკოსმოსს. ყოველივე ეს სულიერ ოქროდ აღიქმებოდა. ეს მოპოვება ცოდნისა იყო ცხვრის ტყავთან, როგორც მორჩილებისა და თავმდაბლობის მინიშნებად. სწორედ ეს მისტერიული ცოდნა აინტერესებდათ არგონავტებს ძველად აიაში. მცენარე ია და ცხვარი განასახიერებდა მორჩილების მეშვეობით საკრალური სიბრძნის მოპოვებას. ამრიგად, აია იყო მისტერიალური ცოდნის ქვეყანა.

Malkhaz Grigolia

Etimology of “Aia”

Summary

“Aia” was the country of mysterial knoweledge. The vowel I designated the earth (Megrelian-Dikh) and the vowel A designated the water. The water is the symbol of stability. In the neighboring countries “Aia” was perceived as the country of secret (mysterical) wisdom.

Малхаз Григолиа

Об этимологии «Айя»

Резюме

«Айя» была страной мистического знания. «И» гласная объединяла землю (по мегрельский – «Дих»), а гласная «А» объединяла воду (по мегрельский – «Тскар»). «Вода» является символом интуитивности, а «Земля» символом устойчивости. В соседних странах «Айя» воспринималась как страна тайной (мистической) мудрости.

Malhaz Grigolia

“Aia” nin etimolojisi :

Özeti

Aia mistik bilgi dünyası idi. Bū kelimenin ünlü harfı olan İ toprağı temsil eder (megrelicede –dih). ünlü harfı olan A ise suyu temsil eder (megrelicede- tskar. Su sezgi, toprak ise ebediyet sembolüdür.

ნა კავშირიანი დამოკიდებული წინადადება ლაზურში⁷²

ნა//ე-ნა ფართოდ გავრცელებული კავშირია ლაზურის სამსავე დიალექტში და გამოყენებულია ყველა სახის დამოკიდებულ წინადადებაში. მას ქართულში ძირითადად შეესატყვისება რომ და თუ კავშირები, აგრეთვე ნა კავშირს შეუძლია გამოხატოს როცა, როდესაც რადგანაც... კავშირების ფუნქცია. მეგრულში მისი ბადალი ანი//ნ, და.

ნ.მარი თავის ჭანური ენის გრამატიკაში ეხება აღნიშნულ კავშირს და აღნიშნავს, რომ „Из союзов особого упоминания заслуживают до-и, ти-также, и и на если: когда (букв. Что)»...და შემდეგ: Союз на ставится в конце предложения» (1, 71).

აღნიშნულის შემდეგ მკვლევარს არც საილუსტრაციო მაგალითები აქვს მოტანილი და არც კავშირის ფუნქციაზე მიუთითებს. მაგრამ იმავე შრომაში, სადაც განხილულია სიტყვაწარმოების საკითხები, ისევ უბრუნდება ნა კავშირს და მის ლექსიკურ კვალიფიკაციაშიც დამატება შეაქვს: მხოლოდ კავშირს კი არ უწოდებს, არამედ ნაცვალსახელს. «з-е л. ед.ч. наст. Времени действ. залога одновременно используется как существительное, напр. გურგულამს Гром, ცადუმს взгляд, или как прилагательное. напр. ილუმს Смертельный: та же форма с постановкою перед нею союза, resp.местоимения на служит для выражения действующего лица. Напр. ეკნა ნა ჩუმს Привратник, გდარი ნა ჭუმს хлебопек (1,74). უკანასკნელი მაგალითები, ცხადია, ნა კავშირიანი განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადებებია და, როგორც მარი აღნიშნავს, მათ შეუძლიათ მოქმედი პირის გამოხატვა. ცნობილია, რომ ძველ ქართულში „განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით გადმოსაცემი შინაარსი შეიძლება გადმოიცეს მიმღებობური კონსტრუქციითაც“ (2, 68; 3, 97; 4, 192).

შემდეგ ნ.მარი ნა კავშირის შესახებ თავს უყრის ყველაფერს ლექსიკონში და შემდეგნაირად განმარტავს: ნა что (мест); когда, если» და იქვე მოყავს ნა კავშირის შემცველი წინადადებები გოფთი-ნა когда я прошелся, погулял, минон-ნა если я хочу (прошу)». იქვეა მოტანილი ნა-ს შემცველი ნაცვალსახელების განმარტება: „ნაკო, ნაკუ, ნაკონ сколько; куда?, где? . ნაქელე откуда?. ნაქონური-откуда» (1,172).

არნ. ჩიქობავა ლაზურში რთული წინადადების განხილვისას ნა კავშირის შესახებ აღნიშნავს, „რომ, თუ-კავშირის როლში ჩვეულებრივად -ნა-ც იხმარება; ის ენკლიტიკური ნაწილაკის მსგავსად მიერთვის წინადადების ამა თუ იმ წევრს, ზოგჯერ წინაც უძღვის მათ; პირდაპირი მნიშვნელობა ამ ნაწილაკისა „რა“ უნდა იყოს; დერი გინონ-ნა, მა მეგჩარე თუ ადგილი გინდა, მე მოგცემ... (5,184).

⁷² იხ. აგრეთვე, ო. მეშიში-დამოკიდებული წინადადების სახეები ლაზურში, ქუთაისური საუბრები, III, 1996.

ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ ნა ლაზურში მიჩნეულია კავშირად, ნაცვალსახელად, ნაწილაკად და სიტყვაწარმოების ელემენტად. ნა კავშირის სინტაქსური ფუნქციები, ფონეტიკური იდენტურობა მონათესავე ენებთან ცხადყოფს, რომ იგი ლაზურის კუთვნილებას წარმოადგენს და მისი ძირითადი ფუნქცია კავშირის ფუნქციაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ისიც, რომ „ნა ნაწილაკი მეგრულსაც მოეპოვება -და ნაწილაკის სახით; ეს უკანასკნელი ქართულისთვისაც არაა უცხო: ნოშქვერს გიმიჩანქ-და, სუმ შაურს მერჩა-თუ ნახშირს ყიდი, სამ შაურს მოგცემ... „ლაპარაკობს-და, ილაპარაკოს!“, „მიდის-და, წავიდეს“-ამგვარს მაგალითებში და, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივს და-კავშირს არ წარმოადგენს (5, 184-185).

აღნიშნული მაგალითები ლაზურში ნა-კავშირიანი წინადადებით გადმოიცემა: ნოშქერი გამაჩაფ ნა, ვიტოხუთ კაპიკი მეგჩაფ-ნახშირს თუ ყიდი თხუთმეტ კაპიკს მოგცემ... ლალაღს ნა, ლალაღს ლაპარაკობს-და, ილაპარაკოს, ნულუნ-ნა, იდას-მიდის-და, წავიდეს. მაშასადამე, ქართული-და და მეგრული-და =ლაზური ნა-ს; თუმცა ერთეულ შემთხვევებში ლაზურში და-ს დო-კავშირიან კონსტრუქციებსაც ვადასტურებთ (დო ამ შემთხვევაში ნაწილაკია). მაგ. კოჩი რენ დო, ბახას-კაცია და, სცემოს, თუ კაცია, სცემოს მსგავსი მაგალითები ლაზურში მეტწილად რენ (არის) მეშველზმნიან დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება და შესაძლოა ქართულის გავლენით იყოს განპირობებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ლაზურ ნა კავშირს ქართულსა და მეგრულში შეესატყვისება და, რომელიც თუ კავშირის ბადალია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ კავშირის მნიშვნელობა და-სათვის მეორეულია და დაბრკოლებად არ ჩაითვლება ის გარემოება, რომ მეგრულში და კავშირი დო-ს სახით განვითარებულია (6, 362).

საყურადღებოა, რომ ეგევე ნაწილაკები ფონეტიკურადაც იდენტური უნდა იყვნენ. ეს ნაწილაკები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თანხმოვნებით (ნ-დ), ხოლო ნა-სა და დ-ს მონაცვლეობა ქართველურ ენებში კი ცნობილი ფაქტია.

ლაზურში ნა კავშირიანი დამოკიდებული წინადადების ადგილი მყარი არ არის: დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს: აში ნღლა რენ, ჰაქ-ნა მოფთი, სუმ ნღლა რენ, გდარი-ნა ვარ მიჭკომუნ (7,31) „ექვსი დღეა, აქ რომ მოვედი, სამი დღეა, საჭმელი არ მიჭამია“. სუმ ნღლა რენ, ჰაქნა მოხთი (7, 57): „სამი დღეა, აქ რომ მოხვედი“.

დამოკიდებული წინადადება უძღვის მთავარს: ცხენიშენ მელუ-ნა, დოღურუ-ნა, ფარა ურუმიში რენ (7, 57) „ცხენიდან თუ ჩამოვარდა, თუ მოკვდა, ფული ბერძენისაა“. ნა მებაშქვით შედეფე, ჰიჩ მუთუ ვარ მაძირუ (7,67) „რაც დავტოვეთ ნივთები, სულ ვერაფერი ვერ ვიპოვეთ“.

დამოკიდებული წინადადება ჩართულია მთავარ წინადადებაში: ალაქ, ნა უღუტუ, ფარა, მა თესლიმი დომოლოდუ (7,32) „ბატონმა, რაც ფული ჰქონდა, მე ჩამაბარა“; ბოზო ჩქუნი ჰემ ბერეს, სი-ნა მოდონის, დაოროფულორენ (7,31) „ჩვენი გოგო იმ ბიჭს, შენ რომ მოიყვანე, შეუყვარდა“.

დამოკიდებულ წინადადებაში ნა კავშირის ადგილი მტკიცედ განსაზღვრული არ არის; იგი ზმნა-შემასმენელის წინაა, ან მოსდევს მას.

ლიტერატურა

1. Н.Я. Марр-Грамматика чанского (лазского) языка: с.-Петербург, 1910.
2. ანტ. კიზირია-რთული წინადადებების შედგენილობა ძველ ქართულში, 1969
3. მ. შანიძე-„რომელ“ ნაცვალსახელის ფუნქციისა და ადგილისათვის ძველ ქართულში, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, ნაწ. III, 1948.
4. დ. ჩხუბიანი-შვილი-ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცვლეობისათვის ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.
5. არნ. ჩიქობავა-ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ. 1936.
6. შ. ძიძიგური-ქართული სალიტერატურო ენის ისტ. ...
7. ი. ყიფშიძე-ჭანური ტექსტები, თბ., 1939.

Omar Memishishi

Subordinate clause with the conjunction “Na” in Lazian

Summary

Conjunction “Na” in the subordinate clauses is widespread in the Lazian dialects. In Georgian it corresponds to the conjunction “Rom” and “Tu”. It can express the functions of the relative adverbs in the subordinate clauses. In Megrelian this conjunction corresponds to the conjunctions – particles – “Da”, “Ni”/“N”.

The subordinate clause with conjunction “Na” usually follows or outstrips the principal clause of the sentence and very rarely is included into the structure of the principal clause.

The place of the conjunction “Na” is not firmly fixed in the subordinate clause, it is usually situated or follows after or before the verb-predicate.

Омар Мемішиши

Подчиненное предложение с союзом “На” в Лазском

Резюме

Союз “На” подчиненного предложения широко распространен в лазских диалектах в грузинском - “Ром” и “Ту”. Он может выражать и функции относительных наречий в подчиненном предложении. В мегрельском этому союзу соответствуют союзы – частицы - “Да”, “Ни”//“Н”.

Подчиненное предложение с союзом “На” в лазском следует за главным или опережает его и редко бывает включенным в состав главного предложения. В подчиненном предложении место союза “На” не является твердо определенным, он располагается то перед глаголом-сказуемым или то следует за ним.

Omar Memişîşi

Lazcada na bağlaçlı bağımsız cümle

ÖZETİ

Lazca lehçesinde Na bağlaçlı bağımsız cümle oldukça yaygındır. Nanın Gürcüce’de ki karşılığı “rom”-ki ve “tu”-eğer bağlaçlarıdır. Megrelicedeki karşılığı ise da, “ni” ve “n” ek ve bağlaçlardır. Lazcada “na” bağlaçlı bağımsız cümle ana cümle ile birlikte gelir ama, çok nadir bir şekilde ana cümleye karışır, na devamlı yalnız kalır. Bağımsız cümlede onun yeri kesin olarak belirlenmemiştir. O yüklem ve filin önündedir ya da daha sonra gelir.

თხზული სახელები ლაზეთის ტოპონიმიაში

ტოპონიმი, ობიექტის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებასთან ერთად, მრავალმხრივ ინფორმაციას შეიცავს მოცემული მხარის მცხოვრებთა ენობრივი თუ რელიგიური და ეთნოგრაფიული სფეროს, ასევე მიწათმფლობელობისა და სოციალური წყობის შესახებ (1,25).

თხზულ სახელებს (კომპოზიტებს) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველურ ტოპონიმიაში.

გეოგრაფიულ სახელთა ნომენკლატურაში გამოყოფენ ზმნურფუძიან და სახელურფუძიან თხზულ სახელებს: ზმნურფუძიანი თხზული ტოპონიმი მომდინარეობს წინადადებისაგან, შედგება ზმნური და სახელური კომპონენტებისაგან, ინარჩუნებს პრედიკატულობას; ორ-ან სამშემადგენლიანია და ასახავს ობიექტის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ მოვლენას. სახელურფუძიანი რთული ტოპონიმები კი მომდინარეობს სიტყვათშეერთებისაგან და შედგება მხოლოდ სახელური კომპონენტებისაგან; გამოხატავს საგნობრიობას, მეტწილად ორშემადგენლიანია და აღნიშნავს კუთვნილებას ან სივრცით მიმართებას (2,103).

ლაზეთის ტოპონიმიაში ჭარბადაა რთული სახელები, რომლებიც მეტწილ შემთხვევაში ორშემადგენლიანია და წარმოადგენენ ატრიბუტულ და მართულმსაზღვრელიან კომპლექსებს. მაშასადამე, რთული გეოგრაფიული სახელების ბაზას წარმოადგენს განსაზღვრებითი კომპოზიტები. ტოპონიმები მიღებულია შესიტყვებებისაგან.

გაანალიზებულ გეოგრაფიულ სახელებში ყოველთვის ვერ ხერხდება შემავალი წევრების სემანტიკის დადგენა, რამდენადაც ლაზურში აღნიშნული სიტყვები დამოუკიდებლად აღარ იხმარება, ფუძე დაიკარგა, შეცვალა უცხო სიტყვამ; ან კიდევ, ზოგჯერ ჭირს გამოცნობა კომპოზიტში შემავალი წევრი მეტყველების რომელ ნაწილს განეკუთვნება, ანდა რომელი ბრუნვის ფორმით იყო წარმოდგენილი (ასეთ შემთხვევაში სიტყვა ფუძის სახითაა მოცემული). ამ რიგ შემთხვევაში საკონტროლო საშუალებად მონათესავე ენების მონაცემები ივარაუდება თუ შესატყვისობას დავადასტურებთ ამ ენებში.

შედგენილობის თვალსაზრისით გეოგრაფიულ სახელში მსაზღვრელ სიტყვად გამოყენებულია ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, მიმღეობა, ზმნისართული ატრიბუტები და მისთ. სიტყვათა თანმიმდევრობის მიხედვით წყობა პრეპოზიციურია ან პოსტპოზიციური.

გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. მსაზღვრელი ზედსართავი სახელია და უსწრებს თავის მომდევნო საზღვრულს; ობიექტს ახასიათებს ზედსართავი სახელით გამოხატული ფუნქციის მიხედვით.

დიდი ოჯალი-დიდი ოჯახი, ნასოფლარი სარფის უბანში (3,39).

დიდი მაკრიალი-დიდი მაკრიალი, უბ. ს.მაკრიალში, ხოფის რ-ნი (4,153)

ჭიტა მაკრიალი-პატარა მაკრიალი, უბ. ს.მაკრიალში, ხოფის რ-ნი (4,151)

ჭიტა ბუჯალი-პატარა ბუჯალი, უბ. ბუჯალში, ხოფის რ-ნი (5,177).
 უჩა დალი- შავი ტყე, ადგ. ს.ფილარგეთი, არქაბის რ-ნი (6,356).
 მჯვერი ავლა-ძველი ეზო, უბ. ს.ფილერგევათი, ართაშნის რ-ნი (6,382).

ინი წარი - ცივი წყარო, წყარო, ადგ. ს. შანგული, ართაშნის რ-ნი (6,362).

ალანი ლევადი-ახალი ბოსტანი, ბალი. ადგ. ს.მელესქირითი ჩამლიპემშინის რ-ნი (6,363).

დიდი გოლა-დიდი მთა, დიდი ზულა-დიდი ზღვა, იალაღები,- ს.ლანდი, ჩამლიპემშინის რ-ნი (6,363).

2. ზედსართავი სახელი მოსდევს საზღვრულს.

დობირა დიდი-დობირა (სავენახე მიწა) დიდბ, ადგ. ს.ჩხალა ბორჩხის რ-ნი (6,357).

ქვა ქჩე-ქვა თეთრი, ადგ. ს.აბუულდა, ვიწეს რ-ნი (6,357).

ჭა ჩხუი-ჭა ცივი, ადგ. ს. ტეფეჯული, ვიწეს რ-ნი (6,358).

ზენ დიდი-ველი დიდი, ადგ. ს. ჭურჭავა, ვიწეს რ-ნი (6,359).

ქვა მჭითა-ქვა წითელი, ადგ. ს. ამგვანი//ალვანი, ართაშნის რ-ნი (6,360).

წარინ ჩხურუ- წყალი ცივი, ადგ. ს. ამგვანი//ალვანი ართშნის რ-ნი (6,360).

ჩუბრი დიდი-წაბლი დიდი., ადგ., ს.მუტაფი, ართაშნის რ-ნი (6,361).

ქვა მჩირე-ქვა ფართე, ტყე, ს.აბუისლა, ხოფის რ-ნი (5,165).

ქვა დიდი-ქვა დიდი, ადგ. სარფის უბანში.

სქურ ხომბულა-ხევი ხმელი, მშრალი, ადგ. ს. შანგული, ართაშნის რ-ნი (6,362).

3. მიმღობის შემცველი კომპოზიტები ჭარბადაა მიკროტოპონიმი-ში; ძირითადად გამოყენებულია წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღობის ფორმები, ერთეულ შემთხვევაში სხვა დანარჩენიც. მსაზღვრელი სიტყვა მოსდევს საზღვრულ სახელს. კომპოზიტი ორშემადგენლიანია და წარმოდგენილია მხოლოდითი რიცხვის ფორმით.

კირი ჭვერი- კირი დამწვარი, ადგ. ს. ბუჯალი, ხოფის რ-ნი (5,177).

ხჩინი გელალურეი-დედაბერი მკვდარი, ადგ. ს.ბუჩა/ე, ხოფის რ-ნი (6,353).

წინეკი გეჭკაფედ-წინდა დაწყებული, ადგ. ს.კოპტონე, არქაბის რ-ნი (6,355).

ქვა გამარდეი-ქვა გამოზრდილი, უბ. ს.გდაზნოფონა, არქაბის რ-ნი (6,355).

ლეჯი დოლოქცაფეი-ლორი დამპალი, ს.აბუულდა, ვიწეს რ-ნი (6,357).

ქვა ნჭარერი-ქვა წერილი, ნაწერი, სოფ. ათინის რ-ნი (7,610)

ოხორი ჯეჭვერი-სახლი დამწვარი, ადგ. ს.ღვანდი, ჩამლიპემშინის რ-ნი (6,363).

მანდრა ჭვერი- მანდრა (პირუტყვის სადგომი) დამწვარი, ად. ს. ჭამპეთი, ვიწეს რ-ნი (6,359).

ბურჭული მეჭა(რ)ელი- წალდი გამოსახული, ტყე, მოლენი სარფი (3,41).

არგუნი მეჭაელი-ცული გამოსახული, ტყე, მოლენი სარფი (3,41).

მსაზღვრელი გეოგრაფიულ სახელში წარმოდგენილია მყოფადი დროის მიმდევობის ფორმით:

წკარ-ოშუმონი-წყალი სასმელი, ადგ. ს. გურუფითი, ვიწეს რ-ნი (6,357). ერთეულ შემთხვევაში მსაზღვრელი უსწრებს თავის მომდევნო საზღვრულს:

მორდერ ონა-მოზრდილი ყანა, ადგ. ს. კოქსოვათი, ათინას რ-ნი (6,365).

ჭვერი ზასტავა-დამწვარი საგუმაგო, ტყე მოლენი სარფში.

4. ლაზეთის ტოპონიმიაში დასტურდება კომპოზიტიური გაფორმების ისეთი სახელები, რომლებსაც მსაზღვრელად ახლავს არსებითი სახელი. ატრიბუტული არსებითი სახელი მოსდევს საზღვრულს და განსაზღვრავს მსგავსების, აღნაგობა-აგებულების, დანიშნულების და სხვა მისთ. მიხედვით.

ქვა ნოლამისა-ქვა პატარძალი, ადგ. ს. სუმჯუმა, ხოფის რ-ნი (6,354).

ქვა მწიკლი-ქვა წვეტი, ადგ. ს.ჩხალა, ბორჩხის რ-ნი (6,355).

ქვა მურგი- ქვა მორგვი, ადგ. ს. კარპანა არქაბის რ-ნი (6,355).

წკარ ღალი-წყალ ღელე, ადგ. ს. მანასთირი, ვიწეს რ-ნი (6,357).

ნემ მაქვალა-ნიგოზი სოკო (სოკოს მსგავსი ნიგვზის ხე), ადგ. ს. ჭურჭავა, ვიწეს რ-ნი (6,359).

ქვა ჭალანა-ქვა კიბორჩხალა, ლოდი, მოლენი სარფი.

ღალ ტიბა-ღელე ტბა, სარფის უბანი.

ქვა ბურჭული-ქვა წალდი, იალაღი, ს.ღვანდი, ჩამლიკემშინის რ-ნი (6,364).

ქვა ცხენი-ქვა ცხენი, ადგ. ს. თემისვათი, ართაშნის რ-ნი (6,363).

ქვა მსქუბუ-ქვა წისქვილი, ადგ. ს.წალენი ძღემი, ართაშნის რ-ნი (6,363).

ნაწარმოები მსაზღვრელი არსებითი სახელი დანიშნულების გამომხატველია. იგი მოსდევს საზღვრულ სახელს.

ქვა ოსპაო-ქვის სახელი სარფის სანაპირო ზოლში; სპაო თევზის სახეობაა, ქვა სასპაოე;

ქვა ოწუდე-იქვე, ქვა თარო, თაროიანი ქვა.

ქვა ონჩამურე-ქვა საცეხველი, ადგ. სარფის უბანში

პრეპოზიციის ნიმუშები იქნება:

ფანდი წკაი-ფანდი წყალი, საზაფხულო, სადგომი, ს.აბუულჯ, ვიწე (6,357).

სკალა ღალი-სკალა ღელე, ადგ. ს.მზულუ, ვიწე (6,358).

კარაწა ღიხა-კარაწა მიწა, ადგ. ს.ფიცხალა სუფლა, ვიწე (6,358).

კვანიწა რუბა-კვანიწა ხევი, ადგ. ს. ბაქოზი, ართაშნის რ-ნი (4,360).

ბოდა წარი- ბოდა წყალი, ადგ. ს. პაპილათი, ათინის რ-ნი (6,366)

წარმოდგენილ ნიმუშებში მსაზღვრელი სიტყვის სემანტიკა უცნობია, თუმცა აგებულებით ისინი არსებით სახელებს უნდა წარმოადგენდნენ.

5. ფორმა უცვლელი სიტყვები აზუსტებენ ამა თუ იმ პუნქტის ადგილმდებარეობას. ეს დაზუსტება იმ დროის მოვლენა უნდა იყოს, როდესაც რამდენიმე ერთნაირი სახელწოდება გაჩნდა, ან ერთი სახელწოდების ადგილი ტერიტორიულად გაიზარდა და გაჩნდა მასში შემავალი ობიექტების გარჩევის ბუნებრივი აუცილებლობა (8,156).

საკვლევ ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირია ზმნისართული მსაზღვრელი სახელის მქონე რთული გეოგრაფიული სახელები. ასეთი გაფორმების კომპოზიტებში აბსოლუტური უმრავლესობით მსაზღვრელი საზღვრულის წინამდგომია.

მოლენი სარფი-გამოღმა სარფი, მელენი სარფი-გაღმა სარფი, სოფლის ორი ნაწილი.

ჟილენ პოტოჯური-ზედა პოტოჯური, წალენ პოტოჯური-ქვედა პოტოჯური, სოფ. არქაბის რ-ნი (6,356).

თუდენი ნაფშითი-ქვემო ნაფშითი, ორთა ნაფშითი-შუა ნაფშითი, ჟილენი ნაფშითი-ზედა ნაფშითი, ს. ნაფშითის უბნები, არქაბის რ-ნი (3,71).

ჟინ ფილარგეთი-ზედა ფილარგეთი, უბ. ს.ფილარგეთი, არქაბის რ-ნი (6,356).

თუდენი წარი-ქვედა წყალი, წყარო, ადგ. ს.ოკორდულე, ართაშენი (6,360).

ომკენალი ზენი-შუა ველი, ველობი, ადგ. მელდათი, ათინის რ-ნი (6,366).

თოდენი ზენი-ქვედა ველი, ველობი, ადგ. იანივათი, ართაშენის რ-ნი (6,361).

ჯინი ლივადი-ზედა ბაღი, ბოსტანი, ადგ. ოკორდულე, ართაშენის რ-ნი (6,360).

ჟინი გზა-ზედა გზა, ტყე, მოლენი სარფი.

შებრუნებული ფორმები იშვიათია: იაილა მოლენი, იალაღი გამოღმა, საზაფხულო საძოვარი სარფში.

6. იშვიათად, მაგრამ მაინც ერთეულ შემთხვევებში მსაზღვრელად დასტურდება რიცხვითი სახელები მსაზღვრელ-საზღვრულის თანმიმდევრობით. ასეთ მოდელებში მსაზღვრელი მეტწილად რაოდენობითი რიცხვითი სახელია.

სუმ ჯუმა-სამი ძმა, ს.ხოფის რ-ნი (3,45).

ჟურ პიჯი-ორ პირი, ს.ხოფის რ-ნი (5,154,7).

ჟურ ხინჯი//წყარყა,-ორხიდი//წყალტოტი, სოფ. ბორჩხის რ-ნი (6,354).

დასტურდება თურქულენოვანი მიკროტოპონიმებიც: კირქ მერდევენი-ორმოცი საფეხური-საზ. სადგომი, აბეულდა, ვიწე (6,354); დორთ დოლ-ოთხი გზა, ღაღნა, ვიწე (6,358).

იქინჯი ქვა-მეორე ქვა, ადგ. ლიმანი, ხოფა (6,353), რიგობითი რიცხვითი სახელის მქონე ტოპონიმია.

განალიზებულ გეოგრაფიულ სახელებში, სადაც მსაზღვრელად გამოყენებულია ზედსართავი სახელი, მიმღეობა, არსებითი სახელი სიტყვათა თანმიმდევრობის თვალსაზრისით მხარს უჭერს საზღვრულ-მსაზღვრელის პოზიციას; მაშასადამე წარმოდგენილ ნიმუშებში ზვედრითი წონა პოსტპოზიციასზე მოდის. რაც შეეხება მსაზღვრელ რიცხვით სახე-

ლებსა და ზმნისართულ ატრიბუტებს, ისინი პრეპოზიციურად არიან წარმოდგენილი.

რომელი წყობა უნდა იყოს ამოსავლად რთულ გეოგრაფიულ სახელებში. ზემოთ აღვნიშნავდით, რომ კომპოზიტ გეოგრაფიულ სახელთა ბაზას წარმოადგენდა მსაზღვრულ-საზღვრული და აქედან გამომდინარე გათვალისწინებულ უნდა იქნეს მსაზღვრელის ადგილი შესიტყვებაში ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით.

სიტყვათა რიგი ატრიბუტულ და მართლმსაზღვრელთან კომპლექსში ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის აქტუალური საკითხია და იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენის თავისებურებათა აღწერისა და სტრუქტურის შესწავლის თვალსაზრისით.

ქართველურ ენებში მეტნაკლებად დასაშვებია ორივე წყობა. ახალ ქართულში განსაზღვრება პრეპოზიციურადაა წარმოდგენილი, მაგრამ სათანადო შემთხვევებში საჭიროების მიხედვით განსაზღვრება შეიძლება წარმოგვიდგეს პოსტპოზიციურადაც.

ზანური ენის მეგრული დიალექტი ქართულს მოსდევს. არ იცვლება ვითარება არც ლაზურში. აქაც ნორმად მიიჩნევა მსაზღვრელის პრეპოზიცია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტოპონიმიკურ, კომპოზიტურ, ნათესაური ურთიერთობის და მისთ. სახელებს.

სვანურიც ძირითადად იმეორებს სხვა ქართველური ენების მონაცემებს. რაც შეეხებ ძველი ქართული ენის სათანადო მონაცემებს, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს დებულება, რომ ისტორიული თვალსაზრისით ნორმას წარმოადგენს საზღვრულ-მსაზღვრელის წყობა. დღევანდელი ვითარება კი (მსაზღვრულ-საზღვრული) ამ ნორმის ინვერსიას (9,90). ც.კალაძემ, ვ.კახაძემ, ზ.სარჯველაძემ შეისწავლეს ძველი ქართული ენის რიგი ტექსტები და დაადგინეს, რომ ორიგინალურ ძეგლებში ატრიბუტულ სინტაგმაში ზედსართავი სახელი უფრო პრეპოზიციურადაა წარმოდგენილი, ვიდრე პოსტპოზიციურად, ნათარგმნ ძეგლებში პოსტპოზიცია სჭარბობს პრეპოზიციას (10, 79; 11, 12, 510).

მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადრინდელი ვითარება არ გამოირიცხავს გამოჩაკლისებს, ე.ი. მსაზღვრელის პოსტპოზიციასაც, ამაზე მეტყველებს რიგი უძველესი გეოგრაფიული სახელები, კომპოზიტები. რაც მიანიშნებს იმაზე, რომ „იმთავითვე უნდა ყოფილიყო მსაზღვრელისა და საზღვრულის ორივე შესაძლებელი თანამიმდევრობის შემთხვევებიც“ (10, 98).

ამგვარად, ლაზეთის გეოგრაფიულ სახელთა ნომენკლატურაში წარმოდგენილი პოსტპოზიციური ატრიბუტული კომპლექსები სხვა ქართველურ ენებში არსებულ მოდელს მისდევს და ცხადად წარმოაჩენს ქართველურ ენათა ისტორიულ ერთიანობას ამ თვალსაზრისითაც.

ლაზეთის ტოპონიმიაში დიდ ჯგუფს ქმნის მართლმსაზღვრელიანი კომპოზიტები. სუბსტანტიური მსაზღვრელი არსებითი სახელით (საზოგადო, საკუთარი) ან არსებითი სახელის მნიშვნელობით ნახმარი სხვა მეტყველების ნწილებით, ერთეულ შემთხვევაში ნაწარმოები ფუძეებით გადმოცემული ნათესაობით ბრუნვაში დგას სრული დაბოლოებით, ან მოკვეცილია ბრუნვის ნიშანი, ანდა გაუფორმებელია და მომდევნო სახელს განსაზღვრავს კუთვნილების, მასალის, დანიშნულების მიხედვით.

იგი მიემართება მდინარეების, მთების, ველების, ხევების, უბნების და სხვა მისთანათა სახელებს.

მართული მსაზღვრელი წარმოდგენილია ემფატიკური ხმოვნის გარეშე; მეტწილ შემთხვევაში მხოლოდით რიცხვშია.

ბადიშ ყონა-ბებრის ყანა, ადგ. ლიმანი, ხოფის რ-ნი (6,353).

კიკინცამ რაკანი-კიკინცას გორაკი, ადგ. გდაზნოჯ ონა, არქაბი (6,355).

დადიშ ონა-ბიცოლას ყანა, ადგ. ფილარგეთი, არქაბი (6,356).

ლუშ ობლე-ბუს ბუდე, ადგ. ფილარგეთი, არქაბი (6,356).

ქვამ უბა-ქვის უბე, უბ. ჯილენი ძღემი, ართაშენი (6,363).

მთუთიშ ობლე-დათვის ბუდე, ადგ. ხარა, ვიწე (6,359).

ბურბუმ ოხვამე-ლამურას სალოცავი, ადგ. აზლადა, ხოფა (5,165).

პლაკიშ თი-კლდის თავი, ტყე, ხოფის რ-ნი (5,165).

კაკალიში ყონა-კაკლის ყანა, სარფის უბანი, მიუთითებს ყანას და მის მიმდებარე ტერიტორიებზე და არა ხეთა სიმრავლეზე. ანალოგიურია:

პანტამ ონა-პანტის ყანა, ადგ. ფილარგეთი, არქაბი (6,356).

ჯამ ონა-ხის ყანა, ადგ. ფილარგეთი, არქაბი (6, 356).

ერთეულ შემთხვევაში მართულ მსაზღვრელი ნაწარმოები სიტყვაა: ომჟორემ კუდელი-სამხეოს კუდი, ადგ. გურუფითი, ვიწე (6, 357).

ოჭინახუმ ოფუტე- საწნახლის უბანი, მაკრიალი, ხოფის რ-ნი

ნოხოჯენის ღუზი- ნახარევის ვაკე, ადგ. ფილარგეთი, არქაბი (6,356).

ომათხორემ ღუზი-ომათხორის ვაკე, ადგ. ფილარგეთი, არქაბი (6,356).

მათხორი-წონის ერთეული (14, 149).

მსაზღვრელი წარმოდგენილია- ი ემფატიკური ხმოვნით, რომელიც ქართული-ი-ა-ს ადეკვატია.

დემირიში ავლა-რკინის საკარმიდამო, უბ. ხარა, ვიწე (6,359).

მემიშიში ავლა-მემიშიშის კარმიდამო, ეზო, ხარა, ვიწე (6,359).

დობიში ავლა- იობის საკარმიდამო, ეზო, ხარა, ვიწე (6,359).

მწკოში სირთი-წყავის სერი, ადგ. ლიმანი, ხოფა (6,353).

დამალიში ჩერემე-ცაფას საკარმიდამო „——“ „——“

მსაზღვრელი მრავლობით რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი და მიუთითებს ამა თუ იმ ადგილის, უბნის, ტერიტორიის ვისიმე კუთვნილებაზე.

ათმაჯაფემ ავლა-მიმინოების უბანი, მანასთირი, ვიწე (6,357).

სერბასანეფეში ავლა-სერბასანების ეზო, უბ. მანასთირი, ვიწე (6,357).

ალაფემ ოფუტე-ბატონების უბანი, მაკრიალი, ხოფა (6,354).

კარალეფემ ავლა-კარალების ეზო, უბ. ხარა, ვიწე (6,359).

ხოჯოლლეფემ ავლა, ხოჯოლლების უბანი, ხარა, ვიწე (6,359).

ქითაფჩეფემ ავლა-ქითაფჩების უბანი, ხარა, ვიწე (6,359).

ხუსეინეფეში ქაოი-ხუსეინების სოფელი, უბ. ტრევენდი, ვიწე (6,358).

ომბრეფემ თი-ტყემლების თავი, ადგ. ფიცხალა სუფლა, ვიწე (6,358).

ლოდაფემ ავლა-ლოდაების უბანი, ფიცხალაულდა, ვიწე (6,358).
რამდენიმე შემთხვევაში ბრუნვის ნიშნისეული - შ განიცდის ცვლილებას და -ს-თი წარმოვეიდება:

წკარისთი-წყაროს, წყლის თავი, სოფ. ხოფა (6,354).

ტობასთი//ტობასტი-ტბისთავი, ადგ. ოკორდულე, ართაშენი (6,360).

დაღისტი//დაღასტი-ტყის თავი, მთა. უჩირმალი, არქაბი (5,153).

ფორმანტისეულ შ>ს პროცესი შენიშნულია ლაზურ მეტყველება-შიც (15,57).

8. მსაზღვრელს მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, არა აქვს მნიშვნელობა ფუძის აგებულებას.

წკარ-თოლი-წყლის თვალი, ადგ. ჩხალა, ბორჩხა (6,354).

ჭინკა-ღალი-ჭინკის ღელე, ადგ. ჩხალა, ბორჩხა (6,355).

ბაღუ-პიჯი- ბელლის პირი, უბ. თემისვათი, ართაშენი (6,361).

წკართი-ღალი-წყლისთავის ღელე, ადგ. ხარა, ვიწე (6,359).

ქარმატე-ღალი= წისქვილის ღელე, ადგ. ხარა, ვიწე (6,359).

მაფა-წკარი-მეფის წყარო, წყალი, ბუჯალი, ხოფა (13,32).

ფორმანტისეული ელემენტის მოკვეცა ჭარბად შეიმჩნევა ათინის, ართაშენის და ჩამლიჭემშინის მიკროტოპონიმიაში, უფრო ნაკლებად ვიწეს, არქაბის, ხოფის რეგიონებში.

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ქართველურ ენათა გეოგრაფიულ სახელთა ნომენკლატურაში.

9. თანდებულების მონაწილეობით ნაწარმოები ტოპონიმები ერთობ მცირეა. თანდებულიანი (-თან//-თანა) გეოგრაფიული სახელები ნიშანდობლივია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, ხევი, ერზო-თიანეთი) ტოპონიმისათვის (15,44).

საკვლევ ტერიტორიაზე რამდენიმე სახელწოდება დასტურდება - კალა (-თან//-თანა) თანაობის თანდებულით.

მსქიბუკალა-წისკვილთან, ადგ. სარფის უბანი (3,40).

ჭკონიკალა-მუხასთან, ადგ. სარფის უბანში (3,42).

ჯამეკალა-ჯამესთან, უბ. ხარა, ვიწე (6,359).

კავეშკალა-ყავახანასთან, ადგ. ბაკვა, ართაშენი (6,360).

ფერთეკალა-ფერთესთან, ადგ. ამგვანი, ართაშენი (6,360).

წარიკალა-წყალთან, ადგ. ამგვანი, ართაშენი (6,360).

-კალა ნათესაობით ბრუნვას დაერთვის; ხშირად ბრუნვის ნიშანი იკარგება და ნათესაობითი სახელობითს წააგავს. სხვა თანდებულები გეოგრაფიულ სახელებში არ მონაწილეობენ.

ლიტერატურა

1. Веселовский С. Б., Топонимика на службе у истории. Исторический записки. кн. 17. М.1945.
2. ცხადაია პ., მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ., 1985.
3. სიხარულიძე ი., ჭანეთი, I, ბათ. 1977.

4. Лиозен З., Берег русского Лазистана, ИКОИРГО т.XVII, кн.3. Тифлис, 1905-07.
5. ყიფშიძე ი., I საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წ. ზაფხულს. II მივლინების დღიური, ენიმკის მოამბე, I, თბ.1937.
6. კარტოზია გ., ლაზური ტექსტები, II, თბ., 1993.
7. Март И.Я., Из поездки в турецкий Лазистан, ИИАН, 1910
8. ზურაბიშვილი თ., ტოპონიმიკის შესწავლისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1953.
9. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
10. კალაძე ც., განსაზღვრება ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.
11. კახაძე ვ., მსაზღვრელ-საზღვრულის თანმიმდევრობა ოთხთავში, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, VI, 1953.
12. სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ. 1984.
13. ყიფშიძე ი., ჭანური ტექსტები, თბ., 1939.
14. Март Н., Грамматика чанского (лазского) языка, С.П. 1910.
15. მემიშიში თ., განსაზღვრება ჭანურში, იკეწ, XVI, თბ., 1989.
16. ბედოშვილი გ., ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980.

Irma Memishishi

Compound names of the toponymy of Lazeti

Summary

In the toponymy of Lazeti it is possible to distinguish the complicated names, which, in most have two stems and are the prepositive and post-positive complexes.

In the analyzed geographical names the function of the attribute are used the adjectives, the participles and the nouns, which follows the attributed word and are located in post-position. But when there are attributive numerals, verbal attributes, then they usually are located in pre-position.

Suggested models of the compound names in the nomenclature of the geographical names of Lazeti coincide with the models existing in other Kartvelian Languages and clearly manifest the historical unity of the Kartvelian Languages.

Ирма Мемишиши

Составные наименования в топонимии Лазети

Резюме

В топонимии Лазети выделяются сложные наименования, которые, в большинстве случаев, двухсоставные и представляют собой препозитивные и постпозитивные комплекты. Базой лазских географических названий являются определенные композиты.

В анализируемых географических наименованиях определениями использовано прилагательные, причастия, существительные, которые следуют за определяемыми словами и образуют постпозицию. Когда же дело касается определительных числительных, отглагольных атрибутов то они предоставлены в препозиции.

Представленные модели составных наименований в номенклатуре географических наименований Лазети находятся в соответствии с существующими моделями в других картвельских языках и ясно доказывают историческое единство картвельских языков.

Irma Memişişî

Lazistan yer adlarin da (toponimiyasin da) birleşik isimler

Özeti

Lazistan'ın yer adlarında birleşik isimler, diğer Gürcü dil ailesindeki olan dillere benzemektedir. Özellikle dolaysız (prepozitif) ve dolaylı (postpozitif) isim yapıları olarak.

ლაზური მოსახლეობის პროვინული ცნობიერების პრობლემები და რეალობა

საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მყარი და მრავალმხრივი კონტაქტების დასამყარებლად საზღვარგარეთის ქვეყნებთან. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს კავშირურთიერთობას მეზობელ თურქეთთან, რომელმაც კარგა ხანია აირჩია ევროპული განვითარების გზა და თვალსაჩინო შედეგებსაც მიაღწია.

თურქეთი ზღვითაც და ხმელეთითაც საქართველოს უშუალო მეზობელია. ამ ორ ქვეყანას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ერთმანეთისათვის: თურქეთზე გადის ერთი იმ გზათაგანი, რომელიც საქართველოს აკავშირებს ევროპასთან, ხოლო საქართველოზე გამავალი გზა თურქეთს რუსეთთან, ჩრდილო კავკასიასთან და ცენტრალურ აზიასთან.

საქართველოსა და თურქეთს შორის ყალიბდება ახალი კავშირები, რომლებიც სწრაფად და დინამიკურად ვითარდებიან თანამედროვე ეტაპზე.

თურქეთის მოსახლეობა 60 მილიონს აღემატება. გარდა თურქებისა აქ ცხოვრობენ ქურთები, არაბები, ჩერქეზები, ქართველები (ლაზები-თურთ) და სხვები, სულ 40-მდე ერი და ეროვნება. თურქები ქართველებსა და ლაზებს გნსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებად მოიხსენიებენ. დღევანდელ თურქეთში, როგორც მიაჩნიათ, ორ მილიონზე მეტი ქართული (ლაზებით) წარმოშობის თურქეთის მოქალაქე ცხოვრობს.

პირველი სერიოზული ნაბიჯი თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოსახლეობასთან ურთიერთობაში გადაიდგა 60-იან წლებში, როდესაც საქართველოში შეიქმნა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება, რომლის ხელმძღვანელად წლების განმავლობაში მუშაობდა პროფ. ოთარ გივიანიშვილი. სწორედ 60-იან წლებში გაიბა პირველი კონტაქტები თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან მათი ეროვნული ცნობიერების გამოლვიძება-გალვივების მიზნით.

ამჟამად, დემოკრატიზაციის პროცესის შედეგად ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობაში ახალი ნიშანსვეტი გამოჩნდა.

არასრული ცნობებით, თურქეთში მოღვაწე მეცნიერებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ თურქეთში დაახლოებით 1,5 მილიონი ლაზი ცხოვრობს, მაგრამ მათ შორის მხოლოდ 400 ათასამდე ლაზი მეტყველებს დედაენაზე. სარფიდან დაწყებული მაფავრამდე (დღევანდელი ჩაელი) კომპაქტურად დასახლებულმა ლაზებმა თითქმის ყველამ იცის ლაზური, მაგრამ რიზეს დასავლეთით სინოპამდე მდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ლაზების უმრავლესობამ ლაზური არ იცის, თუმცა თავიანთი წარმომადგობა კარგად ახსოვთ. სამწუხაროდ ენის მცოდნე ლაზები ხშირ შემთხვევაში აქილიკებენ იმ ლაზებს, ვინც ლაზური არ იცის და ამით უფრო ზრდიან დინსტაციას ლაზურის მცოდნე ლაზებსა და ენის უცოდინარ ლაზებს შორის.

დღეისათვის ლაზური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი განსახლებულია თურქეთის რესპუბლიკაში, ხოლო უმცირესი ნაწილი კი საქართველოში, კერძოდ ს.სარფში, გონიოში, ქ.ბათუმში და ნაწილობრივ სამეგრელოსა და აფხაზეთში. ბუნებრივია, რომ ეროვნული ცნობიერების თვალსაზრისით ლაზურ მოსახლეობას საქართველოში არავითარი პრობლემა არ აქვს. მაგრამ კარდინალურად განსხვავებულ მდგომარეობასთან ვვაქვს საქმე თურქეთის ტერიტორიაზე მოსახლე ლაზებში.

თანამედროვე მეცნიერებაში დიდი ხანია კარგად არის დადგენილი რომ ლაზური მეტყველება, მეგრულ მეტყველებასთან ერთად, ეკუთვნის ე.წ. ზანურ (კოლხურ) ენას, რომელიც საკუთრივ ქართულთან და სვანურ ენებთან ერთად თავის მხრივ ქმნიან ე.წ. ქართველურ ენებს.

ისტორიული, სოციალური და კულტურულ ტრადიციების შესაბამისად ყველა ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანი ქართველია და ქართული ცნობიერების მატარებელი, თუმცა ეს არ უარყოფს კუთხური ცნობიერებისა და კუთვნილების არსებობასაც.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია აკადემიური, სერიოზული თურქული მეცნიერებაც არ უარყოფს ლაზების ქართველურ სამყაროსადმი კუთვნილებას.

ბუნებრივია, ასეთი ეროვნული წარმოშობა სულაც არ უქმნის ლაზებს მოქალაქეობის პრობლემას. თურქეთში ისევე, როგორც მრავალ სხვა სახელმწიფოში, და მათ შორის საქართველოშიც, უამრავი ადამიანი ცხოვრობს, რომელიც სახელმწიფოსადმი სახელის მიძემი ეროვნებისაგან განსხვავდება ეროვნული წარმოშობით, მაგრამ ისინი ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებად ითვლებიან. მაგალითად, გერმანიაში მცხოვრები მრავალი თურქი, გერმანიის მოქალაქეა და ლოიალურია გერმანიის სახელმწიფოსადმი, თუმცა მათ არავენ უშლის ხელს თურქული ეროვნული წარმოშობისა და თავისებურებების შენარჩუნებაში.

ცნობილია რომ თურქეთის მთავრობაც ასეთ ვზას ადგას ეროვნულ უმცირესობათა მიმართ დამოკიდებულებაში და ბოლო დროს თურქეთის კანონმდებლობაში მიღებული შესწორებების საფუძველზე ეროვნულ უმცირესობებს უფლება მიეცათ შეინარჩუნონ ეროვნული წარმოშობის კულტურული ფასეულობები (მეტყველება, დამწერლობა, ყოფისა და კულტურის თავისებურებები), რაც კიდევ უფრო გაზრდის მცირე ერების ერთგულებასა და ლოიალობას თურქული სახელმწიფოსადმი. 1992 წელს თურქეთის ქართველების ჟურნალ „ჩვენებურის“ ერთერთი დამფუძნებელი ჰაირი ჰაირიოღლუ (ვახტანგ მალაყმაძე) ქართულიდან თურქულად თარგმნის ლაზი ავტორების მუხამედ ვანილიშისა და ალი თანდილავას წიგნს „ლაზეთი“ და გამოცემს მას ლაზების ისტორიის სახელწოდებით. ამ წიგნის გამოცემამ ხელახლა გააღვიდა ეროვნული ცნობიერება. 1993 წელს დაიწყო გამოცემა ლაზური ჟურნალის „ოგნი სქანი ნენა“ (ისმინე შენი ენა), რომელიც მიმოიხილავს საქართველოს, ბიზანტიის, თურქეთის, ლაზეთის ისტორიას, ეთნოგრაფიას, ენათმეცნიერებას, ფოლკლორს. ეს ჟურნალი ლათინური ანბანით იყო აწყობილი და ლაზურად იკითხებოდა. ქართული ანბანით რომ ყოფილიყო შედგენილი მას რეალურად მკითხველი არ ეყოლებოდა. ასე რომ თურქულად და ლაზურად შედგენილი ჟურნალის მთავარი ამოცანა იყო ლაზებში ეროვნული ცნობიერების გაღვივება, მშობლიური მეტყველების და კულ-

ტურული ღირებულების შენარჩუნება. ამ ეტაპზე, როდესაც ლაზების დიდმა ნაწილმა არა თუ ქართული, არამედ ლაზურიც კი არ იცის, მთავარია თუნდაც თურქული ენის საშუალებით, თუნდაც ლათინური ანბანით დაწერილი ლაზურით დამკვიდრდეს ეროვნული ცნობიერება, ისტორიული წარმოშობის ჭეშმარიტება და ეროვნული შეგნების განმტკიცების შემდეგ ქართულ ანბანზე გადასვლა არავითარი პრობლემა აღარ იქნება. იქნება ლაზური როკ-ჯგუფი „მზოლაში ბერეფე“, (ზღვის შვილები), მისი ხელმძღვანელი მემედალი ბეშლი აცხადებს, რომ მათი მიზანია ლაზური ენის კიდევ უფრო გაცოცხლება მუსიკის გზით.

საუბედუროდ საბჭოთა რეჟიმის პერიოდში საზღვარმა ლაზები გაყო. 1937 წლიდან 1988 წლამდე ერთმანეთს მხოლოდ წერილებით უკავშირდებოდნენ. თურქეთის ლაზები ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც ახერხებდნენ საქართველოში, ნათესავეებთან სტუმრობას. 1988 წლიდან, ანუ საზღვრის გახსნის შემდეგ ინტენსიური ურთიერთობა დამყარდა თურქეთში და საქართველოში მცხოვრებ ლაზებს შორის. ჩვენ მაშინ მატერიალურად უზრუნველყოფილი ვიყავით, რის გამოც თურქეთის ლაზები გაოცებას ვერ მალავდნენ.

მაგრამ შემდგომში საბჭოთა კავშირის დაშლამ და საქართველოში დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში წარმოქმნილმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა სიტუაცია რადიკალურად შეცვალა. ამ ბოლო წლებში ჩვენ გავღარიბდით, ხოლო თურქეთის ლაზები კი მნიშვნელოვნად დაწინაურდნენ ეკონომიკურად.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1937 წლამდე საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლა შედარებით თავისუფალი იყო. სხვათაშორის, 1937 წელს დეიდაჩემი, ჩვენი სარფიდან, იქ, თურქეთში გათხოვდა. საქართველოს სარფში მცხოვრებ ლაზებს თურქეთის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთები ჰქონდათ, საიდანაც წლის მოსავალს იღებდნენ, ხოლო მიწის დამუშავების მიზნით, თითქმის ყოველდღე უწევდათ საზღვრის გადაკვეთა.

1988 წელს საზღვრის გახსნის შემდეგ, თურქეთის ლაზების თქმით, მათ ლაზობა უკვე თითქმის დავიწყებული ჰქონდათ და ჩვენთან, საქართველოს ლაზებთან ურთიერთობაში, გაიხსენეს მათი წარმომავლობა. მათ, მაშინ უკვირდათ, ლაზური რა კარგად იცითო.

ბევრ მათგანს, ლაზები თურქულ ტომად მიაჩნდათ. ამიტომ, როდესაც საქართველოს ლაზები ვხვდებოდით თურქეთის ლაზებს, თავისთავად აუცილებლად დგებოდა საკითხი ჩვენი წარმომავლობისა. ჩვენ ძალიან უბრალოდ, თვალსაჩინოდ ვუმტკიცებდით, რომ ისინი ქართველური წარმოშობის არიან.

მაგალითად, თურქეთის სარფში ლაზისათვის სიტყვა „პატარა“ ისევე როგორც მეგრელისათვის (და გამოღმა სარფელისათვის) არის „ჭიჭე“, ხოლო ხოფელისათვის კი „აჭუტა“, „ქარმატე“, ლაზურად ნიშნავს წისქვილს. „ქარი“ ქართულადაც „ქარია“ და ქარით ამოძრავებული წისქვილი კი ქარმათე“ იქნება. ასევე-ლაზურად-ქოთუმე“-მეგრულად-ქოთომი-ქართულად ქათამი, ხოლო თურქულად-თაუქ“. ამრიგად უეჭველი ხდება ლაზურის ქართული სამყაროსადმი კუთვნილება. ასეთი უამრავი მაგალითის საფუძველზე ეროვნული ცნობიერება უფრო სწრაფად ვითარდება.

ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული კულტურის შენარჩუნების თვალსაზრისით სათვისტომოს შექმნა, საკვირაო სკოლების, შეხვედრების, საღამოების, სიმპოზიუმების, საზაფხულო ბანაკების, ყოფისა და კულტურის შემსწავლელი და შემნარჩუნებელი ცენტრების შექმნა, რადიო-ტელევიზიის, ჟურნალებისა და გაზეთების დაფუძნება. განსაკუთრებული ყურადღება საკვირაო სკოლებს უნდა მიექცეს, რადგან უწინ, თუ ტრადიციული ყოფის პირობებში, სოფლებში ბავშვები ისედაც სწავლობდნენ ლაზურ მეტყველებას, ახლა საქალაქო ცხოვრების წესებისა და მასობრივი ოფიციალური საშუალებების ზემოქმედების პირობებში ბავშვებისათვის საკვირაო სკოლების გარეშე, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ეროვნული უმცირესობისათვის ევროპაში, ლაზური მეტყველების შენარჩუნება შეუძლებელი იქნება.

მაგალითი ჩვენ უნდა მივცეთ. ძალიან კარგია, რომ ახლახან დაფუძნდა ლაზური (კოლხური) კულტურის ცენტრი. მიზანშეწონილად მიმაჩნია ლაზური (კოლხური) კულტურის ცენტრის ფილიალის სოფელ სარფში გახსნა. სპეციალური, ლაზური პრობლემებისადმი მიძღვნილი ჟურნალის, გაზეთის, ბუკლეტების, წიგნების დაბეჭდვა, სამეცნიერო სიმპოზიუმების, სესიების, სემინარების მოწყობა, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიაში სისტემატური გადაცემების დაფუძნება, სპეციალური ლაზური რადიომაუწყებლობისა და სატელევიზიო არხის გახსნა, ფოლკლორული ანსამბლის დაფინანსება, ერთიდაიგივე გვარების შეხვედრების ორგანიზება, ლაზეთიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უფასოდ სასწავლებლად ახალგაზრდების ჩამოყვანა, ლაზური წარმოშობის ბიზნესმენტა მოწვევა და მათთან ერთობლივი საქმიანი ურთიერთობების დამყარება, საქველმოქმედო საღამოების, შეკრებების და სხვა ღონისძიებათა გამართვა.

მოკლედ, სამუშაო ძალიან ბევრია და მას სერიოზული, დაფიქრებული, საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებული და მისაღები მეთოდებით უნდა განვითარება.

გარდა ამისა ჩვენი მოვალეობაა დაინტერესებული ვიყოთ მეზობელ სახელმწიფოში მცხოვრები როგორც ჩვენებურების, ასევე სხვა ხალხების ცხოვრებით და მათთან ურთიერთობაში ზომიერებით, თავაზიანობითა და კეთილმოსურნეობით დადებითი იმპაქი შევიქმნათ.

Gubaz Vanilishi

The problem of national consciousness of Lazian population and the reality

Summary

The national consciousness (identity) of Lazian ethnographical group of Georgians in the territory of Turkey is in a process of formation. Besides, it is very important, that parallels between Lazian and Megrelian, Lazian and Georgian speeches easily demonstrate the unity of their origin.

Губаз Ванилиши

Проблемы национального сознания лазского населения и реальности

Резюме

Национальное сознание лазской этнографической группы грузин, проживающих на территории Турции, находится в процессе формирования. При этом, особое значение имеют параллели между лазским и мегрелским, лазским и грузинским, которые легко доказывают общность их происхождения.

Gubaz Vanilişi

Lazların milli kimlik sorunu ve gerçeği

Özeti

T.C. topraklarında yaşayan Gürcü kökenli etnik gurubu olan Lazlar, kendi kimliklerini belirleme durumundalar.

Kimlik belirlemede, Laz ve Megreli, Laz ve Gürcü arasındaki benzerlikleri büyük önem taşımaktadır. Aralarındaki bu kadar sıkı bağı olan milletlerin kökeni aynı olmasında şüphe olmaması olsa gerek.

ერთი არაბული ლექსემა მეგრულ-ლაზურში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველურ ენათა ჯგუფს შეადგენენ ქართული, მეგრულ-ლაზური (ზანური), სვანური. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინ „ზანურ“-ს დიდი ისტორიული ტრადიცია აქვს, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მისა ნაცვლად იხმარება აკად. აკაკი შანიძის მიერ შემოთავაზებული კოლხური ენა. ლაზური და მეგრული ერთი ენის, კოლხურის დიალექტებია.

მეგრული გავრცელებულია საქართველოს დასავლეთ ნაწილში, კერძოდ, კოლხეთის დაბლობის ჩრდილოეთ ნაწილში და ჩრდილოეთით მოსაზღვრე მთიან ტერიტორიაზე. გამოყოფენ სენაკურსა და ზუგდიდურ-სამურზაყანოურ დიალექტებს. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ლაზ-მეგრელებს შენარჩუნებული ჰქონდათ ტერიტორიული მთლიანობა.

1453 წელს კონსტანტინოპოლის აღებით დამთავრდა თურქოსმალთა ექსპანსია წინა აზიაში. ლაზეთი ოსმალეთის იმპერიის მფლობელობაში შევიდა. რა თქმა უნდა, ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა მეგრულ-ლაზურზე მოლაპარაკე ხალხთა მეტყველებაზე. არაბულიდან შესული სიტყვები მეგრულში სხვადასხვა დროისა და ხასიათისანი არიან. არაბული ლექსიკის დამკვიდრება მეგრულში შესაძლებელია არაბთა და სხვა მომხვედურთა ექპანსიით იყოს გამოწვეული. ან შესაძლებელია სემიტურ ენებზე მეტყველი მოსახლეობის მეზობლობითაც.

არაბულიდან შეთვისებული სიტყვები მეგრულში სხვადასხვა დროისა და სესხების მოტივის გამო, სხვადასხვა შინაარს გამოხატავენ. „ნასესხები მასალის გამოჯენა მკვიდრისაგან და ხშირად მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით უძველესი ნასესხობებისა, სადაც შეთვისებული სიტყვების მსესხებელ ენასთან შეგუების პროცესი ძალიან შორს არის წასული“ (მ. ანდრონიკაშვილი, 1966,5). სესხება ერთბაშად არ ხდება. ნასესხობანი სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნებიან. მეგრულ-ლაზურში ნასესხობათა ერთი ნაწილი აბსოლუტურად იდენტურია ქართულისა და უნდა ვივარაუდოთ, რომ ადრეულ, ქართულ-კოლხური ენობრივი ერთიანობის პერიოდს განეკუთვნება. ეს არის ძირითადად სპარსულ-არაბული ლექსიკა და ქართველურ ენათა წიადში დამკვიდრებული გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე კოლხეთში არაბთა ექსპანსია დაიწყო.

საერთოდ, სესხება მუდმივი პროცესია და თან ახლავს ცოცხალი და კულტურული ენების განვითარებას, როგორც მისი გამდიდრების წყარო. არის ისეთი ნასესხობანი, რომლებიც რესპოდენტთან საუბრის დროს გვხვდება ბარისა თუ მთის მეგრულში. მეგრულში ნასესხობების სიუხვეზე ლაპარაკი გადაჭარბებული იქნება, მაგრამ გვაქვს ისეთი ნასესხობანი, რომლებიც მხოლოდ მეგრულ-ლაზურში ფიქსირდება. ტექსტებში ასახული არაბული ლექსიკა ყოველთვის არ ასახავს რეალურ ვითარებას. არის სიტყვები, რომლებიც გვაქვს ერთ ავტორთან, მაგრამ სრულიად არ გვხვდება დანარჩენ ავტორებთან. მთელი რიგი არაბული ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს სენაკურში, არ გვხვდება ზუგდიდურ-ჩამურზაყანოულში. ინტერესს იწვევს ზოგი არაბული წარმოშობის სიტყვები, რომლებიც ერთნაირად გვხვდება მეგრულ-ლაზურში. თურქულ-ოსმალურ წიადში მოქცეულმა ლაზურმაც ღრმად დაიმკვიდრა ისეთი არაბიზმი როგორიცაა „ნისა“ (ნოსა), „ინფი თიცალი ნისას გორც“ (კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები მეგრული ნიმუშების მიხედვით, თბილისი 1999, გვ.140). „სი მა დომჭვი, დომხალი, ჭუტა ნოსა“ (ლაზური პარამითეფე, თბილისი 1982, გვ. 70). ნისა – რძალი (გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი 1997, გვ. 250). ნისა, ნოსა – რძალი (პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი 1997, გვ. 100) და სხვ.

განსხვავებული ვითარებაა ლექსიკის სახელად და ზმნურ ელემენტებს შორის. არაბული სახელების გარკვეული ნაწილი მეგრულის ორგანულ ნაწილად ვერ იქცა, ვინაიდან არ დაექვემდებარა მეგრული ფონოტაქტიკის მოქმედებას. რაც შეეხება ზმნას, ის სავსებით ნაჯდა მსესხებელი ენის გრამატიკულ ყალიბში. მეგრულ-ლაზური მეტყველების შესწავლა დიდი ხნის წინ დაიწყო. კოლხთა წარსულისა და ეთნოგრაფიული ყოფის შესასწავლად პირველხარისხოვან მასალას იძლევა ენა, რომელიც თანამედროვე სამეგრელოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების, მისი ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის უმდიდრეს წყაროს წარმოადგენს.

ორენოვნების პირობებში ლექსიკის შედწვევის გარდა ერთი ენის გავლენა მეორეზე შესაძლოა გავრცელდეს ენის სისტემის სხვა დონეებზეც, იქნება ეს ფონოლოგია, მორფოლოგია თუ სინტაქსი. რაც შეეხება ამ მხრივ მეგრული და არაბულის ურთიერთობას, შეიძლება ითქვას, რომ ეს გავლენა ლექსიკურ ნასესხობებს არ გასცილებია. ამის მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო მთელი რიგი ფაქტორები, რომელთა გამოვლენა ალბათა საგრძნობლად გაადვილდება, თუ ზოგადად მაინც მიმოვიხილავთ საერთოდ ენათა ურთიერთობას და ერთი ენის გავლენას მეორეზე, მის ხელშემწყობ თუ ხელისშემშლელ პირობებს და

ვეცდებით, მეგრული და არაბული ენების ურთიერთობას ადგილი მიუჩინოთ ინტერფერენციის ზოგად სისტემაში. გარკვეულ სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ პირობებში ენათა კონტაქტისას ყოველთვის ხდება მათი ინტერფერენცია. უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს ერთი ენის ცალმხრივ გავლენას მეორეზე, რაც ხშირად გამოწვეულია არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენებით.

ენათა ინტერფერენცია, გარდა ენობრივ სისტემაში მისი გავრცელების მასშტაბისა, ხასიათდება გარკვეული თვისობრივი მანუენებლებითაც. ამ თვალსაზრისით, არაბული ლექსიკის შეთვისება ქართულ ენაში შეიძლება მიჩნეულ იქნეს დადებითად (რამდენადაც მოხდა ქართული ენის ლექსიკური მარაგის საგრძნობი გამდიდრება არაბული წარმოშობის სიტყვების ხარჯზე) და შესაძლოა ექვივალენტურადაც. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ცალკეულ შემთხვევაში არაბული ლექსიკური ელემენტების შეთვისებასთან ერთად შეიზღუდა ენაში არსებულ ადგილობრივ სიტყვათა ხმარების სფერო და მოხდა გარკვეულ კონტექსტებში მათი სავსებით გაქრობა. რაც შეეხება მეგრულს, აქ არაბული ლექსიკის კვალი ნაკლებია. მეგრულმა ვერ შეისისხლხორცა უცხო წარმოშობის ლექსიკა იმდენვე სიჭარბით, რაც ქართულის მაგალითთან მოხდა.

თუ ენების ინტერფერენციის პროცესში ანალოგიის მოქმედებას ჩავთვლით უცხო ენის ელემენტთა შეთვისების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად, ბუნებრივია დაისვას საკითხი, თუ ეს ფაქტორი, გარდა გარეშე ელემენტთა ადაპტაციისა საერთოდ რა მიმართულებით წარმართავს ენის სტრუქტურის ცვლას, თუმცა ალბათ იქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენის იმანენტური განვითარების ფარგლებში მოქმედ ანალოგიას და სხვა ენის გავლენის შედეგად მოტივირებულ ამ პროცესს, ინტერფერენციაში მონაწილე ცალკეული ენების სტრუქტურული თავისებურებებიდან გამომდინარე, ვერ გავაიგივებთ, მაგრამ არ უნდა გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ უცხო ელემენტთა გათვისების დრო, მოქმედი ანალოგია სტიმულს მისცემს ენაში ამ პროცესის საერთოდ გააქტიურებას. სოსიური სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორია ბუნება, არის თ არა ის, როგორც საერთოდ ვარაუდობენ, ცვლილება და თავადვე პასუხობს ამ კითხვას – ანალოგიაში ყველაფერი ექვემდებარება გრამატიკას და იგი გულისხმობს ამ ურთიერთობის გაცნობიერებას და გაგებას, რაც ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ფორმას.⁷³

ჰ. პაული მიიჩნევს, რომ უცხო ლექსიკის შეღწევა, უპირველეს ყოვლისა განპირობებულია შემთვისებელი ენის მოთხოვნილებით – „ენა ყველაზე ხშირად ითვისებს იმ მცნებათა გამომ-

⁷³ Ф. де Сосюр, стр. 199

ხატველ სიტყვებს, რომლებსაც ენაში ჯერ კიდევ არ მოეპოვე-
ბათ აღმნიშვნელი⁷⁴. დასათანხმებელია ზემოთ მოყვანილი გა-
მონათქვამების, როცა საქმე ეხება გეოგრაფიულ სახელებს,
სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელს, ენის მატარებელთათ-
ვის ჯერაც უცნობ მატერიალურ სფეროს, ასევე იმ შემთხვე-
ვებსაც, როცა ენათა ინტერენფერენციის დროს ადგილი აქვს
ერთი ენის მატარებელთა აშკარა კულტურულ უპირატესობას
მეორეზე.

საერთოდ, ენაში უცხო ენის ელემენტთა შეღწევა ძირითა-
დად განპირობებულია ექსტრალინგვისტური, სოციალური-კურ-
ტურული თუ პოლიტიკური ფაქტორებით და არა შემთვისებელი
ენის შინაგანი მოთხოვნილებით. მეგრული (კოლხური) და არა-
ბული ენების ურთიერთობის განხილვისას დაპარაკიც ზედმე-
ტია საყოველთაო ორენოვნებაზე, მაგრამ უეჭველია, რომ ამ
ენათა ინტერენფერენციის პროცესში პოლიტიკური ფაქტორი
გადამწყვეტ როლს თამაშობდა და თუნდაც ამ ენის გავლენის
ქვეშ მყოფ ხალხთა მეზობლობაც.

Alina Bagishvili

One Arabik Lexeme in Megrelian-Lazian

Summary

Acad. A. Shanidze considered that Megrelian-Lazian were the dialects
of one language, Kolkuri. Words of Arabic origin are of different character
due to various time and motive of different character due to various time and
motive of borrowing. We are interested in some words of Arabic origin,
which are encountered in Megrelian-Lazian in similar form such as the word
nisa (nosa, nusa).

Алина Багишвили

Об одной арабской лексеме в мегрельско-лазском

Резюме

А. Шанидзе мегрельский и лазский считал диалектами одного
колхского языка.

⁷⁴ Г. Пауль, Принципы истории языка. Москва, 1960, стр. 462

Анализируя лексику иностранного происхождения особое внимание следует обратить на фонетическое и семантическое различие и сходство между заимствованными и исходными словами.

Заимствованные арабские слова в мегрельско-лазском носят разный характер по той простой причине, что они были заимствованы в разное время и по разным причинам.

Наше внимание привлекли слова арабского происхождения которые встречаются в мегрельско-лазском. Например такими являются слова «ниса, (носа, нуса) ».

Alina Bağışvili

Megrelice ve Lazcada bir Arapça söz

Özet

Akademisyen A. Şanidze tarafından Megrelice ve Lazca bir dilinin şivesi olarak kabul ediliyor. Her şeye rağmen Zanuri kelimesinin büyük tarihi geleneği vardır.

Megrelice ve Lazcada Arapçadan girmiş kelimeler, değişik zamanlarda ve ödünç motiflere sahip olduğundan değişik mahiyettedirler. Dilde yabancı asıllı kelimelerin tahlılı yaparken, ödünç kelime ve onun kökü olan yabancı kelime arasındaki fonetik ve semantik farklara ve benzerliklere önem verilir. Genelde, kelimelerin ödünç alması, devamlı prosedürdür ve yaşayan ve kültürel dillerle zenginleşme kaynağı olarak beraber bulunuyor. Metinlerdeki Arapça kelimeler, her zaman gerçeği yansıtmıyor. Sadece bir yazarda bulunan ve diğer yazarlarında hiç görülmeyen kelimeleri mevcuttur. Senak şivesi karşılaşılabileceğimiz bir sürü Arapça kelimeleri Zugdid ve Samurzakano şivelerinde bulmak mümkün değildir. Dikkatimizi çeken, Megrelice ve Lazcada aynı derecede karşılaştığımız Arapça asıllı kelimelerdir. Türkçe ve Osmanlıca'nın derinliklerinde yer alan Lazca da "nisa" (nosa nusa) gibi Arap asıllı kelimeler de yer almıştır.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
<i>ი ს ტ ო რ ი ა და ე თ ნ ო გ რ ა ფ ი ა</i>	
იური ბიბლიეიშვილი ლაზური მეტყველება	7
ნოდარ კახიძე ლაზი ოსტატების წველილი ქართული მედიტონეობის ისტორიაში	11
ნუგზარ მეგლაძე ლაზური ოფეტი	17
ნოდარ ცეცხლაძე მუხამედ ვანილიში ღაზეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მკვლევარი (1909-1997)	25
სიმონ გოგიტიძე ხაიასა-აცი: სომხური თუ ქართველური სამყარო?	31
ემზარ კახიძე ისტორიული ჭანეთი გვიანანტიკურ და ადრეპიზანტიკურ ხანაში	36
ნუგზარ თხილაიშვილი უძველესი აია და დღევანდელი აი აა	46
ოლეგ ჯიბაშვილი ღაზებთან ერეკლე II ურთიერთობის საკითხისათვის XVIII ს. 60-70-იან წლებში	51
პირიმზე რურუა სახლეულის სეგმენტაციის ზოგიერთი ასპექტი ღაზეთში	59
ვლადიმერ მეგლაძე ღაზები და ღაზეთი	66
მალხაზ სიორიძე რკინიგზის მშენებლობა ღაზეთში 1916-1917 წლებში	80
ჯემალ ვარშალომიძე ღაზი მეზეჭურთმეები	87

ენათმეცნიერება და ფოლკლორი

მიხეილ ქამადაძე ისტორიული ღაზეთი ზჭიჭინაძის ნაშრომის “მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში”-მიხედვით	93
ეთერ ბერიძე ღაზეთის ტოპონიმები გიორგი ვაზბეგის შრომებში	98
მზია ჯღარკავა ღაზური “სიჯალიკობა” და მასთან დაკავშირებული ხალხური პოეზია	102
ნანული ნოღაიდელი ზანური სუბსტრატის რამდენიმე ლექსიკური ნიმუში აჭარულ დიალექტში	107
ციალა ნარაკიძე ნათესაური ურთიერთობის ამსახველი ლექსიკიდან ღაზურში	113
ნარგიზ ახვლედიანი ზოგიერთი ზანური ლექსიკური ერთეულის შესახებ ქართული ენის სამხრეთულ დიალექტებში	118
გურამ ჩაგანავა სიტყვა “კრიმანჭულის” ეტიმოლოგიისათვის	122
ზვიად ანაკიძე წულიჭადის დროთა ქართულ სახელწოდებათა ღაზური შესატყვისობანი	128
თინა შიოშვილი ზურაბ თანდილავა-ქართული ხედიერი კულტურის მონამაკე	132
მალხაზ გრიგოლია “აიას” ეტიმოლოგიის შესახებ	138
ომარ მემიშიში “ნა” კავშირიანი დამოკიდებული წინადადება ღაზურში	140
ირმა მემიშიში თხზული სახელები ღაზეთის ტოპონიმიაში	144
გუბაზ ვანილიში ღაზური მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების პრობლემები და რეალობა	153
ალინა ბალიშვილი ერთი არაბული ლექსემა მეგრულ-ღაზურში	158

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 28.12.2005
ქალაქის ზომა 70X108 1/16
ტირაჟი 150
ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში.
ქ. ბათუმი, მელიქიშვილის 2.

